

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ზვიად აბაშიძე

ეთნიკური უმცირესობები და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხი  
საქართველოში

პოლიტიკის მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის  
მოსაკრებლად

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

ნაშრომი შესრულებულია ივ.ჯავახიშვილის სახ.  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი:  
პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე

თბილისი 2011



## სარჩევი

შესავალი .....	4
----------------	---

### თავი I

ეთნიკური უმცირესობების საკითხების დასავლური გამოცდილება.....	15
1.1) ერაღქმნადობის პროცესი და ეთნიკური მრავალფეროვნების თეორიული ასპექტები.....	15.
1.2) „ეთნიკური“/“ეროვნული“ უმცირესობის ცნება.....	20
1.3) ეთნიკური ინტეგრაციის და მრავალფეროვნების საკითხები კონკრეტულ პრაქტიკაში.....	22
1.4) ეთნო-კულტურული მრავალფეროვნების რეგულირების კონკრეტული მაგალითები.....	28

### თავი II

ერაღ ქმნადობის პროცესი და პოსტ-კომუნისტური საქართველო.....	39
2.1) ისტორიული რეტროსპექტივა .....	43
2.2) „ქართველი ერი“ მოდერნის ფორმაში.....	50
2.3 საქართველოს პირველი რესპუბლიკა და უმცირესობები.....	61
2.4 საბჭოთა „ნაციონალიზმის“ პოლიტიკური პროექტი და ექსპერიმენტი.....	64
2.5) ერაღქმნადობის პროცესი და პოსტ-კომუნისტური გარდაქმნების ხანა.....	76

### თავი III

ეთნიკური ურთიერთობების ინსტიტუციონალური მხარე და ზოგადი ვითარება.....	87
3.1) ეთნიკური რეგულირების ინსტიტუტები.....	87
3.2) ეთნიკური უმცირესობების ზოგადი ვითარება და განხორციელებული ღონისძიებები სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში.....	91

თავი IV. იდენტობის ფორმირების ძირითადი საკითხები ეთნო-კულტურულ  
თემებში: *უმცირესობები ემპირიული კვლევის პრიზმაში*.....111

თავი V

1.1 სამოქალაქო ინტეგრაციის ძირითადი გამოწვევები  
და პერსპექტივები.....126

*დასკვნა* .....141

გამოყენებული

ლიტერატურა.....151

დანართი. I ..... 153

დანართი II .....154

დანართი III .....155

## შესავალი

### *საკვლევი თემის აქტუალობა*

საქართველო, როგორც ისტორიული, ისე თანამედროვე თვალსაზრისით მრავალეთნიკური ქვეყანაა. პოსტ-კომუნისტურ ეტაპზე, მისთვის ამგვარი ეთნო-კულტურული მრავალფეროვნობა ერთობ მძიმე საკითხად იქცა და შესაძლოა ითქვას, რომ მთავარი გამოწვევა შეიქმნა დემოკრატიზაციის და დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე. ამიტომაც, ჯერაც ერთ-ერთი მთავარი მტკივნეული საკითხია სხვადასხვა ეთნო-კულტურული ჯგუფებისგან ერთი დიდი სამოქალაქო სოლიდარობის შექმნა, სადაც მის ყოველ მოქალაქეს, ჯგუფობრივი კუთვნილებისდა მიუხედავად, ერთიანი და მძლავრი პოლიტიკური იდენტობა და ლოიალობა ექნება. ამგვარი ლოიალობის მიღწევის საწინდარს, როგორც წესი უმთავრეს შემთხვევებში განვითარებული ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკის არსებობა წარმოადგენს.

იმისდა მიუხედავად, რომ საქართველომ დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში გარკვეულ წარმატებებს მიაღწია, ჯერ კიდევ სუსტია მდგრად დემოკრატიულ ინსტიტუტთა საფუძვლები და მარგი ქმედების კოეფიციენტი. სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტების პირობებში კი, როგორც წესი უფრო რთულია ეთნიკურ ჯგუფთა ერთ მთლიან სამოქალაქო სივრცედ გარდაქმნის პროცესი. ერთი მხრივ უნდობლობა პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი და მეორე მხრივ თვით ინსტიტუტთა სისუსტე (რაც თავის მხრივ ინსტიტუტებისადმი ნდობის არცთუ მაღალ ხარისხს წარმოშობს) კვლავაც განაპირობებს საზოგადოების სხვადასხვა სეგმენტების ურთიერთგაუცხოებას და იზოლაციონიზმს. ინსტიტუციონალური სიმყიფის შედეგად წარმოქმნილ სოციალურ დაქსაქსულობას, ცუდად სტრუქტურული ეკონომიკური ბაზარი და დაბალი ინტენსივობის ეკონომიკური თანამშრომლობა კიდევ უფრო ართულებს. ამიტომაც, არსებული ეთნო-კულტურული ჯგუფების ურთიერთთანამშრომლობა უმეტესად ჯგუფობრივი ცრურწმენების და სტერეოტიპების საფუძველზე მიმდინარეობს.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ქვეყანაში, სადაც საუკუნეების მანძილზე უამრავი სხვადასხვა ეთნო-კულტურული ჯგუფი თანაცხოვრობს, მოცემული ჯგუფები ურთიერთ კულტურულ ღირებულებებსა და მონაპოვრებს ან ძალიან სუსტად ან კი საერთოდ არ იცნობენ. ეთნიკური ჯგუფების მხრიდან, ერთმანეთის

კულტურათა აღქმა ხშირად წინასწარ აკვიტებული შეხედულებებით და ცრურწმენების საფუძველზე უფრო ხდება, ვიდრე რაციონალური ურთიერთგაცვლის და კომუნიკაციის საფუძველზე.

აღწერილი ვითარებიდან გამომდინარე, მივიჩნევთ, რომ ჩვენს მიერ წარმოდგენილ თემა ფრიად აქტუალურია და პირდაპირ კავშირშია საქართველოში კონსოლიდირებული დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის საფუძველების შესწავლის საქმესთან. იქ, სადაც არ არის უზრუნველყოფილი განსხვავებულ სოციალურ, ეთნიკურ, რელიგიურ თუ კულტურულ ჯგუფთა საჯარო, სამოქალაქო მშვიდობიანი თანაარსებობა ისე, რომ ამასთანვე არ დაირღვეს რომელიმე ჯგუფის უფლებები (ჯგუფების მიერ მათი შენარჩუნების მოთხოვნის შემთხვევაში განსაკუთრებით), წარმოდგენელია მდგრადი ლიბერალური დემოკრატიის აშენება.

### **დისერტაციის მიზნები და ამოცანები**

დისერტაციის მიზნები და ამოცანები პუნქტობრივად შემდეგნაირად შეგვიძლია განვსაზღვოთ:

1. გამოვარკვიოთ კონკრეტული სოციალურ - ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძველები იმისა, თუ რატომ შეიძლება მოქალაქეებმა აირჩიონ ეთნიკური იდენტობის უპირატესობის სტრატეგია საჯარო - სამოქალაქო პრინციპზე დაფუძნებულ იდენტობასთან შედარებით;

2. დავადგინოთ მართლაც არსებობს ეთნო-კულტურული გაუცხოება სახელმწიფოსთან ურთიერთმიმართებაში, თუ ეთნო-კულტურული იდენტობა მხოლოდ გარეგნული მხარეა გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების და პოლიტიკური ფაქტორების გადასაფარად;

3. შესწავლილ იქნეს, თუ რა ფაქტორები აფერხებს ეთნო-კულტურულ ჯგუფთაშორისო დაძაბულობას;

4. დადგენილ და შესწავლილ იქნეს სამოქალაქო სოლიდარობის და იდენტობის განმსაზღვრელი მექანიზმები;

### **საკვლევი პოპოთეზა**

მსოფლიო ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეთნო-კულტურული მრავალწევრიანობის რეგულაცია ორი მეტაპოლიტიკური გზით ვითარდება. ერთი მათ შორის მყიფე და გრძელვადიან პერსპექტივაში მოიკოჭლებს და სამომავლოდ

კონფლიქტების მეტ საფრთხეს შეიცავს, ხოლო მეორე გაცილებით რაციონალური, მდგრადი და სამომავლო მშვიდობის მეტ რესურსს შეიცავს.

პირველი გამოცდილება უკავშირდება ტოტალიტარულ/ავტორიტარულ პოლიტიკურ პროექტს, რომელიც რეგულაციების ძალადობრივ მხარეს ანიჭებს პრიორიტეტს. ამ შემთხვევაში პოლიტიკის ლეგიტიმაციას უფრო გარეგნული, მოხვედრებითი ხასიათი აქვს და დამყარებულია შიშსა და ტერორზე. ამ მხრივ, საბჭოთა ისტორიული გამოცდილება მოცემული პროექტის კლასიკური და შესაძლოა ითქვას ალბათ ყველაზე ქმედითი გამოცდილებაა. საბჭოთა კავშირი, რომელიც ერთიერთგანსხვავებულ ერთა და ეთნო-კულტურულ ჯგუფთა უზამრახარ კონგლომერატს წარმოადგენდა, საკუთარ ფარგლებში, გარკვეულწილად ახერხებდა ამგვარი მრავალწევრიანობის რეგულირებას. მასში თითქოს და განხორციელებული იყო თანამედროვე ენით, რომ ვთქვათ, „მულტიკულტურული საზოგადოების“ თანაარსებობის იდეალები, მაგრამ, მოცემული „ხალხთა სოლიდარობა“ ემყარებოდა ფართო სოციალურ ინჟინერიას, ძალადობას და ეთნო-კულტურულ ურთიერთობათა ჩაკეტილ, იერარქიულ სისტემას. არა და საბჭოეთის პოლიტიკური პროექტი თითქოს და თანამედროვე ერი-სახელწიფოს იდეას ემყარებოდა, რომელსაც პოლიტიკის სახალხო ლეგიტიმურობა უნდა უზრუნველყო. მაგრამ მოცემულმა პროექტმა არა თუ ხალხთა სოლიდარობა წარმოშვა, არამედ პირიქით, უფრო დაამუხრუჭა და მძლავრი ეთნო-ნაციონალიზმის სამჭედლოდაც აქცია, რამაც საბოლოო ჯამში მის სახელმწიფოებრივ კრახთან მიგვიყვანა.

აქედან გამოდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტოტალიტარულ/ავტორიტარულმა მეთოდებმა, ეთნო-კულტურული მრავალწევრიანობით გამოწვეული პრობლემების გადასაღებად, შესაძლოა დროებითი ეფექტურობა გამოამჟღავნოს, მაგრამ საბოლოოდ იგი უფრო ხელს უწყობს დაძაბულობას, რამაც შესაძლოა საბოლოოდ ფართე ძალადობა წარმოშვას და საერთოდ მოცემული სახელმწიფოს კრახი გამოიწვიოს. როგორც მსოფლიო ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, გრძელვადიან პერსპექტივაში ეთნო-კულტურული მრავალწევრიანობის ავტორიტარული რეგულაცია უეფექტოა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ზნეობრივ და ჰუმანურ მხარეზე.

მეორე გამოცდილება უკავშირდება გახსნილი პოლიტიკური სივრცის პოლიტიკურ პროექტს. აღნიშნული პროექტი დემოკრატიას და საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ფართე სამოქალაქო მონაწილეობას გულისხმობს. მოცემულ ვითარებაში

პოლიტიკის მდგრადობა და განვითარება საზოგადოების ეთნო-კულტურულად განსხვავებული სეგმენტების ფართე სამოქალაქო კონსენსუსს და მონაწილეობას ეფუძნება. ლიბერალურ-დემოკრატიული გამოცდილება გვასწავლის, რომ მკვეთრი სოციეტალური დიფერენციაციის გადალახვა, მოდერნიზაციის გზაზე მდგარი ქვეყნისთვის, მხოლოდ კონსენსუსით და რაციონალური გადაწყვეტილებებითაა უმჯობესი და ეფექტური. ლიბერალურ-დემოკრატიული გამოცდილება (მისი მრავალი ნაკლის და კრიტიკის მიუხედავად) გვასწავლის, რომ სწორედ მასში ძვეს სამოქალაქო თანაარსებობის, საზოგადოებრივი სიკეთეების უფრო სამართლიანად გადანაწილების და შედარებით მყარი ლეგიტიმურობის ფორმირების რესურსები. ამიტომაც, გრძელვადიან პერსპექტივაში იგი გაცილებით ეფექტურია ყველა სხვა დანარჩენ პოლიტიკური თანაცხოვრების მოდელთან შედარებით.

ამრიგად, პუნქტობრივად შემდგენაირად შეგვიძლია წარმოვსახოთ წარმოდგენილი დისერტაციის საკვლევი ჰიპოთეზა.

- ა) ჭეშმარიტი ეთნიკური დაახლოებას და სოლიდარობას უფრო მეტი რესურსი აქვს კონსოლიდირებული ლიბერალური დემოკრატიის პირობებში;
- ბ) მდგრადი დემოკრატიული კონსოლიდაცია აუცილებლად გულისხმობს მოდერნიზაციას, რომელიც საბოლოოდ დემოკრატიულ ლეგიტიმურობას უზრუნველყოფს და ავითარებს სამოქალაქო საზოგადოებას და სამოქალაქო თვითშეგნებას; ამავე დროს იგი ხელს უწყობს საქონლის და რესურსების თავისუფალი გაცვლის სისტემის განვითარებას (რასაც „საბაზრო ეკონომიკას“ ვუწოდებთ), რაც თავის მხრივ ხელს უშლის სოციალური იერარქიების (მათ შორის ეთნიკური იერარქიების) წარმოშობას;
- გ) ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაცია ლიბერალური დემოკრატიის პირობებში აუცილებლად გულისხმობს მძლავრი დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობას (რაშიც იგულისხმება მაქს ვებერისეული სახელმწიფოს გაგებაც, როგორც „ლეგიტიმური ძალადობისა“) ან მათ გაძლიერებაზე ზრუნვას. სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტების პირობებში, ეთნიკურ უმცირესობათა სამოქალაქო ინტეგრაციის ნაცვლად, სახეზე გვაქვს პოლიტიკურ ინსტიტუტებთან შეზრდილი არაფორმალური ელიტური სოციალური წარმონაქმნები (მათ

შორის ეთნიკური), რომელმაც შესაძლოა არა თუ პოლიტიკური მდგრადობა, საერთოდ მისი გაქრობაც კი გამოიწვიოს;

დ) ნახევრად მოდერნიზებულ საზოგადოების და დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტის პირობებში, ხელისუფლების ვერტიკალური გადანაწილება ეთნიკური პრინციპის მიხედვით (ეთნიკური ფედერაცია ან ეთნიკური სახის ავტონომიების სისტემის არსებობა) არა თუ სამოქალაქო ინტეგრაციის და მშვიდობის მომტანია, არამედ უზრუნველყოფს საზოგადოების კიდევ უფრო მეტ გახლეჩილობას და დაძაბულობას.

### ***საკითხის სამეცნიერო შესწავლის დონე და ლიტერატურის მიმოხილვა***

ეთნიკური უმცირესობების კვლევის საკითხებისადმი ინტერესი საქართველოში ბოლო წლებში ძალზედ გაიზარდა. პოსტ-საბჭოურ პერიოდში სოციალურ მეცნიერებათა საზოგადო წინსვლამ (თუმცა შესაძლოა მას თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებამდე ჯერ კიდევ ბევრია აქვს გასავლელი) და საქართველოში განვითარებულმა კონფლიქტებმა უფრო საჭირო გახადა ეთნიკური უმცირესობების კვლევის ემპირიული მეთოდების გამოყენება, ვიდრე მხოლოდ მათი ისტორიულ კონტექსტში დანახვა, როგორც ეს ადრეულ ეპოქებში ხდებოდა. თუმცა თქმა იმისა, რომ ემპირიულმა კვლევებმა განვითარების დიდ სიმაღლეებს მიაღწია რთულია. ამგვარ ვითარებას განაპირობებს, როგორც ადამიანურ რესურსთა სიმწირე, ასევე კვლევებში ფინანსური ინვესტირების მეტად მცირე რაოდენობა. კვლევები უმეტეს შემთხვევებში უცხოელ დონორთა მიერ ფინანსდება და ისიც კონკრეტული მიზნებისთვის, რაც ნამდვილად მისასაღმებელია, თუმცა არა საკმარისი შემდგომი თეორიული დისკურსების განსავითარებლად.<sup>1</sup>

ერთის მხრივ უნდა გამოვეყნოთ საჯარო-პოლიტიკურ ინსტიტუტები, რომელნიც დაინტერესებულნი არიან საკითხის პრაქტიკული შესწავლით და მათ მიერ შესრულებული კონკრეტული პოლიტიკის ანგარიშები და მოხსენებები სადისერტაციო ნაშრომში წამოჭრილი პრობლემათიკის პრაქტიკული კონტექსტის

---

<sup>1</sup> Marina Muskhelishvili, Zviad Abashidze / Science or Ideology? Georgian Political Science at the Crossroads / Political Science in Central-East Europe, Diversity and Convergence, edited by Rainer Eisfeld and Laslie A. Pal, Barbara Budrich Publishers 2010

გააზრებაში ნამდვილად ფასეულ დახმარებას გვიწევს.<sup>2</sup> ამ მხრივ გამოირჩევა სახალხო დამცველის ოფისის საქმიანობა. მეტად საყურადღებოა მის ფარგლებში არსებული ტოლერანტობის ცენტრი და ამ ცენტრის მიერ გამოცემული ჟურნალი „სოლიდარობა“ და რამდენიმე საინტერესო პუბლიკაცია, რომელიც არა ერთ საყურადღებო მასალას შეიცავს.<sup>3</sup>

კვლევების თვალსაზრისით, განსაკუთრებულად ნაყოფიერად მუშაობს უმცირესობათა ევროპული ცენტრის საქართველოს წარმომადგენლობა, რომელთა მოღვაწეობის შედეგად სახეზე გვაქვს რამდენიმე მნიშვნელოვანი კვლევა აღინიშნულ საკითხებთან დაკავშირებით. თუმცა მოცემული კვლევები, რა თქმა უნდა მეტად მნიშვნელოვანია საკითხის შესწავლის საქმეში, მაგრამ იგი არ გულისხმობს მყისიერად აკადემიური დისკურსის გაჩენას. ის უფრო პრაქტიკული სახის კვლევებია, ვიდრე თეორიული, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი, რომლებიც აუცილებლად შეიცავს ფრიად ღირებულ კვლევით მასალას და შედეგებს.<sup>4</sup>

მოცემული საკითხისადმი ცალკეული კვლევები განხორციელებულია კავკასიის მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების ინსტიტუტის მიერ, რომელთაც ერთის მხრივ გააჩნიათ პრაქტიკულ-კვლევითი მნიშვნელობა, მაგრამ ამავე დროს მიდრეკილნი არიან აკადემიური დისკურსის განვითარებისკენაც მოცემულ

---

<sup>2</sup> იხ. ვებ-გვერდი [www.diversity.ge](http://www.diversity.ge) სადაც ყველა ოფიციალური მოხსენება და დოკუმენტაციაა განთავსებული, რომელიც კი ფორმალურ დონეზე იწარმოება საქართველოში ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში.

<sup>3</sup> იხ. [www. http://www.ombudsman.ge/index.php?page=777&lang=0&n=25](http://www.ombudsman.ge/index.php?page=777&lang=0&n=25)

<sup>4</sup> იხ. Salome Mekhuzla and Aideen Roche September 2009 „**National Minorities and Educational Reform in Georgia**”, Jonathan Wheatley September 2009, „**The Integration of National Minorities in the Samtskhe-Javakheti and Kvemo Kartli provinces of Georgia: Five Years into the Presidency of Mikheil Saakashvili**”, Giorgi Sordia September 2009, „**Institutions of Georgia for Governance on National Minorities: An Overview**”, Jonathan Wheatley June 2009, „**Georgia and the European Charter for Regional or Minority Languages**”, Hedvig Lohm April 2007, „**Javakheti after the Rose Revolution: Progress and Regress in the Pursuit of National Unity in Georgia**”, Jonathan Wheatley October 2006 „**Defusing Conflict in Tsalka District of Georgia: Migration, International Intervention and the Role of the State**”, Jonathan Wheatley October 2006, „**Implementing the Framework Convention for the Protection of National Minorities in Georgia: A Feasibility Study**”, Jonathan Wheatley March 2006, „**The Status of Minority Languages in Georgia And the Relevance of Models from Other European States**”, Denis Dafflon February 2006, „**Managing Ethnic Diversity in Javakheti: Two European Models of Multilingual Tertiary Education**”, Jonathan Wheatley February 2005, „**Obstacles Impeding the Regional Integration of the Kvemo Kartli Region of Georgia**”, Guram Svanidze June 2006, „**Concept on the Policy Regarding the Protection and Integration of Persons Belonging to National Minorities in Georgia**”, Mikael Hertoft April 2006, „**Javakheti: The Temperature 2005**”, მოცემული კვლევები განთავსებული შემდეგ ვებ-გვერდზე: [www.ecmigeorgia.org](http://www.ecmigeorgia.org)

საკითხებთან მიმართებაში და შესაბამისად აკადემიური-სამეცნიერო ღირებულებას ნამდვილად შეიცავენ.<sup>5</sup>

საერთოდ უნდა ითქვას, რომ კვლევები წარმოდგენილ სადისერტაციო საკითხებთან მიმართებაში უფრო მეტად ასახული და განხორციელებულია არასამთავრობო ორგანიზაციების (როგორც უფლება დაცვითი, ისე ე.წ. „ანალიტიკური ცენტრების მიერ“ (Think-Tanks)) და სახელმწიფო-საჯარო ინსტიტუტების მიერ, რომელნიც მათი ორგანიზაციული ბუნებიდან გამომდინარე, უპირატესად კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებით არიან დაინტერესებულნი და არა აკადემიური დისკურსის განვითარებით. ამ მხრივ ქართული სამეცნიერო ცენტრები და უმაღლესი სასწავლო დაწესებულებები ფრიად მოიკოჭლებენ. ამიტომაც, სადღეისოდ რთულია იმის თქმა თუ, რომელი აკადემიური დისკურსია განვითარებული საქართველოში ეთნიკური უმცირესობების საკითხის შესწავლის საქმეში, რომელსაც ავტორი დაეყრდნობოდა ან კიდევ მის საპირისპირო თეორიას განავითარებდა. მოცემული „დისკურსები“ უფრო პოზიციური ხასიათისაა და უფრო მეტად გარკვეული პოლიტიკურ პოზიციების/სიმპატიების გამომხატველნი არიან, ვიდრე აკადემიურისა. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილი მოსაზრებები ერთგვარად „უნიკალურია“ და გარკვეული სიახლის შეტანა ძალუძს ქართულ აკადემიურ რეალობაში.

ამ მხრივ შეუდარებლად უპირატეს მდგომარეობაში იმყოფება დასავლური სამეცნიერო საზოგადოება. მოცემულ სივრცეში სოციალური მეცნიერებების განვითარების მრავალხნიანი ტრადიცია გვთავაზობს აურაცხელ პრაქტიკულ თუ აკადემიურ კვლევას, რომელიც ზოგადად, მეტათეორიული პარადიგმების რომელიმე ტრადიციაში ჯდება. რა თქმა უნდა ამგვარი მეტაპარადიგმები ხშირ შემთხვევაში ურთიერთწინააღმდეგობრივნი არიან (ეს იქნება ტრადიციული ლიბერალიზმი, მარქსიზმი, კონსერვატიზმი, მულტიკულტურალიზმი, კომუნიტარიზმი თუ სხა), მაგრამ აკადემიურ დონეზე, მაინც განვითარების საერთო ტენდენციების გამომხატველნი არიან და მწყობრი მეთოდოლოგიური და თეორიული სახე გააჩნიათ. ამიტომაც, მოცემული სადისერტაციო ნაშრომის თეორიული

---

<sup>5</sup> მაგ. იხ. ვია ნოდია, “ საქართველოს მრავალ ეთნოსურობა: ფაქტი, მასთან მიმართება და მოსაზრებები პოლიტიკური სტრატეგიისათვის” / ერთი საზოგადოება მრავალი ეთნოსი: ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2003

ფორმულირებები ძირითადად დასავლურ სამეცნიერო მიღწევებს ეფუძნება და გარკვეულწილად მათი ქართულ ნიადაგზე გადმოღების პრეტენზია გააჩნია.

ნაშრომში ვიყენებთ ისეთ ცნობილ დასავლელ ავტორებს მულტიკულტურალიზმის საკითხებთან მიმართებაში, როგორებიც არიან, უილ კიმლიჩა, ჩარლზ ტეილორი, მაიკლ სენდელი, მაიკლ უოლცერი, ელისდერ მაკინტაირი; ზოგად ნაციონალიზმცოდნეობას და ეთნიკური პროცესების მეტათეორიულ გადააზრებებში ვეფუძნებით ერნსტ გელნერის, ბენედიქტ ანდერსონის, მაიკლ ჰენტიერის, როჯერს ბრუბეიკერის, მიროსლავ გროხის, ურს ალტერმატის, არენდტ ლეიპჰარტის, ენტონი სმიტის, დანიელე კონვერსის, ჯექ შნაიდერის, დონალდ ჰოროვიცის, პოლ ბრასის, ერიკ ჰობსბაუმის და სხვათა თეორიულ დებულებებს; საბჭოთა წარსულის გადააზრებაში მისი ნაციონალურ საკითხთან კონტექსტში გამოყენებული მაქვს და ძირითადად ვეყრდნობი: ფრანსინ ჰირშის, რიჩარდ საკვას, რონალდ სიუნის, რიჩარდ პაიპსის, ჯორჯ შიოპლინის, სვანტე კორნელის, სტივენ ჯონსის თეორიულ კვლევებს; პოლიტიკური გარდაქმნების, დემოკრატიზაციის, მოდერნიზაციის და პოსტ-კომუნისტური გარდაქმნების შესახებ გამოყენებული მაქვს: ჟან გრუგელის, სამუელ ჰანთინგტონის, დანკვარტ რასტოუს, ხუან ლინცის, ალფრედ სტეფანის, თედას სკოპოლის, რობერტ დალის, გილერმო ო'დონელის, ფილიპ შმიტერის და სხვათა მსჯელობები და დებულებები.

წარმოდგენილი ლიტერატურის ჩამონათვალმა ნაშრომში დასმული სხადასხვა პრობლემის თეორიული გადააზრებაში ფასდაუდებელი დახმარება გამიწია. მის გარეშე ვფიქრობ, ფუჭი იქნებოდა დისერტაციაში წარმოდგენილი პრობლემების კვლევა და გააზრება.

### **საკვლევი თეორია**

იმის გამო, რომ დისერტაციაში დასმული პრობლემები პოლიტიკური სისტემის არეალში განვითარებულ ინსტიტუციურ ურთერთობებად გვესახება, კვლევის თეორიულ ჩარჩოდ ავირჩიეთ ახალი ინსტიტუციონალიზმის თეორია. მოცემული თეორია, ყოველგვარ სოციალ-პოლიტიკურ კოლექტიურ ქმედებას გარკვეულ ინსტიტუციონალურ ქმედებად განიხილავს, რომელიც მიმდინარეობს გარკვეულ გარემოში, რომელსაც ინსტიტუციონალური გარემო ეწოდება. ყოველგვარი ინსტიტუცია განიცდის უფრო დიდი გარემო პირობების ზეგავლენას. მოცემულ

გარემოში ყოველი ინსტიტუციური წარმონაქმნი თვითგადარჩენისთვის იღწვის. იმისთვის, რომ ინსტიტუტმა მიაღწიოს თავის დასახულ მიზანს, იგი გაცილებით მეტს აკეთებს, ვიდრე ეს უბრალოდ ეკონომიკური სარგებლის ძიებაა. მათ ჭირდებათ ლეგიტიმურობის (და შესაბამისად ზეგავლენის) მოპოვება არსებულ პოლიინსტიტუციურ სამყაროში. ახალი ინსტიტუცინალიზმი ცდილობს მაქსიმალურად ჩაუღმავდეს ინსტიტუტების შიდა მექანიზმს, რათა ამით უკეთ გაარკვიოს მოცემული ინსტიტუტების ადამიანის ქცევაზე ზეგავლენის ხარისხი, რომელსაც იგი გარკვეული მოწესრიგებული რეგულაციების საშუალებით ახდენს. ხოლო ის, თუ რის გამო ახდენს ინსტიტუცია ადამიანის ქცევაზე ნორმატიულ ზეგავლენას, სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად არის მისი კოგნიტიური მხარე. ანუ ინსტიტუციას გააჩნია კონცეფცია, რომელიც მიმზიდველად მუშაობს სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში და გაცილებით ეფექტურს ხდის მის მარგი ქმედების კოეფიციენტს. ინსტიტუციონალიზმის ძველი მიდგომები ყურადღებას უფრო ინსტიტუციების ვალდებულებით მხარეზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მოცემული ვალდებულებები და შესაბამისად მისი დარღვევის შედეგად დასჯადობის შიში ინდივიდებს აიძულებს მითითებული პირობების მიხედვით მოიქცნენ. ახალი ინსტიტუციონალიზმი ყურადღებას უფრო ინსტიტუტების კოგნიტიურ-შემეცნებით მხარეზე ამახვილებს ყურადღებას, რომელიც ინსტიტუციას უფრო მიმზიდველს ხდის და ინდივიდს ერთგვარ „უალტერნატივო“ კონცეფციას სთავაზობს. როგორც წესი, ამგვარი კოგნიტიური მხარე, უმეტეს შემთხვევებში, მოცემული ინსტიტუციების ელიტების მიერაა ნაკარნახევი. ეს გულისხმობს არა მხოლოდ ინსტიტუციის იდეური სახით შეფუთვას, არამედ ელიტების მიერ ინსტიტუციური გადაწყვეტილების მიღების მექანიზმების და სტრუქტურების განსაზღვრასაც. რა თქმა უნდა ინსტიტუციური ელიტა იყენებს ინსტიტუციის სოციალურ ვალდებულებით მხარეს და დასჯადობასაც, მაგრამ კოგნიცია მისი მოქმედების მთავარი საფუძველი ხდება.<sup>6</sup>

ვფიქრობთ, რომ მოცემული თეორიული ჩარჩო მოგვცემს საშუალებას უკეთ გავერკვეთ ჩვენს მიერ წარმოდგენილ საკვლევი საკითხის ლაბირინთებში. ჩვენს მიერ განხილული ეთნო-კულტურული უმცირესობები (და ემპირიული კვლევისას კვლევა შეეხო ეთნო-კულტურულ უმრავლესობასაც, ქართველებს, რათა უკეთ

---

<sup>6</sup> იხ. : Lowndes, Vivien ,'The Institutional Approach' in "Theories and Methods in Political Science". D. Marsh, G. Stoker. (eds.) Basingstoke: Palgrave. 2010

წარმოგვესახა ეთნო-კულტურულ ურთიერთობათა სტრუქტურა), წარსული ისტორიული და ახლანდელი გამოცდილებიდან გამომდინარე, გარკვეულ ჩაკეტილ ინსტიტუციებს წარმოადგენენ, რომელთა მოღვაწეობა სოციალურ და საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში, ხშირ შემთხვევაში ლეგიტიმურობის მოპოვების მცდელობას წარმოადგენს.<sup>7</sup> ამიტომაც, ეთნო-კულტურულ ურთიერთობა სტრუქტურა და ბუნება არ უნდა გავიგოთ მხოლოდ, როგორც უწყინარი კულტურული სახის ურთიერთობები. მას გაცილებით სერიოზული სახე აქვს და უმეტეს შემთხვევებში აშკარაა, რომ საქმე გვაქვს გარკვეულ ინსტიტუციურ შეუთავსებლობებთან, ხშირად რომლის კულტურიზაციაც ხდება. არა და მის უკან გაცილებით დიდი სტრატეგია შეიძლება იდგეს. ამავე დროს, ეთნო-კულტურულ უმცირესობათა ამგვარი ქმედება განპირობებულია იმ გარემო პირობებით, რომელშიც მათ უხდებათ (და უხდებოდათ) ოპერირება. ქართული საჯარო-პოლიტიკური სივრცის ზოგადად მყიფე ფორმალურ-ინსტიტუციონალური გარემო (და მიიქცევა საბჭოთა გამოცდილება) ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს ეთნო-კულტურული უმცირესობების გარიყულობის საქმეში. ჯერ კიდევ დემოკრატიზაციის გზაზე მდგარ პოლიტიკას, ხშირად უჭირს მდგრადი სტრატეგიების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს სოციალურ სივრცეში რესურსების მეტ-ნაკლებათ თანასწორად და სამართლიანად განაწილებას.

მიგვაჩნია, რომ საქართველოში არსებული ვითარება, სამოქალაქო ინტეგრაციის თვალსაზრისით, შეგვიძლია განვიხილოთ ინსტიტუტების ურთიერთქმედების სისტემად, სადაც ყოველი ინსტიტუტი საკუთარი თვითდამკვიდრებისთვის იღწვის. მოცემულ ინსტიტუტებში ვგულისხმობთ ერთის მხრივ სახელმწიფოს, როგორც მეტაინსტიტუციონალურ გარემოს, რომელიც ზემოქმედებს მის შიგნით არსებულ კომპონენტებზე და ეთნიკურ ჯგუფებს, როგორც ვიწრო ინსტიტუციურ ჯგუფებს, რომლებიც რეაგირებენ მოცემული გარემოს ზემოქმედებებზე და თავის მხრივ ცდილობენ მასზე ზეგავლენის მოხდენას. შესამაბისად ამისა, ნაშრომში განხილული ინსტიტუციების განწყობების (როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური) ჩამოყალიბებაზე და ინსტიტუციური ქმედების რაგვარობაზე თითქმის თანაბრად მნიშვნელოვან როლს

---

<sup>7</sup> აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის შემთხვევაში, ახალი ინსტიტუციონალისტური მიდგომა უკეთ ხსნის, თუ რატომ იყო შესაძლებელი მათი, როგორც სოციალ-პოლიტიკური ჯგუფად გადაქცევა და სეცესიისკენ მცდელობა. თუმცა ჩვენი დისერტაციის შემთხვევაში, გასაგები მდგომარეობის გამო, მოცემული ორი რეგიონის კვლევაში ჩართვა სამწუხაროდ ვერ მოხერხდა.

თამაშობენ ზემოთ აღნიშნული ცვლადები, რომელნიც თავის მხრივ განპირობებულნი არიან, როგორც არსებული, ისე ისტორიული კონტექსტის მიხედვით.

აქედან გამომდინარე, მივიჩნევ, რომ ახალი ინსტიტუციონალზმი ჩვენი კვლევისთვის შესაბამისი თეორიული ჩარჩოა და კარგ სამსახურს გაგვიწევს შესაბამისი დასკვნების გამოსატანად.

### *კვლევის მეთოდოლოგია*

ნაშრომის ზოგადი მეთოდოლოგიური ჩარჩოა დესკრიპციული მეთოდი. წარმოდგენილი დისერტაციის ფორმატის მიხედვით, ვფიქრობ, რომ დესკრიპციული მეთოდი უკეთეს სამსახურს გვიწევს დასახული მიზნების მისაღწევად. იმის გამო, რომ წარმოდგენილი საკვლევი საკითხი ფრიად რთული და რამდენიმე დისციპლინის ურთიერთგადაკვეთაზე მდებარეობს, მრავალი ფაქტორის გათვალისწინებას მოითხოვს, რომელთა სინთეზური ანალიზი საკითხის კვლევას უფრო ყოვლისმომცველ ელფერს შექმნდა, მაგრამ წარმოდგენილი კვლევის ფორმატი გვიბიძგებს ყურადღება მხოლოდ რამდენიმე მათგანზე გავამახვილოთ. შესაბამისად, კვლევისას ყურადღება გადაგვაქვს რამდენიმე ძირითად ცვლადზე, რომლებიც ქმედითად ზემოქმედებენ, როგორც ქართული სახელმწიფოს სტრატეგიაზე ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართ, ასევე ეთნიკური უმცირესობების განწყობების და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებაზე მოცემული სტრატეგიის და პოლიტიკის მიმართ. ვფიქრობ, რომ მოცემული ცვლადები დანარჩენ სხვა ცვლადებთან შედარებით ყველაზე უკეთ გვეხმარებიან ჩვენს მიერ დასახული ამოცანის გადასაჭრელად. მოცემული ცვლადებიდან, ორიდ დამოუკიდებელია და ორიც დამოკიდებული. ეს ცვლადებია:

- ა) დამოუკიდებელი ცვლადი: ისტორიული კონტექსტი;
- ბ) დამოუკიდებელი ცვლადი: არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება;
- გ) დამოკიდებული ცვლადი: სახელმწიფოს მშენებლობის და ერაქმნადობის ზოგადი პროცესის ზეგავლენა ეთნიკური უმცირესობების საკითხზე;
- დ) დამოკიდებული ცვლადი: არსებული პოლიტიკური რეჟიმის ტიპის ზეგავლენის ფაქტორი სამოქალაქო ინტეგრაციის რავარობაზე.

ბუნებრივია, მხოლოდ მოცემული ცვლადების (მათ შესაძლოა დაემატოს საგარეო პოლიტიკური გარემოს ზეგავლენის ფაქტორი, პოლიტიკური აქტორების ფაქტორი, ეთნიკური უმცირესობების სოციალური თვითორგანიზაციის და სოციალური კაპიტალის ფაქტორი და ა.შ) ანალიზით შესაძლოა ყოველსმომცველი პასუხები ვერ მივიღოთ, მაგრამ მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი დისერტაციის ფორმატის შესაბამისად, აღნიშნულ ცვლადებზე ყურადღების გამახვილება უკეთ გვეხმარება ძირითადი დასკვნების გამოტანაში. ვითარების შემდგომი ჩაღრმავება უკვე შემდეგი კვლევის საკითხია და დამატებითი სამუშაოს ჩატარებას მოითხოვს.

**ემპირიული კვლევის მეთოდოლოგია:** მოცემული სადისერტაციო ნაშრომი უმთავრესად ეყრდნობა 2008/9 წლებში რუსთაველის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებულ საკვლევ პროექტს „ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში“. აღნიშნული ემპირიული კვლევა წიგნის<sup>8</sup> სახით გამოიცა 2009 წელს გამომცემლობა „ინტელექტი“ მიერ და მოცემული სადისერტაციო ნაშრომიც ძირითად საკითხებში იმეორებს მოცემული კვლევის დებულებებს.<sup>9</sup>

იმისთვის, რომ შეგვესწავლა და გარკვეული პასუხები მიგველო წარმოდგენილ საკვლევ საკითხზე, კვლევის ობიექტად ავირჩიეთ კომპაქტურად დასახლებული ორი ყველაზე მსხვილი ეთნიკური უმცირესობა საქართველოში. ესენი არიან ქვემო ქართლში მაცხოვრებელი ეთნიკური აზერბაიჯანელები და სამცხე-ჯავახეთში მაცხოვრებელი ეთნიკური სომხები. ეთნიკური იზოლაციონიზმის და სამოქალაქო გახლეჩილობა უპირველესად სწორედ ამ ორი მსხვილი ეთნიკური ჯგუფის შემთხვევაში არსებობს. ქართული სახელმწიფოს მიერ წარმოებული ინტეგრაციული პოლიტიკაც სწორედ მათ მხარეს არის მიმართული. დისპერსიულად განსახლებულ ეთნიკურ უმცირესობებს, უმთავრეს შემთხვევებში არ აწუხებთ მსგავსი პრობლემები და შესაბამისად კვლევის პროცესში მათზე ყურადღება არ გაგვიმახვილებია. მოცემული საკითხები, როგორც წესი ჩვენს მიერ

<sup>8</sup> სალომე დუნდუა, ზვიად აბაშიძე „ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხები საქართველოში“, გამომცემლობა „ინტელექტი“, 2009

<sup>9</sup> შენიშვნა: მოცემულ კვლევის მრავალი თეორიული დებულება პირდაპირ გადმოღებულია, მაგრამ ეს არ უნდა ჩაითვალოს პლაგიატიზმად, რადგანაც სწორედ დისერტანტის მიერაა შესრულებული შესაბამისი თავები და დასკვნები მოცემულ კვლევაში.

ნახსენებ კომპაქტურად დასახლებულ ორ მსხვილ ეთნიკურ ჯგუფს ეხება.<sup>10</sup> ამავე დროს, კვლევა ეხება დომინანტი ეთნო-კულტურული ჯგუფის, ქართველების (როგორც ქრისტიანების, ისე მუსლიმების) დამოკიდებულებას ეთნიკური უმცირესობების მიმართ. ვფიქრობ, ასე უკეთ ჩანს ზოგადად ეთნიკურ ურთიერთობათა არსებული სახე და სამოქალაქო ინტეგრაციის შესაძლო პერსპექტივები.

აღნიშნული ემპირიული კვლევის განხორციელების მეთოდთა შემდგენიად განისაზღვრა:

1. **თვისებრივი სოციოლოგიური კვლევა;** თვისებრივი სოციოლოგიური კვლევა განხორციელდა შემდეგი ორი მიმართულებით: მოხდა ფოკუს ჯგუფების იდენტიფიცირება და ჩატარდა ჩაღრმავებული ინტერვიუება. რესპონდენტებად შეირჩეულ იქნენ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისა მქონე მოქალაქენი;

3. **ფოკუს ჯგუფებზე კონცენტრირებისა და ჩაღრმავებული ინტერვიუების** შედეგად მოვახდინეთ საკვლევი მასალის შერჩევა და რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევისათვის კითხვარების დამუშავება-დახვეწა;

4. **რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევა.** რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის ჩატარების მიზნით მოხდა ქვეყნის ტერიტორიის დაყოფა რამდენიმე საკვლევ გეოგრაფიულ ობიექტად. მოცემულ გეოგრაფიულ დაყოფას განაპირობებდა საკვლევად აღებული ტერიტორიული ერთეულების მოსახლეობის განსხვავებული ეთნო-კულტურული შემადგენლობები; ე.წ. სამიზნე ჯგუფებად შერჩეულ იქნა შესაბამისი რაიონები. ამავე დროს როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კვლევა ეხება ეთნიკური ქართველებსაც (მათ შორის აჭარის მუსლიმი ქართველების). საკითხისადმი ამგვარი მიდგომა უკეთ გვეხმარება საკითხის შესამაბის გააზრებას და დასკვნების გამოტანაში.

რაოდენობრივი კვლევის შედეგად საკვლევ რეგიონებში გამოკითხული იქნა 600 -მდე რესპოდენტი. შერჩევის მეთოდად გამოყენებულია შემთხვევითი შერჩევის მეთოდი. ანკეტირება ჩატარდა პირდაპირი ინტერვიუს მეთოდით წინასწარ მომზადებული კითხვარის საშუალებით. კითხვარი შეიცავდა, როგორც ღია, ისე დახურულ კითხვებს. სულ ანკეტაში იყო 50 კითხვა და დემოგრაფიული ბლოკი.

---

<sup>10</sup> კომპაქტურად მოსახლე აფხაზური და ოსური მსხვილი ეთნიკური უმცირესობები, დისერტაციაში გასაგები მიზეზების გამო ასახვას სამწუხაროდ ვერ პოუვებენ.

მონაცემები დამუშავდა სტატისტიკურ პროგრამაში SPSS. მონაცემები დანართში გადმოცემულია დიაგრამების საშუალებით.

დისერტაციაში გამოყენებულია აგრეთვე ინტერვიუ ქალბატონ ეკა მეტრეველთან, რომელიც წარმოადგენს საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო გამოკვლევათა ფონდის მკვლევარს. ქნ ეკა ხელმძღვანელობს ფონდიდან სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის დანერგვას იმ სეგმენტში, რომელზეც ფონდია პასუხისმგებელი. შესაბამისად, მან მრავალი საყურადღებო ინფორმაცია მოგვაწოდა, რომელიც სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ეთნიკურ ჯგუფთა ინტეგრაციის პოლიტიკის დანერგვის პრაქტიკულ მიმდინარეობას შეეხება.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ წარმოდგენილი დისერტაცია ეფუძნება როგორც ემპირიული, ისე თეორიული კვლევის შედეგებს. ვფიქრობ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, ჩემს მიერ წამოყენებულ დებულებებს გაცილებით მეტ სიმტკიცეს და დამაჯერებლობას შესძენს.

## თავი I. ეთნიკური უმცირესობების რეგულაციის საკითხის დასავლური გამოცდილება

### 1.1) ერადქმნადობის პროცესი და ეთნიკური მრავალფეროვნების თეორიული საფუძვლები

საყოველთაოდ გაზიარებული აზრია, რომ თანამედროვე დასავლურმა ტერიტორიულმა სახელმწიფოებმა ჩამოყალიბება იწყეს 1648 წლის ვესტფალიის ზავის შემდგომ, როდესაც ევროპის კონტინენტზე დასრულდა ე.წ. “30 წლიანი ომი” და საფუძველი დაედო თანამედროვე სუვერენიტეტის თეორიებს და საერთაშორისო სამართლით მიერ აღიარებულ სახელმწიფოთა საზღვრების ურღვევობის პრინციპს. თუმცა იგი მყისიერად არ ჩამოყალიბებულა და მრავალგვარი განვითარება და სახეცვლილება განიცადა, რათა ჩვენამდე მოედწია და თანამედროვე ფორმა მიეღო.

ტერიტორიული სახელმწიფოების აღიარებამ, ნელ-ნელა საფუძვლები გამოაცალა ფეოდალურ, დინასტიურ სახელმწიფოებს და განმანათლებლობის პროექტის განვითარების შედეგად სათავე დაუდო თანამედროვე ერი-სახელმწიფოს კონცეფციას, რომელიც პირველად პრაქტიკულ რეალობაში მე-18 საუკუნეში საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციით და აშშ-ს შექმნით გამოიხატა.<sup>11</sup> როგორც მოსწრებულად შენიშნავს იურგენ ჰაბერმასი, “დემოკრატია და ნაციონალიზმი ტყუპისცალები არიან, რომელიც ფრანგულმა რევოლუციამ შვა”<sup>12</sup>.

ერი-სახელმწიფოს კონცეფცია მმართველობის კოლექტიურ ლეგიტიმაციას მოითხოვდა და უარს ამბობდა ტრადიციულ იერარქიულ დინასტიურ მართვას და ლეგიტიმურობის ღვთიური წარმოშობის კონცეფციაზე. ეს იყო ერთგვარი ჯანყი ფეოდალურ საზოგადოებაზე, სადაც სოციალური სტატუსი და სოციალური როლი ასკრიპციულ, წინდაწინ მიწერილ ფენომენს წარმოადგენდა. ფეოდალიზმში, ამგვარი სოციალური პოზიციიდან თავის დაღწევა პრინციპში შეუძლებელი იყო და იგი დაბადებითვე განისაზღვრებოდა. ცვლილების და მათ შორის სოციალური ცვლილების შესაძლებლობა მოდერნის პროექტის დამახასიათებელი ფენომენია მხოლოდ. ამავე ახალმა ვითარებამ ფართე სამოქალაქო თანასწორობის იდეა

<sup>11</sup> Europe since 1945, Encyclopedia; Volum II K-Z, edited by Bernard Cook; New York 2001.pp.34-37

<sup>12</sup> Юрген Хаббермас, *Демократия, разум нравственность*. Москва 1995.стр.24

მოიტანა, რომელიც უპირატესად ლიბერალური პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარებას ემყარებოდა. მოცემული პოლიტიკური ფილოსოფია, კერძო და საჯარო ცხოვრების გაყოფის ძველ ბერძნული პოლიტიკური ფილოსოფიის ახლებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობდა და ყოველგვარი სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციის წარმოქმნის საფუძვლად ინდივიდუალურ საზოგადოებრივ ხელშეკრულებას განიხილავდა. ამით იგი უარს ამბობდა სოციალური ორგანიზაციის ასკრიპციულ კონცეფციებზე.<sup>13</sup> ლიბერალიზმის მთავარ საზრუნავს, მოქალაქის ინდივიდუალურ თავისუფლებასთან ერთად, ახალი მდგრადი “დემოსის” შექმნა წარმოადგენდა, რომლის საფუძველიც “მოქალაქე-ინდივიდი” უნდა გამხდარიყო. “მოქალაქე-ინდივიდის” კატეგორიისთვის უპირველეს ამოცანას ინდივიდუალური იდენტობა ფორმირება წარმოადგენდა, რომლის რაიმე ჯგუფობრივ იდენტობას საჯარო-პოლიტიკური სივრცისთვის მეორადი მნიშვნელობა ქონდა და მას კერძო ცხოვრების დონეზე ტოვებდა. იგი ნორმატიულად მოითხოვდა საჯარო-პოლიტიკურ სივრცეზე რაციონალური “მოქალაქე-ინდივიდის” არსებობას, რომელთა დიდი კრებულებაც უნდა ყოფილიყო “ერი”, როგორც თანამედროვე სახელწიფოს ლოიალობის მთავარი ობიექტი, ლეგიტიმურობის წყარო და სუვერენიტეტის უმაღლესი ინსტანცია. ლიბერალური ერი-სახელმწიფოს იდეალური ტიპი, საზოგადოების გაერთოვაროვნებას და ჰომოგენურობას მოითხოვდა, რომელიც არ უნდა დარღვეულიყო მისი ეთნო-კულტურული დიფერენციაციის გამო. პირიქით, სახელმწიფოს უნდა ეზრუნა მისი მოქალაქეების კულტურულ გაერთოვაროვნებას და მდგრადობაზე. შესაბამისად, უფრო მეტი ყურადღება დაეთმო კულტურულ სტანდარტიზაციას, ვიდრე ეთნიკური მრავალფეროვნების უზრუნველყოფას და მის შემდგომ დაცვას. სოციოლოგიის ენით რომ ვთქვათ, თანამედროვე ერი-სახელმწიფო ინტენსიურ, ერთი მიმართულების, ვერტიკალურ მობილობას მოითხოვდა და ამით უპირისპირდებოდა ძველი რეჟიმის კარჩაკეტილობას.<sup>14</sup>

ერი-სახელმწიფოს საყოველთაო ზეობის ხანად მე-19 საუკუნე და მე-20 საუკუნის პირველი ნახევარი ითვლება. მოცემულ პერიოდში, ერი-სახელმწიფოს და ნაციონალიზმის იდეების განვითარებამ ძირი გამოაცალა მსხვილი იმპერიების

<sup>13</sup> Donald L. Horowitz, „How to being thinking comparatively about soviet ethinc problems // Thinking Theoretically About Soviet Nationalities, *History and Comparison in the Study of the USSR*, Edited by Alexander J. Motyl / Columbia University Press, New York 1992, pp. 13-14

<sup>14</sup> Урс Альтерматт, *Етнонационализм в Европе*, Москва 2000, გვ. 10.34

არსებობას და სათავე დაუდო შედარებით პატარა ტერიტორიული პოლიტიკური ერთეულების არსებობას, რომელიც უკვე საკუთარი მოსახლეობის ერთიანობას და პოლიტიკურ-კულტურული ერთგვაროვნების პროექტს გვთავაზობდა.<sup>15</sup>

მოცემული პოლიტიკური პროექტი და თეორიული წიაღსვლები გაბატონებულ პარადიგმას წარმოადგენდა გასული საუკუნის 60-70 წლებამდე, მაგრამ დასავლურ სივრცეში ე.წ. “ახალი სოციალური მოძრაობების” (ფემინისტური, მწვანეთა, შაგანიანთა, სექსუალურ უმცირესობათა მოძრაობები) წარმოშობამ და ემიგრაციის ინტენსიფიკაციამ ტრადიციული ლიბერალური პოლიტიკურ ფილოსოფიის კრიტიკა გამოიწვია, რომელიც პრაქტიკაში ე.წ. “მულტიკულტურული” პოლიტიკის დანერგვას და თეორიულ დისკურსში გამოიხატა. მოცემული თეორიული კრიტიკა დაიწყო 1979 წელს აშშ-ში, რომელსაც ეწოდა დავა ე.წ. “კომუნიტარებს” და “ლიბერალებს” შორის. აღნიშნული დავა განსაკუთრებით გასული საუკუნის 80-იან წლებში გახდა თვალშისაცემი.<sup>16</sup>

“კომუნიტარები” (მაიკლ სენდელი, ჩარლზ ტეილორი, მაიკლ უოლცერი, უილ კიმლინკა და სხვები) აკრიტიკებდნენ ტრადიციულ ლიბერალურ “მოქალაქე-ინდივიდის” კონცეფციას. კრიტიკის მიხედვით, მოცემული კონცეფცია დაცლილი იყო ინდივიდთა კულტურული იდენტობის აღიარების მოთხოვნისგან და “შეობა” (Self) მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალური იდენტობისგან წარმოდგებოდა. შესაბამისად, საყოველთაო გულგრილობამ “მოქალაქე-ინდივიდის” სამყოფელი კულტურული გარემოს მიმართ, სოციალურ ურთიერთობათა დონეზე ახალი უთანასწორობა წარმოშვა, რომელიც ამჯერად არა იმდენად ეკონომიკური კატეგორიებით აღიწერებოდა, არამედ ე.წ. “განსაკუთრებულ”, “უმცირესობათა” კულტურების მიმართ ინდიფერენტიზმით და ასიმეტრიული დამოკიდებულებით. “კომუნიტარებს” მიაჩნდათ, რომ ის მიკრო სოციო-კულტურული გარემო, რომელშიც ხდებოდა ადამიანის პირველადი სოციალიზაცია, წარუშლელ კვალს ტოვებდა მასზე და შესაბამისად მისი “შეობის” (Self) ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობდა. ამიტომაც, ადამიანის სამოქალაქო ღირსებაც მისი კულტურული

<sup>15</sup>The theory of Stein Rokkan; State formation, nation-building and mass politics in Europe; Comparative European politics; Edited by Peter Flora; Oxford University Press. 1999. pp. 72-87

<sup>16</sup> **Robert E. Goodin** / *Liberal Multiculturalism: Protective and Polyglot* / Political Theory, Vol. 34, No. 3 (Jun., 2006), pp. 289-303; **Steven S. Lee**, / "Borat," *Multiculturalism, "Mnogonatsional'nost"* / Slavic Review, Vol. 67, No. 1 (Spring, 2008), pp. 19-34

“მეობისგან” წარმოსგდებოდა, რაც თავის მხრივ კულტურული მრავალფეროვნების საჯარო-პოლიტიკურ აღიარებას და დაცვას მოითხოვდა. “კომუნიტარების” აზრით, ტრადიციული ლიბერალური ერი-სახელმწიფო, საზოგადოების გაერთიანების პოლიტიკურ პროექტს ახორციელებდა და მობილობის მხოლოდ ერთ, ვერტიკალურ გზას გვთავაზობდა, მაშინ როცა თანამედროვე საზოგადოება კულტურულად მრავალფეროვანი გახლდათ და მობილობის განვითარებას უკვე ჰორიზონტალურ სიბრყეხეც მოითხოვდა, რომელიც უფრო მრავალგანზომილებიანი უნდა ყოფილიყო<sup>17</sup>.

ტრადიციული ერი-სახელმწიფოსთვის ხომ სამოქალაქო აქტივობას მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალური მოღვაწეობა და პასუხისმგებლობა წარმოადგენდა. არა და მოქალაქის პასუხისმგებლობას და იდენტობას, არა მხოლოდ მისი პოლიტიკური ლოიალობა განსაზღვრავდა, არამედ მისი კულტურული იდენტობაც. ამიტომაც, “კომუნიტარების” აზრით, დასავლურ საზოგადოებებს უარი უნდა ეთქვათ ტრადიციულ მოდერნულ, მკაცრად ინდივიდუალისტურ რაციონალიზმზე და გადართულიყვნენ პოლიტიკის კულტურული მრავალფეროვნების უზრუნველყოფაზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, “კომუნიტარების” მიხედვით, ტრადიციული მოდერნის პროექტი, რომელიც პოლიტიკური და კულტურული ლოიალობის ურთიერთდამთხვევას ნორმატიულად მოითხოვდა, სინამდვილეში ვერ პასუხობდა არსებული ვითარების მოთხოვნებს და ყავლი ქონდა უკვე გასული. შესაბამისად ამისა, სადემარკაციო ხაზი უნდა გაგვევლო თანამედროვე პოლიტიკურ და კულტურულ ლოიალობას შორის. მოქალაქენი საჯარო-პოლიტიკურ სივრცეზე საკუთარი კულტურული იდენტობით უნდა წარმდგარიყვნენ, რომელიც ხშირად განსხვავდებოდა მათი პოლიტიკური ლოიალობისგან. “კომუნიტარების” მიხედვით, საკითხისადმი ამგვარი მიდგომა, არათუ რაიმე ტრადიციიდან გადახვევას მოასწავებდა, არამედ, პირიქით, ლიბერალური სამართლიანობის სულისკვეთების შემდგომი განვითარებით იყო ნაკარნახევი.<sup>18</sup>

“კომუნიტარებს” მრავალი კრიტიკოსი გამოუჩნდათ მაშინვე, თუმცა მათმა იდეებმა რეალურ პრაქტიკაში გარკვეული განხორციელება მაინც მოახერხეს და

<sup>17</sup> მოცემული დისკურსი, კონტინენტურ ევროპაში და განსაკუთრებით საფრანგეთში „პოსტ-მოდერნიზმით“, „პოსტ-სტრუქტურალიზმით“, „სოციალური დეკონსტრუქციით“ და კიდევ სხვა მრავალი „პოსტ“ მიმართულებებით გამოიხატა, ისეთი მოაზროვნეების მიერ, როგორებიც არიან: მიშელ ფუკო, ჟაკ დერიდა, ჟან ბოდრიარი და კიდევ სხვა მრავალი.

<sup>18</sup> ჩარლზ ტეილორი, „ლიბერალების და კომუნიტარების დებატები / თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთოლოგია, თბილისი 1996. გვ. 635-672, იანოშ კიში, შესავალი / თანამედროვე

მხარდამჭერიც მრავალი პოვეს, როგორც აკადემიურ, ისე სოციალ-პოლიტიკურ წერებში.<sup>19</sup>

## 1.2) “ეთნიკური” / “ეროვნული” უმცირესობის ცნება

დღემდე საკმაოდ დიდი დავა არსებობს ცნება “ეთნიკური” და “ეროვნული” უმცირესობების შესახებ. როგორ წესი, დასავლეთ ევროპულ სამყაროს და აშშ-ში უპირატესობა გააჩნია “ეთნიკური” უმცირესობების კონცეფციას, რადგანაც მისთვის “ერი” დიდი სამოქალაქო ერთობაა და შესაბამისად ერთ ‘ერში’ კიდევ დანარჩენი “ერების” არსებობა ანაქრონიზმია. ევროპის შედარებით აღმოსავლეთ ნაწილს და აზიაში, უპირატესობა ცნება “ეროვნულ უმცირესობას” ენიჭება, რადგანაც მოცემულ გეოგრაფიულ სივრცეში ისტორიული განვითარებების გამო ერის ეთნიკური დისკურსია გაბატონებული და შესაბამისად “ეთნიკური” ჯგუფი ‘ეროვნულ ჯგუფთან’ იგივედებოდა.<sup>20</sup>

ისტორიულად, ეროვნული/ეთნიკურ უმცირესობების პრობლემა, მე-19-20 საუკუნეების ნაციონალიზმის “დამატებითი პროდუქტია”. გამაღებელი ჰომოგენიზაციის და ფრანგული ასიმილაციის შედეგად, ვერ მოხერხდა კონკრეტულ საზოგადოებებში კულტურული განსხვავებულობის მოსპობა და საზოგადოებები კვლავაც ჰეტეროგენულნი დარჩნენ.

“სხვათა” მიმართ ტოლერანტობის პირველი ტალღა მე-15-18 საუკუნეების ევროპის ისტორიაში უნდა დავძებნოთ. მოცემული პროცესი განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის პირების მიმართ ტოლერანტულ მოპყრობაში გამოიხატებოდა და სხვადასხვა რელიგიურ ჯგუფთა თანაარსებობას უწყობდა ხელს. ასეთი პრეცედენტები იყო მაგალითად: 1436 წელს ბოჰემიელი და მორავიელი ჰუსიტების შეთანხმება იმპერატორ სიგიზმუნდთან. გერმანიაში მსგავს პროცესს ადგილი ქონდა 16-17 საუკუნეებში, რომელიც გამოვლინდა აუგსბურგის 1555 წლის და ვესტფალიის 1648 წლის შეთანხმებით, რომლებმაც ზოგადად კალვინისტების და კათოლიკების ურთიერთობების დარეგულირება მოახდინეს. მაგრამ ტოლერანტობის კონცეფციის ფართოდ განვრცობა განმანათლებლობის

<sup>19</sup> პოლიტიკური ფილოსოფიის ანთოლოგია, თბილისი 1996. გვ. 6-67, Amartya Sen, *The Idea of Justice*, Penguin Books, 2010 pp. 31-124

<sup>20</sup> მოცემული საკითხის შესახებ იხილეთ კლასიკური ნაშრომი: **Kohn, Hans**. *The Idea of Nationalism: A Study of Its Origins and Background*. First ed. New York: The Macmillan Company, 1944

განვითარებამ და 1848 წლის მოვლენების შემდგომ განვითარებული კონსტიტუციური რეფორმების შემდეგ მოხდა. ზოგადად მე-19 საუკუნეში უმცირესობების საკითხი კერძო სფეროდ იქნა გამოცხადებული და მისი რეგულირები საჯარო წესების ვალდებულებითობა არ არსებობდა.<sup>21</sup>

საერთაშორისო სამართალი არ განსაზღვრავს “ეროვნული უმცირესობის” კატეგორიას. დასავლურ რეალობაში პირველი ოფიციალური ხსენება “ეროვნული უმცირესობისა” მოხდა 1992 წლის დეკემბერში, როდესაც გენერალურმა ასაბლემამ მიიღო დეკლარაცია პირებზე, რომლებიც ეროვნულ/ეთნიკურ, რელიგიურ და ლინგვისტურ უმცირესობებს ეკუთვნიან. ხშირია შემთხვევები, როცა “ეროვნული უმცირესობა” სხვადასხვაგვარად ითარგმნება სხვადასხვა ენებზე, არსებული კულტურული განსხვავებულობის გამო. “ეროვნული უმცირესობების” სამართლებრივი გასაზღვრის მცდელობა ევროპაშია მხოლოდ წარმატებული. მისი პირველი არაპირდაპირი განმარტება მოხდა ევროპის საბჭოს მიერ 1992 წელს მიღებულ უმცირესობების და რეგიონული ენების ევროპულ დეკლარაციაში. დეკლარაციაში უპირატესობა ლინგვისტურ განსაზღვრებას ენიჭება, რომელიც ეროვნულ უმცირესობად მოიხსენიებს ხალხს, რომელიც უმრავლესობის ენისგან განსხვავებულ ენაზე საუბრობს. ამ შემთხვევაში სახელმწიფოში მხოლოდ ე.წ. “ძველი ენების” არსებობა იგულისხმებოდა. ამის მიუხედავად ამგვარი დეფინიცია არაა უნივერსალური ხასიათის და მას უფრო ევროპული მნიშვნელობა ენიჭება. ევროსაბჭოს მიერ 1994 წლის “ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციაში” არ არის მოცემული “ეროვნული უმცირესობის განმარტება”.<sup>22</sup>

ამდენად, “უმცირესობების” საკითხის მკაცრ სამართლებრივ რეგულირების საკითხი ჯერ კიდევ საკამათოა და არ არსებობს მისი უნივერსალური განმარტება. ამიტომაც ყოველ სახელმწიფოს ეძლევა თავისუფლება იმისა, რომ თვითონ განსაზღვროს “უმცირესობის” და მათ შორის “ეთნიკური უმცირესობის” ფორმა და შინაარსი და საკუთარი გამოცდილების და საჭიროების მიხედვით იმოქმედოს. მთავარია ამგვარია ქმედება არ მოდიოდეს უნივერსალურ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალთან წინააღმდეგობაში.

---

<sup>21</sup> Daniel Smihula / *Definition of national minorities in International law* / Oct. 2009, Volume 6, No. 5 (serial No. 48), Journal of US-China Administration, ISSN 1548-6591, USA, pp. 45

<sup>22</sup> *ibid*: pp. 46-60

საქართველოს შემთხვევაში, იმის მიუხედავად, რომ უკანასკნელ ხანებში, განსაკუთრებით კი ფორმალურ დონეზე ცნება “ეთნიკური” უმცირესობა მკვიდრდება, ჯერ კიდევ გაბატონებული მდგომარეობა ენიჭება ცნება “ეროვნულ უმცირესობას”, რომელიც ქართული ისტორიული გამოცდილების და განსაკუთრებით საბჭოთა ისტორიული გამოცდილების დამსახურებაა.

### *1.3.) ეთნიკური ინტეგრაციის და მრავალფეროვნები საკითხი კონკრეტულ პრაქტიკაში*

ეთნიკური მრავალფეროვნების და მშვიდობიანი ურთიერთთანაცხოვრების პრობლემა თანამედროვე პოლიტიკის ერთ-ერთ პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს, რომლის გადალახვასთან შეჭიდება თითქმის ყველა დასავლურ პოლიარქიას უხდება. იმის მიუხედავად, რომ მოდერნის პოლიტიკური პროექტმა, რომელიც რაციონალური სამოქალაქო თავისუფლების და თანასწორობის პრინციპების საფუძველზე თანამედროვე ლიბერალური ერი-სახელმწიფო ჩამოყალიბებას ესწრაფოდა, საბოლოოდ ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა საჯარო-პოლიტიკურ სივრცის მხოლოდ ტრადიციული ლიბერალური სამოქალაქო პრინციპების მიხედვით სტრუქტურირება. თითქმის ყოველი დასავლური ლიბერალური დემოკრატია ყოველდღიურად ეჩხება ეთნიკური მრავალფეროვნებით გამოწვეულ პრობლემებს. ზოგ შემთხვევაში მოცემული პრობლემები გამოწვეულია წარსული ისტორიული ფესვებით და დასავლური სახელმწიფოების იმპერიული მემკვიდრეობებით, ზოგ შემთხვევაში კი მსგავსი ვითარება განპირობებულია მზარდი ემიგრაციით, რომლის შეჩერებაც უკვე პრაქტიკულად შეუძლებელია.

უმცირესობებთან მიმართებაში, კონკრეტული პოლიტიკის განსასაზღვრად დღემდე საკმაოდ დიდი სხვაობაა დასავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპას შორის. მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ევროპის ეს ორი მხარე, ძირითადად საერთო პოლიტიკური სტანდარტების და კონტექსტის მიხედვით მოქმედებს, წარსულ ისტორიული განვითარება ჯერაც მძლავრ გავლენას ახდენს ორივე “ევროპის” არსებულ რეალობებზე. კოლექტიური ისტორიული მეხსიერების სიმძლავრე და მასზედ მიჯაჭვულობა კი ევროპის რაც უფრო აღმოსავლეთით მოვლივართ, მით უფრო ძალუმად შეიგრძნობა.

დასავლური სტანდარტები თითქოს და ძირითადად მოცემული და ნორმირებულია ყველა იმ მრავალრიცხოვან საერთაშორისო დოკუმენტებს და

რეგულაციებში, რომელთა აღიარებაც ყველა კონსოლიდირებულ ლიბერალურ დემოკრატიას ევალება, თუმცა მხოლოდ მოცემული ფორმალური რეგულაციებით რთულია დასავლური პოლიარქიების ეთნიკური პოლიტიკის გაგება.

დასავლეთი ევროპის შემთხვევაში მკვლევარები რამდენიმე ტენდენციაზე მიუთითებენ, მაგრამ ორ მათგანს განსაკუთრებით გამოყოფენ:

1) სუბ-ეროვნული თუ უმცირესობათა ნაციონალიზმი, როდესაც უმცირესობები თავს ცალკე ერთად გაიაზრებენ ერთი დიდი ერის შემადგენლობაში. ხშირად მას, როგორც წესი, წარსული მემკვიდრეობა ასულდგმულებს. ამ დროს შესაძლოა სახელმწიფომ მიიღოს ე.წ. “მრავალი ერის ფედერალიზმის ფორმა” და უმცირესობების მოთხოვნები დაკმაყოფილდეს ფედერაციის ან კვაზი ფედერაციის შექმნით. ხშირ შემთხვევებში, უმცირესობის ენა სახელმწიფო ენადაა გამოცხადებული, მინიმუმ ფედერალიზმის სუბიექტის დონეზე მაინც. პირველად ამგვარ პოლიტიკას ხელი მიჰყო შვეიცარიამ და კანადამ და შემდგომ იგი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მთელს დასავლეთ ევროპაში გავრცელდა.

2) მეორე მიდგომა ესაა, აბორიგენი მოსახლეობისადმი დამოკიდებულება, რომელნიც ჩვეულებითი სამართლის თუ ლოკალური ენის დაცვას მოითხოვენ. ხშირად ამგვარი მოთხოვნების რეგულაცია, მათი კონსტიტუციური კოდიფიკაციითაც ხდება. ამის მიუხედავად, მოცემული პოლიტიკის განხორციელება საერთაშორისო სამართლით სავალდებულო არაა და ეს პირველ რიგში მშობლიურ ენაზე განათლების მიღებას შეეხება. საერთაშორისო ნორმები მხოლოდ ამის მინიმალურ სტანდარტებს განსაზღვრავენ.<sup>23</sup>

დასავლეთი ევროპის შემთხვევაში, აღნიშნული “პოლიტიკების” გააქტიურება ერთმნიშვნელოვანი არ გახლდათ და მას სხვადასხვა ფაქტორები გაპირობებდა:

1) *დემოგრაფიული ვითარება*. ხელისუფლებების მოლოდინის მიუხედავად არ მოხდა უმცირესობების ჯგუფის წევრთა რიცხოვნობის შემცირება მათი ასიმილაციის და გათქვეფის ხარჯზე. პირიქით იგი გაიზარდა და უფრო მრავალრიცხოვანი გახდა;

---

<sup>23</sup> Will Kymlicka , Multiculturalism and Minority Rights: West and East  
JEMIE, Journal of Ethnopolitical and minority issues in Europe, Issue 4/2002, [www.ecmi.de](http://www.ecmi.de), pp.4-6

- 2) **უფლებათა გაცნობიერების გაძლიერება.** უმცირესობებმა ნელ-ნელა იწყეს ადამიანის უფლებების მიერ ნაკარნახევი თანასწორობის იდეის მზარდი გაცნობიერება. შემდგომში მოდერნიზაციამ გამოიწვია მათში უფლებათა შესახებ ინფორმაციის ცნობადობის ამაღლება. ეს მათ დაეხმარათ უფრო ორგანიზებულად ემოქმედათ და მოეთხოვათ ძველი ყაიდის ეთნიკური იერარქიიდან გამოსვლა.
- 3) **დემოკრატია.** დემოკრატია უზრუნველყო მათი საჯარო-პოლიტიკური სივრცეში სხვადასხვა დონეზე ჩართულობა, რამაც ეთნიკური უმცირესობების მოქმედების მეტი წახალისება გამოიწვია. დემოკრატია მოახდინა უმცირესობების აზრის გამოხატულების თავისუფლება, რისთვისაც ისინი უკვე ძველი რეჟიმების მსგავსად აღარ ისჯებოდნენ. ამიტომაც, ეთნიკურ უმცირესობებს, ხელისუფლების დანაწილების პრაქტიკის შედეგად ძალაუფლების მოპოვების მრავალი გზა და შანსი გაუჩნდათ.
- 4) **ეთნოფედერაცია** იქცა აგრეთვე ეთნო-ერთიერთობათა დარეგულირების ერთ-ერთ სტრატეგიად, რომელმაც როგორც წარმატებები, ისე წარუმატებლობები მოიტანა.

“მრავალი ერის ფედერალიზმის” კონცეფციამ 5 შემთხვევაში მიაღწია წარმატებას:

- ა) მშვიდობის და ინდივიდუალური უსაფრთხოების ზრდა;
- ბ) დემოკრატია და დემოკრატიულ პროცედურებში უმცირესობების მონაწილეობის ზრდა;
- გ) ინდივიდუალური უფლებების უფრო მეტი დაცვა და მათი შემდგომი გარანტიები, რაც ზოგადი კონსტიტუციური მმართველობი იყო განპირობებული;
- დ) ეკონომიკური წინსვლა და განვითარება. ამგვარი ფედერალიზმი არ განვითარებულა მოქალაქეთა ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების ხარჯზე. მოცემული ქვეყნები მსოფლიოში ყველაზე მდიდარ სახელმწიფოებს წარმოადგენენ;
- ე) ჯგუფთაშორისო თანასწორობა. მრავალი ერის ფედერალიზმმა მოსპო ან შეამცირა დომინანტი და დაქვემდებარებული ჯგუფთაშორისო უთანასწორობა. ამგვარი თანასწორობა კი საფუძვლად დაედო, როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური და კულტურული თანასწორობას კონცეფციებს და პრაქტიკას.

დემოკრატიულმა ფედერალიზმმა მოახერხა ნაციონალიზმის სახელმწიფოს შიდა ფარგლებში მოქცევა და დაშოშმინება. ეს ეფუძნებოდა ინდივიდუალური უფლებების და თავისუფლებების დაცვას. ამიტომ მას, მხოლოდ დემოკრატიის “დამსახურებად” მოიაზრებენ. ამის მიუხედავად “მრავალი ერის ფედერაციამ” გარკვეული წარუმატებლობებიც ჰქონდა და ყოველთვის “გამარჯვებულ” ვითარებაში არ იმყოფებოდა:

ა) ამგვარმა მოდელმა სოციალურ ურთიერთობათა მეტი პოლიტიზაცია მოახდინა. ეთნიკური ჯგუფები და უმცირესობა-დომინანტური ჯგუფები ხშირად გულგრილნი არიან ერთმანეთის კულტურული მიღწევების და ურთიერთკომუნიკაციის ინტესიფიკაციის მიმართ. მოცემული ფენომენი, როგორც წესი, ხშირად იწოდება “პარალელურ საზოგადოებებად” ან კიდევ “ორ სიმარტოვედ”. მრავალეროვნულ ფედერალიზმში, ეთნიკური ჯგუფები ავითარებენ რა საკუთარ ინსტიტუციებს, პრაქტიკულად “ორ სხვადასხვა საზოგადოებებად ვითარდებიან.” კანადის შემთხვევაში განსაკუთრებით თვალშისაცემი მოცემული ჯგუფებში ინსტიტუციური გაუცხოება. როგორც წესი, ისინი თითქმის საერთოდ არ იცნობენ ურთიერთგანვითარების ტენდენციებს, არ იღებენ ერთმანეთზე ინფორმაციას და ა.შ. და ეს ტენდენცია, როგორც წესი, თითქმის ყველა ასეთ სახელმწიფოს ახასიათებს. სახელმწიფო თითქოს და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა, მაგრამ სამაგიეროდ ჯგუფთა-შორისო ურთიერთობა გაუცხოვდა და დაიქსაქსა.

ბ) ფედერალიზმის მიუხედავად, სეცესიის პრობლემა არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. იგი ყოველდღიური პოლიტიკური ცხოვრების ნაწილია და ვერ მოხერხდა მისი პოლიტიკური დღის წესრიგიდან ამოგდება. ეთნოფედერალიზმის კრიტიკოსები ე.წ. “ეტატისტები” და “კომუნიტარები” აკრიტიკებენ ამგვარ სახელმწიფოს სეცესიონიზმის და ინტერპერსონალური ურთიერთობების გამო, თუმცა “ლიბერალ-დემოკრატებში” მას ყავს დამცველები, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ინდივიდუალური თავისუფლებების ხარჯზე, მან მეტი ტოლერანტობა განავითარა და ეთნიკურ ჯგუფთა ურთიერთობებს არაძალადობრივი სახე მისცა.<sup>24</sup>

აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში უფრო მეტი “ეტატისტები” და “კომუნიტარები” არიან, ვინემ “ლიბერალ-დემოკრატები”. მოცემული რეგიონის ინტელექტუალები და პოლიტიკოსები პესიმისტურად არიან განწყობილნი

<sup>24</sup> Will Kimlicka.. Ibid. pp. 7-16

ქვესახელმწიფოებრივი ეთნიკური ჯგუფების ტერიტორიული ავტონომიების მოთხოვნის მიმართ და მიაჩნიათ, რომ შემდგომი მოდერნიზაცია ეთნიკური ჯგუფების წევრთა რიცხოვნობას შეამცირებს და ასიმილაციას გამოიწვევს, მაშინ როცა დასავლეთში მოცემული რეალობის განსხვავებული აღქმაა.

აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის შემთხვევაში ეთნიკური პოლიტიკის ჩამოყალიბებაში დიდი როლს ასრულებს უშიშროების საკითხები. “უშიშროებიზაციად” ახასიათებენ დასავლელი მეცნიერები აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის ეთნოპოლიტიკური განწყობებს. ხშირ შემთხვევაში გაზიარებულია აზრი, რომ უმცირესობები შეკრულნი არიან სხვა, მტერ სახელმწიფოებთან და მათი დაკვეთით მუშაობენ. აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპაში შესაძლებელია წარიმართოს ღია, საჯარო დისკუსია ეთნოპოლიტიკურ საკითხების რაგვარობაზე, მაგრამ როგორც წესი იგი აწევებს გარკვეულ შეზღუდვებს და ყოველთვის გახსნილად არ ეკიდება მოცემულ საკითხებს (მაგ. უმცირესობების პარტიების აკრძალვა).

აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპაში, იმპერიალიზმის ისტორიამ ჩამოაყალიბა შემდეგი შეხედულებები:

ა) რომ უმცირესობები ნაკლებად ლოიალურნი არიან და ხშირად თანამშრომლობენ ყოფილ მეტროპოლიტებთან;

ბ) ძლიერი და სტაბილური სახელმწიფოს არსებობა მოითხოვს უმცირესობების სისუსტეს და ნაკლებ ძალაუფლებას. უმცირესობების ყოველი მიღწევა, დომინანტური ჯგუფის წარუმატებლობად აღიქმება;

გ) უმცირესობებთან ურთიერთობებს უპირველესად უშიშროების საკითხები განაპირობებს.

დასავლეთი ევროპის შემთხვევაში ვითარება პირიქითაა. შესაძლოა უმცირესობამ სეცესია მოახერხოს კიდევ, მაგრამ ისინი პოტენციურ მტრებად არ აღიქმებიან. პირიქით გაზიარებულია აზრი, რომ ისინი, სამომავლოდ, მოკავშირეებიც კი შეიძლება გახდნენ. ამიტომაცაა, რომ დასავლეთში სეცესიონისტური მოძრაობების მიმართ უფრო მეტი ტოლერანტობით გამოირჩევიან, ვიდრე ეს აღმოსავლეთშია. მათი ურთიერთობები ამოღებულია “უშიშროების ყუთიდან” და გადატანილია “დემოკრატიის ყუთში”. ამგვარ პირობებში მოქმედებს ზუსტად ზემოთ აღწერილი სამი ფაქტორი: დემოგრაფია, უფლებრივი

სამართალშეგნების ზრდა და მიზნის მიღწევის მრავალი გზის არსებობა დემოკრატიის პირობებში.<sup>25</sup>

დასავლეთში არსებობს აგრეთვე ეთნიკური ფედერალიზმის უარყოფის და ეთნო-ურთიერთობების დარეგულირების სხვა სტრატეგიებიც. ეს არის ე.წ. “მულტიკულტურალიზმის” პოლიტიკური ფილოსოფიის და მრავალწევრიანი საზოგადოების ფორმირების იდეები.

მულტიკულტურალიზმის საკითხები დასავლეთი ევროპისთვის 1945 წლიდანაა აქტუალური. განსაკუთრებით აქტუალური გახდა მოცემული საკითხი 50-60-იან წლებში, როდესაც დასავლეთი ევროპა მასობრივმა ემიგრაციამ მოიცვა. ამავე დროს, 1989 წლის მოვლენებმაც ხელი შეუწყო მულტიკულტურალიზმის შესახებ დისკურსის განვითარებას, რომელიც დაკავშირებული იყო ხელისუფლების ადგილზე გადაცემის მოთხოვნასთან, რომელსაც, როგორც წესი, სუბ-ეროვნული ჯგუფებით დასახლებული ტერიტორიები მოითხოვდნენ.

თითქმის ნებისმიერი პოლიტიკური მმართველობა აცხადებს, რომ მულტიკულტურულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ. ხშირად მულტიკულტურალიზმის პოლიტიკის განხორციელება ნეგატიური მხრივ აღიქმება, რომელშიც ხშირად უმცირესობებთან დაკავშირებით ყოფილი საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიის და თუნდაც დიდ ბრიტანეთში აღმოცენებული კონფლიქტები მოიაზრება<sup>26</sup>.

დასავლურ სამყაროში კითხვაზე, თუ რატომ უნდა იარსებონ განცალკევებულმა სათემო კულტურებმა, სამი პასუხი არსებობს: 1. მათ უფლება ეძლევათ იარსებონ რწმენით, რომ აქვთ შესაძლებლობა საკუთარი ღირებულებები გააჩნდეთ. ეს გულისხმობს ნახსენებ ორმხრივ ტოლერანტობას. 2. ამგვარი კულტურების არსებობა იძლევა საშუალებას ინდივიდებმა შეინარჩუნონ საკუთარი მორალური თუ ემოციური სიმყუდროვე, რომელიც აუცილებელია მათი ფსიქოლოგიური მდგრადობისთვის. ემილ დიურკჰაიმი თავის კლასიკურ ნაშრომში “შრომის დანაწილება” ამტკიცებდა, რომ ამგვარი სტაბილურობის არსებობა შესაძლებელია, მხოლოდ ორგანული სოლიდარობის შემთხვევაში, თუ კი სახელმწიფოს და ინდივიდუალურ ოჯახს შორის რაიმე შუალედი იარსებებდა. ეს

---

<sup>26</sup> John Rex and Gurhupal Sigh / Multiculturalism and Political Integration in Modern-Nation-States – Thematic Introduction / Journal on Multicultural Societies (IJMS), Vo. 5, No. 1, 2003:3-19 ISSN 1817-4574, [www.iunesco.org/shs/ijms](http://www.iunesco.org/shs/ijms), pp.3-4

კი მისი არსით პროფესიული გილდიების არსებობით იყო შესაძლებელი. ჩვენს შემთხვევაში, თანამედროვე ეპოქაში, მოცემული გილდიები ეთნიკური უმცირესობების სახითაც არსებობენ უკვე და ეთნიკურ ჯგუფში წევრობა, გარკვეულ პროფესიულ გაერთიანებასაც წარმოადგენს და სცილდება უბრალოდ კულტურული იდენტობის საკითხებს. მიზეზი თუ რატომ უნდა იარსებონ ამგვარმა ჯგუფებმა, ისაა, რომ, ეთნიკურ ჯგუფებს მიაჩნიათ, რომ ასე უკეთ ძალუძთ საკუთარ თვისტომთა დაცვა, რაიმე კოლექტიური პოლიტიკური მოქმედების განხორციელებისას.<sup>27</sup>

#### ***1.4) ეთნო-კულტურული მრავალფეროვნების რეგულირების კონკრეტული მაგალითები***

მულტიკულტურალიზმი, როგორც პრაქტიკული პოლიტიკური პროექტი წარმოიშვა 70-იანი წლების შემდეგ, როდესაც დასავლური სამყარო მოიცვა მასობრივმა ემიგრაციამ. შესაბამისად დასავლურმა ქვეყნებმა ნელ-ნელა უარი თქვეს მოდერნის მიერ განსაზღვრულ ასიმილაციას და ერთგაროვანი ეთნო-კულტურული საზოგადოების ქმნალობაზე და ყურადღება უფრო ინტეგრაციაზე. საზოგადოება უკვე განიხილებოდა, არა როგორც ერგვაროვანი კულტურული წარმონაქმნი, არამედ სხვა და სხვა ეთნოკულტურული და რელიგიური ერთობების თანასწორუფლებიან გაერთიანებად. მოცემული პროცესი დიდწილად იყო 60-იანი წლების სამოქალაქო უფლებების მოძრაობის წარმატებებით განპირობებული. ჩრდილოეთ ამერიკის შემთხვევაში ე.წ. “აფირმატიული ქმედების” (Affirmative Action) შედეგად მრავალი რამ გაკეთდა საზოგადოების რასობრივი და სხვა ტიპის ჯგუფობრივი სეგრეგაციის აღმოსაფხვრელად, როგორც განათლების, ისე სოციალური უზრუნველყოფის, ჯანდაცვის და სხვა მრავალი კუთხით.<sup>28</sup> ამავე დროს, საზოგადოების მსგავსმა პლურალისტულმა ხედვამ ხელი შეუწყო უფრო ტოლერანტული გარემოს ჩამოყალიბებას და სოციალური გარიყულობის აღმოფხვრას, რაც თავის მხრივ დემოკრატიის განვითარებასაც უწყობდა ხელს.<sup>29</sup>

<sup>27</sup> John Rex and Gurhupal Sigh.. ibid, pp. 6-7

<sup>28</sup> Marcel Coenders and Peer Scheepers /The Effect of Education on Nationalism and Ethnic Exclusionism: An International Comparison / Political Psychology, Vol. 24, No. 2, Special Issue: National Identity in Europe (Jun., 2003), pp. 313-343

<sup>29</sup> Владимир Малахов , Вызов национальному государству / Скромное обаяние расизма и другие статьи Москва 2001 Стр.42-43

**კანადური მოდელი.** კანადა პირველი ქვეყანა გახდა 1971 წელს, პრემიერ-მინისტრ პიერ ტრიუდოს დროს, როდესაც მულტიკულტურალიზმი ოფიციალურ იდეოლოგიად და სახელმწიფო პოლიტიკად გადაიქცა. საამისოდ, კანადას მრავალი წინაპირობა ქონდა. აშშ-სგან განსხვავებით კანადა არასდროს არ აღიქვამდა თავს ჰომოგენურ ერად და იმის გამო, რომ იგი ყოველთვის განიცდიდა ეთნო-ლინგვისტურ დიფერენციაციას (ანგლოფონებისა და ფრანკოფონების არსებობა). ამიტომაც მისთვის უცხო იყო “სადნობი ქვაბის” ტრადიცია. და რაც მთავარია, კანადა უკვე დიდი ხნის შეგუებული იყო ეთნო-ფედერალიზმის მოდელს და ტრადიციებს.

კანადის ამგვარი რეალობა დიდწილად განაპირობა ეთნოდემოგრაფიული სურათის ცვლილებამ (როგორც დასავლური სამყაროს სხვა ქვეყნებში). ადგილობრივმა მოსახლეობამ იწყო კლება და მოსახლეობის რაოდენობა ძირითადად ემიგრანტების ხარჯზე იზრდებოდა. კანადაში სამუდამო საცხოვრებლად ყოველწლიურად დაახლოებით 260 ათასი ადამიანი მიემგზავრება (28 მილიონი მოსახლეობის პირობებში). კანადის მოსახლეობის 16% კანადის გარეთ დაბადებულ მოქალაქეებს წარმოადგენენ. ემიგრანტების რაოდენობა განსაკუთრებით აზიური ქვეყნების ხარჯზე მატულობს. იმის გამო, რომ კანადა ტრადიციული ტოლერანტობით გამოირჩეოდა კულტურული მრავალფეროვნების მიმართ, შესაბამისად მოსახლეობის ეთნო-კულტურული იდენტობაც მეტად ფრაგმენტირებული იყო. ამავე დროს, კანადა უცხოელთათვის მოქალაქეობის მინიჭების პროცედურების სიმარტივეთაც გამოირჩევა აშშ-ს და დასავლეთი ევროპის ქვეყნებისგან. კანადის მოქალაქედ გახდომა არ მოითხოვს ავტომატურად ძველ მოქალაქეობაზე უარის თქმას. ოფიციალურ დოკუმენტაციებში არსად არაა დაფიქსირებული მოქალაქეობის მიღების თარიღი, რათა არ მოხდეს “ახალი” მოქალაქის ‘ძველი’ მოქალაქისგან დისკრიმინაცია.<sup>30</sup>

ამის მიუხედავად კანადაში იდილიური ვითარება ნამდვილად არ არის. მულტიკულტურალიზმმა საზოგადოების ეთნო-კულტურული დიფერენციაცია კიდევ უფრო გააღრმავა. ეს განსაკუთრებით კვებეკის ფრანგულენოვან პროვინციაში გამოიქვამდა. მულტიკულტურული ოფიციალური პოლიტიკის შედეგად, კვებეკის

---

<sup>30</sup> Ibid: Ctp.44-45

ხელმძღვანელობამ მოითხოვა ყველა ოფიციალური დოკუმენტაციის და საქმის წარმოების ფრანგულად შესრულება კვებეკის ტერიტორიაზე. სამსახურებში თუ 50 კაცზე მეტი მუშაობდა, მაშინ სამუშაო ენა ფრანგული უნდა ყოფილიყო.<sup>31</sup> კვებეკელ მოქალაქეებს მხოლოდ ფრანგულად მოუწევდათ განათლების მიღება, იმის მიუხედავად ისინი მოცემულ მომენტში ცხოვრობდნენ თუ არა კვებეკის ტერიტორიაზე. სხვა შემთხვევაში სახელეწიფო უარს ამბობდა განათლების პროგრამების უზრუნველყოფაზე.<sup>32</sup>

მოცემულმა პოლიტიკამ, იმის მაგივრად, რომ ლიბერალური თანასწორი შესაძლებლობების პრაქტიკა განვეითარებინა, უპირატესობა ეთნოცენტრისტულ მსოფლმხედველობას და წარმომავლობის ესენციალისტურ მიდგომას მიანიჭა უპირატესობა. ყოველივე ამის შედეგად, გაღრმავდა საზოგადოების ახალი ფრაგმენტაცია და სტრატეგიკაცია, უკვე არა ტრადიციულ პროფესიულ-გილდიურ, არამედ ეთნო-კულტურულ საფუძველზე.

**ავსტრალიური მოდელი:** ავსტრალიაც ემიგრანტული ქვეყანაა კანადის მსგავსად. მეორე მსოფლიო ომამდე ემიგრანტთა ძირითადი ნაკადი ანგლოსაქსური სამყაროდან მოედინებოდა, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მათი შემადგენლობა ძალზედ შეიცვალა და მოიცვა უკვე რამდენიმე კულტურული სივრცე და შესაბამისად ემიგრაციაც უკვე კულტურულად მრავალწევრიანი გახდა. ავსტრალიამ მყისიერი რეაქცია მოახდინა მოცემულ რეალობაზე და მაშინვე დაიწყო ზრუნვა “თანაბარი ხელმისაწვდომობის და თანასწორობის” პრაქტიკულ რეალიზაციაზე. მთავარი ყურადღება დაეთმო უმცირესობების კონსტიტუციური უფლებების გარანტირებას და აქცენტი განსაკუთრებით სოციალურ უფლებებზე გადავიდა. ავსტრალიური მულტიკულტურარილზმი რამდენიმე პრონციპით შეიძლება რომ გამოიხატოს:

- ა) კულტურული იდენტობა
- ბ) სოციალური სამართლიანობა
- გ) ეკონომიკური ეფექტურობა

<sup>31</sup> იხ: Taylor Charles. *Multiculturalism: examining the politics of Recognition*. Ed.A. Gutman, Princeton, NJ; Princeton University Press, 1994

<sup>32</sup>Владимир Малахов , *Вызов национальному государству / Скромное обаяние расизма и другие статьи*. Москва 2001 Стр-46

კულტურული იდენტურობის შენარჩუნება და რეალიზაცია ყველა მოქალაქის უფლებადგამოცხადებული ისე, რომ მოქალაქეს კანადის მსგავსად წინაწინვე არ მიეწერება რომელიმე ეთნო-კულტურული ჯგუფის წევრობა. ეს უფრო არჩევანის საკითხია. მეორე პუნქტი გულისხმობდა თანასწორობის სამართლებრივად უზრუნველყოფას, რომელმაც უნდა აღმოფხვრას კანის ფერის, სქესის, კონფესიური კუთვნილების და ა.შ. მიხედვით არსებული სოციალური დისკრიმინაცია. მესამე პუნქტი ითვალისწინებდა ადამიანის ნიჭიერების წახალისებას, რომელიც უკეთესი იქნებოდა განხორციელებულიყო, რა თქმა უნდა ჰუმანური მიდგომის თვალსაზრისით, მაგრამ უკეთესი იქნებოდა დაფუძნებოდა ეკონომიკური სარგებლიანობის პრინციპებსაც. კანადისგან განსხვავებით, ავტრალიური მულტიკულტურალიზმი გაცილებით წარმატებული აღმოჩნდა. მისთვის უცხო იყო კანადისმაგვარი სოციალური ფრაგმენტაცია ეთნო-კულტურული კუთვნილების ფონზე. კანადისგან განსხვავებით ავტრალიას არ გააჩნია სპეციალური სამართლებრივი აქტი მულტიკულტურალიზმის შესახებ. იგი უბრალოდ სარგებლობს რასიზმის და ეთნიკური დისკრიმინაციის აღმოფხვრის კანონმდებლობით. ამავე დროს, ავტრალიაში არ არსებობს მულტიკულტურალიზმის საქმეთა სპეციალური უწყება და მას პრემიერ-მინისტრის დეპარტამენტი განაგებს.<sup>33</sup>

ემიგრანტების სოციალური ინტეგრაციის საკითხებს ერთმანეთში ინაწილებენ დასქმების, განათლების, პროფესიური გადამზადების დეპარტამენტი და კიდევ სხვა მრავალი უწყება. ამავე დროს ყველა ქალაქსა თუ მუნიციპალიტეტში არსებობს სპეციალური განყოფილება, რომელიც მსგავს საკითხებს ემსახურება.<sup>34</sup>

იმის მიუხედავად, რომ ავტრალიური საზოგადოება ტოლერანტიზმის მაღალ დონეს ამჟღავნებს დღემდე და აგრესიულობით ნამდვილად არ გამოირჩევა “უცხოთა” მიმართ, მულტიკულტურალიზმმა მაინც წარმოშვა პრობლემები. ერთი, რომ მან თავიდან ვერ აიცილე საზოგადოების ეთნოცენტრული ხედვა და მეორეს მხრივ შეუწყო ეთნო-ელიტები ფორმირებას, რომელთაც უკვე სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში საკუთარ გავლენის ზრდაზე დაიწყეს ზრუნვა. იმის მიუხედავად, რომ მოცემული ეთნო-ელიტები ხშირ შემთხვევაში დაინტერესებულნი არიან საკუთარი ეთნო-კულტურული თემის თვითყოფადობის შენარჩუნებით და

---

<sup>33</sup> Ibid: CTP-48-50

<sup>34</sup> Ibid: CTP-48-50

მასზედ მზრუნველობითაც გამოირჩევიან, რეალურად ხშირად მას მოცემული თემი საკუთარი ძალუფლებისთვის ჭირდება. და რაც მთავარია, სოციალ-პოლიტიკური სივრცეში ძალაუფლების ამგვარი ეთნო-კულტურული სიმბოლიზაცია, საზოგადოების ეთნო-კულტურულ საფუძველზე დისკრიმინაციას უწყობს ხელს.<sup>35</sup>

**აშშ-ს მოდელი.** ამერიკამ, სადაც ყოველთვის რელიეფურად ჩანდა “მე”-ს და “სხვა”-ს დიქტომია, უარი თქვა მულტიკულტურალიზმის სახელმწიფო პოლიტიკად გამოცხადებაზე და ემიგრანტების სოციალური ინტეგრაცია მათ კერძო საქმედ დატოვა, ისე როგორც ეს ტრადიციულად იყო. იმის მიუხედავად, 80-იანი წლებიდან, ეთნოდემოგრაფიული ვითარების ცვლილების ფონზე, ამერიკულ საზოგადოებაში მაინც შეადწინა მულტიკულტურალისტურმა დისკურსმა. გამალებულმა ემიგრაციამ, რომელმაც მოიცვა აშშ, იგი დააყენა გამოწვევის წინაშე, რომ გადაეხედა მისი ტრადიციული პოლიტიკისათვის, რომელიც კულტურული მრავალფეროვნების საქმეს ეხებოდა. ეს განსაკუთრებით ლათინოამერიკელი ემიგრანტების გაძლიერებას მოყვა, როდესაც ესპანური ენა დაემუქრა ინგლისურს ლინგვისტურ ბატონობაში. ამიტომაც, მრავალი ამერიკელი მოაზროვნე შეაშფოთა აღნიშნულმა ვითარებამ და საუბარიც კი დაიწყო ამერიკული საზოგადოების კვდომაზე.<sup>36</sup> იმის მიუხედავად, რომ აშშ, ყოველთვის ეთნო-კულტურული მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა, ერი, რომელიც ტრადიციულად ამერიკაში გაგებულ იყო, როგორც “სადნობი ქვაბი” (Melting Pot), ცოტა არ იყოს ეწინააღმდეგებოდა მულტიკულტურალიზმის იდეებს. 80-იან წლებში ერის “სადნობ ქვაბად” გაგება შეცვალა ახალმა მეტაფორამ, “ერი”, როგორც “სასალათე თასი” (Salad Bowl). “სასალათე თასში”, ხომ “სადნობი ქვაბისგან” გასხვავებით, მისი ინგრედიენტები და კომპონენტები უკეთ მოსჩანან და მკაფიოდ გამოხატავენ იდეას: ერთიანობა მრავალფეროვნებაში.<sup>37</sup>

კანადის და ავსტრალიისგან განსხვავებით, აშშ-ში მულტიკულტურალიზმის იდეები აღმოცენდა აგრესიული ფემინიზმის და სხვა მსგავსი ტიპის მოძრაობებიდან, რომელნიც მიზნად ისახავდნენ ბატონობის ტრადიციული ურთიერთობების ფუნდამენტურ ცვლილებებს. ამის გამო იყო, რომ ამერიკული

<sup>35</sup> Ibid: Ctp-48-50

<sup>36</sup> იხ. A. Schlezinger Jr. The Diuniting of America: Reflexions on a Multicultural Society. Knoxville, Ten., Whittle Books, 1991

<sup>37</sup> Ibid: Ctp. 51-52

მულტიკულტურალიზმი გაცილებით მეტი აგრესიულობით გამოიჩინა, ვიდრე ეს კანადის და ავსტრალიის შემთხვევაში იყო. მულტიკულტურალისტების მთავარი სამიზნე სოციალური გარიყულობის ტრადიციული მექანიზმების ცვლილება იყო.

მულტიკულტურალიზმი განსაკუთრებით საგანმანათლებლო სისტემას შეეხო. 80-იანი წლების ბოლოს ბევრ ამერიკულ უნივერსიტეტში დამკვიდრდა მულტიკულტურალისტული პარადიგმა. ზოგიერთმა ჰუმანიტარულმა ფაკულტეტმა იმდენად რადიკალურად შეცვალა საგანმანათლებლო გეგმები, რომ საზოგადოების აღშფოთებაც კი გამოიწვია. ეთნიკურ უმცირესობათა აქტივობის “მოღაღ” ქცევამ, საზოგადოები რღვევის საშიშროება გააჩინა. საბოლოოდ ტერმინი “მულტიკულტურალიზმი” უარყოფით ცნებათ გადაიქცა. ამერიკული გამოცდილება ნათლად გვიჩვენებს, იმას თუ რამდენად საშიში და არაეფექტურია სოციალურ სივრცეში არსებული მრავალწახნაგოვანი განსხვავებები კულტურულ განსხვავებულობებად წარმოგაჩინოთ, ანუ საზოგადოებრივი კონფლიქტების, სოციალური განსხვავებების და ურთიერთობების კულტურიზაცია მოვახდინოთ. <sup>38</sup>

**გერმანული მოდელი.** გერმანია, საკუთარი ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, ყოველთვის ერთეულოვანი ქვეყნის შექმნას ლამობდა. გერმანული “ერთეულოვნება” გულისხმობს მონოეთნიკურობას, სადაც “გერმანელად” შესაძლოა დაიბადო, იგი არასდროს გახდები, თუ შენი სისხლისმიერი ნათესაობა არ უკავშირდება გერმანულ ფესვებს. თვით გერმანული კონსტიტუციითაც კი განსაზღვრულია “გერმანელობა”, როგორ ეთნიკური კუთვნილება. იმის მიუხედავად, რომ გერმანიაც დაუახლოვდა ემიგრაციული ქვეყნების რიგებს, რომელშიც რამდენიმე მილიონი არაგერმანელი ემიგრანტი ცხოვრობს (და მათ შორის უამრავი არაევროპული წარმომავლობის), იგი ცდილობს არ აცდეს მისთვის ტრადიციული მონოეთნიკური ერი-სახელმწიფოს იდეას. იმისდა მიუხედავად, რომ შესაძლოა გერმანიაში ემიგრანტის რამდენიმე თაობა ცხოვრობდეს, (რომელიც კულტურულად ყოველნაირად გერმანელი იყოს) მისი საბოლოო “გაგერმანელება” პრაქტიკულად შეუძლებელია და მოცემული ემიგრანტი, პოტენციურად საკუთარ წარმომავლობის სამშობლოში დამბრუნებლად აღიქმება. გერმანია ფართოდ უღებს კარს, სხვა ქვეყნებში მაცხოვრებელ სისხლით გერმანელებს, რომელთაც უპირობოდ ეძლევათ მოქალაქეობა და ხდება მათი ჩართულობის უზრუნველყოფა, მაშინ როცა

<sup>38</sup> Ibid: Стр. 52-53

აღნიშნული “უცხოელი” გერმანელები კულტურულად სრულიად განსხვავდებიან ადგილობრივ თვისტომთაგან, იმ ემიგრანტებისგან განსხვავებით, რომელთაც გერმანული აკულტურაცია მოახერხეს.<sup>39</sup>

ამგვარი მოდელიც, რა თქმა უნდა ახდენს სოციალური დაძაბულობების და ურთიერთობების ეთნო-კულტურულ ჭრილში განხილვას გულისხმობს, ანუ მათ კულტურიზაციას, რაც სამომავლოდ საფთხის შემცველია. იგი ძლიერ “მე”-ს და “სხვის”-ს დიქტომიას წარმოშობს.

1994 წელს გერმანელ ინტელექტუალთა გარკვეულმა ჯგუფმა გამოაქვეყნა მანიფესტი, სადაც ისინი მოითხოვდნენ გერმანია გამოცხადებულიყო ემიგრაციულ ქვეყნად. მოცემულმა მანიფესტმა გავლენა იქონია პოლიტიკური დღის წესრიგის შედგენაზე და პოლიტიკურ დისკურსში გაჩნდა ლოზუნგი: “თანაცხოვრების პლურალისტული და მულტიკულტურული ფორმა, ძირითადი კანონის მიხედვით”. მოცემული პლურალიზმის ავტორები ორ საკითხს ეხებიან: ა) უკეთესია არა ქვეყანაში შესვლის აკრძალვა, არამედ მისი რეგულირება; ბ) აუცილებელია ევსწრაფოდ “სოციალურ” და არა “კულტურულ შეთანხმებულობას“, რაც ნიშნავს ახალი მოქალაქეებისთვის ინტეგრაციისთვის ეკონომიკური და სოციალური პირობების უზრუნველყოფას. <sup>40</sup>

**ესპანური მოდელი.** ესპანური მოდელი ეთნიკური მრავალწევრიანობის რეგულირების ფრიად საინტერესო მაგალითს წარმოადგენს. ესპანური მოდელი განსაკუთრებით საინტერესოა იმის გამო, რომ მან შეძლო ერთის მხრივ სახელმწიფოს ერთიანობის შენარჩუნება და მეორეს მხრივ მოახერხა დემოკრატიის პირობებში ეთნიკურ უმცირესობათაგან დიდი « ესპანური » სოლიდარობა რომ შეექმნა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ვითარება, რომ ესპანური ეთნიკური მრავალფეროვნების მოდელი ეფუძნება ესპანეთში შემავალ « ძველი » ეთნიკური უმცირესობების რეგულირებას და ის არ წარმოადგენს პასუხს ემიგრაციაზე, როგორც ეს ჩვენს მიერ განხილულ დანარჩენ მოდელებშია.

1975 წელს, ესპანეთში როგორც კი დემოკრატიზაციის პროცესი დაიწყო, მაშინვე თავი იჩინა რეგიონების ძლიერმა პერიფერიულმა მოძრაობებმა, რომელნიც ტრადიციულად ძლიერი იყო ბასკეთსა და კატალონიაში. მათ ანდალუსია და

<sup>39</sup> Ibid: Стр. 53-55

<sup>40</sup> Ibid: Стр. 53-55

გალისიაც დაემატნენ, მაგრამ მათ მოძრაობას უფრო ეკონომიკური სიდუხჭირე და ჩამორჩენილობა განაპირობებდა. გალისიისა და ანდალუსიისათვის ავტონომიის მოთხოვნა მათი ეკონომიკური განვითარებისთვის ერთვარ პანაცეას წარმოადგენდა.

41

ესპანეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ, პრობლემების გადასაჭრელად მოლაპარაკებებისა და კომპრომისების გზა აირჩია. ამავე დროს ახალი პოლიტიკური პროექტის გასაფორმებლად რეფერენდუმები და კონსტიტუციური რეფორმა აირჩია და მას დააფუძნა პილითეის ლეგიტიმურობის და მდგრადობის უზრუნველყოფა.

კომპრომისების მიღწევის შედეგად ესპანეთი კონსტიტუციურ მონარქიად გადაიქცა, ხოლო ტერიტორიული მოწყობის მკვეთრი დეცენტრალიზაციის პროექტით შეიქმნა 17 “ავტონომიური ერთობა” (Comunidades autonomas). მოცემული “ავტონომიების” საფუძველი რეგიონთა ეთნიკური განსახლება გახდა, თუმცა იგი ბოლომდე ეთნიკურ პრინციპს არ ეყრდნობა.

1978 წლის კონსტიტუცია ესპანეთის ორი ისტორიული ელემენტის – ფედერალიზმისა და ცენტრალიზმის რთულ ბალანსს წარმოადგენს. იგი ეყრდნობა პერიფერიების პლურალისტულ ხედვას და ამასთანავე ინარჩუნებს ესპანელობის ძველი მტკიცე ერთობის განცდას. იმისდა მიუხედავად, რომ შენარჩუნებულია ესენციალიზმის ელემენტები, უარყოფილია კულტურული ჰომოგენობის იდეა. მის ადგილს იკავებს რეგიონული დიფერენციაციის ახალი შეფასება, ზე-ეთნიკური სიმბოლოს-მონარქის სახით. სამხარეო დიფერენციაცია მიღებულია ეროვნული ქსოვილის გამამდიდრებლად და არა საფრთხედ. ესპანური პოლიტიკური ფორმულა მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: ერთიანობა მრავალფერობებაში.<sup>42</sup> ამგვარი ფორმულა განსაკუთრებით კონსტიტუციის შესავალ ტექსტში გამოსჭვივის : “ კონსტიტუცია ეფუძნება ესპანელი ერის განუყოფელ ერთობას, ყველა ესპანელის საყოველთაო და დაუნაწევრებელ სამშობლოს. იგი აღიარებს და რეგიონებისა და ნაციონალობების ავტონომიის გარანტიას იძლევა, რომელნიც ურთიერთსოლიდარობის საფუძველზე უნდა შეიქმნან”.<sup>43</sup>

<sup>41</sup> Fred A. Lopes , *Burgois state and rise of social-democracy in Spain* // Transitions from dictatorship to democracy / New York 1990, pp.51-52

<sup>42</sup> D. Conversi; *Autonomous communities...* p.126

<sup>43</sup> *Constitucion Española*, Madrid, 1978, articulo 2

კონსტიტუცია სახელმწიფო ენის გარდა, სხვა ენების დაცვისა და არსებობის საშუალებასაც იძლევა. იგი ნებას რთავს ლოკალური ენები გამოიყენონ მას-მედის სხვადასხვა საშუალებების საწარმოებლად. რაც მთავარია, რეგიონების ტერიტორიებზე, კასტილიურთან ერთად, ადგილობრივი ენები სახელმწიფო ენის სტატუსით სარგებლობენ. ამით ესპანეთმა უარყო ძველი ცენტრალიზმის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც ერთი სახელმწიფო, ერთ ენას უნდა ემთხვეოდეს. ამასთანავე სახალხო სუვერენიტეტის ლიბერალური კონცეფციის ფართო გამოყენებით, ესპანეთი მაქსიმალურად შეეცადა ტერმინი “ერი” და “ნაციონალიზმი” ეთნიკურიდან სამოქალაქო საწყისებზე გადაეწყო, რაც პრინციპში შესძლო კიდევ. მან უარი თქვა, როგორ მულტიკულისტულ ნოვაციაზე, ასევე ასიმილაციურ ტრადიციაზე. მან შუალედური მესამე გზა აირჩია, რომელიც საჯარო-პოლიტიკურ სივრცეზე უზრუნველყოფს ეროვნულ ჰომოგენურობას, ხოლო კერძო დონეზე აღიარებს და იცავს ეთნო-კულტურულ მრავალფეროვნებას.

ესპანეთის წარმატებული დემოკრატიზაციის პროცესში ერთ-ერთი მთავარი როლი ზე-ეთნიკური მონარქის ინსტიტუტმაც ითამაშა, რომელიც არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ პრაქტიკულად იქცა ეროვნული ერთობის სიმბოლოდ. როგორც მიანიშნებენ ხოლმე, არა მონარქის ინსტიტუტმა მოახდინა მეფე ხუან-კარლოსის ლეგიტიმაცია, არამედ პირიქით. “მისი უდიდებულესობას” ამგვარი მოღვაწეობის გამო ხშირად უწოდებენ “ცვლილებათა მესაჭეს” (Pilot del Cambio).<sup>44</sup>

**შვედეთის მაგალითი:** შვედეთში ემიგრანტები ზოგადი შვედური კეთილდღეობის ნაწილად გამოაცხადეს და მონიდომეს მათი ზოგადად შვედურ სისტემაში ჩართვა. მაგრამ, როგორც აღმოჩნდა პრობლემა იყო თუ ვინ ჩაეთვალათ უმცირესობად. შვედებმა აქცენტი უმცირესობების უფროს თაობაზე გააკეთეს, რის გამოც უმცროსი თაობა უმცირესობაში აღმოჩნდა. ამის გამო, ხშირად მოცემული მოდელი მწვავე კრიტიკის საგანია ხოლმე.<sup>45</sup>

---

<sup>44</sup> J.Linz and A. Stephen/*Problems of democratic transition and consolidation: Southern Europe, South America and Post-Communist Europe*. John Hopkins University Press ,1996 p.88

<sup>45</sup> **Mikael Hjerm** / *Integration into the Social Democratic Welfare State* / Social Indicators Research, Vol. 70, No. 2 (Jan., 2005), pp. 117-138, **Harald Runblom** / *Swedish Multiculturalism in a Comparative European perspective* Sociological Forum, Vol. 9, No. 4, Special Issue: Multiculturalism and Diversity (Dec.,1994), pp. 623-640

**ნიდერლანდების მოდელი:** ნიდერლანდური მოდელის განხორციელებისას ხდება საზოგადოების ე.წ. “პილარიზაცია”, როდესაც უმცირესობებისთვის ყალიბდება ცალკე საგანმანათლებლო სისტემა. კრიტიკოსები ამგვარ სისტემას “მინორიზაციასაც” უწოდებენ, როდესაც უმცირესობის წევრები ცდილობენ რომელიმე უმცირესობის ჯგუფში მოხვედრას, რათა მათი ჩართულობა თანასწორობის პრინციპზე მოხდეს ჯგუფური მიკედლებულობის საშუალებით. ამიტომაც, ამ შემთხვევაში არჩევანი შეზღუდულია და შესაძლებელია დაირღვეს ლიბერალური თანასწორობის საზოგადოების უმთავრესი პრინციპები.

**დიდი ბრიტანული მოდელი:** დიდ ბრიტანეთში 1964 წელს უარი თქვეს რა “ასიმილაციაზე”, გამოიყენეს ცნება “ინტეგრაცია”<sup>46</sup>. ამის ინიციატორი შინაგან საქმეთა მინისტრი როი ჯენკინსი იყო, რომელმაც შემდგენაირად განსაზღვრა იგი: “არა გაერთფეროვნებისკენ მიმართული ნიველირების პროცესი, არამედ კულტურული მრავალფეროვნება, რომელიც შეწყვილებული იქნება თანასწორ შესაძლებლობებთან და იარსებებს ორმხრივი ტოლერანტობის ატმოსფეროში”. ამავე დროს, მოცემული ინტეგრაცია გამოიხატა ხელისუფლების ადგილებზე ე.წ. “დეკოლუციის” პროცესით, რომელმაც აამაღლა შოტლანდიის, უელსის და ოლსტერის თვითმმართველობები და მათ მქედებას მეტი ავტონომიურობა მიანიჭა. ამის მიუხედავად, დიდმა ბრიტანეთმა უარუ თქვა ფედერალიზმზე და კვლავ უნიტარულ სახემწიფოდ დარჩა.

ჯენკინსის აზრი გულისხმობს ორი კულტურული ან ინსტიტუციური სფეროს არსებობას. ერთი მხრივ, ეს არის ორიენტაცია საჯარო პოლიტიკური კულტურის ფორმირებისკენ, რომელიც დაეფუძნება კეთილდღეობის სახელმწიფოს იდეას, სადაც ყველა მისი წევრი მინიმალური თანასწორობის ხარისხს ფლობს. მეორეს მხრივ, იგი გულისხმობს განსხვავებული ეთნო-კულტურების არსებობას, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ეთნიკური ენების, კულტურების თუ საოჯახო ტრადიციების შენარჩუნება.<sup>47</sup>

<sup>46</sup> ინტეგრაციის მოდელი შეგვიძლია ვუწოდოთ აგრეთვე ესპანურ გამოცდილებასაც (ავ.შენიშვნა)

<sup>47</sup> John Rex and Gurhpal Sigh / *Multiculturalism and Political Integration in Modern-Nation-States – Thematic Introduction* / Journal on Multicultural Societies (IJMS), Vo. 5, No. 1, 2003:3-19 ISSN 1817-4574, [www.iunesco.org/shs/ijms](http://www.iunesco.org/shs/ijms) pp. 16-23

## თავი II

### ერადქმნადობის პროცესი და პოსტ-კომუნისტური საქართველო

საქართველო ეთნო-კონფესიური თვალსაზრისით მრავალწევრიანი და ფრაგმენტირებული ქვეყანაა. მისი ერთი-ერთი უმთავრესი ამოცანა იმგვარი საჯარო სივრცის შექმნაა, სადაც ქვეყნის ტერიტორიაზე მაცხოვრებელ ყველა ეთნო-კონფესიურ ჯგუფს მოცემული სახელმწიფოს მიმართ ლოიალობა და მისი თანაზიარობის შეგრძნება გაუჩნდება. რაც მთავარია, თუ კი საქართველოს სურს ერთი მხრივ – მოახერხოს ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნება და მეორე მხრივ – სრულფასოვან, კონსოლიდირებულ ლიბერალურ-დემოკრატიად გადაქცევა – მას მოცემულ პრობლემასთან გამკლავება მოუწევს. სხვა შემთხვევაში, სამომავლოდ არსებობს იმის ალბათობა, რომ კვლავ აღორძინდეს (აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მსგავსად) სეცესიონისტური მოძრაობები, რამაც შესაძლოა სახელმწიფოებრიობის შემდგომი რღვევა გამოიწვიოს.

საქართველომ მისი პოსტ-კომუნისტური განვითარების გზაზე მრავალი ჭირვარამი გამოსცადა (და ფათერაკებიანი ეპოქა ჯერ კიდევ არ დასრულებულა) და მოწმე გახდა ძლიერი ეთნიკური დაძაბულობების და მობილიზაციისა, რომელმაც ორ შემთხვევაში (აფხაზეთი და ყოფილი სამხრეთი ოსეთი) მისი ფაქტობრივი ტერიტორიული დეზინტეგრაცია გამოიწვია. ამიტომაცაა, რომ ყოველი ახალი ეთნიკური ფაქტორის გააქტიურება, ქართული საზოგადოების უმრავლესობის მხრიდან ერთგვარ შიშნარევ რეაქციას იწვევს და ნებისთ თუ უნებლიედ, არც თუ მთლად დადებითი განწყობების ჩამოყალიბებას განაპირობებს ეთნიკური უმცირესობების მიმართ. ამიტომაც, ქართული პოლიტიკური ისტებლიშმენტი მეტად ფრთხილობს ეთნიკურ პოლიტიკასთან მიმართებაში და მისი მხრიდან გაუბედაობაც საკმაოდ ხშირია. მიუხედავად ცალკეული პროექტების და მცდელობებისა, ძნელია მაინც იმის თქმა, რომ ქართული სახელმწიფო ეფექტურ პოლიტიკას აწარმოებს (ან ყოველ შემთხვევაში სახელმწიფო ცდილობს ეფექტური იყოს, მაგრამ მას ხელს უშლის მრავალი მიზეზი) მისი ეთნო-რელიგიური მრავალწევრიანობისგან გამომწვეული პრობლემების გადასაღებად. ამ თვალსაზრისით, უკანასკნელ ხანებში გაჩნდა გარკვეული პოზიტიური ძვრები (მაგალითად ტოლერანტობის და სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფციის

შემუშავება და მის საფუძველზე განხორციელებული ზოგიერთი პროგრამა, პასპორტებიდან საბჭოური ყაიდით ეთნიკური კუთვნილების დაფიქსირების ამოღება, გარკვეული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ეთნიკური უმცირესობებისთვის და ა.შ), მაგრამ მოცემული მცდელობები მაინც ფრაგმენტული ხასიათისაა და არ შეიძლება მას ეწოდოს კარგად რეფლექსირებული და ფორმირებული ერთიანი პოლიტიკა, რომელიც უახლოეს მომავალში სწრაფ ცვლილებებს მოიტანს. კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური ჯგუფები (დისპერსიულად განსახლებული ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში საქმე უკეთაა) ძალიან სუსტად არიან ინტეგრირებულნი ერთიან სამოქალაქო-პოლიტიკურ სივრცეში და პრაქტიკულად არ მონაწილეობენ პოლიტიკური ინსტიტუტების და სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პროცესში. ეთნიკური უმცირესობები, მაღალ პოლიტიკურ ეშელონებში მიღებული გადაწყვეტილებების პასიური მიმღებნი უფრო არიან, ვიდრე პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბების აქტიური მონაწილენი, რომელნიც მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის და თვითშეგნების სულისკვეთებით იქნებიან გამსჭვალულნი. ზოგიერთი ქართველი მეცნიერი<sup>48</sup> ამგვარ რეალობას, ეთნიკური უმცირესობებისადმი განხორციელებულ “გეტოიზაციის პოლიტიკადაც” მოიხსენიებს.<sup>49</sup>

ასეა თუ ისე, დღევანდელი საქართველოს საჯარო-პოლიტიკური სივრცე და დისკურსი ეთნიკური კატეგორიების სიმრავლით გამოირჩევა და რთულია მას კონსოლიდირებული, ფართო სამოქალაქო მონაწილეობაზე დაფუძნებული დემოკრატია და აქტიური სამოქალაქო კულტურის (გაბრიელ ალმონდის და სიდნი ვერბას კონცეფციის მიხედვით რომ ვიმსჯელოთ) მატარებელი ეწოდოს, რომლის საფუძველი, თავის მხრივ, ფართო სოციალური და პოლიტიკური კონსესუსია. საქართველოს პოლიტიკური კულტურა უფრო ფრაგმენტული ხასიათის და კონფლიქტოგენური ტენდენციების მატარებელია, რომელშიც მრავალადაა წარმოდგენილი პრიმორდიალური და პრემოდერნული ყაიდის სოციალ-პოლიტიკური

<sup>48</sup> იხილეთ: გია ნოდია, “ საქართველოს მრავალ ეთნოსურობა: ფაქტი, მასთან მიმართება და მოსაზრებები პოლიტიკური სტრატეგიისათვის” / ერთი საზოგადოება მრავალი ეთნოსი: ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2003  
თუმცა, ჩემი აზრით, ეს მთლად მართებული შეფასება არ უნდა იყოს. გეტოიზაციას თავის დროზე, გერმანელი ნაცისტები წინასწარ განზრახული და კარგად მოფიქრებული მიზნებისთვის ახორციელებდნენ. საქართველოს შემთხვევაში, არ გვგონია ადგილი ქონდეს ეთნიკურ უმცირესობათა წინდაწინვე შემუშავებულ რაიმე დისკრიმინაციულ პოლიტიკას. საქართველოს შემთხვევაში ადგილი უფრო გარკვეული გარემოებებით შექმნილ პრობლემებს აქვს, რომელიც ხშირად უნებლიე ხასიათისაა და მათ წინასწარ რეფლექსირებულს ძნელად თუ ვუწოდებთ.

ელემენტები, რომელნიც თავის მხრივ არც თუ მთლად შესაბამისობაში მოდიან თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესებს და მიზნებთან.<sup>50</sup>

რა თქმა უნდა, არსებული მდგომარეობის ჩამოყალიბებაში ბევრ რამეში შეიძლება დავადასაშაულოთ პოლიტიკური ელიტები (მათ შორის ეთნო-პოლიტიკური ელიტები), რომელნიც ქვეყნის სეპარატისტული განსაზღვრის მთავარი მოქმედი პირები არიან, მაგრამ ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოებაც, რომ მოცემული ელიტები ფუნქციონირებენ გარკვეული ისტორიული მემკვიდრეობის და არსებული სოციალ-პოლიტიკური კონტექსტის მიხედვით, რომელიც წარმატებული სამოქალაქო ინტეგრაციის არც თუ ისე ძლიერ იმპულსებს შეიცავს. ამ მხრივ განსაკუთრებით საბჭოთა მემკვიდრეობა გამოირჩევა, რომელმაც სხვა ათასგვარ უკეთურებასთან ერთად სოციუმის მეტად მძლავრი ეთნიკური დაღდასმა<sup>51</sup> მოახდინა, რომლის დაძლევა ფრიად გაუჭირდა ყველა ეთნიკურად მრავალწევრიან პოსტ-კომუნისტურ ქვეყანას. საქართველო კი მათ შორის საკუთარი ეთნო-კულტურული მრავალწევრიანობის პრობლემების გადაუღალახაობით განსაკუთრებით გამოირჩევა. ყველა იმ დაღს და ლაქას შორის, რაც კი დიადმა საბჭოეთმა გვიანდერძა, ყველაზე უარესი ეთნიკური დაღი აღმოჩნდა. ეთნო-კულტურული მრავალწევრიანობის დაძლევა ქვეყნის ურთულესი საგარეო პოლიტიკური პირობები და მიძიმე სოციალ-ეკონომიკური ვითარება განსაკუთრებით აძლიერებს. საქართველოში არსებულ ეთნიკურ უმცირესობებს, არა მხოლოდ სუსტი პოლიტიკური და კულტურული კომუნიკაცია აქვთ ერთმანეთთან, არამედ ეკონომიკური თვალსაზრისითაც მეტად სუსტად არიან შეკავშირებულნი. არსებული საერთო ეკონომიკური ბაზარი არ ხდება მათი ინტენსიური შეხების, კონკურენციის და თანამშრომლობის წყარო. შესაბამისად, გასაკვირი არაა, რომ სახეზე გვაქვს ეთნიკურ უმცირესობათა ფაქტობრივი იზოლაციონიზმი (უმეტეს შემთხვევებში მაინც), რომლის რადიკალურად უკეთესობისკენ ცვლილებაც უახლოეს მომავალში არც თუ მთლად პერსპექტიულად გამოიყურება. იმის მიუხედავად, რომ საქართველოში ყველა საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყოფილია სამოქალაქო თანასწორობის

<sup>50</sup> სალომე დუნდუა, ზვიად აბაშიძე, ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში / გამომცემლობა „ინტელექტი“, თბილისი 2009 გვ. 11-14

<sup>51</sup> სწორად დაღდასმას უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში „სტიგმატიზაციას“ უწოდებენ, მაგრამ ჩვენ მისი ქართული შესატყვისის გამოყენება ვამჯობინეთ

ფორმალური მხარე და ქვეყანა მიერთებულია ყველა იმ ფუძემდებლურ საერთაშორისო საკანონმდებლო აქტს, რომელიც უზრუნველყოფს ადამიანის უფლებების დაცვას, საქმე არსობრივად წინ ნელი ტემპებით მიიწევს. ფაქტია, რომ მხოლოდ ფორმალური სამოქალაქო თანასწორობა ვერ უზრუნველყოფს აქტიურ სამოქალაქო ჩართულობას და ინტეგრაციას, თუმცა მის გარეშე იგი საერთოდ წარმოუდგენელია.<sup>52</sup>

სამოქალაქო ინტეგრაციას ხელს უშლის აგრეთვე მოსახლეობის უმრავლესობის წარმოდგენებში ფესვგადგმული ეთნონაციონალისტური ტენდენციები და მითოლოგიები. არა და მოცემული ეროვნული მითოლოგიები და წარმოსახვები ეროვნულ თვითდადგენას და იდენტობის ფორმირებაში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობს. ეთნონაციონალისტური ტენდენციები ძლიერია არა მხოლოდ ეთნიკურ ქართველებში, არამედ ეთნიკურ უმცირესობებშიც. საქართველოში ეთნონაციონალიზმის გაჩენას რამდენიმე ფაქტორი უზრუნველყოფდა. ეს არის, როგორც ძველი ისტორიული წარსულის და საბჭოთა ტოტალიტარიზმის მემკვიდრეობა, ასევე არსებული სოციალ-პოლიტიკური ვითარების შედეგიც. ამ მხრივ საბჭოთა მემკვიდრეობა განსაკუთრებით ქმედითია, რომელმაც თითქოსდა ძველი საუკუნეების და მის წინაშე არსებული რეალობის სინთეზი მოახდინა და ერთიანი მზა, რეგრესული პროდუქტის სახე მისცა. საბჭოთა დანატოვარმა მართლაც რომ წარუშლელი კვალი დაამჩნია არსებულ ვითარებას, თუმცა არც მანამდე არსებული ისტორიული ვითარება უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან. ალბათ ამ ორი გამოცდილების გადააზრება უფრო უკეთ გაგვცემს პასუხს მასზე, თუ რატომ იყო შესაძლებელი საქართველოში ეთნონაციონალისტური განწყობების გაჩენა და რატომ შეიძლება მუხრუჭდებოდეს ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაცია. რასაკვირველია, სამოქალაქო ინტეგრაციის დამუხრუჭებაში გარკვეული პასუხისმგებლობა მოქმედ პოლიტიკურ ელიტებსაც ეკისრებათ, მაგრამ, როგორც, წესი ნებისმიერი პოლიტიკური აქტორი, რომელიც გარკვეული პოლიტიკური პროექტის დამკვიდრებას ლაშობს, ცდილობს რომ საკუთარი ქმედება ლეგიტიმურობის საბურველში გახვიოს და შესაბამისად ფართე საზოგადოებრივი მხარდაჭერაც მოიპოვოს. ამიტომაც, ხშირ შემთხვევებში ისინი მოცემული რეალობის ტყვეები არიან და ცდილობენ იმგვარ იდეებს დააფუძნონ საკუთარი პოლიტიკური პროექტები, რომლებიც მოქალაქეთა დიდი ნაწილისთვის

<sup>52</sup> სალომე დუნდუა, ზვიად აბაშიძე. დასხ. ნაშრ. გვ.14

კარგადაა ნაცნობი და შესაბამისად მათ მიერ უფრო მეტად გაზიარებული და მხალაჭერილი იქნება.

## 2.1) ისტორიული რეტროსპექტივა

თუ გადავხედავთ საქართველოს წარსულ ისტორიულ გამოცდილებას, ვნახავთ, რომ ფეოდალური საზოგადოება ზოგადად, რომელიც თანამედროვე საქართველოს ყველაზე მძლავრი ისტორიული გამოცდილება და ქმედითი ნარატივია<sup>53</sup> თანამედროვე სახის სამოქალაქო ინტეგრაციაზე ბევრს არაფერს გვეუბნება. ფეოდალური საზოგადოება და დინასტიური სახელმწიფო, სადაც სოციალური იერარქიები კანონიერად დადგენილია, ყოველთვის ნაკლებ ყურადღებას აქცევს საკუთარ ეთნო-კულტურულ განსხვავებულობას. მისთვის მთავარია ნახევრად ღვთიური წარმომავლობის მქონე მონარქისადმი პირადი ლოიალობა და მისადმი მსახურება. შესაბამისად, ეთნო-კულტურული განსხვავებულობა მონარქის მხრიდან საფრთხედ არ აღიქმება, თუ კი ამგვარი ჯგუფების მხრიდან მის მიმართ ლოიალობა გარანტირებულია. მონარქი ინდიფერენტულია ქვეყნის ეთნო-კულტურული დიფერენციაციისადმი და მისთვის არავითარ საჭიროებას წარმოადგენს, ქვეშევრდომთაგან კულტურულად ჰომოგენური საზოგადოების ჩამოყალიბება. იგი ვერტიკალური სტრატეგიით მოქმედებს და მისთვის ჰორიზონტალურ კავშირებს არსებითი მნიშვნელობა არ გააჩნია. დინასტიურ სახელმწიფოს აგრეთვე ძალუძს ერთ პოლიტიკურ სივრცეში არსებულ განსხვავებულ სამართლებრივ სისტემათა მიმართ ტოლერანტული დამოკიდებულება (და ფეოდალიზმი ხშირად ამგვარი, ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი შიდა ადათობრივი სამართლის კონსერვაციასაც ახერხებს). იგი არ მიეღწვის პოლიტიკურ და კულტურულ სტანდარტიზაციას. ეს უკანასკნელი თანამედროვეობის ფენომენია. <sup>54</sup>

დინასტიურ სახელმწიფოში, მონარქი ზეეთნიკური პოლიტიკური სიმბოლოა და როგორც წესი მისი ეთნიკური მიჯაჭვულობა არც თუ ისე მყარია. ამის ნათელი დადასტურებაა ნებისმიერი ფეოდალური თუ დინასტიური სახელმწიფო და მათ შორის საქართველოც. ბაგრატიონთა სახლის არაერთი წევრი (სარძლოები თუ

<sup>53</sup> ფეოდალიზმამდე არსებული ეპოქა, საქართველოს კოლექტიურ მეხსიერებაში უფრო პასიური სახითაა წარმოდგენილი და ამიტომაც მასზე ყურადღებას ნაკლებად გავამახვილებთ, თუმცა ისტორიკოსები ხშირად ახდენენ მასზედ აპელირებას.

<sup>54</sup> დუნდუა, აბაშიძე ... დასხ. ნაშრ. 16.

სასიძოები), როგორც წესი ხშირად არაქართული ეთნიკური წარმოშობისანი იყვნენ<sup>55</sup>, მაგრამ ეს მოვლენა ჩვეულებრივი იყო მაშინდელი ქართული კულტურულ-პოლიტიკური სამყაროსთვის და რაიმე განსაკუთრებულ განსჯის საგანს არ წარმოადგენდა. ასევე იყო სხვა ქვეყნებშიც. ამავე დროს, მრავალი არაქართული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი იყო დაწინაურებული საქართველოს სამეფო კარზე, მაგრამ იმისგან გამომდინარე, რომ მათ უპირობო ლოიალობა გააჩნდათ მეფის და სამეფო პოლიტიკისადმი და ამიტომაც ჩვეულებრივ ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებად აღიქმებოდნენ. მოცემული კონცეფციიდან გამომდინარე, სრულიად ბუნებრივი იყო შუა საუკუნეებში გვერდი-გვერდ განსხვავებულ ეთნო-კულტურულ სეგმენტთა (რომელთა სამართლებრივი რეგულირებაც ხშირად დიფერენცირებული სახის იყო) მშვიდობიანი თანაარსებობა. მათი მთავარი მოვალეობა ხომ მეფის და ღვთისადმი მსახურება და ლოიალობა იყო. შუასაუკუნეობრივ ქართულ ფეოდალურ მონარქიაში, განსაკუთრებით კი მისი ძლიერების ეპოქაში (ასევე შემდგომაც), სრულიად ბუნებრივად თანაარსებობდა გვერდი-გვერდ, როგორც ქართული მართლმადიდებლური, ისე სომხური გრიგორიანული, მუსლიმური თუ სხვა ეთნო-რელიგიური თემები. შოთა რუსთაველისთვის ბუნებრივი იყო არაქართულ სამყაროში მოეძია საკუთარი შედეგების პერსონაჟები. მისთვის ხომ მთავარი ეთნიკური მობილიზაცია და ეთნიკური უპირატესობის დასაბუთება არ იყო (როგორც ეს თანამედროვე სამყაროში გვხვდება ხოლმე). რუსთაველისთვის, ქრისტიანული უნივერსალიზმის თანახმად, ღვთიური ჭეშმარიტების მიღწევა იყო უპირველესი ამოცანა (რაც ყველა ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკურ ნორმას წარმოადგენდა, ფორმალურად მაინც), რომლისთვისაც საამისოდ კონკრეტული ეთნიკური კუთვნილება ნამდვილად არ იყო საჭირო და გამსაზღვრელი. ჭეშმარიტება და ღმერთი მისთვის (როგორც ზოგადად ქრისტიანული მოძღვრებისთვის) ზეეთნიკურია და კონკრეტულ ეთნიკურ საზღვრებს ვერ ეგუება. ამიტომაცაა, რომ ავთანდილი, ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ფრიდონი, ასმათი ან როსტევეანი სრულიად განსხვავებული ეთნიკური წარმოშობისანი არიან, მაგრამ ეს მათ ხელს სრულიადაც არ უშლით იმოქმედონ შეთანხმებული და თანაზიარი სტრატეგიით. მათ ხომ ყველას ერთი ჭეშმარიტი მიზნისკენ სწრაფვა აერთიანებთ. რუსთაველის გმირთა მოცემული ქმედება

<sup>55</sup> თვით ლეგენდაც ბაგრატიონთა წარმომავლობაზეც ხომ მათ ეთნიკურ არაქართველობაზე მოგვითხრობს. ამავე დროს, როგორც წესი ქართული ფეოდალური საგვარეულოების წარმომავლობების ლეგენდები, მათ არაქართველობას ამტკიცებს

უმთავრესად ტელეოლოგიური ხასიათისაა, რომელიც, თანამედროვე ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, „ბრმაა“ ეთნიკური განსხვავებულობის მიმართ. რუსთაველის გმირების უმთავრესი მიზანი ჭეშმარიტების ერთად მოძიება და მასთან ზიარებაა, რომელიც ყოველგვარ ჯგუფობრივ იდენტობაზე მაღლა დგას და თავისი არსით ზეკოლექტიურია.<sup>56</sup>

ზოგადად ფეოდალური დაქუცმაცებულობის და კარნაკეტილობის („აგრარული საზოგადოება“, როგორც ერნს გელნერი უწოდებს) ვითარებაში ფრიად შესუსტებული ინტენსივობით მიმდინარეობს ეთნიკური/ეროვნული სახის კონსოლიდაციები და კულტურული სტანდარტიზაციები. ჰოლისტური თვალთახედვით, ფეოდალიზმი, პრაქტიკულად კულტურულად დანაწევრებულ საზოგადოებას აყალიბებს. თუმცა, მაღალი არისტოკრატის და პოლიტიკური კლასის დონეზე შესაძლებელია გარკვეულად პოლიტიკურად და კულტურულად კონსოლიდირებულ პოლიტიკურ კლასთან გვექნდეს საქმე, რომელნიც მეტნაკლებად სტანდარტული კულტურული და პოლიტიკური საჯარო სიმბოლოების მატარებელი არიან. ამგვარი პოლიტიკური კლასი ეწევა კულტურულად დანაწევრებული საზოგადოების მობილიზაციას და მათი მხრიდან ლოიალობის გარანტიების მიღებას. თუმცა, მსგავსი მოქმედებანი იერარქიული ხასიათისაა და მეტად ზანტ სოციალურ მობილობას ემყარება.

ფეოდალიზმისთვის სოციალური და პოლიტიკური კომუნიკაციის სუსტად ინსტიტუციონალიზებული ქსელია დამახასიათებელი. მოცემული კომუნიკაციური სისტემა პერსონიფიცირებული ხასიათისაა და უმეტესად პატრონ-კლიენტელიზმს და ნეპოტიზმს ეფუძნება. ასეთი ტიპის ურთიერთობა დამახასიათებელია, როგორც კონკრეტული დომინანტი ეთნო-კონფესიური ჯგუფისთვის, აგრეთვე ეთნო-კონფესიური უმცირესობებისთვისაც. ფეოდალური სოციალ-პოლიტიკური წესრიგი ძალაუფლების ცენტრთან პირადი კავშირებით რეგულირდება და არ ეფუძნება თანამედროვეობისთვის დამახასიათებელ უნიფიცირებულ სამართლებრივ და პოლიტიკურად კოლექტიურ, დეპერსონიფიცირებულ რეგულაციებს. ანუ როგორც ნაციონალიზმის ცნობილი თანამედროვე მკვლევარი მაიკლ ჰენტი ამტკიცებს, ფეოდალიზმისთვის დამახასიათებელია ე.წ. არაპირდაპირი მართვა.<sup>57</sup>

<sup>56</sup> იქვე . გვ. 18-19

<sup>57</sup> იხ: მაიკლ ჰენტი, ნაციონალიზმის შეხერხება, თბილისი 2007

საქართველო, რომელიც ტრადიციულად სუბ-ეთნიკური ჯგუფების (და შესაბამისად მსხვილ რეგიონთა<sup>58</sup>) დიდ სოლიდარობას წარმოადგენდა, ბუნებრივია ფეოდალიზმის ეპოქაში ვერ მოახერხებდა თანამედროვე ტიპის პოლიტიკურად და კულტურულად ჰომოგენური იდენტობის ჩამოყალიბებას და განმტკიცებას, თუ გავითვალისწინებთ მაშინდელ რეგიონულ კარნაკტილობას და ტექნიკურ საშუალებებს. თუმცა უნდა უთქვას, რომ საქართველოს ფეოდალური პოლიტიკური კლასი კულტურულად საკმაოდ კონსოლიდირებული იყო და წიგნიერი კულტურის საშუალებით ახდენდა კიდევ საერთო კოლექტიური სიმბოლოების წარმოებას და კვლავწარმოებას.

იმის მიუხედავად, რომ ქართული ფეოდალური კლასისთვის უცხო ნამდვილად არ იყო ცენტრიდანული ტენდენციები და საერთო პოლიტიკური სივრციდან განკერძოების მცდელობები (როგორც ნებისმიერი ქვეყნის ფეოდალური კლასისთვის), ამგვარ განკერძოებებს არ ახასიათებდა რაიმე ცალკე კულტურული სივრცის ჩამოყალიბების ინტენციები. პოლიტიკური განკერძოებაც იმავე პოლიტიკურ სივრცეში დაბრუნების მცდელობა იყო მხოლოდ, ოღონდ უკვე ახალი ძალაუფლების ცენტრის ფორმირების მოთხოვნით. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა განდგომილი ფეოდალი, რომელიც კი მეფობას მიეღობოდა, ცდილობდა თვითონვე ეტარებინა ერთიანი საქართველოს მეფეთა ტიტულატურა. მათთვის ხომ პოლიტიკური სამყაროს და ძალაუფლების ცენტრი, სიმბოლურად მაინც, ერთიანი საქართველო იყო და არა რომელიმე პროვინციის გამგებლობა და რაიმე ახალი პოლიტიკური სამყაროს ძიება. „საქართველო“ მათთვის ეს იყო დიდი საქრისტიანო თანამეგობრობა, რომლის ხელმწიფებაც შეიძლება ითქვას ბიზანტიის კეისრის პატივისცემად კი იყო. გაერთიანებული ქართული მონარქია, ხომ მე-12-ე საუკუნეში გამოეყო დიდი ბიზანტიურ თანამეგობრობას<sup>59</sup> და თვითონ შეეცადა ალტერნატიული პოლიტიკური წესრიგის და მსხვილი საქრისტიანო თანამეგობრობის შექმნას. ამ გაგებით, 12-13 საუკუნეების

<sup>58</sup> მოცემული რეგიონების და სუბ-ეთნიკური/ეთნოგრაფიული ჯგუფების ქმედების ტრაექტორია მიმართული იყო ვერტიკალურად, ქვემოდან ზემოთ ერდაქმნადობის პროცესში. ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, მსხვილ რეგიონებში (მხარეებში, კუთხეებში) განსახლებული სუბ-ეთნიკური/ეთნოგრაფიული ჯგუფები ქმნიდნენ პოლიტიკურ-კულტურულ პროექტს „საქართველოს“ და არა პირიქით. ამიტომაც არის, რომ დღემდე ასე მძლავრად შემოგვრჩა რეგიონული ინდენტობები. „ქართველად“ ქცევა რეგიონულ ჯგუფში წევრობით იწყება. იყო „ქართველი“ ამავე დროს ნიშნავს იყო „იმერელი“, „კახელი“, „ქართლელი“, „მეგრელი“, „სვანი“ და ა.შ.

<sup>59</sup> ეს გამოიხატა, დავით აღმაშენებლის მიერ ბიზანტიურ საკარისკაცო ტიტულებზე უარის თქმით, რომლებსაც ატარებდნენ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის წარმომადგენლები დავითის გამეფებამდე.

ქართული პანკავკასიური სახელმწიფო, თავისებურ იმპერიას წარმოადგენდა. იგი იმპერია გახლდათ იმდენად, რამდენადაც ის არ იყო მხოლოდ ერთგვაროვანი კულტურული წარმონაქმნი და შემადგენლობით მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური იყო.<sup>60</sup> იგი მაშინდელი დროის ზესიმძლავრის სახელმწიფოა, რომელიც საკუთარ შიდა საზღვრებში „ხარშავს“ (ერთგვარი „სადნობი ქვაბია“) კიდევ დამატებით მრავალ კულტურას და ეთნო-რელიგიური შემწყნარებლობით საზრდოობს. ამიტომაც, განდგომილ ფეოდალთა მცდელობა თვით ყოფილიყვნენ „იმპერატორები“ დიდი თანამეგობრობისა, გაცილებით პრესტიჟული იქნებოდა, ვიდრე მხოლოდ რომელიმე პროვინციის (თუნდაც მდიდარი) გამგებლობა. ამგვარი განკერძოებები არ გამოხატავდნენ კულტურულ განსხვავებულობებს. **ეს იყო პოლიტიკური ძალაუფლების ცენტრის კონსოლიდაციის მრავალსაუკუნოვანი პროცესი, რომელიც საერთო კულტურულ არეალში მიმდინარეობდა.**

ფეოდალური საზოგადოების შედარებით მდგრად კულტურულ ჰომოგენურობას ხელს დიდწილად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია უწყობდა, რომელიც პოლიტიკური დაქუცმაცებულობის მიუხედავად, უმეტესად მაინც ახერხებდა ერთიანობის შენარჩუნებას და შესაბამისად საერთო კოლექტიური კულტურული სიმბოლოების აღწარმოებას და განმტკიცებას<sup>61</sup>. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფეოდალური კლასი (რამდენად პარადოქსულიც არ უნდა იყოს) და მართლმადიდებელი ეკლესია, ელიტურ-სიმბოლურ დონეზე მაინც, უზრუნველყოფდა ერთიანი პოლიტიკური და კულტურული სივრცის და იდენტობის ფორმირებას. ანუ ეს იყო კულტურის ტიპი, რასაც გელნერი „მაღალთა კულტურას“ უწოდებს.<sup>62</sup> რამდენად შესაძლებელი იქნებოდა ამგვარი კონსოლიდირება და უნიფიცირებული კულტურის დანერგვის სტრატეგია უკვე მასობრივ, ე.წ. „უბრალოდ ხალხის“ დონეზე - უკვე რთული სათქმელია. თუ კი იგი იარსებებდა, ალბათ უფრო სუსტად, ვიდრე ეს ელიტის დონეზე შეიძლება ყოფილიყო. ხშირ შემთხვევაში ამგვარ საერთო სიმბოლოების წარმოქმნა დაბალ სოციალურ დონეზე, უფრო ზეპირსიტყვიერებით და მითოლოგიებით იყო

<sup>60</sup> იხ: Jane Burbank and Frederick Cooper. *Empires in World History*. Princeton University Press 2010, pp. 30-77

<sup>61</sup> მოცემული საკითხი, ეკლესიის და კულტურული იდენტობის იგივეობის შესახებ გამოხატულია გიორგი მერჩულეს ცნობილ ფორმულაში, რომ „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების...“ და ა.შ.

<sup>62</sup> იხ. ერნსტ გელნერი, *ერები და ნაციონალიზმი*, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2003

უზრუნველყოფილი, ვიდრე რაიმე ფორმალიზებული ინსტიტუციებით. ფეოდალური საზოგადოება არ იძლეოდა პორიზონტალური ტიპის პომოგენური კულტურის და იდენტობის ფორმირების საშუალებას. ანუ მაქს ვებერის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფეოდალიზმისთვის არ არის მნიშვნელოვანი ლეგალურ-სამართლებრივი ბატონობის იდეალური ტიპის ფორმირება. ის უფრო სადღაც ქარიზმატულ და ტრადიციულ ბატონობას შორის მერყეობს. თუმცა, ელიტის დონეზე იგი საქართველოში მეტ-ნაკლებად ფორმირებულ იქნა ერთიანი ქართული ფეოდალური მონარქიის პირობებში (რომლის მართვა-გამგეობა და პოლიტიკური მსოფლმხედველობაც „ერთნებობის და თანადგომის“ პრინციპებს ეფუძნებოდა<sup>63</sup>), რამაც შემდგომში, თავის მხრივ საფუძველი ჩაუყარა კიდევ თანამედროვე ქართულ იდენტობას.

„საქართველო“, როგორც პოლიტიკურ-კულტურული პროექტი წარმოშვა ფეოდალურმა სისტემამ. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს თავის ცნობილ ნაშრომში, რომ „... უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა, ანუ იმერსა, მესხსა, და ჰერკახსა რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: „ქართველი“. მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი-იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული: და ჰკითხო რა წინთქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწვი“, მოგიგებს მყის: „ქართული“. რამეთუ არა იტყვს, არცა რჯულსა, ენასა და წიგნთა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთა, არამედ ქართულსა. მესამე: არასადმე ვიხილავთ დიდთა შენებულთა და ეკლესია მონასტერთა ანუ ხატთა და ჯუართა ძვირფასთა, რომელთა ზედა იყო სხუათა მეფეთა სახელნი, თვინიერ: „ჩუენ მეფეთა საქართველოსამან ანუ ქართლისამან ანუ აფხაზეთისამან“, რომელთა ზედა წერილ არიან ქუათა, ხატთა და ჯუართა ზედა“.<sup>64</sup> ამავე დროს, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ვახუშტისთვის, „საქართველო“, მონოეთნიკური განსახლების სივრცე არაა, იგი მრავალეთნიკურია. როდესაც ბატონიშვილი აღწერს საქართველოს სამეფოს, მასში იგი მოიაზრებს ჩრდილოეთი კავკასიის უდიდეს ნაწილსაც და სხვა ბევრ არაეთნიკურად ქართველებით დასახლებულ ტერიტორიასაც<sup>65</sup>. ერნსტ გელნერის მტკიცებულება, რომ „ნაციონალიზმი არის პოლიტიკური პრინციპი, რომელიც

<sup>63</sup> იხ. შალვა ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტომი II თბილისი 1964 და ივანე ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორია“ ტომი III, თბილისი 1985

<sup>64</sup> ქართლის ცხოვრება, ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბილისი 1973, გვ.291-292

<sup>65</sup> რადგანაც მისთვის „საქართველო“ 11-13 საუკუნეების „საქართველო“.

ეროვნული და პოლიტიკური საზღვრების ურთიერთ დამთხვევას მოითხოვს“<sup>66</sup> ვახუშტისთვის ნაკლებად აქტუალურია. მისთვის „საქართველო“, როგორც პოლიტიკური პროექტი უფრო ზეეთნიკური ხასიათისაა და გარკვეულწილად ნებელობითი ქმედების პროდუქტია, ვინემ რაიმე ორგანული, ეთნიკური სახის მოცემულობა. ნაციონალიზმის ცნობილი მკვლევარი ბენედიქტ ანდერსონი ასახულებს, რომ ერი წარმოსახვითი პოლიტიკური ერთობაა, წარმოსახვითია იგი იმდენად, რამდენადაც ერის ყოველი წევრი არასდროს იცნობს ერის ყოველ წევრს და საკუთარ თანამომხმეებს საერთო კულტურული სიმბოლოების და პოლიტიკური საზღვრების საშუალებით წარმოსახავს.<sup>67</sup> რთულია არ დავეთანხმოთ ანდერსონის მტკიცებულებას, მაგრამ ამავე დროს ისიც უნდა გავითვალისწინოდ, რომ ეროვნული საზღვრების წარმოსახვა მყისიერად შეუძლებელია და გარკვეული ისტორიული გამოცდილების დაგროვებაა საჭირო, რათა კოლექტიურმა სიმბოლოებმა ლეგიტიმურობა შეიძინონ და გაზიარებული იქნას კონკრეტული ეროვნული ჯგუფის უმრავლესობის მიერ მაინც და საბოლოოდ „ეროვნულ“ სიმბოლოებად იქცენ.<sup>68</sup>

ფეოდალურ-დინასტიურ სახელმწიფოში მოცემულ პოლიტიკურ წესრიგში ჩართულობა და ადაპტაცია უმთავრესად ორი მთავარი პრინციპით ხორციელდებოდა. ერთი, ეს იყო მეფისადმი უპირობო ლოიალობა და მორჩილება (მეფის ძალაუფლების ლეგიტიმაციას კი, როგორც შუასაუკუნეობრივი პოლიტიკური ფილოსოფია ასახულებდა, ღვთიური წარმოშობა ჰქონდა და არაფერი ჰქონდა საერთო მისი ქვეშემრღომების ნება-სურვილთან) და მეორე, ეს იყო დომინანტი რელიგიური აღმსარებლობის თემის წევრად გახდომა. შუასაუკუნეობრივი პოლიტიკური სამყარო, რომელიც საკრალიზებული იყო და რელიგიას მასში უფრო საჯარო-ვალდებულებითი ხასიათი ქონდა, რელიგიურ თემში წევრობა, კონკრეტული ჯგუფობრივ-კულტურული იდენტობის ფორმირების საქმეში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს თამაშობდა<sup>69</sup>. მოცემული ორი პრინციპის

<sup>66</sup> ერნსტ გელნერი, *ერები და ნაციონალიზმი*, ნეკერი, თბილისი 2003 წელი, გვ. 3

<sup>67</sup> იხილეთ: ბენედიქტ ანდერსონი, წარმოსახვითი საზოგადოებები, გამომცემლობა ენა და კულტურა, თბილისი 2003.

<sup>68</sup> დუნდუა, აბაშიძე ... დასხ. ნაშრ. გვ. 20-21

<sup>69</sup> კონფესიური და ეთნიკური/ეროვნული იდენტობის ურთიერთდამთხვევა იმდენად მძლავრი იყო ფეოდალურ საქართველოში, რომ მე-18 საუკუნეში, ერეკლე II-ის კარზე მოღვაწე საქსონელი მოგზაური იაკობ რაინგის გაკვირვებით აღნიშნავს, „...არცერთი აზიური ენა (მასში ქართულიც იგულისხმება.ავტ. შენ) არ გამოთქვამს სიტყვა „ხალხს“ (ნაციას) რელიგიისგან განყენებულად, რომ მასში „რელიგიასაც“ არ გულისხმობდეს, რომელსაც ესა თუ ის ხალხი ეზიარება. მაგალითად

თანხვედრით უზრუნველყოფილი იყო კონკრეტული პირის თუ ჯგუფის კონკრეტულ პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობა. იგი აღარ მოითხოვდა თანამედროვე ტიპის შემდგომ ფორმალიზებულ საკანონმდებლო თუ სხვა ბიუროკრატიული ტიპის რეგულაციებს. ამავე დროს, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ შუასაკუნეობრივმა დინასტიურმა სახელმწიფომ არ იცის თანამედროვე პოლიტიკური-სამართლებრივი ნორმა, რომელიც სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების ხელშეუხებლობას (და სუვერენული საზღვრები კი ეროვნული თვითდადგენის წარმოსახვის ერთი უმთავრეს ფაქტორთაგანია) ქადაგებს. მაშინდელი სახელმწიფოს საზღვრები ფრიად მოძრავი ხასიათისაა და ძალზე ხშირი ცვლილებების საგანია. ეს ძირითადად ორი გზით ხდებოდა: როგორც ერთი სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოს ხარჯზე ტერიტორიული გაფართოებით (დაპყრობითი ომები კი ფეოდალური ეპოქის პოლიტიკური ნორმა იყო), ისე დინასტიური ქორწინებების შედეგად. ამიტომაცაა, რომ ხანდახან, შუასაკუნეობრივ სახელმწიფოებს სახელმწიფოებს არც უწოდებენ და უფრო პროტოსახელმწიფოებრივი წარმონაქმნების სტატუსი აქვთ მინიჭებული.<sup>70</sup>

## 2.2) „ქართველი ერი“ მოდერნის ფორმაში

წარმოდგენილი სისტემა და პრინციპები მოდერნის ეპოქამ დაარღვია და სრულიად ახალი პოლიტიკური ნორმები დაადგინა. მოიშალა შუასაკუნეობრივი პერსონიფიცირებული დინასტიური სახელმწიფო და ლეგიტიმურობის კონცეფცია და ადგილი დაუთმო თანამედროვე სახალხო სუვერენიტეტის საფუძველზე ჩამოყალიბებულ წარმომადგენლობით, უპიროვნო, კოლექტიურ სახელმწიფოს. მაიკლ ჰენტიერი ამგვარ რეალობას, პირდაპირი მართვის დამყარებას უწოდებს.<sup>71</sup> მოდერნის რეალობებმა უარყო ეთნო-კულტურულად იერარქიული დამოკიდებულებების შუასაკუნეობრივი წეს-წყობილება და სახელმწიფოს ყველა მაცხოვრებლის სამოქალაქო თანასწორობა მოითხოვა, მათი განსხვავებული ეთნო-კულტურული კუთვნილების მიუხედავად. სეკულარიზმის წინა პლანზე წამოწვევამ

---

სპარსელი მაჰმადიანი, თუ სომეხ ქრისტიანთა რჯულს მიიღებს, ამ ახლად მოქცეულს არასდროს სპარსელს აღარ უწოდებს, არამედ მასზე იტყვის: „ ის სომეხი გახდა“, მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი არ გამოუცვლია. სომეხი, თავის სამშობლოს შუაგულში, როგორც კი მიიღებს ძველ ბერძნულ სარწმუნოებას გეორგიელებისას, აღარ ითვლება სომხად და მას ეძახიან გეორგიელს (გურჯი), არა ქვეყნის გამო, რადგან ის რჩება მუდამ არმენიაში, არამედ სარწმუნოების გულისთვის, რომელიც მან აღიარა. – წარმართი ოსი იცვლის თავის სახელს და ირქმევს გეორგიელს, როგორც კი გაქრისტიანდება.” იაკობ რაინგესი, *მოგზაურობა საქართველოში*. არტანუჯი, თბილისი. 2002. გვ. 176-177

<sup>70</sup> იხ. Anthony Giddens, *Nation-State and Violence*, University of California Press, 1987

<sup>71</sup> მაიკლ ჰენტიერი.. დასახელებული ნაშრომი.

რელიგია საჯარო სფეროდან კერძო სფეროში გადაისროლა და პოლიტიკურად გაანეიტრალა. თუმცა, დღემდე იმ ქვეყნებმა, რომლებმაც ნაგვიანები მოდერნიზაცია გაიარეს და სადაც სოციალური გარდაქმნების მთავარ აგენტად სახელმწიფო გვევლინებოდა, რელიგიამ კვლავაც შეინარჩუნა ეროვნული იდენტობის ერთ-ერთი მარკერის სახე. სეკულარიზმს, მოცემულ ქვეყნებში არ მიუღია ისეთი სახე, რომ რელიგიისთვის მხოლოდ კერძო სფეროს მნიშვნელობა დაეტოვებინა. ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა მაგ: პოლონეთი, საბერძნეთი, სერბეთი და მათ შორის საქართველოც, დომინანტ რელიგიურ აღმსარებლობას კვლავინდებურად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში. ამიტომაც ეკლესია, როგორც ინსტიტუცია, კვლავაც მნიშვნელოვანი გავლენით სარგებლობს საზოგადოების განწყობების ჩამოყალიბებაზე და პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირების პროცესში არც თუ უმნიშვნელო ადგილი უჭირავს.<sup>72</sup>

მოდერნიზაციის პროცესმა, რომელიც ევროპულ სამყაროში განვითარდა, “ერის” ორი მთავარი მოდელი და კონცეფცია წარმოშვა. პირველი, ეს იყო ერის ე.წ. „სამოქალაქო“ კონცეფცია, რომელიც საფრანგეთსა და ანგლოსაქსურ სამყაროში დაიბადა (თუმცა ფრანგული მიდგომა უფრო ცენტრალიზებული და ეტატისტურია). მოცემული მოდელის მიხედვით “ერის” წევრად გახდომას კონკრეტული პირის მოქალაქეობა განსაზღვრავდა. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა სახელმწიფო ზრუნვას კულტურულად ერთგვაროვანი საზოგადოების ჩამოყალიბებაზე (უპირველსად კი ამას განათლების ცენტრალიზებული სისტემით ახორციელებდა). სხვაგვარად მას ინკლუზიურ, ლიბერალურ ასიმილაციის მოდელადაც მოიხსენიებენ, რომელიც უზრუნველყოფს ე.წ. “ჩართულობის” პოლიტიკურ პროექტს და „ბრმაა“ ეთნო-კულტურული დიფერენციაციის მიმართ; მაგრამ მონარქიული ეთნო-კულტურული ინდიფერენტიზმისგან განსხვავებით, რომელიც არ მოითხოვდა საზოგადოების კულტურულ ერგვაროვნებას და შესაბამისად ეთნო-კულტურული იდენტობების შენარჩუნების საშუალებას იძლეოდა, ლიბერალური ასიმილიაცია უკვე ვეღარ ეგუება ეთნო-კულტურულად მრავალწევრიანი საზოგადოების არსებობას და მისთვის უმთავრესი ჰომოგენური საზოგადოების ჩამოყალიბებაა. მისთვის მთავარია ინდივიდუალური მიკუთვნებულობა და არა კოლექტიური, როგორც ეს ფეოდალიზმის ეპოქაში იყო.

<sup>72</sup> დუნდუა, აბაშიძე... დასხ. ნაშრ. გვ. 22

ინტელექტუალურად ერის სამოქალაქო დისკურსს ზურგს განმანათლებლობა და რაციონალიზმის პოლიტიკური ფილოსოფია უმაგრებდა.<sup>73</sup>

მეორე მოდელი ესაა ე.წ. “გერმანული” მოდელი. ეს უკანასკნელი ერის ეთნიკურ მოძღვრებას ქადაგებდა, რომლისთვისაც სამოქალაქო იდენტობაზე მეტად მნიშვნელოვანი ეთნო-კულტურული იდენტობაა. მას სხვაგვარად “დიფერენციაციის” მოდელადაც მოიხსენიებენ, რომელიც თავისი არსით “ექსკლუზივისტურია” და “გარიყულობის” პოლიტიკურ პროექტს უზრუნველყოფს. გეოგრაფიულად, გერმანული მოდელი გავრცელდა მთელს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში. მისი ინტელექტუალური ძირები კი გერმანულ რომანტიზმს და კლასიკურ ფილოსოფიაში უნდა ვეძიოთ.<sup>74</sup>

ამ ორი სხვადასხვა რეალობის ჩამოყალიბებას თავისი კონკრეტული მიზეზები გააჩნდა. დასავლეთი ევროპის შემთხვევაში, თანამედროვე ერი-სახელმწიფოს ფორმირებისას ერთდროულად მიმდინარეობდა როგორც თანამედროვე ერის, ისე ცენტრალიზებული სახელმწიფოს კონსტრუირება, რამაც თავის მხრივ ეს ორი ფენომენი ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირა. ამავე დროს, სოციალური და ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, დასავლეთი ევროპის ქვეყნები ფეოდალური იერარქიების უარყოფას და კაპიტალიზმის გეგმაზომიერ განვითარებას ემყარებოდნენ<sup>75</sup>. ამიტომაც, აღნიშნულ შემთხვევაში, როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური ინტეგრაცია ნაკლებად მტკივნეულად, სწრაფად და უფრო ბუნებრივად წარიმართა.

გერმანიის და აღმოსავლეთი-ცენტრალური ევროპის შემთხვევაში განსაკუთრებით საქმე სხვაგვარ რეალობასთან გვაქვს. ამ შემთხვევაში, კონცეპტუალურად, ჯერ ერის კონსტრუირება იწყება, რომელიც ეთნო-კულტურული იდენტობის საშუალებით ცდილობს საკუთარი ეროვნული საზღვრების დადგენას და შემდგომში იწყებს უკვე თანამედროვე ცენტრალიზებული სახელმწიფოს

<sup>73</sup> ღუნდუა, აბაშიძე... გვ. 23

<sup>74</sup> აღნიშნულ საკითხზე უამრავი ლიტერატურა არსებობს: მაგ Umut Ozkirimli, *Contemporary debates on nationalism*, Palgrave 2005, ენტონი სმითი, *ნაციონალიზმი თბილისი 2004*, ანტონი სმითი, *ნაციონალური იდენტობა*, თბილისი 2008, Урс Альтерматт, *Етнонационализм в Европе*, Москва 2000, Владимир М а л а х о в, *Национализм как политическая идеология*. - М.: Книжный дом "Университет", 2004, ბედიქტ ანდერსონი, „წარმოსახვითი საზოგადოებები“, ერნსტ გელნერი „ერები და ნაციონალიზმი“ და უმრავი სხვა.

<sup>75</sup> თუმცა დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში ასე არ ყოფილა. მაგ: პორტუგალიის, ესპანეთის და იტალიის შემთხვევები ქვემოთ აღწერილ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის მაგალითს უფრო ემგვანება, თუმცა მისგან განსხვავდება გარკვეული თავისებურებებით

ჩამოყალიბებას, რომლისთვისაც მას უკვე ეროვნული საზღვრების მზა რეცეპტი უნდა მიეწოდებინა. ამავე დროს, მოცემული პროცესი დასავლეთი ევროპისგან განსხვავებით, ნახევრად ფეოდალურ სოციალურ სისტემას ემყარებოდა და ნაგვიანევი კაპიტალიზმის პირობებში ვითარდებოდა. შესაბამისად, ერადქმნადობის პროცესი და ეთნიკური ადაპტაცია მეტი სირთულეებით წარიმართა. ამავე დროს, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში ერის დისკურსის განვითარებას მათი მსხვილი იმპერიებისგან გათავისუფლების მცდელობა ედო საფუძვლად, რაც კიდევ უფრო აღვივებდა მათში ეთნონაციონალურ განწყობებს.

76

საქართველო, რომელიც ტიპოლოგიურად აღმოსავლეთ-ცენტრალური და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის განვითარების მოდელს უფრო ემგვანება, ბუნებრივია შესაბამისი პირობების არ არსებობის გამო, დასავლეთი ევროპის სტრატეგიას ვერ განავითარებდა. თანამედროვე ერის დისკურსი საქართველოში, რომელიც მე-19 საუკუნეში წარმოიშვა ილია ჭავჭავაძის თაოსნობით<sup>77</sup> და რომელშიც ახლად წარმოქმნილი ინტელექტუალური წრეები დებულობდნენ მონაწილეობას (და არა ახალი სოციალური კლასი ბურჟუაზია, როგორც ეს დასავლეთ ევროპის შემთხვევაში იყო),<sup>78</sup> რომანოვთა იმპერიის ბატონობის პირობებში ვითარდებოდა. ამიტომაც, ქართველ ინტელექტუალთა მთავარი ამოცანა იყო „ქართველის ერის“, როგორც ეთნო-კულტურული წარმონაქმნის საზღვრების

<sup>76</sup> ღუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. 24

<sup>77</sup> ილიას ეკუთვნის აგრეთვე ევროპული „ნაციის“ ქართულ „ერად“ თარგმნა. „ნაცია“ ოდესღაც ევროპის ისტორიულ რეალობაში კონკრეტული სოციალური ჯგუფის გენეტიკურ წარმოშობაზე მიუთითებდა, ხოლო „ერი“ შუასაუკუნეების საქართველოში ადამიანთა სეკულარულ კრებულთან იგივედებოდა, რომელსაც საქმე არაფერი ქონდა გენეტიკურ ნათესაობასთან. ამიტომაც, ილიამ ზუსტად შეარჩია ევროპული „ნაციის“ შესატყვისი ქართული „ერის“ სახით. ილიას დროინდელი ევროპული „ნაცია“ უკვე სეკულარული, პოლიტიკურ-კულტურული ერთობაა, ხოლო საქართველოში ილიამ არსობრივად მისი პირდაპირი შესატყვისი მოძებნა სეკულარული „ერის“ სახით, რომლის მნიშვნელობა უკვე შუასაუკუნეებისგან განსხვავებით ადამიანთა გაცილებით დიდ სეკულარულ კრებულს ნიშნავდა. თუმცა არსებობს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ბოლო ხანებში გავრცელებული აზრი, რომ ქართული „ერი“, ევროპულ „ნაციას“ არ შეესატყვისება (იხ: **სერგო რატიანი**. „სარწმუნოებით ქართველი“: სეკულარიზაცია და ქართველი ერის დაბადება / ქართველი ერის დაბადება. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი) ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2009) და ხშირად ტერმინ „ნაციას“ გამოიყენებენ, რაც ჩემი აზრით არასწორია. ილიას მიერ შექმნილი „ერის“ იდეა, ზუსტად ევროპული „ნაციის“ იდეის ანალოგიაა, როგორც გარეგნული ფორმით, ისე შინაარსით.

<sup>78</sup> ინტელექტუალთა განსაკუთრებული როლის შესახებ ეროვნული იდეის პროპაგანდის საქმეში იხილეთ ცნობილი ჩეხი მეცნიერის მიროსლავ გროხის ნაშრომი: Miroslav Hroch, *Social Preconditions of National Revival in Europe: A Comparative Analysis of the Social Composition of Patriotic Groups Among the Smaller European Nations*, Columbia University Press 2000

დადგენა და შემდგომში მის საფუძველზე პოლიტიკური პროექტის კონსტრუირება, რომელიც მინიმუმ პოლიტიკური ავტონომიის და მაქსიმუმ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევაში გამოხატებოდა. ამიტომაც იყო, რომ წამყვანი ქართველი ინტელექტუალები გაცილებით მეტს წერდნენ ქართველების ეთნო-კულტურული წარმოსახვითი საზღვრების შესახებ და თითქმის არაფერს ამბობდნენ საქართველოს ზუსტი პოლიტიკური საზღვრების და მოქალაქეობის საკითხებზე; მაგრამ ამ შემთხვევაში, შესაძლოა ასევე შესაბამისი პირობების არ არსებობის გამო, ქართული ერის ეთნიკურ დისკურსს არ მიუღია გერმანიის ან სხვა ქვეყნების მსგავსი უკიდურესი ეთნო-ნაციონალიზმის და შოვინიზმის ფორმა და თავისი არსით უფრო გამაერთიანებელი და განმათავისუფლებელი ხასიათის იყო. მისთვის ნამდვილად არ იყო დამახასიათებელი ეთნიკური დისკრიმინაციების მოთხოვნა და ეთნიკური შუღლის გაღვივება. აშშ-ში მოღვაწე ბრიტანელი პოლიტოლოგი და ქართველოლოგი სტივენ ჯონსი სამართლიანად მიუთითებს, რომ „საქართველოში არსებული ეთნიკური ორმხრივი ეთნიკური ურთიერთობები უფრო ცრურწმენების და ეროვნული სტერეოტიპების სახით წარიმართებოდა, რომელიც უმეტესად მშვიდობიანი იყო.“<sup>79</sup> მე-19 საუკუნის ქართულ ნაციონალიზმს ძალადობასთან საერთო არაფერი ქონდა. ნაციონალიზმი მისთვის უფრო ეროვნული თვითგანახლების და პროგრესული იდეალებისკენ სწრაფვის სტრატეგია იყო. ანუ ნაციონალიზმი იყო ქართული მოდერნის პროექტი, რომელსაც უნდა გაეთანამედროვებინა საზოგადოება და მისთვის რაციონალური ქმედების საჭიროება და მიმზიდველობა დაენახებინა. ნაციონალიზმის თანამედროვე მკვლევარი, ლია გრინფელდი შენიშნავს, რომ მოდერნიზაციისკენ მიმავალ გზაზე, ნაციონალიზმს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი უჭირავს.<sup>80</sup> ქართული ნაციონალიზმის და მოდერნულობის პროექტი კონკრეტული ქმედებითაც გამოიხატა და ის არ იყო უბრალოდ ყბადაღებული იდეა. ეს მოქმედებები საკმაოდ მრავალმხრივი იყო: ახალი სალიტერატურო ენის ფორმირება, ურბანიზაციის განვითარების ხელშეწყობა (ამის კლასიკური მაგალიათია ნიკო ნიკოლაძის მიერ ქალაქ ფოთის დაარსების ისტორია), კერძო მეწარმეობის და საბანკო სისტემის წახალისება, სამოქალაქო მონაწილეობის გაღვივება, პოლიტიკური პარტიების

<sup>79</sup> Stephen Jones, „Georgia: *The Trauma of Statehood*” in *New states, New Politics*, Ian Bremmer and Ray Taras eds. Cambridge University Press, 1997, p. 508

<sup>80</sup> იხ: Greenfeld Liah, *Nationalism: Five Roads to Modernity*. Harvard University Press, 1992

ფორმირების ხელშეწყობა, ბეჭდური სიტყვის განვითარება, განათლების მასობრივ დონეზე განვრცობის მცდელობა და ა.შ. ყოველივე ამას, კი ქართული კულტურა თვისობრივად ახალ ეტაპზე გადაყავდა და დასავლური განმანათლებლობის პროექტს უახლოვებდა.

დასავლური ერის დისკურსი, რომელიც ძირითად შემთხვევებში კაპიტალიზმის განვითარების და მძლავრი ურბანიზაციის ფონზე მიმდინარეობდა, ურბანული ცენტრების მეშვეობით მაქსიმალურად ცდილობდა კულტურულად ჰომოგენური საზოგადოება ჩამოეყალიბებინა და ეკონომიკური კაპიტალის წარმოქმნას და მატერიალური დოვლათის დაგროვებას ეთნიკური საფუძველი არ ჰქონოდა. ამას იგი წარმატებით ახორციელებდა კიდევ და შესაბამისად ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში წარმოქმნილი ეკონომიკური დოვლათი და ფინანსური რესურსები დეეთნიზირებული იქნა, რამაც სამომავლოდ ეთნიკურ ფონზე წარმოქმნილი დაძაბულობების რისკი ფრიად შეამცირა (თუმცა საბოლოოდ მაინც ვერ აღმოფხვრა, მაგრამ ეს უკვე ხშირად ამ ქვეყნების კოლონიური პოლიტიკის გამოძახილი იყო).

განიხილავს რა უნგრული წარმოშობის დიდ ბრიტანეთში მოღვაწე პოლიტოლოგი ჯორჯ შიოპლინი აღმოსავლეთი ევროპის პოლიტიკურ ტრადიციებს დასავლეთ ევროპასთან შედარების ფონზე, მიდის დასკვნამდე, რომ ერთი მთავარი პოლიტიკური ტრადიცია (დამატებით სხვა ტრადიციებთან ერთად), რითაც აღმოსავლეთი ევროპა განსხვავდება მისი დასავლური მხრისგან, არის ურბანული და ბურჟუაზიული ტრადიციების სისუსტე. აღმოსავლეთი ევროპის ამგვარმა თავისებურებამ განაპირობა კიდევ მასში მდგრადი დემოკრატიული, სამოქალაქო ტრადიციების და ინსტიტუტების სიმეიფე<sup>81</sup>. ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, რამაც მოცემულ რეგიონში ეთნონაციონალისტური სენტიმენტები და თვითშეგნება გააჩინა, სწორედ რომ მის სუსტ ურბანულ ტრადიციებში უნდა ვეძიოთ (ურბანიზაცია კი თავის მხრივ მოდერნიზაციის ერთ-ერთი უმთავრესი მხარე და საფუძველი გახლავთ). იმის გამო, რომ აღმოსავლეთი ევროპის რეგიონში არსებული ქალაქები ვერ უზრუნველყოფდნენ მასში არსებული ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციას, როგორც პოლიტიკურ, ისე სოციალურ დონეზე და მათგან ერთი დიდი პოლიტიკური ერთობის და ღლიალობის ჩამოყალიბებას (რაც

<sup>81</sup> რასაც პრინციპში შეიძლება ითქვას, რომ ამ რეგიონის უმეტესი ქვეყნების ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის მიუხედავად დღემდე აქვს ადგილი

თანამედროვე ერი-სახელმწიფოს პოლიტიკური ნორმად), როგორც წესი, დასავლეთი ევროპისგან განსხვავებით, ეკონომიკურ-ფინანსური ინტერეს-ჯგუფების და ახალი პოლიტიკური კლასის წარმოშობას ეთნიკურ, პრიმორდიალურ საფუძველზე ავითარებდა. მოცემული ვითარება კი თავის მხრივ ხდებოდა საფუძველი იმისა, რომ სოციუმის შიგნით არსებულ ჯგუფობრივ სოციალურ და პოლიტიკურ კონკურენციას ეთნიკური შეფერილობა მიეღო. ამიტომაც იყო, რომ დროთა განმავლობაში, ამგვარი სოციალური სტრუქტურების განვითარებამ, ეთნიკურ საფუძველზე არსებული დაძაბულობები წარმოშვა, როცა მას რეალურად სხვა საფუძველი ქონდა და ეთნიკურობა მხოლოდ მისი გარეგნული სახე იყო. სუსტმა ინსტიტუციონალურმა განვითარებამ ეთნონაციონალური სეგმენტაცია და სოციალური ფრაგმენტაცია აღმოსავლეთი ევროპის პოლიტიკურ ნორმად აქცია, როდესაც ისინი შეუდგნენ თანამედროვე ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბებას. მოცემულ სახელმწიფოებში კულტურულ ჰომოგენიზაციას კონკრეტულ სახელმწიფოში არსებული დომინანტური ეთნიკური ჯგუფი აწარმოებდა, უმცირესობაში მყოფ ეთნიკურ ჯგუფებთან მიმართებაში იერარქიული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხარჯზე<sup>82</sup>

შიოპლინის მიერ აღწერილი რეალობა ძალიან წააგავს მე-19 საუკუნის საქართველოს. იმ ურბანულ ცენტრებში (განსაკუთრებით კი თბილისზეა ლაპარაკი, რომელიც ქვეყნის რესურსების თავმოყრის მთავარია ადგილი იყო და ასეა ეს პრინციპში დღემდე), სადაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება რუსეთის იმპერიაში წარმოქმნილი ნახევრად კაპიტალისტური და ნახევრად ლიბერალური სისტემის დანერგვა (და ისიც არასრული სახით), ახალი სოციალური და პოლიტიკური კლასის ფორმირება, როგორც წესი ეთნიკური შეფერილობისა იყო. მაგალითად, ფინანსურად ყველაზე დაწინაურებული სომხური ბურჟუაზია, რომელიც ადგილობრივი, თბილისური წარმოშობის იყო, სხვა დანარჩენი ეთნიკური ჯგუფებისგან უმეტესად განცალკევებით იდგა და ხშირად ახალი ეთნიკური საზღვრების გაჩენის საფუძველი ხდებოდა. ის ხშირი დავა, რომელიც მაშინდელ ქართველ ინტელექტუალებს და სომხურ ბურჟუაზიას შორის მიმდინარეობდა, სწორედ რომ სუსტი სამოქალაქო განვითარების კლასიკური გამოხატულებაა. სხვა ვითარებაში, სომხური კაპიტალი, ჩვეულებრივ ქართულ (არა ეთნიკური გაგებით)

<sup>82</sup> George Schoplin, *Politics In Eastern Europe 1945-1992* / Blackwell, 1993, pp. 17-24

კაპიტალად უნდა გარდაქმნილიყო<sup>83</sup> და სოციალური და პოლიტიკურ ინტეგრაციის ერთ-ერთი საფუძველი გამხდარიყო, მაგრამ საქმე სხვაგვარად წარიმართა. ფინანსური კაპიტალის მოძლიერება, უმეტესად ეთნიკურ ჯგუფთა მეტ კარნაკეტილობას და გაუცხოებას უფრო უწყობდა ხელს (თუმცა რეგიონულ კარნაკეტილობას აშკარად არღვევდა). მოცემულ შემთხვევაში ალბათ ერთ-ერთ მთავარ „დამნაშავედ“, სამოქალაქო ჩამორჩენილობასთან ერთად, დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს არარსებობა შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომაც იყო, რომ ქართველ ინტელექტუალთა ძირითადი ნაწილი ინდიფერენტულად იყო განწყობილი სომხური კაპიტალის მიმართ და მას ხშირად ერთგვარ ეროვნულ საფრთხედაც კი აღიქვამდა. ასევე იყო თავის მხრივ სომხური ბურჟუაზიაც, რომელიც ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, არ მონაწილეობდა ქართული საჯარო კულტურული და პოლიტიკური დისკურსის ფორმირებაში და უმეტესად საკუთარ თვისტომთა მობილიზაციას ლამობდა, რითაც ნებსით თუ უნებლიედ ეთნიკურ გახლეჩილობას უწყობდა ხელს.<sup>84</sup> მსგავსი სოციალური გახლეჩილობა კი თავის მხრივ ეთნიკურ სტერეოტიპთა განვითარებას აძლევდა ბიძგს და ხელს უშლიდა სოციალურ დაახლოებას და თანამშრომლობას. ხშირი იყო აგრეთვე მაშინდელ ახლად წარმოქმნილ ქარხანა-ფაბრიკებში ეთნიკური ხასიათის დაძაბულობები და შეხლა-შემოხლა, რომელსაც სწორედ რომ აღწერილი სოციალური ფრაგმენტაციის გამოძახილი იყო და არა უბრალოდ კულტურული შეუთავსებლობის გამოხატულება.<sup>85</sup>

პოლიტიკური პარტიებიც, რომელთა საშუალებით ნელ-ნელა ხდებოდა ახალი პოლიტიკური კლასის ფორმირება, უმეტეს შემთხვევებშიც მონოეთნიკური ხასიათისა იყო. ბუნებრივია არსებობდა გამონაკლისებიც, როდესაც კონკრეტული პარტიის წევრები სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობისანი იყვნენ, მაგრამ როგორც წესი, პარტიული ელიტები მონოეთნიკურნი (ეს განსაკუთრებით მემერჯვენე ტიპის პოლიტიკურ დაჯგუფებებზე ითქმის, თუმცა არც მემარცხენეები

<sup>83</sup> შენიშვნა: როგორც მაგალითად როგორღაც კაპიტალი ამერიკული კაპიტალია და მას არ შეიძლება ებრაული კაპიტალი ეწოდოს.

<sup>84</sup> აქ რა თქმა უნდა არ უნდა დავივიწყოთ რუსეთის იმპერიის დამოკიდებულება კავკასიაში მცხოვრები ერების მიმართ, რომელთაგანაც იგი ქმნიდა „ერთგული“ და „ბუნტოვნიკი“ ერების კატეგორიას. ყოველივე ამას კი იყენებდა მათ შორის უთანხმოების დასათესად ამით საკუთარი ძალაუფლების შესანარჩუნებლად.

<sup>85</sup> იხილეთ: სტივენ ჯონსი, *სოციალ-დემოკრატია ქართულ ფერებში*, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2008.

განსხვავდებოდნენ მისგან დიდად) უფრო იყვნენ და რაიმე ეთნიკურ დაახლოებას ან სოლიდარობის გაჩენას ნებისთ თუ უნებლიედ ხელს არ უწყობდნენ<sup>86</sup>.

აქვე გვსურს მიუვითოდ ერთ გარემოებაზე, რომელიც ასე ძალუმაღ იყო დამახასიათებელი მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური რეალობისთვის. როგორც წესი, ქართული, ახლად წარმოქმნილი პოლიტიკური და ინტელექტუალური ელიტა უმეტესად ნეოფეოდალური ხასიათის იყო. კაპიტალიზმის ნაგვიანემა განვითარებამ (თანაც არა სრული სახით) სოციალური და პოლიტიკური განვითარების ავანსსცენაზე, ძირითადად მაინც ძველი სოციალური და პოლიტიკური ფეოდალური კლასი წამოსწია. ვერ ხერხდებოდა რა ახალი სოციალური სიკეთეების მეტ-ნაკლებად თანასწორი გადანაწილება საზოგადოებაში (რაც თავის მხრივ საზოგადოების დიდი ნაწილის აქტიური საჯარო ცხოვრებისგან გარიყულობას იწვევდა), ობიექტურად, უმეტეს შემთხვევებში მაინც, მხოლოდ ძველ ფეოდალური კლასს შეეძლო (ფლობდა რა სათანადო ინტელექტუალურ და ეკონომიკურ რესურსებს) თანამედროვეობის ინსტრუმენტარიების მატარებელი გამხდარიყო. ამიტომაც არ უნდა გვიკვირდეს, რომ თვით მარქსისტული პოლიტიკური დაჯგუფებების (განსაკუთრებით კი მენშევიკური ფრთის) პარტიული ელიტაც კი (რომ აღარაფერი ვთქვათ პოლიტიკური მოძრაობების მემარჯვენე ფრთაზე) ძირითადად ნეოფეოდალური შემადგენლობისა იყო. ამავე დროს, ფეოდალიზმის დროს შედარებით უკეთ კონსოლიდირებული ფეოდალური არისტოკრატია, როგორც სოციალური ჯგუფი უკეთ ახერხებდა ეროვნული იდეების მებაირახტე ყოფილიყო და მოცემულ საკითში სოციალურ სივრცეში ლიდერობა შეენარჩუნებინა.<sup>87</sup> ხშირად არც ქართველი სოციალ-დემოკრატებიც ამბობდნენ უარს ეროვნული საკითხის და ეროვნული თვითგამორკვევის უფლებაზე. პირიქით, გარკვეულ ეტაპზე, სოციალისტური იდეალების განხორციელებას, ეროვნული იდეალების დანერგვასთან ერთად მოითხოვდნენ. მაგალითად, ნოე ჟორდანიას

<sup>86</sup> შენიშვნა: მიუხედავად იმისა, რომ მაშინ საკმაოდ მომრავლებული მარქსისტული ტიპის პოლიტიკური დაჯგუფებები ინტერნაციონალიზმს და კლასობრივ ზეეთნიკურობას ქადაგებდნენ, რეალურ პრაქტიკაში, უმეტესად მაინც გარკვეულ ეთნიკურ სიმპათიებს ამჟღავნებდნენ და პარტიულ დონეზე ეთნიკურ სოლიდარობას ახორციელებდნენ.

<sup>87</sup> ამის შესახებ საკმაოდ საინტერესო მოსაზრებები გააჩნია ოლივე რაისნერს, რომელიც მიიხნევს, რომ ქართველი ფეოდალური კლასის მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე, რთულია მე-19 საუკუნის ქართული ნაციონალიზმის შინაარსის გაგება. იხ.: **ოლივერ რაისნერი / ორი სამყაროს მეზავრი. თერგდალეულთა იდენტობის კონფლიქტი და ეროვნული ცნობიერება** / ქართველი ერის დაბადება / ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი). ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2009

ნააზრევს, რომ გადავხედოთ, ვნახავთ, რომ მას სოციალური გათავისუფლება, მხოლოდ ეროვნულ გათავისუფლებასთან ერთად წარმოუდგენია (ყოველ შემთხვევაში მისი მოღვაწეობის საწყის ეტაპზე, თვითონ ამას როგორც აცხადებს). შესაბამისად, მის ნაშრომებს და წერილებში საკმაოდ მრავლად მოიძიება ეროვნულ საკითხზე მიძღვნილი ნააზრევი და შეიძლება ითქვას, რომ მისი მოძღვრებაც ნაციონალიზმის ერთგვარ სახაობასაც კი წარმოადგენს.<sup>88</sup>

სამწუხაროდ, რუსეთის იმპერიის ფარგლებში ნახევრად განვითარებული კაპიტალიზმის პირობებში, არ მოხდა მძლავრი ქართული ბურჟუაზიის ფორმირება, რომელიც ევროპული გამოცდილების მსგავსად მომავალში შესძლებოდა ახალი, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს სულისჩამდგმელი ყოფილიყო. საქართველო ამ მხრივ გამონაკლისს ნამდვილად არ წარმოადგენდა. მსგავს პროცესებს ქონდა ადგილი ცენტრალური და აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნებშიც (რომ აღარაფერი ვთქვათ თვით რუსეთზე), სადაც ახალმა სოციალური კლასმა ვერ მოახერხა ძველი ფეოდალური არისტოკრატის ჩანაცვლება. ფეოდალიზმს ხომ, როგორც საქართველოში, ისე მოცემულ რეგიონში, მეტად მძლავრი ფესვები აღმოაჩნდა და შესაბამისად, ფეოდალური ტრადიციების დიდი ხნით კონსერვაცია განაპირობა კიდევ. ამიტომაც, ბუნებრივია, საქართველოს მრავალეთნიკურობის მიუხედავად, ახლად გამომცხვარი პოლიტიკური კლასი უმეტესად მონოეთნიკური ყოფილიყო.<sup>89</sup>

აღწერილი ვითარებიდან გამომდინარე, საქართველოში ობიექტურად ვერ განვითარდებოდა მძლავრი სამოქალაქო ნაციონალიზმი და ერის დისკურსი, როგორც ეს დასავლეთი ევროპის შემთხვევაში იყო. საამისოდ მას არც რაიმე ობიექტური სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური საფუძვლები ქონდა და არც წარსული გამოცდილება. თუმცა კიდევ ერთხელ უნდა აღინიშნოს, რომ მაშინდელი ქართული ნაციონალიზმი აშკარად ზომიერი ხასიათისა იყო და რაიმე ეთნო-კულტურული დისკრიმინაციის მოთხოვნა უცხო იყო მისთვის. იგი უფრო რუსიფიკაციაზე გამოპასუხებას წარმოადგენდა და ეროვნულ თვითგადარჩენას

---

<sup>88</sup> იხილეთ: ნოე ჟორდანიას, რჩეული ნაწერები, თბილისი 1990. საკმაოდ ბევრს წერდნენ ეროვნულ საკითხზე სხვა დანრჩენი ქართველი სოციალ-დემოკრატებიც. ამ მხრივ განსაკუთრებით დავით დარჩიაშვილის მოღვაწეობა გამოირჩევა. ამიტომაცაა, რომ ხშირად უცხოელი მკვლევარები (იგივე სტივენ ჯონსი, რონალდ სიუნი და სხვები), რომლებიც ქართული ნაციონალიზმის საკითხებით არიან დაინტერესებულნი, ქართულ სოციალ-დემოკრატთა ქართული ნაციონალიზმის ნაირსახეობად და გამოვლინებად მიიჩნევენ.

<sup>89</sup> დუნდუა, აბაშიძე... გვ 30

მოითხოვდა. ილია ჭავჭავაძე პირდაპირ წერდა ერთ ცნობილ წერილში, რომ “...ერი ერთი ღვაწლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მებრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული ერთსულოვნებით, ერთგულობით, ძლიერია”<sup>90</sup>. ილია აშკარად არ მიუთითებდა ერის მხოლოდ ეთნიკურ ხასიათზე და ერის ფორმირებას ნებელობით აქტადაც განიხილავდა. იგი მას მხოლოდ რაიმე ობიექტურ მოცემულობად არ წარმოსახავდა, როგორც ეს ეთნონაციონალიზმის მომხრეთა დებულებებში გვხვდება ხოლმე. ამავე დროს, მაშინდელი ქართველი ინტელექტუალები საკუთარ პოლიტიკურ პროგრამას ახორციელებდნენ მათ მიერ შექმნილი, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, არასამთავრობო ორგანიზაციების მეშვეობით და ამით სამოქალაქო მონაწილეობის ტრადიციებს აფუძნებდნენ<sup>91</sup>. ილია და თერგდალეულთა მთელი თაობა მოქმედების პრაგმატულობით გამოირჩეოდნენ და კარგად იცოდნენ, რომ ეროვნული მობილიზაციის შემთხვევაში უპირველესი სამიზნე ჯგუფი ეთნიკურად ქართველები იქნებოდნენ და რომ სხვა ეთნიკურ ჯგუფებს ქართული ეროვნული გრძნობების მიმართ არც თუ დიდი ენთუზიაზმის გამოხატვა შეეძლოთ. <sup>92</sup>

ამიტომაც, თერგდალეულები (როგორც პირველი, ისე მომდევნო თაობა და მათ შორის ხშირ შემთხვევაში ქართველი სოციალ-დემოკრატებიც კი) ბუნებრივია ვერაფრით განავითარებდნენ ისეთ იდეას, რომელიც რეალურ პრაქტიკაში ვერ იმუშავებდა და თუ იმუშავებდა, დიდი წარმატება ნამდვილად არ ექნებოდა. მათ საქმე ქონდათ სოციალურად გახლეჩილ და დანაწევრებულ საზოგადოებასთან, რომელიც ეთნო-კულტურული მგრადობის თვალსაზრისით ფრიად სუსტი იყო. ამას კი, თავის მხრივ აძლიერებდა რომანოვთა იმპერიის არაკეთილმოსურნე დამოკიდებულება ეთნიკურ განსხვავებულობათა მიმართ და მცდელობა ეთნიკური იერარქიების შექმნისა. თუმცა უნდა ითქვას, რომ რომანოვების პოლიტიკა ამ მხრივ უფრო ნაკლებად ცდილობდა ეთნიკურობის ინსტიტუციონალიზაციას და ამით ბევრად ჩამორჩებოდა შემდგომდროინდელ საბჭოთა იმპერიას. თუმცა მისთვის უცხო არ იყო ხალხთა მასობრივი დეპორტაციების და რეპრესიების პრაქტიკა (რაც საბჭოთა რუსეთმა მოგვიანებით მისგან მემკვიდრეობით მიიღო კიდევც). ეს კი ერთი-

<sup>90</sup> ოსმალოს საქართველო / ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი II, პავლე ინგოროყვას რედაქციით, თბილისი 1941, გვ. 309

<sup>91</sup> რომანოვთა იმპერია ხომ საბჭოთა რუსეთისგან განსხვავებით ღია სამოქალაქო სივრცის განვითარებისთვის გაცილებით დიდ ადგილს ტოვებდა

<sup>92</sup> ღუნდუა, აბაშიძე... დასხ. ნაშრ. გვ. 31

ორად აძლიერებდა იმპერიის მოსახლეობაში ეთნონაციონალისტურ სენტიმენტებს და მის აქტივიზაციას უწყობდა ხელს. რომ არა მასში შემავალი ხალხების პირად ცხოვრებაში იმპერიის ძალადობრივი ჩარევები, ალბათ სამომავლოდ დაძაბულ ეთნონაციონალისტურ ტენდენციებს პოლიტიკურად უფრო ნაკლები გასაქანი ექნებოდა. თუმცა თვით რუსეთის იმპერიაც ეთნონაციონალიზმით საზრდოობდა (რასაც მისი ნახევრად ფეოდალური სოციალურ-ეკონომიკური სისტემა და პოლიტიკური ავტორიტარიზმი განაპირობებდა) და ამიტომაც ალბათ სხვაგვარ პოლიტიკას ვერც განახორციელებდა. იმპერიას უჭირდა მისი ეთნო-კონფესიურად უკიდურესად დანაწევრებული უზარმაზარი სახელმწიფოს მართვა. სამეფო ბიუროკრატია, იმპერიაში შემავალი ხალხების ეროვნული სენტიმენტების გაღვივებით წარმოქმნილი პრობლემების მოგვარებაში სოციალური გარიყულობის და პოლიტიკური ძალადობის სტრატეგიას ანიჭებდა უპირატესობას.

### **2.3) საქართველოს პირველი რესპუბლიკა და უმცირესობები**

საქართველოს 1918-21 წლების ხანმოკლე დამოუკიდებლობამ გარკვეული კორექტივები შეიტანა ეთნიკური უმცირესობებისადმი დამოკიდებულებაში. მაშინდელი საქართველოს პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები (როგორც სოციალისტური, ისე მამარჯვენე ფრთის წევრები) ეთნიკურ უმცირესობათა შემწეობას ყველა საკანონმდებლო ბაზით უზრუნველყოფდნენ. “რესპუბლიკის მცირე ერების უფლებათა” განსაზღვრას მაშინდელი ხელისუფლებაში მყოფი პოლიტიკური ძალების მხრიდან საკმაოდ დიდი ყურადღება დაეთმო და ეს ძალიან კარგად ჩანს კიდევ დამფუძნებელი კრების საკონსტიტუციო კომისიის მასალებიდან. კონსტიტუციის მიღებამდე, საკონსტიტუციო კომისიის 1920 წლის 20 მაისის სხდომაზე ა. ჩხენკელი აღნიშნავდა: “მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული ინტერესები მთელის - სახელმწიფოსი და ნაწილის – ეროვნული უმცირესობისა: ერთის ბედნიერება მეორეს ბედნიერებაა და ერთის უბედურება – უბედურებაა მეორესათვის. აყვავება სახელმწიფოსი არის აყვავება და გამდიდრება უმცირესობისა. ეს უნდა ჰქონდეს შეგნებული ყოველ უმცირესობას, რომ ადგილი არ ექნეს რაიმე გაუგებრობასა და უნდობლობას; უმცირესობის აყვავება ჩვენი ინტერესიც არის და სწორედ საკითხის ასეთი გაშუქებიდან მოგვეყავს ჩვენ მაქსიმუმი იმ უფლებათა, რომელთაც სახელმწიფო აძლევს უმცირესობას“. ა.

ჩხენკელის, და ზოგადად, მაშინდელი ქართული პოლიტიკური ელიტის მიერ გაცხადებული “მაქსიმუმი უფლებები” იმაშიც გამოიხატა, რომ ეთნიკურმა თუ რელიგიურმა უმცირესობებმა საქართველოს კონსტიტუციაში რიგი საკითხების შესახებ სხვადასხვა პროექტი - რუსთა და სომეხთა ეროვნულმა საბჭოებმა, საქართველოში მაცხოვრებელმა ბერძნებმა, აღმოსავლეთ საქართველოს მუსლიმებმა, ამიერკავკასიის გერმანელთა კავშირმა, საქართველოში მცხოვრებმა ებრაელებმა – ყველამ საკუთარი პროექტი (სულ 7 პროექტი) წარადგინა და ყველა მათგანი საქართველოს ახლად შექმნილი დამოუკიდებელი სახელმწიფოსადმი გარკვეული უნდობლობით იყო განმსჭვალული. მიუხედავად იმისა, რომ ხშირ შემთხვევაში უმცირესობათა მიერ მოთხოვნილი უფლებების დაკმაყოფილება და მათი კონსტიტუციაში ჩადება თავისთავად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა თავად საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობას (მაგალითისთვის რუსთა ეროვნული საბჭოს მიერ ე.წ. “ენათა თანასწორუფლებიანობის” საკითხის დღის წესრიგში დაყენებაც კმარა, რომლის ცხოვრებაში გატარების შემთხვევაში ფაქტობრივად, ქრებოდა სახელმწიფო ენის ცნება, რადგან აღნიშნული სტატუსით სარგებლობის პრეტენზია საქართველოში დაახლოებით 16-მდე ენას უჩნდებოდა). მიუხედავად ყოველივე ამისა, მაშინდელი საქართველოს მესვეურებმა შესძლეს ამ ტიპის წინაღობების გადალახვა და თან ისე, რომ ამ ფონზე არათუ არცერთი ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის უფლება არ შელახულა, არამედ პირიქით, მათთვის 1921 წლის კონსტიტუციაში ცალკე თავიც კი იქნა დათმობილი. ხოლო უმცირესობებისთვის მინიჭებული უფლებები, თავისი არსით, იმ დროისთვის პროგრესული მოვლენა იყო.<sup>93</sup>

1918-21 წლების რესპუბლიკა პირველი შემთხვევაა საქართველოს ისტორიაში, როცა წარმოიქმნა თანამედროვე ტიპის ერი-სახელმწიფო. მაშინდელი კონსტიტუციონალიზმი ქმნიდა საყოველთაო თანასწორობის და საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობის ინსტიტუციონალურ საფუძვლებს. ეთნიკურ უმცირესობებს ეძლეოდათ უფლება მიეღოთ განათლება მშობლიურ ენაზე, აგრეთვე სამართალწარმოების დროს გამოეყენებინათ მშობლიური ენა, საკუთარ ენაზე გამოეშვათ ჟურნალ-გაზეთები. აგრეთვე, მაშინდელი ქართული რესპუბლიკა,

<sup>93</sup> იხ. მაცაბერიძე, მ. საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბილისი, საქართველოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო საგანმანათლებლო საზოგადოება “ცოდნა” ISBN 5-89512-51.996. გვ. 92(

ზოგიერთი ეთნიკური და კონფესიური ჯგუფის მიმართ ავტონომიების შექმნასაც ითვალისწინებდა (აფხაზეთის და სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიები).

ერთი საინტერესო დეტალია დამახასიათებელი 1921 წლის კონსტიტუციისთვის. კონსტიტუციაში გაცხადებულია, რომ ლეგიტიმურობის წყარო მთელი ერია – “ხელმწიფება ეკუთვნის მთელს ერს, პარლამენტი ამ კონსტიტუციის ფარგლებში ახორციელებს ერის ხელმწიფებას”<sup>94</sup>. ანუ ეს იყო პირველი შემთხვევა საქართველოს ისტორიაში, როდესაც ფორმალისებულ დონეზე უკანა პლანზეა გადაწეული საზოგადოების ეთნო-კულტურული დიფერენციაცია და უპირატესობა სამოქალაქო ეთნიკურობას ენიჭება. „ერის“, როგორც ევროპული „ნაციის“ ქართული შესატყვისის მნიშვნელობა ამ შემთხვევაში არაეთნიკური კონცეფციით წარმოგვიდგება. ასე იყო ეს პირველი ქართული კონსტიტუციის მიღებამდეც. „ერი“ უფრო ადამიანთა დიდ სეკულარულ კრებულს გულისხმობდა, ვიდრე რაიმე ეთნიკურ და ბიოლოგიურად განსაზღვრულ ერთობას. ქართულმა „ერმა“ მძლავრი ეთნო-კულტურული დატვირთვა უფრო საბჭოთა დროს შეიძინა.<sup>95</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ფორმალისებულ, სამართლებრივ დონეზე ეთნო-რელიგიურ უმცირესობებს სრული და თანასწორი უფლებები მიენიჭათ, რეალობა ცოტა სხვაგვარი იყო. ახლად შექმნილ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკაში საკმაოდ სერიოზულ და მტკივნეულ პრობლემას წარმოადგენდა აჭარაში მოსახლე ეთნიკურად ქართველი მუსლიმი მოსახლეობის დანარჩენ ქართველებთან ინტეგრირება. ამ პრობლემის აქტუალობაზე მიუთითებდა ის ფაქტიც, რომ ჯერ კიდევ კონსტიტუციის მიღებამდე ერთი წლით ადრე, 1920 წლის სექტემბერში „მახმადიანი ქართველების“ მდგომარეობის შესასწავლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად რეგიონში სპეციალური მისიით იქნა მივლინებული დამფუძნებელი კრების ერთ-ერთი აქტიური წევრი, სოციალ დემოკრატი პეტრე გელეიშვილი (რომელიც ილია ჭავჭავაძის და მის გარშემო გაერთიანებული ინტელექტუალების მოწინააღმდეგე გახლდათ). მის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის სახელზე დაწერილ მოხსენებით ბარათში ჩამოთვლილი და გაანალიზებულია ყველა ის მთავარი პრობლემა რაც აჭარის „მახმადიანი ქართველების“ დანარჩენ

<sup>94</sup> 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია, თავი 4, მუხლი 52

<sup>95</sup> ღუნდუა, აბაშიძე... დასხ. ნაშრ. გვ.35

ქართველებთან ინტეგრაციას და ერთიანი სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბებას უშლიდა ხელს. არასწორი საკადრო პოლიტიკა (თბილისში დაწუნებული და დედაქალაქისთვის გამოუსადეგარი კადრების „ჩამოწერა“ და აჭარაში გაგზავნა), პიროვნების ფიზიკური შეურაცხყოფა და რელიგიური გრძნობების შელახვა (მუსლიმი ქალებისთვის ჩადრის ახდა), კომუნიკაციის არ არსებობა, ავტონომიის საკითხი, საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე ნაკლები ზრუნვა – აი არასრული ჩამონათვალი იმ პრობლემებისა, რომელთა მოგვარების გარეშეც პ. გელეიშვილი წარმოუდგენლად მიიხნევა აჭარის სრულ (და არა მხოლოდ ტერიტორიულ) შემოერთებას საქართველოსთან. „ჩემის ღრმა რწმენით, აქ ქართველ მახმადიანებს ჩვენ ვძულვართ და ვეზიზდებით და სრულიად საკმარისია რაიმე უსიამოვნება მოგვიხდეს რომელიმე მეზობელ სახელმწიფოსთან, რომ ქართველი მახმადიანები გაყვნენ პირველი ავანტიურისტების რჩევას და როგორც ერთი კაცი, ისე გამოვიდნენ ჩვენს წინააღმდეგ. . . სამწუხაროთ, ჩვენ ჯერ არაფერი გაგვიკეთებია ისეთი, რომ ეს სიძულვილის გრძნობა ხალხის გულიდან თუ არ აღმოგვეფხვრა, გაგვენელება მაინც, რომ ხალხის ასეთი განწყობილება ჩვენდამი შეგვეცვალა.“<sup>96</sup> – წერდა პ. გელეიშვილი საქართველოს მთავრობას.<sup>96</sup>

მართალია მოგვიანებით, 1921 წლის კონსტიტუციაში აჭარას ავტონომიის სტატუსი მიენიჭა და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკანონმდებლო დონეზე როგორც „ქართველი მახმადიანების“, ასევე სხვა ეთნო-რელიგიური უმცირესობების უფლებები კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, მაგრამ რეალურად, პრაქტიკული განხორციელება ამ რეგულაციებმა ცხოვრებაში ვერ პოვეს. ვერ მოესწრო ქმედითი ნაბიჯი გადადგმულიყო მუსლიმი ქართველების (და დანარჩენი უმცირესობების) ინტეგრირებისათვის; თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ პირველი რესპუბლიკა მათი „გარიყულობის“ პროექტს ახორციელებდა. აღწერილი ვითარება მემკვიდრეობით მიღებული რეალობა იყო, ვიდრე პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელთა მიზანი და სამომავლო პროექტი.

ნაკლებად სავარაუდოა, სამ წლიანი დამოუკიდებლობის პერიოდში საუკუნეების მანძილზე მუსლიმ ქართველებში არსებული და გამჭვდარი გაუცხოების დაძლევა სწრაფად მომხდარიყო. სამწუხაროდ, 1918-1921 წლების

---

<sup>96</sup> პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920), პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. 1920 წლის 8 ოქტომბერი, რედაქტორი მერაბ ვაჩნაძე, თბილისი, „ინტელექტი“, 1998, გვ. 11-12

რესუბლიკას არ დასცალდა მისი კონსტიტუციური იდეების რეალურ პრაქტიკაში დანერგვა. იგი საბჭოთა რუსეთის ანექსიამ და ბოლშევიზმმა შეაჩერა.

#### **2.4) საბჭოთა „ნაციონალიზმის“ პოლიტიკური პროექტი და ექსპერიმენტი**

ეთნიკურობა და ეთნიკური იდენტობა, თავისთავად საკმაოდ უწყინარი ფენომენია და მის შესწავლას უკვე დიდი ხანია მისდევს ისეთი სამეცნიერო დისციპლინა, როგორც ეთნოგრაფია (ხშირ შემთხვევაში მას დასავლურ სამეცნიერო წრეებში ეთნოლოგიის ან სოციალური ანთროპოლოგიის სახელითაც მოიხსენიებენ. „ეთნოგრაფია“ უფრო რუსული ტრადიციისთვის არის დამახასიათებელი, რაც თავის მხრივ გერმანული ტრადიციის გაგვნიდან მომდინარეობს და საქართველოშიც იყო გავრცელებული). იგი დაინტერესებულია აღწეროს კონკრეტული ხალხები, თავიანთი დამახასიათებელი სოციო-კულტურული ღირებულებების თუ ნიშან-თვისებების მიხედვით და მოახდინოს შემდეგ მათი კლასიფიკაცია მოცემული აღწერილობების მიხედვით.

სულ სხვა ფენომენია ეთნიკური ჯგუფი, როდესაც მას უკვე პოლიტიკური მეცნიერება ან სოციოლოგია სწავლობს. მისთვის მოცემული ფენომენი სოციალური სტრატეფიკაციის და სოციალური სივრცის დანაწილების საშუალებაა. ამ შემთხვევაში, სოციალური ურთიერთობა და კონკრეტულად სოციალურ ჯგუფთა ურთიერთობა განიხილება ინტერეს-ჯგუფთა ურთიერთობად. მოცემული ინტერეს-ჯგუფები, ხშირ შემთხვევაში მოქმედებენ “ეთნიკურ ჯგუფთა” სახელით. ანუ, თუკი ეთნოგრაფიისთვის “ეთნიკური ჯგუფი” მხოლოდ უწყინარი კულტურულ-ენობრივი ჯგუფია, პოლიტიკური მეცნიერებისთვის იგი აქტიური სოციალ-პოლიტიკური კოლექტიური წარმონაქმნია. როცა ეთნოგრაფიული, კულტურულად განსხვავებული ჯგუფები უკვე სოციალური მოქმედების აგენტებად წარმოგვიდგებიან, ამას მაშინვე ფუნქციონალური ხასიათი ენიჭება. მოცემულ შემთხვევაში, ფუნქციონალური მომენტი უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე მისი შინაარსობრივი მხარე. ამიტომაცაა, რომ თუ კი სტრუქტურულ-ფუნქციონალური კუთხით განვიხილავთ ეთნიკურ ჯგუფებს თუ ეთნიკურ პროცესებს, დავინახავთ, რომ საქმე გვექნება არა უბრალოდ ჯგუფთაშორისი კულტურულ განსხვავებულობის აღწერასთან, არამედ

სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში რესურსების და ძალაუფლების მოპოვების მქონე კოლექტიურ სურვილებთან<sup>97</sup>.

ფრანგი სოციოლოგის, პიერ ბურდიეს მიხედვით, ჯგუფის ადგილს სოციალურ სივრცეში ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს: პირველი – თუ რამდენად ფლობს იგი ეკონომიკურ რესურსებს და კაპიტალს და მეორე – კულტურულ-იდეოლოგიურ რესურსებს (ანუ სიმბოლურ კაპიტალს). მოცემული შეხედულების მიხედვით, ფრანგი სოციოლოგი მიიჩნევს (და არც თუ უსაფუძვლოდ), რომ ჯგუფთაშორისო ურთიერთობები უმეტეს შემთხვევებში მოცემული რესურსების დაუფლებისკენ არის მიმართული და საკმაოდ მძაფრ კონკურენციასაც ემყარება. ძალიან ხშირ შემთხვევაში (უმეტესად კი არამოდერნიზებულ ან ნახევრად მოდერნიზებულ საზოგადოებებში, თუმცა ამისგან არც მოდერნიზებული საზოგადოებაა დაზღვეული) კონკრეტული სოციალურ სივრცეს და სოციალური სტრატეფიკაციას ეთნიკური შეფერილობა და ეთნიკური იერარქიის სახე აქვს;<sup>98</sup> მაგრამ ამ შემთხვევაში ეთნიკური შეუთავსებლობა შესაძლოა მხოლოდ არსებული რეალობის გარესაფარი იყოს და მის უკან უფრო ღრმა სოციალური და პოლიტიკური ფაქტორები იმალებოდეს. უფრო რთულდება ვითარება, თუკი მოცემული ეთნიკური სტრატეფიკაცია ინსტიტუციონალურ ხასიათს მიიღებს. მაშინ კი უკვე წამოიჭრება კონკრეტული სოციალური სივრცის ჯგუფობრივი დაძაბულობის დია საფრთხე. როგორც წესი, ამგვარი დაძაბულობა “ეთნიკურ დაძაბულობად” იწოდება ხოლმე, რომელიც მოსალოდნელია გადაიზარდოს “ეთნიკურ კონფლიქტში”, რაც, ეტიმოლოგიურად, როგორც ანალიტიკურ-სამეცნიერო კატეგორია შესაძლოა სრულიად გამოუსადეგარი იყოს რეალობის ზუსტ აღსაწერად და მისით მხოლოდ მას-მედია ან უბრალოდ საზოგადოების ფართო წრე სარგებლობდეს. მოცემული ტიპის ჯგუფები, შესაძლებელია იმიტომაც იქცნენ აქტიურ ინტერეს-ჯგუფებად, რომ სოციალურ-პოლიტიკურ სივრცეში ვერ ხედავდნენ ლეგიტიმურობის თანაბრად განაწილების რეალობას და პერსპექტივებს. ამიტომაც, მათი პოლიტიკური ქმედების მიზნები სრულიად სამართლიანად, ლეგიტიმური შეიძლება იყოს და კონკრეტულ, ეთნიკურ საფუძველზე წარმოშობილ უთანასწორობის აღმოფხვრას ემსახურებოდეს.

<sup>97</sup> Владимир Малахов, Национализм как политическая идеология. - М.: Книжный дом "Университет", 2004, 225-6

<sup>98</sup> Владимир Малахов, Национализм как политическая идеология. - М.: Книжный дом "Университет", 2004

“დამნაშავე” ამ შემთხვევაში არა კულტურული განსხვავებულობა, არამედ კულტურულ განსხვავებულობას ჩრდილს ამოფარებული სოციალ-პოლიტიკური ფაქტორებია, რომლებმაც თავისთავად უწყინარი ლინგვისტურ-კულტურული ფენომენი, შესაძლოა მრისხანე სოციალ-პოლიტიკურ აქტორად და ინტერეს-ჯგუფად გადააქციოს.

სწორედ ამგვარი ეთნიკური სტრატეგიკაციის, ეთნიკურობის პოლიტიზაციის და ინსტიტუციონალიზაციის უპრეცედენტო მოვლენას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი.

საქართველოს სოვეტიზაციამ, თვისებრივად ახალი ეტაპი გააჩინა საქართველოს ერადქმნადობის პროცესში. აღნიშნული პროექტი მკვიდრად დაეფუძნა საბჭოეთის დამფუძნებელი მამების ნაქადაგვე ახალი “სოციალური სამართლიანობის” და “ინტერნაციონალიზმის” პრინციპებს. დიადი საბჭოეთის იდეის და პრაქტიკის ერთ-ერთ ძირითად (თუ ყველაზე ძირითადს არა) საკითხს ე.წ. “ეროვნული საკითხი” წარმოადგენდა. საბჭოთა კავშირი ხომ უპირატესად დაპყრობილ ხალხთა უზარმაზარ კონგლომერატს წარმოადგენდა, რომელშიც ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული 100-ზე მეტი ერი თუ ეთნიკური ჯგუფი ცხოვრობდა. ამავე დროს მან მრავალი პოლიტიკური ტრადიცია მიიღო რომანოვთა იმპერიისგანაც. რომანოვთა იმპერიამ, რომელიც პერსონიფიცირებული სახის, ნახევრად ფეოდალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა, პირდაპირ უანდერძა საბჭოთა რუსეთს პოლიტიკური მმართველობის ავტორიტარულ ტრადიციები, რომელიც ნელ-ნელა ტოტალიტარიზმში<sup>99</sup> (ამით იგი უკვე განსხვავდებოდა რომანოვთა რუსეთისგან) გადაიზარდა. საბჭოთა რუსეთმა თითქოსდა განახორციელა საზოგადოების მოდერნიზაცია, მაგრამ მას არ მოუხდენია პოლიტიკური სივრცის დეპერსონიფიკაცია. პირიქით ბელადიზმი და ბელადისადმი ღოიანობა გაიხადა განვითარების მთავარ პოლიტიკურ ღერძად. სწორედ ბელადიზმის საფუძველზე წარმოშობილი ახალი ეთნიკური პატრონ-კლიენტელიზმი იქცა პოლიტიკური ლეგიტიმაციის საფუძველად.

ბოლშევიკები, ეყრდნობოდნენ რა მარქსიზმის ლენინ-სტალინისტურ ინტერპრეტაციას, მიიხნვდნენ, რომ ეროვნული განსხვავებულობები და ანტაგონიზმი თანდათანობით სუსტდებოდა და მის საბოლოო ამოძირკვას პროლეტარიატის

<sup>99</sup> მაგრამ უკიდურესად დამახინჯებული ფორმით. რაც მთავარია ამგვარი მოდერნიზაცია მიზნად არ ისახავდა ლიბერალური ერი-სახელმწიფოს გაჩენას და თავისუფალი სოციალური მობილობის დამყარებას.

მომავალი დიქტატურა შექმნებდა.<sup>100</sup> პამფლეტში, “სოციალისტური რევოლუცია და ეროვნული თვითგამორკვევა”, ლენინმა აღიარა ეროვნული თვითგამორკვევის უფლება იმპერიის საპირწონედ. თუმცა, მისთვის კლასობრივი ინტერესი ეროვნულ ინტერესებზე მაღლა იდგა.<sup>101</sup>

თუმცა, საბჭოთა ნაციონალიზმის პოლიტიკის ქვაკუთხედად სტალინის ცნობილი წერილი, “მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი” იქცა. სტალინის განმარტების მიხედვით, “ერი ადამიანთა მყარი ერთობაა, რომელიც წარმოშობილია საერთო ენის, ტერიტორიის, ეკონომიკის და კულტურის საფუძველზე და რომელიც საბოლოოდ საერთო ფსიქიკურ წყობაში გამოიხატება”.<sup>102</sup> სტალინის წარმოდგენილი ფორმულა, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში საბჭოთა იდეოლოგიის და განათლების ერთ-ერთ მთავარ ქვაკუთხედს წარმოადგენდა, ერის ეთნიკურ გაგებას გვთავაზობს, სადაც პიროვნების ეროვნული კუთვნილება წინდაწინაა განსაზღვრული, ასკრიპციულია და საერთო არაფერი აქვს ერის ლიბერალურ, სამოქალაქო დისკურსთან და არჩევანის თავისუფლებასთან.

აღნიშნულ პრინციპებს თუ მოძღვრებას ეფუძნებოდა საბჭოთა ერადქმნადობის პოლიტიკური პროექტი, რომელმაც შექმნა კიდევ “ტიტულარული ერის” კონცეფცია, მოახდინა ეთნიკურობის უკიდურესი პოლიტიზაცია, რაც თავის მხრივ საფუძველად დაედო საბჭოთა იერარქიულ კვაზი-ეთნოფედერაციას. საბჭოთა ფედერალიზმი ეთნოფედერალიზმის მანამადე უპრეცედენტო მოვლენას წამროადგენდა. სამართლიანად შენიშნავდა თავის დროზე ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი, რიჩარდ პაიპსი, რომ “საბჭოთა რუსეთი პირველ თანამედროვე სახელმწიფოდ იქცა, რომელმაც ეროვნული პრინციპი ფედერალური სტრუქტურების საფუძველად აქცია”.<sup>103</sup>

<sup>100</sup> Ronald Sunny , *State-building and nation-making / The Russian Revolution*, edited by Martin A. Miler, Blackwell Publisher, 2001 p.239-1916

<sup>101</sup> Richard Sakva, *Soviet politics, an introduction*, Roulledge, london and New York, 1989 p.296

<sup>102</sup> Сталин И.Б. *Марксизм и национальный вопрос*.//Сочинения. Тбилиси 1953 стр.22. მაგრამ სტალინი არ ყოფილა ორიგინალური საკუთარ მოსაზრებებში. ის ავსტრო-მარქსისტების: კაუცკის, შტირნერის და სხვების თეორიულ ნააზრევის გავლენას განიცდინა ნაციონალურ საკითხებში, უბრალოდ სტალინმა უფრო რევოლუციური ტიპის პროგრამა დაამუშავა და პოლიტიკური იდენტობის ელემენტები საერთოდ ამოიღო ერის კონცეფციიდან.

<sup>103</sup> Richard Pipes, *The Formation of the Soviet union: Communism and nationalism 1917-1923*, Harvard University Press, 1954 p. 65

როგორც როჯერს ბრუბეიკერი აღნიშნავს, ამგვარი თანაცხოვრება შეიძლება განისაზღვროს, როგორც “ინსტიტუციონალიზებული მრავალეროვნულობა”. საბჭოთა კავშირი არ იყო მრავალეროვნული მხოლოდ მისი ეთნოდემოგრაფიული შემადგენლობის მიხედვით, არამედ ის მრავალეროვნული იყო უფრო მისი ინსტიტუციონალიზების მიხედვით. საბჭოეთი არა მხოლოდ შემწყნარებელი იყო, არამედ ერების და ეთნიკური ჯგუფების აქტიურ ინსტიტუციონალიზებას ეწეოდა სახელმწიფოებრიობის და მოქალაქეობის თვალსაზრისით. მაგრამ ეთნიკურობის ინსტიტუციონალიზაცია მიმდინარეობდა ქვე-სახელმწიფო და არა საერთო სახელმწიფო დონეზე. ამავე დროს, საბჭოთა კავშირი არ იყო არც ტრადიციული ერი-სახელმწიფო და არც მხოლოდ რუსული ერი-სახელმწიფო. ის უფრო ქვესახელმწიფოებრივი ნაციონალობების სუპრანაციონალურ ერთობას წარმოადგენდა.<sup>104</sup> როჯერს ბრუბეიკერი მართლაც ზუსტად განსაზღვრავს საბჭოთა ნაციონალობის პოლიტიკას, როდესაც წერს, რომ “ეს არის ეროვნულობის და ეროვნებების სახელმწიფოს მიერ უკომპრომისოდ დაფინანსებული და კოდიფიცირებული ინსტიტუციონალიზაცია, მაგრამ ქვე-სახელმწიფოებრივ და არა სახელმწიფოებრივ დონეზე.”<sup>105</sup>

საბჭოთა ეთნო-ფედერალიზმი, მასში შემავალ ერების და ეთნიკური ჯგუფებისგან მკაცრ ასიმეტრიას და იერარქიას აყალიბებდა. ეს იერარქია სამდონიანი იყო. პირველი, ეს იყო საერთო ეროვნული თუ საკავშირო დონე, მეორე მოკავშირე რესპუბლიკები და მესამე მოცემულ რესპუბლიკებში შემავალი ავტონომოური რესპუბლიკები, ოლქები და მხარეები. სტალინი სამ ფაქტორს ჩამოთვლიდა საიმისოდ, რომ მოცემულ ერს თუ ეთნიკურ ჯგუფს (რაც კონცეპტუალურად აღნიშნულ შემთხვევაში პრინციპში მსგავსი ცნებები გახლდათ) მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი მოეპოვებინა: 1) საკმარისი მოსახლეობა, ანუ მოსახლეობის რაოდენობა მილიონზე მეტი უნდა ყოფილიყო; 2) მოსახლეობის კომპაქტურობა და მჭიდროდ განლაგება. 3) სეცესიის საშიშროების შემთხვევაში, კონკრეტული მოკავშირე რესპუბლიკის საბჭოთა კავშირის საზღვრებთან მდებარეობა; ანუ თუ კი სეცესიის საფრთხე გაჩნდებოდა, იგი არ უნდა

---

<sup>104</sup> Rogers Brubaker, *Nationalism Reframed; Nationhood and the national question in the New Europe* / Cambridge University Press, 2005 pp. 23-25

<sup>105</sup> Ibid: pp. 26

მომხდარიყო ქვეყნის შუაგულში, რაც უცილობლად მისი სწრაფი რღვევის საფთხეს წარმოქმნიდა.<sup>106</sup>

რესპუბლიკების თუ ავტონომიების საზღვრების დადგენა, უპირატესად საერთო საკავშირო ინტერესების მიხედვით მიმდინარეობდა, ემყარებოდა ფართო სოციალური ინჟინერიის ექსპერიმენტს და ძალიან ხშირ შემთხვევაში ხელოვნური ხასიათის იყო. ყოველივე ამან თავისი უარყოფითი შედეგები საბჭოთა კავშირის რღვევის დროს გამოიღო კიდევ. როჯერს ბრუბეიკერი მართებულად შენიშნავს, რომ, “...მართალია საბჭოთა კავშირი დაიშალა, მაგრამ მის მიერ დანატოვარი ეთნონაციონალური ჰეტეროგენულობის ერთიერთანაცხოვრების ტრადიცია ჯერ კიდევ ცოცხალია.”<sup>107</sup>

საბჭოთა პოლიტიკური პროექტი, მრავალ კუთხით მართლაც პირველი ექსპერიმენტი გახლდათ მსოფლიო ისტორიაში, რომელიც საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში (თუ კი ასეთი საერთოდ არსებობს ტოტალიტარულ რეჟიმებში) ეთნიკურობის მძლავრ წარმომადგენლობითობას ეფუძნებოდა. მისთვის სოციუმის განსხვავებულ ჯგუფთა შორის მონაწილეობაზე დაფუძნებულ სოლიდარობის გრძნობის გაჩენის და სამოქალაქო კონსენსუსზე მეტად ახალი ტიპის ადამიანის, ე.წ. “Homo Sovieticus” ჩამოყალიბება იქცა პრიორიტეტად. სამართლიანად მიუთითებდა ამერიკელი მეცნიერი რიჩარდ საკვა, რომ: “ახალი საბჭოთა ადამიანი უნდა ყოფილიყო ერთგვარი სუპრანაციონალური ერთობის წევრი, რომელიც უპირველესად საბჭოთა ახალი თანამეგობრობის მიმართ უნდა ყოფილიყო ლოიალური და მის ეთნიკური თუ ეროვნულ კავშირები მეორეხარისხოვანი უნდა ყოფილიყო მისთვის”.<sup>108</sup>

ეროვნული „კორენიზაციის“ (Коренизация) პოლიტიკა, რომელიც ლენინის მიერ იქნა ნაკარნახევი და რომლის მიხედვითაც სტალინმა 30-იან წლებში ეროვნული პოლიტიკის გატარება დაიწყო, ერების კონსოლიდაციას სამი მთავარი კუთხით აპირებდა: 1) მხარი უნდა დაეჭირათ ეროვნული ენების განვითარებისთვის; 2) შეექმნათ ახალი ეროვნული ინტელიგენცია და პოლიტიკური ელიტა; 3) უნდა მომხდარიყო ეთნიკურობის ინსტიტუციონალიზაცია სახელმწიფო აპარატის მეშვეობით. ამავე დროს, მსგავსი პოლიტიკური ექსპერიმენტი ეფუძნებოდა

<sup>106</sup> Richard Sakva ... ibid p.300

<sup>107</sup> <sup>107</sup> Rogers Brubaker, *Nationalism Reframed; Nationhood and the national question in the New Europe* / Cambridge University Press, 2005 pp. 23

<sup>108</sup> Sakva .. ibid p. 302

სტალინისტურ გამაღებულ ინდისტრუალიზაციის პოლიტიკას. “კორენიზაციის” პროექტი უფრო მეტსაც გულისხმობდა. იგულისხმებოდა ეროვნული მუშათა კლასის შექმნა ახლად ურბანიზებულ მოსახლეობაში, ეროვნული ინტელიგენციის და ეთნიკური პოლიტიკური ელიტების ფორმირება, რომელსაც ხელი უნდა შეეწყო ახალი მყარი ეროვნული იდენტობის ჩამოყალიბებისთვის.<sup>109</sup>

საბჭოთა კავშირს არასდროს უღიარებია “ხალხობი ქვების” ასიმილაციის პოლიტიკა. საბჭოთა, “ხალხთა დაახლოების” (сближение) იდეა გეთავაზობდა ხალხთა იმგვარი დიდი ოჯახის შექმნას, რომელშიც ეთნიკურ რუსებს “უფროსი ძმის” ფუნქცია დაეკისრებოდა. საბჭოთა პატრიოტიზმის და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მქონე ადამიანთა ეროვნული სიამაყე მხოლოდ მათ ეთნიკურობამდე დაიყვანებოდა. საბჭოთა პასპორტებში მოქალაქეობის და ეთნიკურობის ორი გრაფის არსებობა, სწორედ, რომ სსრკ-ს ნაციონალობის პოლიტიკის ორმაგი ბუნების ნათელი გამოხატულებაა. უფრო პატარა ეროვნებისადმი ლოიალობა თითქოსდა ჩაშენებული იყო უფრო დიდი სსრკ-ს მოქალაქეობის ლოიალობის კედლებში. უფრო მცირე ეროვნებისადმი ლოიალობა ეყრდნობოდა ენის, კულტურის და ტრადიციების საფუძვლებს, მაშინ როდესაც უფრო ფართე დონეზე განხორციელებული ლოიალობა საბჭოთა ხალხის ერთიანობის პოლიტიკურ მოთხოვნას მოითხოვდა.<sup>110</sup>

კარგად რომ ჩაეუკვირდეთ საბჭოთა ნაციონალობის პოლიტიკის არსს, აღმოვაჩინთ ერთ საინტერესო, შეიძლება ითქვას უცნაურობას და ისტორიულ ანაქრონიზმსაც კი. საბჭოთა ტოტალიტარიზმის პოლიტიკური პროექტის მთვარი მიზანს (ნორმატიულად მაინც) სოციალურად ეგალიტარული საზოგადოების ჩამოყალიბება წარმოადგენდა. შესაბამისად, მისმა არქიტექტორებმა მასში შემავეალი ხალხების მიმართ “ჰუმანური და სამართლიანი” მოპყრობის შედეგად გამოაცხადეს, რომ საზოგადოებაში მოსპობილ იქნა კლასობრივი საზოგადოება და შესაბამისად მჩაგვრელთა კლასებიც აღარ არსებობდნენ. ამიტომაც ქვეყანა მიემართებოდა მომავალი კომუნისტური, უკლასო საზოგადოების ჩამოყალიბებისკენ, რომელსაც მარქსისტული “ესქატოლოგიის” თანახმად, არა თუ საზოგადოების უსამართლო სოციალური სტრატეფიკაცია უნდა მოესპო, სახელმწიფოც კი უნდა გაექრო სამომავლოდ. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირში სოციალურ

<sup>109</sup> Ronald G. Sanny ... ibid p. 255

<sup>110</sup> Sakva .. ibid p. 302

ინტერესთა არტიკულაცია და აგრეგაცია უპირატესად ეთნიკური წარმომადგენლობითობის პრინციპის საშუალებით ხორციელდებოდა. შესაბამისად, ეთნიკურობა და ეთნიკურ თუ ეროვნულ ჯგუფებში წევრობა, პოლიტიკური ძალაუფლების და სოციალური პრესტიჟის მოპოვების უმთავრეს საფუძვლად იქცა. *სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, Homo Sovieticus-ის ფორმირების ახალი პოლიტიკური პროექტი, სოციალური სტრატეგიკაციის თვისებრივად ახალ პოლიტიკას დაეფუძნა, სადაც სოციალური ინტერეს-ჯგუფების ადგილი (რომლებიც თავისი მხრივ ღია სამოქალაქო სივრცის არსებობის პირობებში პროფესიული თუ სხვა კერძო ინტერესების საფუძველზე უნდა იქმნებოდეს) ეთნიკურმა ჯგუფებმა, ანუ საბჭოთა გაგებით “ეროვნებებმა” დაიკავეს.*

შესაბამისად, კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფში წევრობა, ფაქტობრივად უპირველესად პოლიტიკურ თუ სოციალურ ჯგუფში წევრობას ნიშნავდა უკვე და მის კულტურულ მხარეს მხოლოდ მეორადი, დამატებითი ფუნქცია ენიჭებოდა.<sup>111</sup> აშკარაა, რომ საბჭოეთის “დამფუძნებელი მამები” ამგვარი პოლიტიკის გამოყენებით შესანიშნავად ასორციელებდნენ ეთნოპოლიტიკურ მანიპულაციებს და მძლავრი რეპრესიული მმართველობის აპარატის გამოყენებით ძალადობრივად შექმნილი სახელმწიფოს მართვის სადავეების შენარჩუნებას. ცენტრალური ადმინისტრაცია, რესუბლიკების, ავტონომიების და სხვა ეთნიკურ ჯგუფებში შექმნილი ეთნო-ელიტების დაახლოებას და ჩართულობას ლამობდა უპირველესად და შემდგომში მათი საშუალებით ცდილობდა კონკრეტულ ეროვნულ თუ ეთნიკურ ჯგუფთა გაკონტროლებას. ეთნო-ელიტები ადგილობრივ დონეებზე კრემლის პოლიტიკის უპირველეს გამტარებად და ერთგულებად გადაიქცნენ. ადგილობრივი ეთნო-ელიტა ფაქტობრივად საერთო საკავშირო პოლიტიკური ელიტის ქვე-ნაწილი იყო და არა რაიმე დამოუკიდებელი სოციალური წარმონაქმნი. ამიტომაც, იგი

---

<sup>111</sup> საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლა ეფუძნებოდა ბრომლეის და ლევ გუმილიოვის (იმის მიუხედავად, რომ გუმილიოვის მიმართ საბჭოთა სისტემა მწყრალად იყო განწყობილი) თეორიებს, რომელთაც ერი ეთნიკური ჯგუფის განვითარების უმაღლეს სტადიად მიაჩნდათ. ამიტომაც, „ერამდე“ სანამ ამაღლდებოდა ეთნიკური ჯგუფი, მანამდე, „ხალხოვნების“ („народность“) და მერე „ეროვნების („национальность“) ფაზა უნდა გაეარა. ამდენად ისინი საბჭოთა ხალხებისგან ერთგვარ იერარქიას აყალიბებდნენ. რა თქმა უნდა მოცემული თეორიები სტალინის ნახსენებ კონცეფციას ემყარებოდა და შესაბამისად ამ ორი შეხედულების შეზავების შედეგად იქმნებოდა საბჭოთა ნაციონალიზმის იერარქიული სტრუქტურები. იხილ: Бромлей Ю.В. Этнос и этнография. М., 1973, Бромлей Ю.В. Очерки теории этноса. М., 1983., Лев Гумилёв, Этногенез и биосфера Земли». - АСТ, Астрель, 2005.

საბჭოთა ეთნოგრაფიულ ინაუნერიაზე, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომია: Francine Hirsch. “Empire of Nations”. Cornell University Press. 2005

ყოველთვის ცდილობდა საკუთარი გავლენის და პრივილეგიების შენარჩუნებას ადგილობრივ დონეზე და მისი დაკარგვის საშიშროების შემთხვევაში, ნაციონალისტური პოპულიზმის გაჩაღებას იწყებდა, როგორც წესი. ნაციონალისტურ პოპულიზმს კი ყოველთვის ფართო გასაქანი აქვს იმ საზოგადოებებში, სადაც ძლიერ სუსტია სამოქალაქო თვითშეგნება და სამოქალაქო მონაწილეობის და სოციალური ინტეგრაციის ტრადიციები<sup>112</sup>. ამიტომაც ამგვარ საზოგადოებებში ეთნიკური ჯგუფი, რომელიც მისი ბუნებით ასკრიპტიული ხასიათისაა და ფართე სისხლისმიერ ნათესაობის განცდას ემყარება, უფრო მეტი ლეგიტიმურობით გამოირჩევა, ვიდრე რაიმე პროფესიული გილდიური ან სამოქალაქო გაერთიანება. საბჭოთა შემთხვევაში კი ეს უკიდურესად ცენტრალიზებული ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ვითარდებოდა და რაც საქმეს ერთი ორად ართულებდა.<sup>113</sup>

ამიტომაც, ვფიქრობთ, რომ სწორედ ამგვარი ეთნიკური თუ ნაციონალური ინჟინერიის წყალობით იქცნენ საბჭოთა კავშირში შემაჯავალი ხალხები მოწველად ერთეულებად და ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან მათი მანიპულირება გაცილებით იოლი გახდა. სწორედ, რომ ნაციონალობის ამგვარი პოლიტიკური იდეა განაპირობებდა საბჭოთა კავშირში არსებული ეთნიკური რესპუბლიკების თუ ავტონომიების იერარქიულ ქმნადობას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს იყო ეთნიკურობის პოლიტიზაციის უკიდურესი გამოვლინება. მსგავს პროექტს ეყრდნობოდა შემდგომში ყოფილი იუგოსლავიაც, რამაც საბჭოთა კავშირის რღვევისა არ იყოს, მისი დაშლის დროს გამოამუღავნა კიდევ ის საშინელი შედეგები, რომელიც ე.წ. “ეთნიკურ კონფლიქტებსა” და ეთნოწმენდებში გამოიხატა.

რიჩარდ საკვა აღნიშნავს, რომ “ნაციონალიზმი ვერტიკალურად ან ჰორიზონტალურად შეიძლება განვითარდეს: ვერტიკალურია მაშინ, როდესაც ის უპირისპირდება ცენტრალურ ხელისუფლებას, ხოლო ჰორიზონტალურია მაშინ, თუკი ეთნოსთა შორის შუღლი ან კონფლიქტი გაჩაღდება ხოლმე”.<sup>114</sup> საკვას ამგვარი განმარტება სრულიად შეესაბამება საბჭოთა “დაყავი და იბატონეს”

<sup>112</sup> სწორედ ამაზე მიუთითებს ახალი ინსტიტუციონალისტური მიდგომა, რომ კონკრეტული ინსტიტუტუცია კოგნიტური ხესაწყობით არის აღჭურვილი და ამიტომაც გააჩნია მიმზიდველობა. ეთნიკური ჯგუფების შემთხვევაში კი მოცემული „მომზიდველობა” ისტორიას და წარმომავლობაზე აკედირება წარმოადგენს, რომელიც საფთხის წინაშეა და დაცვას საჭიროებს. ანუ მოუწოდებს კოლექტიური (თუნდაც ყალბი იყოს) უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე. ამიტომაც აქვს დღემდე დიდი გასაქანი ნაციონალისტურ პროპაგანდებს.

<sup>113</sup> დუნდუა, აბაშიძე დასხ. ნაშრ. გვ. 45

<sup>114</sup> Richard Sakva ... ibid p. 302

პოლიტიკას. ვერტიკალურ დონეზე სსრკ-ს დიდი ადმინისტრაციული აპარატი სხვა ხალხებზე საბჭოთა რუსეთის ბატონობას უზრუნველყოფდა, რაც თავის მხრივ სხვა ხალხების სამართლიან პროტესტს აყალიბებდა, ხოლო ჰორიზონტალურ დონეზე, ეთნიკურობის უკიდურესი პოლიტიზაციის გარანტიებს იძლეოდა, რითაც ეთნიკურ გათიშულობას აყალიბებდა და რამაც სამომავლოდ მათ შორის კონფლიქტი გაჩაღა. რობერტ სიუნიმ, როდესაც აკვირდებოდა “ხალხთა ძმობის” საბჭოთა ტოტალიტარულ პოლიტიკას, რომელსაც თითქოსდა ინტერნაციონალიზმი და ნაციონალისტური განწყობებისგან უნდა გაეთავისუფლებინა საზოგადოება, სრულიად სამართლიანად დაასკვნა, რომ : “სადნობი ქვაბის” მაგივრად, საბჭოთა კავშირი ახალი ერების ინკუბატორად გადაიქცა”<sup>115</sup>.

ახალი ერების ინკუბაციას და მანამდელის ხელახლა გადააზრებას ინტელექტუალურად ე.წ. “ეროვნული ინტელიგენციები” ახორციელებდნენ. წესად იქცა ეთნიკური ისტორიების (ხშირ შემთხვევაში პროპაგანდისტული) წერა, რომელიც თავის მხრივ საშუალო სკოლის საგანმანათლებლო სისტემის საფუძვლად გადაიქცა. მარქსისტულ-ლენინ-სტალინისტური მეთოდოლოგიით დაწერილი ეთნოეროვნული ისტორიები ფაქტობრივად კონკრეტული ხალხების ეთნიკურ მობილიზაციას ემსახურებოდა. როგორც წესი, ძალიან ხშირი იყო ისტორიის ფალსიფიცირების და დამახინჯების ფაქტები. იმისათვის, რომ ფორმალურად ერთა საყოველთაო თანასწორობა დაედგინებინათ, რეპრესიული პოლიტიკური რეჟიმი აიძულებდა ისტორიკოსებს კონიუნქტურული ისტორიების წერას, რათა ყოველი ხალხის ისტორიიდან გამოძერწათ დაბალი სოციალური წარმოშობის ისტორიული გმირები, როგორც ეროვნული სიამაყის სიმბოლო და მოცემული ერის დიადი ისტორიული წარსული დაემტკიცებინათ. ამავე დროს, მოცემული ვითარება არამარქსისტულად განწყობილ ისტორიკოსებს უბიძგებდათ უფრო ძველ და შუასაუკუნეების ისტორიებს ჩაღრმავებოდნენ<sup>116</sup> და იქ ეპოვათ საკუთარი ეროვნული იდენტობის ძირები. ეს განსაკუთრებით მცირე ერებს და მათ შორის საქართველოსაც ეხებოდა. ამით ისტორიკოსები ფაქტობრივად, რეპრესიულ რეჟიმს უპირისპირებოდნენ და შეფარვით ცდილობდნენ დაემტკიცებინათ ისტორიის მარქსისტულ-ლენინისტური კონცეფციის სიყალბე. მიზნად მათ ეროვნული

<sup>115</sup> Ronald G. Sany... ibid p. 240

<sup>116</sup> რადგან თანამედროვე ისტორიის შესწავლა მეცნიერული თვალსაზრისით მათ პრაქტიკულად აკრძალული ქონდათ, განსაკუთრებით კი მოკავშირე რესპუბლიკებში.

იდენტობის შენარჩუნება, ეროვნული თვითგადარჩენა და ეროვნული წინააღმდეგობის გაწევა ქონდათ, მაგრამ ამით მათდა უნებურად, ეთნონაციონალისტური განწყობების ინტელექტუალურ საფუძვლებს ქმნიდნენ.<sup>117</sup>

ისტორიის სწავლების მოცემულ ტრადიციაზე გაიზარდნენ მთელი თაობები, ამიტომაც გასაკვირი აღარ არის ნამდვილად, პოსტ-საბჭოთა ეპოქის დადგომისთანავე პოლიტიკურ დისკურსში ისტორიული კატეგორიებით მსჯელობის სიჭარბე და “ისტორიული სამართლიანობის აღდგენის” მოთხოვნა, როგორც პოლიტიკური ლეგიტიმაციის საფუძველი. არადა, ეთნოეროვნული ისტორიების წერის ტრადიციის წყალობით, საბჭოთა კავშირში შემავალ ყველა ხალხს ჰქონდა უკვე შექმნილი საკუთარი „ისტორიული სამართლიანობის“ კონცეფცია, რაც სინამდვილეში შესაძლებელია ხშირად დაშორებული ყოფილიყო სინამდვილისგან. ისტორია, როგორც სამეცნიერო დისციპლინა მძლავრ პოლიტიკურ ინსტრუმენტად იქცა ეთნიკური მობილიზაციის საქმეში.

განსაკუთრებით ძლიერი ზეგავლენა ქონდა ისტორიის სწავლებას და ეთნიკური ელიტების მოღვაწეობას იმ ეთნიკურ ჯგუფებს შორის, რომლის ოფიციალური ინსტიტუციონალიზაცია და ეთნიკური ბიუროკრატის და ეთნოკრატიული მმართველობის ჩამოყალიბება მოხდა. უპირატესად, სწორედ ამგვარმა ვითარებამ შეუწყო ხელი პოსტ-კომუნისტურ ეტაპზე მთელ-რიგ რეგიონებში სეცესიონისტური მოძრაობების გაძლიერებას და ეთნოტერიტორიული კონფლიქტების გაჩაღებას<sup>118</sup>. სხვა შემთხვევებში ამგვარი კონფლიქტი არ გაჩაღებულა, თუმცა არც მისი საფრთხე აღმოფხვრილა ბოლომდე.

სწორედ, რომ ეთნიკურობის და ეთნიკური ინტეგრაციის მოცემული მოდელის (რა თქმა უნდა არსებული რეალობიდან გამომდინარე, გარკვეული სახეცვლილებით) ფაქტობრივი შენარჩუნება ხდება სადღეისოდაც. თანაც, როგორც ჩანს მოცემული განწყობები იმდენადაა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის (იგულისხმება, როგორც ეთნიკურად ქართველები, ისე ეთნიკური

<sup>117</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. 51.

თუმცა არ შეიძლება რომელიმე ცნობილ ქართველ ისტორიკოსს განვებ ნაციონალისტობა დავაბრალოდ. ისინი ხომ მოცემული მიმე ვითარებისა და შესაბამისად მოქმედებდნენ.

<sup>118</sup> იმ რეგიონებში, სადაც ოფიციალური ეთნო ინსტიტუციონალიზაცია უკვე მომხდარი იყო ავტონომიების საშუალებით, მაგალითად აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთის ყოფილი ავტონომიური ოლქი. ეთნიკური ავტონომიის კონფლიქტის წყაროდ გარდაქმნის შესახებ იხ. Svante E. Cornell / *Autonomy and Conflict: Ethnoterritoriality and Separatism in the South Caucasus – Cases in Georgia* / Uppsala Universitet, December 2002

უმცირესობები) აზროვნებაში ფესვამდგარი, რომ მისგან ყოველი გადახვევის მცდელობა ან რაიმე ტრანსფორმაცია, უსამართლობის ერთგვარ გამოვლინებად აღიქმება ხოლმე. მძლავრი ეთნიკური დაღდასმულობა და ფაქტობრივად ჩაკეტილი ეთნიკური ურთიერთობების იერარქიული სისტემა – ეს ორი ფაქტორია რაც დღევანდელმა საქართველომ მიიღო ტოტალიტარული წარსულისგან. მოცემული ფაქტორები, კი თავის მხრივ განაპირობებს კიდევ ეთნიკური ჯგუფებისგან მძლავრი ინტერეს-ჯგუფების შექმნას, რისი გადაჭრაც არა მხოლოდ საქართველოს ტიპის ინსტიტუციურად სუსტ, არამედ მასზედ გაცილებით ძლიერ და დაწინაურებული სახელმწიფოებსაც უჭირთ. <sup>119</sup>

სოციალური სტრატეფიკაცია, რომელიც ეთნიკურობის საფუძველზე წარმოიქმნება გაცილებით რთული გადასალახია, ვინემ სხვა ტიპის ინტერესთა საფუძველზე ჩამოყალიბებული სოციალური ურთიერთობები. როგორც წესი, ეთნიკურ მობილიზაციას სხვა ტიპის კოლექტიურ მობილიზაციასთან შედარებით ყოველთვის უფრო მეტი მხარდამჭერი ყავს. ეთნოეროვნული ჯგუფის წევრები აშკარად მძლავრი ურთიერთსოლიდარობით გამოირჩევიან. ის ქმედითი კულტურული ფაქტორები და ეროვნული მითოლოგიები, რომელიც ნებისმიერ ეთნიკურ ჯგუფს აშკარად გამოარჩევს სხვა ტიპის სოციალური კოლექტივებისგან, როგორც ჩანს კოლექტიური მობილიზაციის უფრო მეტ რესურსებს შეიცავს, ვიდრე მხოლოდ კერძო, ინდივიდუალურ ინტერესთა საფუძველზე წარმოშობილი კოლექტივები.

## ***2.5) ერადქმნადობის პროცესი და პოსტ-კომუნისტური გარდაქმნების ხანა.***

საქართველოს პოსტ-კომუნისტური გარდაქმნების ხანა, როგორც ქვეყნის მთელი ისტორია, ზიგზაგური განვითარებებით ხასიათდება. მას არ ახასიათებს რაიმე ერთიანი, მყარი სტრატეგია, რომელზედაც შესაძლებელია, როგორც დასრულებულ პროექტზე ისე ვიმსჯელოთ. ცვლილებები, უმეტეს შემთხვევაში კონიუნქტურული ხასიათისაა და ხშირ შემთხვევაში მხოლოდ პოლიტიკური ელიტების ძალაუფლების შენარჩუნების მიზანს ემსახურება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში კი საერთაშორისო თანამეგობრობისადმი თავმოწონებას, რათა მას ლიბერალური დემოკრატიის ერთგულება დაანახოს. ამიტომაც, თქმა იმისა თუ როგორი სტრატეგია აქვს არჩეული ქართულ სახელმწიფოს პოსტ-კომუნიზმის

<sup>119</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. გვ. 53

დასაძლევად და დემოკრატიის დასამყარებლად, რთული საკითხია. კარგად რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ პოსტ-კომუნისტური საქართველოს განვითარების მთავარი ღერძი ძირითადად მოცემულ ვითარებებზე პასუხის გაცემის მცდელობა უფროა, ვიდრე ერთმნიშვნელოვნად რაციონალური ნებელობითი აქტი და დამუშავებული სტრატეგია. ყოველ შემთხვევაში მოცემული სტრატეგიის არ არსებობა 2003 წლის „ვარდები რევოლუციამდე“ აშკარად იგრძნობოდა.

ვარდების რევოლუციამ მოახერხა პოსტ-კომუნიზმის დაძლევის გარკვეული სტრატეგიის დასახვა და განვითარებამაც შედარებით მწყობრი ხასიათი მიიღო, რომელიც უმეტესად „მოდერნიზაციის“ პროექტის<sup>120</sup> საფუძველზე ხორციელდება. თუმცა მას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლოვანება ახასიათებს და ბევრი რამ დანერგვის პროცესშია, რომელიც ხშირად არც თუ მტკიცე სიმწყობრით გამოირჩევა.<sup>121</sup>

პერესტროიკის შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა, ყველა ყოფილი საბჭოთა ბანაკის ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც ანტიკომუნისტური მოძრაობების გასაძლევებლად უფრო მეტი საშუალება გააჩინა. საქართველოს წინაშე ორი მთავარი ამოცანა იდგა: ა) ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება და საბჭოთა კავშირიდან სეცესია და ბ) ანტიტოტალიტარული/ანტიჰეგემონური პოლიტიკური რეჟიმის დამყარება, რომელიც ინდივიდუალურ თავისუფლებას და დემოკრატიულ მმართველობას მოიტანდა. ბუნებრივია, როგორც ყველა განმათავისუფლებელ მოძრაობას, საქართველოში არსებულ ანტიკომუნისტურ მოძრაობასაც რადიკალიზმის ელფერი დაკრავდა. ამიტომაც, მაშინდელ ქართულ რეალობაში ხშირი იყო ნაციონალისტური შეფერილობის დისკურსი. თუმცა, იმის თქმა რომ იგი მიმართული იყო ეთნიკური უმცირესობების პირდაპირი დისკრიმინაციისკენ და მათ ჩაგრულ მდგომარეობაში ჩაყენებას მოითხოვდა, ვფიქრობთ არაადეკვატური იქნებოდა.

სამწუხაროდ, დასახელებული ორი პრობლემის გადაჭრა ქართულმა სახელმწიფომ საბოლოოდ დღემდე ვერ მოახერხა. პირველი, ესაა ახალი სახელმწიფოებრიობის და პოლიტიკური ინსტიტუტების მშენებლობის პროცესი და მეორე - ახალი სახელმწიფოებრიობის ჩამოსაყალიბებლად საზოგადოების ინტეგრაცია და მობილიზაცია. ძალიან ხშირად ეს ორი პროცესი

<sup>120</sup> როგორც ამას აცხადებს „ვარდების რევოლუციის“ შემდგომი პოლიტიკური კლასი

<sup>121</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. გვ. 56

ურთიერთგადაჯახებულია და საბოლოო ჯამში ქვეყნის ახალი იდენტობის დადგენას ემსახურება. პირველ შემთხვევაში მისი ფუნქციური იდენტობის დადგენა იგულისხმება, ხოლო მეორე შემთხვევაში სტრატეგია – თუ როგორ განვახორციელოთ საზოგადოებრივი ხელშეკრულება ორ დონეზე: ერთი რომ ვიცხოვროთ ერთად და მეორე უკვე – თუ როგორ ვიცხოვროთ (როგორც ამაზე თავის დროზე თომას პობსი მიუთითებდა). საქართველოს კრიზისს, რომლის წინაშეც იგი დღემდეა, შესაძლოა გუწოდოთ “ფუნქციონალური კრიზისი”, ანუ დადგენა იმისა, თუ რა ფუნქციის მატარებელია „საქართველო“, როგორც დამოუკიდებელი პოლითეა და როგორ აფორმებს საზოგადოებრივ ხელშეკრულებას იგი მასში შემაჯავალ სეგმენტებთან ისე, რომ არ დაირღვეს მოცემულ სეგმენტთა ინტერესები ერთი მხრივ და მოცემული სეგმენტების მხრიდან იყოს მზაობა, ერთის მხრივ როგორც სახელმწიფოში ცხოვრებისა, ისე მისი მშენებლობისა მეორე მხრივ.<sup>122</sup>

ყველა მეცნიერი, რომელიც დემოკრატიულ გარდაქმნებს იკვლევს, თანმხდება მასზედ, რომ სოციალური და პოლიტიკური ცვლილებების ეპოქაში, ყოველ მოცემულ სოციუმს უჭირს სწრაფად გარდაქმნა, თუ კი იგი ძლიერ ეთნო-კულტურულ ფრაგმენტაციას განიცდის. მაგ: ამერიკელი პოლიტოლოგი დანკვარტ რასტოუ ეთნო-კულტურულ დიფერენციაციას სწრაფი და წარმატებული დემოკრატიული გარდაქმნის პირდაპირ საფთხედ წარმოსახავდა.<sup>123</sup> იგივეს ადასტურებს რობერტ დალი<sup>124</sup> და ბევრი სხვა პოლიტოლოგი. ანუ ახალი სახელმწიფოებრიობის შექმნა, რომელსაც უმეტეს შემთხვევებში ითვალისწინებდა პოსტ-საბჭოური გარდაქმნები, პირდაპირ დგება ეთნო-კულტურული მრავალწევრიანობით გამოწვეული საფრთხის წინაშე.

ხუან ლინცი და ალფრედ სტეფანი აღნიშნავენ, რომ “სახელმწიფოებრიობის პრობლემა” თითქმის ყველა პოსტ-საბჭოთა ქვეყნისთვის მათი პოსტ-კომუნისტური

<sup>122</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. გვ. 58

<sup>123</sup> Dankwart Rustow/*Transitions to democracy*//Comparative Politics vol.2 No 3, 1970

<sup>124</sup> Robert Daht/*Poliarchy: participation and opposition*, Vale University Press, 1971.

დემოკრატიის და დემოკრატიული გარდაქმნის საკითხებზე იხ: Samuel P. Huntington. *The Third Wave of Democratization: Democratization in the Late Twentieth Century*. Oklahoma University Press. 1991. Guillermo O'Donnell. *Counterpoints: Selected Essays on Authoritarianism and Democratization*. University of Notre Dame Press. 1999, და სხვა მრავალი

გარდაქმნების გზაზე უმთავრეს გამოწვევათაგანია<sup>125</sup>. საქართველოში, სადაც თითქოსდა გარკვეული ქმედითი დემოკრატიული ინსტიტუტები და ახალი საზოგადოებრივი ხელშეკრულებაც შეიქმნა, იგი მაინც ნაკლოვანი სახისაა, დაბალი ლეგიტიმურობით ხასიათდება და ვერ ახერხებს ერთი მხრივ ქმედით და მდგრად ინსტიტუციონალურ განვითარებას და მეორე მხრივ კი მოცემული ინსტიტუციონალიზმის კონსოლიდირებული ლიბერალური-დემოკრატიის ჩარჩოებში მოქცევას. იმისდა მიუხედავად, რომ დემოკრატიის უპირველესი საფუძველი – ღია და სამართლიანი არჩევნები უმეტესად გარკვეულ კონსტიტუციურ ვადებში, ანუ წინასწარ გაწერილი რეგულაციების მიხედვით ტარდება, ხშირად პოსტ-კომუნისტური საქართველოს პოლიტიკურ სისტემას „ჰიბრიდულ რეჟიმს“, „დეფექტურ დემოკრაციას“, „გარდამავალ დემოკრაციას“, „კონკურენციულ ავტორიტრიზმს“ და ა.შ. უწოდებენ. მის ამგვარ შეფასებაზე თანხმდებიან, როგორც ქართველი, ისე უცხოელი მკვლევრები.<sup>126</sup> სამწუხარო რეალობაა, მაგრამ ფაქტია, რომ პოსტ-კომუნისტურ საქართველოში ჩატარებული ყველა არჩევნები თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის (რასაც რობერტ დალმა „პოლიარქია“ უწოდა) თვალსაზრისით ნაკლოვანი (შედარებით გამონაკლისად შესაძლებელია 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები ჩაითვალოს) და მათ მიმართ კრიტიკა დღემდე არ წყდება, როგორც ლოკალურ, ისე საერთაშორისო დონეზე. სამწუხაროდ არჩევნების გზით ჯერ-ჯერობით ვერც ერთი ხელისუფლების ცვლილება ვერ მოხდა, რაც თავის მხრივ განაპირობებს კიდევ პოლიტიკური ინსტიტუტების და ზოგადად დემოკრატიის არც თუ ისე მაღალ ლეგიტიმურობას ქართულ საზოგადოებაში.<sup>127</sup> ამავე დროს, ჯერ კიდევ ძლიერია პოლიტიკურ ინსტიტუტებზე და პოლიტიკის ფორმირების პროცესზე არაფორმალური ზეგავლენის ხარისხი და საჯარო-პოლიტიკური სივრცეზე ურთიერთობები უმეტესად პერსონიფიცირებული და სუსტად ინსტიტუციონალიზებულია.<sup>128</sup> ამიტომაც, ჯერ კიდევ არის რისკი იმისა, რომ საქართველოში დემოკრატიის დამკვიდრების ნაცვლად (დემოკრატიზაციის პროცესი კი თავისთავად დემოკრატიის დამყარების გარანტიას არ იძლევა),

<sup>125</sup> J.Linz and A. Stephen/*Problems of democratic transition and consolidation: Southern Europe, South America and Post-Communist Europe*, John Hopkins University Press 1996

<sup>126</sup> იხ. თავისუფლების სახლის-ს მონაცემები, [www.freedomhouse.org](http://www.freedomhouse.org)

<sup>127</sup> თავის მხრივ კი ინსტიტუციონალური სიმეფე თვითონვეა არაკონსტიტუციური გზებით ხელისუფლების ცვლილებების საფუძველი.

<sup>128</sup> აქ უკვე აშკარად ჩანს საქართველოს ისტორიული კონტექსტის ზეგავლენა. ჯერ კიდევ ისტორიული კონტექსტი მეტი ლეგიტიმაციით სარგებლობს, ვიდრე ახალი რეალობები.

მივიდოთ კონსოლიდირებული ავტორიტარიზმის გარკვეული ფორმა, რომელიც შესაძლოა დემოკრატიის გარკვეული ელემენტებით იქნას შემოსილი, თუმცა პოლიარქიის მოდელისგან შორს იდგეს.<sup>129</sup>

დემოკრატიზაციის საწყისი ეტაპი – ზვიად გამსახურდიას მმართველობის ეპოქა – ძნელია რომელიმე გარკვეული პოლიტიკური რეჟიმის ტიპის მიხედვით შეფასდეს. ერთი, რომ იგი ფრიად ხანმოკლე აღმოჩნდა და არ მოუხერხებია რაიმე პოლიტიკური რეჟიმის კონსოლიდირება და მეორეც ის, რომ მის დროს გამოცხადებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის საერთაშორისო ლეგიტიმაცია ცოტა მოგვიანებით მოხდა, როცა იგი უკვე პრეზიდენტი აღარ იყო. ანუ ეს უფრო იყო მცდელობა სამომავლო ცვლილებებისკენ, ვიდრე რაიმე ფორმირებული, კონკრეტული პოლიტიკური სისტემა. თუმცა კი პირველი არასაბჭოთა არჩევნები, რომელმაც ჯერ გამსახურდიას პარლამენტის თავმჯდომარედ გახდომა და შემდგომ მისი გაპრეზიდენტება მოახდინა, პარადოქსია<sup>130</sup>, მაგრამ ჯერ-ჯერობით საქართველოში ჩატარებულ ყველა არჩევნებთან შედარებით ყველაზე სამართლიან და დემოკრატიულ არჩევნებად შეიძლება ჩაითვალოს. მაგრამ მას არ მოუხდენია (და წელიწადნახევრიან მონაკვეთში ვერც მოახერხებდა) საბჭოური პოლიტიკის რადიკალური, საბოლოო დემონტაჟი და კონსოლიდირებული დემოკრატიული პოლიტიკის დამყარება. ამიტომაც თქმა იმისა, რომ გამსახურდიას მმართველობის ეპოქა დავახასიათოთ, როგორც საბოლოო დემოკრატია ან კიდევ ავტოკრატიზმი/ავტორიტარიზმი, ვფიქრობთ არ უნდა იყოს მართებული. მისთვის, როგორც ყველა პოსტ-კომუნისტური ქვეყნისთვის, დემოკრატიზაციის საწყის ეტაპზე, დამახასიათებელია ორივე ტიპის რეჟიმის მახასიათებელთა გარკვეული კომბინაცია. მაგრამ “დიქტატურა”, როგორც მას ხშირად უწოდებდნენ (და ზოჯერ ახლაც უწოდებენ) ხოლმე მისი ოპონენტები, ვფიქრობთ ყველაზე ნაკლებად გამოდგება მის დასახასიათებლად. იგი შეიძლება შეფასდეს უფრო, როგორც იდეალიზმის ერგვარი გამოვლინება, რომლისთვისაც უცხო იყო თანამედროვე პოლიტიკური მართვის გამოცდილება და ცოდნა. ცოდნა განსაკუთრებით დასავლური პოლიტიკური

<sup>129</sup> ამის მაგალითები კი საკმაოდ მრავლადაა მსოფლიო პოლიტიკურ პრაქტიკაში და საქართველო ამ მხრივ გამონაკლისი ნამდვილად არ იქნება.

<sup>130</sup> პარადოქსია იმდენად, რამდენადაც მაშინდელ საქართველოში ცოდნა დემოკრატიული არჩევნების შესახებ გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ეს დღესაა.

მართვისა, რომლის ჩამოყალიბებასაც ესწრაფოდა ზ. გამსახურდია, მიაჩნდა რა საქართველო ევროპული/დასავლური ცივილიზაციის განუყოფელ ნაწილად.

ამავე დროს, უნდა გავითვალისწინოთ ის პოლიტიკური სპექტრიც, რომელიც მონაწილეობდა მაშინდელ საქართველოს პოლიტიკაში და რომლებიც პოლიტიკის ავანსცენაზე მთავარ მოთამაშეებს წარმოადგენდნენ. ერთ მხარეს იდგა ძველი საბჭოური, მხოლოდ საბჭოთა პოლიტიკური გამოცდილებით აღჭურვილი პარტიული ნომენკლატურა (და ინტელექტუალებიც, „ინტელიგენცია“, რომელიც ოფიციალური საბჭოთა ბიუროკრატის ნაწილი იყო, როგორც სოციალური წარმონაქმნი) და მეორე მხარეს ანტიკომუნისტურად განწყობილი ნაციონალიზმის შეფერილობის მქონე ძალები (იმისდა მიუხედავად, თუ რამდენად კონსოლიდირებულად მოქმედებდნენ ისინი), რომლებსაც მართვის და სახელმწიფო მშენებლობის არანაირი გამოცდილება არ გააჩნდათ. იგი უფრო იდეალიზმით იკვებებოდა, ვიდრე პრაქტიკული პოლიტიკური გამოცდილებით. ამიტომაც, მოცემული პოლიტიკური ჯგუფების არსებობის შემთხვევაში, სრულიად გასაგები ხდება ანტიკომუნისტა „იდეალიზმიც“ და ყოფილ კომუნისტთა „პრაგმატიზმიც“. პოლიტიკური კლასი, რომელიც საყოველთაო თანხმობას ობიექტურად შეძლებდა, პრაქტიკულად არ არსებობდა. თუმცა, ეს მოვლენა მეტ-ნაკლებად საერთო იყო ყველა ყოფილი კომუნისტური ბანაკის ქვეყნისთვის და საქართველო ამ მხრივ ნამდვილად არ წარმოადგენდა გამონაკლისს.<sup>131</sup> ამავე დროს რაც მთავარია უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პროცესები ჯერ კიდევ არსებული საბჭოთა კავშირის ფარგლებში მიმდინარეობდა და არა სუვერენულ სახელმწიფოში. ამიტომაც ის გარე ჩარევები, რომლებსაც მაშინდელი პოლიტიკური სპექტრი განიცდიდა, ხელს

<sup>131</sup> თუმცა კი მაშინდელი ქართული პოლიტიკის აქტორებს, აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის და ბალტიის ქვეყნებისგან განსხვავებით, კავშირი აღარ ქონდათ, იმ პოლიტიკურ კლასთან და მოსახლეობასთან, რომელსაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის პერიოდი კარგად ახსოვდა. ერთი, რომ ქართული პოლიტიკური კლასი უადრესად ფრაგმენტირებული იყო და მეორეს მხრივ ფრიად სუსტი მემკვიდრეობითობა ახასიათებდა. ვახტანგ VI ის რუსეთში გადასახლების შემდგომ, რამდენჯერმე ახლად ფორმირებული პოლიტიკური კლასის ძლიერ სოციალურ წარმონაქმნად ფორმირების პროცესი საქართველოს რეალობაში ვერ განხორციელდა. განსაკუთრებით მძიმე საბჭოთა ვითარება აღმოჩნდა, რომელმაც თითქმის საფუძვლიანად გაანადგურა მე-19 საუკუნის ბოლოდან, მე-20 საუკუნის დასაწყისამდე ძლივს, მეტ-ნაკლებად ფორმირებული პოლიტიკური კლასის საფუძვლები, რომელთაც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მესაჭის როლი უნდა ეთამაშა. ამიტომაც იყო, რომ ახლად წარმოქმნილი ანტი-საბჭოთა მოძრაობები პოლიტიკურად ფრიად უმწიფარნი იყვნენ, ძალზედ სუსტი მემკვიდრეობითობით ხასიათდებოდნენ და ხშირად რეალობაზე მეტად, იდეალიზმი კვებავდათ. მოცემული რეალობა სამწუხაროდ დღემდე არ შეცვლილა არსობრივად. ამ მხრივ კი აღმოსავლეთ-ცენტრალურ ევროპას და ბალტიის ქვეყნებში ვითარების განსხვავებულობამ მათთვის ფრიად სასარგებლო შედეგი გამოიღო.

გათიშულობას და არა კონსოლიდაციას უწყობდა. გამსახურდიას დროინდელი საქართველო, რომ საერთაშორისოდ აღიარებული სამართალ სუბიექტი ყოფილიყო, ალბათ მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა.

დამოუკიდებლობის მოთხოვნები ხშირად ეთნიკურ ჯგუფებში გარკვეულ შიშს იწვევდა, ფიქრობდნენ რა, რომ ახალ ქართულ სახელმწიფოებრიობას არ მოეხდინა მათი დისკრიმინაცია. ამიტომაც, ისინი არც თუ გულლიად შეხედნენ საქართველოს დამოუკიდებლობას<sup>132</sup>. ხშირად, ამ საქმეში გამსახურდიას ნაციონალისტურ რიტორიკას ადანაშაულებენ, მაგრამ ვფიქრობთ, რომ საქმე გვაქვს უფრო ღრმა, ვიდრე უბრალოდ რიტორიკით გამოწვეულ პრობლემებთან; სწორედ ეს ღრმა პრობლემები განსაზღვრავდა ეთნიკურ უმცირესობათა გულგრილობას დამოუკიდებლობის იდეისადმი და არა უბრალოდ გამსახურდიას ნაციონალისტური რიტორიკა<sup>133</sup>. ეთნიკურ ჯგუფთა პოლიტიკური იდენტობა, უპირატესად საერთო საკავშირო მოქალაქეობასთან და ტრანსნაციონალურ იდენტობასთან იყო დაკავშირებული (ეს კი საბჭოთა კავშირის მთელი არსებობის განმავლობაში ჩამოყალიბდა) და შესაბამისად ეთნიკური უმცირესობები საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის იდეისგან დიდი ხნის გაუცხოებულნი იყვნენ. ამიტომაც, მათი ინდიფერენტიზმი დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს მიმართ არცაა გასაკვირი. საბჭოთა ეთნონაციონალისტური მემკვიდრეობის მატარებელნი იყვნენ ეთნიკური ქართველებიც და შესაბამისად, ისინიც შიშნარევი ინდიფერენტიზმით უყურებდნენ ეთნიკურ უმცირესობებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ გამსახურდიას მმართველობის პერიოდში ამგვარ სტერეოტიპულ განწყობებს მასობრივი ეთნიკური მობილიზაცია და ფართო ეთნონაციონალური შეფერილობის კონფლიქტი (გარკვეული ინციდენტების გარდა) არ გამოუწვევია. მისი საბოლოო ესკალაცია უფრო მოგვიანებით მოხდა.<sup>134</sup>

ძალიან ხშირად, (და არც თუ მთლად სამართლიანად) არსებული ეთნიკური გაუცხოების ჩამოყალიბებაში ზვიად გამსახურდიას დადანაშაულება ხდება, რომელმაც თითქოსდა მოახდინა ფორმალიზება უკიდურესად ნაციონალისტური

<sup>132</sup> აქ უპრიანი იქნება გავიხსენოთ, რომ დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციას ჰქონდა ადგილი 1918-1921 წლებშიც, რომელზედაც ზემოთ მივუთითეთ.

<sup>133</sup> ნაციონალისტური რიტორიკით გამოირჩეოდა მეტ-ნაკლებად ყველა პოსტ-კომუნისტური ქვეყანა და ეს არც იყო გასაკვირი, რადგანაც ისინი უპირველეს ყოვლისა დიდი იმპერიისგან გათავისუფლებას მოითხოვდნენ ან პირადად მისი შემადგენლობისგა, ან კიდევ ზეგავლენისგან.

<sup>134</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. 57

პოლიტიკისა ლოზუნგით: “საქართველო ქართველებისთვის”<sup>135</sup>. თუმცა, არც თუ ხშირია იმის ანალიზი, რომ თუ კი ეთნონაციონალისტური რიტორიკა ისმოდა გამსახურდიას მხრიდან <sup>136</sup>, სად იყო ის ობიექტური ფაქტორები, რომლის გადალახვაც მან ვერ მოახერხა. შესაძლოა იგი უნებლიედ ახდენდა (ბოლოს და ბოლოს გამსახურდიას სოციალიზაციაც ხომ საბჭოთა პერიოდში მოხდა) იმის აქტივიზაციას, რაც ისტორიას უკვე მკაცრად განესაზღვრა და არა წინასწარ გასნაზღვრულ დისკრიმინაციულ პოლიტიკას ატარებდა. ხშირად გამსახურდიას ფაშიზმთან (თუმცა კი რომ ფაშიზმის აღზევების არავითარი ობიექტური საფუძვლები საქართველოში არ არსებობდა) მიახლოებული აგრესიული ეთნონაციონალიზმის გამჩალებლად მიიჩნევენ, რასაც მისი “პარანოიდული პიროვნული ხასიათით” ხსნიან. მოცემული მოსაზრების მიხედვით, სწორედ რომ გამსახურდიას ეთნონაციონალიზმმა განაპირობა მისი საერთაშორისო ლეგიტიმაციის კრახიც. მაგრამ ვფიქრობთ, მაშინდელი მისი საერთაშორისო არ აღიარება მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკური რეალობით იყო განპირობებული და არა კონკრეტული ეთნონაციონალიზმით.<sup>137</sup>

ამიტომ, ვფიქრობთ, მხოლოდ ეთნონაციონალისტური რიტორიკა ვერ გამოიწვევდა გამსახურდიას დროინდელი საქართველოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების შეფერხებას. რიტორიკებს შესაძლოა ნამდვილად ქონდეთ გავლენა პოლიტიკური დღის წესრიგის ფორმირებაზე, მაგრამ იგი ვერანაირად ჩაითვლება კონკრეტული, მიზანმიმართული პოლიტიკური მოქმედების საფუძვლად. პოლიტიკას უფრო კონკრეტული ინტერესები წარმართავენ და არა უბრალო რიტორიკები.<sup>138</sup>

გამსახურდიას ხელისუფლების ძალადობრივად დამხობამ ფრიად უარყოფითი შედეგები მოიტანა. ქვეყანა საყოველთაო ქაოსში გაეხვა, რომლიდანაც საბოლოოდ გამოსვლა დღემდე უჭირს. შევარდნაძის ფასადურმა დემოკრატიულმა

<sup>135</sup> თუმცა მოცემული პოლიტიკის ფორმალიზება არასდროს მომხდარა და ეს უფრო გარკვეულ მკვლევართა ინტერპრეტაციებს ეფუძნება, ვიდრე არსებულ რეალობას.

<sup>136</sup> და საერთოდ უკლებლივ ყველა ანტიკომუნისტურად განწყობილი პოლიტიკური დაჯგუფების მხრიდან. ამავე დროს ამგვარმა ნაციონალისტურმა რიტორიკამ ძალიან იკლო გამსახურდიას მხრიდან, რაც იგი მმართველობის სათავეში მოვიდა.

<sup>137</sup> ლატვიის და ესტონეთის მსგავსი ეთნონაციონალიზმი საქართველოში არასდროს ყოფილა. ამ ქვეყნებში, თითქმის მოსახლეობის ნახევარს, მათი ეთნიკური წარმომავლობის გამო დღემდე აქვს პრობლემები და მოქალაქეობის გარეშე არსებობენ, თუმცა ამის გამო არც ლატვია და არც ესტონეთი არავის დაუსჯია.

<sup>138</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. გვ. 58

მმართველობამ<sup>139</sup> დემოკრატიის და სამოქალაქო საზოგადოების გარკვეული ელემენტები დანერგა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ლეგიტიმაციაც მოახერხა (რაც უკვე არა მხოლოდ შევარდნაძის პირად დამსახურებად უნდა ჩავთვალოდ, არამედ მაშინდელი მსოფლიო პოლიტიკური ცვლილებების ადეკვატურ გამოძახილად შეიძლება შევაფასოთ), მაგრამ პოლიტიკა და სახელმწიფო პირდაპირ შეერწყა კლანურ-პერსონიფიცირებულ ინტერესებს, რამაც როგორც მას ხშირად უწოდებენ ხოლმე „სახელმწიფოს მიტაცება“ გამოიწვია და „არშემდგარი სახელმწიფოს“ ფენომენი წარმოშვა<sup>140</sup>, ანუ მოახდინა სახელმწიფოს ფორმირების კოლაფსი და სისტემის მდგრადობა მხოლოდ კორუმპირებული ელიტური დაჯგუფებების (რომლებიც ხშირად პირდაპირ კრიმინალური წარმომავლობის პირებისგან შედგებოდნენ) მიერ შექმნილ პატრონ-კლიენტელურ ქსელს დაეფუძნა. შესაბამისად, ნებისმიერი სოციალური მობილობის განხორციელებას და რაიმე რეალური სოციალური თუ პოლიტიკური წარმატების მიღწევას მოცემული ჯგუფებისადმი ლოიალობის პრინციპი განსაზღვრავდა და არა ფორმალური რეგულაციები, ინსტიტუციები და მერიტოკრატია. ეს პრინციპი ვრცელდებოდა ეთნიკურ უმცირესობათა მიმართაც, რომელნიც თითქოსდა ფორმალურად აღარ იხმენდნენ შევარდნაძის მხრიდან ეთნონაციონალისტურ რიტორიკას, მაგრამ პრაქტიკულად საჯარო-პოლიტიკური სივრცისგან სრულიად იზოლირებულნი აღმოჩნდნენ. რეალურად, შევარდნაძის მმართველობას არაფერი გაუკეთებია სამოქალაქო ინტეგრაციისთვის და კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობები მხოლოდ წინასაარჩევნო პერიოდში თუ ახსენდებოდა ვისმეს. საამისოდ კი იგი ცდილობდა საბჭოთა კავშირის მიერ ნორმირებული ეთნო-ელიტების შექმნას (თუმცა არა ფორმალურ ინსტიტუციონალიზაციას) და მისი საშუალებით ეთნიკურ ურთიერთობათა იერარქიული სტრუქტურების ჩამოყალიბებას (რაც საბჭოთა ტრადიციის ტიპურ გაგრძელებას წარმოადგენდა). ამიტომაც, თქმა იმისა, რომ შევარდნაძის ეპოქამ ეთნიკურ ურთიერთობათა ნორმალიზება მოახდინა, ჩვენი აზრით, შეცდომა იქნებოდა. პირიქით, შევარდნაძემ იგი კიდევ უფრო მეტად დააკონსერვა და სამომავლოდ გადადო.

<sup>139</sup> სინამდვილეში კი ანარქიის და ავტორიტარიზმის ნაზავმა, რომელსაც ხანდახან „ანოკრატია“ უწოდებენ. იხ. **კლაუს ფონ ბეიმე** /*თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარების ტენდენციები*/ ახალი მიმართულებები პოლიტიკურ მეცნიერებებში. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2000 (თარგმანი გამოუცემელი სახით)

<sup>140</sup> ია ნოდია /*საქართველო: მოწყვლადი განზომილებები* / სახელმწიფოებრიობა და ესაფროთხოება, საქართველო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ. თბილისი. 2006 გვ. 53-109

ძალიან ხშირად, შევარდნაძის დროინდელ მმართველობას უწოდებენ “დემოკრატის დემოკრატების გარეშე”<sup>141</sup>. შევარდნაძის მთელი მმართველობის ხანა, მის მიერ საკუთარი ძალაუფლების ლეგიტიმაციის მცდელობას წარმოადგენდა<sup>142</sup>, რაც მან საბოლოოდ ვერ მოახერხა. სწორედ შევარდნაძის წარუმატებელი ლეგიტიმაციის გამოპასუხებად უნდა ჩაითვალოს 2003 წლის “ვარდების რევოლუცია”.<sup>143</sup>

„პოსტ-რევოლუციურმა” პოლიტიკურმა ელიტამ (რომლის შემადგენლობაში დიდი ადგილი ეკავათ შევარდნაძის გუნდის უფრო რეფორმისტულად განწყობილ პერსონალიებს) უპირველესად სახელმწიფოს, როგორც ინსტიტუციის ფორმირება დაისახა მთავარ მიზნად და ხელი მიჰყო კიდევ საჯარო-პოლიტიკური სივრცის ინსტიტუციონალიზაციას. მან გარკვეულ წარმატებებს მიაღწია კიდევ, მაგრამ მისი სრული რეალიზაცია დღემდე ვერ მოახერხა (რაშიც, როგორც გარკვეული სუბიექტური, მაგრამ შესაძლოა უფრო მეტად ობიექტური ფაქტორებია დამნაშავე). ამავე დროს, პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობამ ჯერ კიდევ ვერ მოიპოვა კონსოლიდირებული დემოკრატიის სახელი და ხშირად მას ადამიანის უფლებების დარღვევას და ავტოკრატიული მეთოდების გამოყენებაში ადანაშაულებენ. მიუხედავად იმისა, რომ საყოველთაო კორუფცია, როგორც სოციალური ყოფის მთავარი საფუძველი და ეკონომიკური შემოსავლების ძირითადი წყარო აღარაა განვითარების მაპროფილებელი ტენდენცია, პოლიტიკა და პოლიტიკური ინსტიტუტები ჯერ კიდევ ძლიერ პერსონიფიცირებულია და პატრონ-კლიენტელიზმისგან საბოლოო გათავისუფლებისგან შორს დგას.<sup>144</sup> სამოქალაქო საზოგადოება კვლავაც ჩანასახოვან მდგომარეობაშია. იგი ჯერ კიდევ ძალიან სუსტია და რეალურად გავლენას ვერ ახდენს პოლიტიკური დღის წესრიგის

<sup>141</sup> თუმცა აქ აღბათ იგულისხმება დემოკრატიის ზოგიერთი ელემენტის არსებობა და არა კონსოლიდირებული დემოკრატია, რომლის მისადაგებაც შევარდნაძის მმართველობის მიმართ ნამდვილად მკრეხელობა იქნებოდა.

<sup>142</sup> ძალიან ხშირად საჯაროდ ბრალად ედებოდა რა 1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალების ორგანიზება, შევარდნაძე მუდმივად ცდილობდა საკუთარი მმართველობის კანონიერების დადასტურებას. შევარდნაძის ამგვარი ლეგიტიმაციის მცდელობად შეიძლება ჩავთვალოთ მის მიერ საბჭოთა ეთნიკურ იერარქიათა შენარჩუნების მცდელობებიც და ეთნო-ელიტების საშუალებით ეთნიკურ უმცირესობათა მხრიდან მის მიმართ უპირობო, შიშნარევი პოლიტიკური ლოიალობის უზრუნველყოფა.

<sup>143</sup> ლეგიტიმურობის კრიზისით გამოწვეულ პრობლემებზე იხილეთ: Juegen Habermas/ *Legitimation Crisis*, Polity press 1988 და Thedas Skockpol / *States and Social Revolutions: A Comparative Analysis of France, Russia and China*, Cambridge University Press 1979

<sup>144</sup> თუმცა აღბათ პატრონ-კლიენტელიზმიდან საბოლოოდ თავისუფალი ქვეყნები არც არსებობენ, უბრალოდ გაჩნია საჯარო-პოლიტიკურ სივრცეზე მისი ზეგავლენის ხარისხს.

შედგენაზე (იმის და მიუხედავად, რომ არასამთავრობო ორგანიზაციათა და ასოციაციათა რიცხოვნობა საკმაოდ დიდია). ჩანასახოვან მდგომარეობაში მყოფი სამოქალაქო საზოგადოება ვერ ახერხებს სახელმწიფო საჯარო წესრიგისგან განსხვავებული, კერძო ინტერესების საფუძველზე წარმომდგარი ავტონომიური წესრიგის შექმნას. სამოქალაქო საზოგადოებას ჯერ კიდევ არ ძალუძს მოქალაქეს და სახელმწიფოს შორის ერთგვარი ბუფერი შექმნას, რომელიც მხოლოდ სახელმწიფოს, როგორც გარდაქმნათა მთავარი აგენტის როლს შეასუსტებდა და გზას გაუხსნიდა ფართო სამოქალაქო მონაწილეობას და ჩართულობას. სამოქალაქო საზოგადოებაში არსებული ფინანსური რესურსები, როგორც წესი უმეტესად უცხოური წარმოშობისაა და ამიტომაც ვერ უზრუნველყოფს კერძო ინტერესების ჯეროვან არტიკულაციას. მოცემული ფაქტორები კი თავის მხრივ აკნინებს საციალური კაპიტალის გაძლიერების რესურსს და ხელს უშლის ფართო, კერძო ინტერესებზე დაფუძნებული სოციალური თანამშრომლობის წახალისებას. მოცემული პროცესი კი თავის მხრივ პოლიტიკური ინსტიტუტების (განსაკუთრებით კი პოლიტიკური პარტიების) სიმციფის ერთ-ერთი მთავარი დეტერმინანტია და შესაბამისად, პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში ფართო სამოქალაქო წარმომადგენლობითობას უგულვებელყოფს. ამიტომაც, საბოლოოდ, ავტორიტარიზმის ჩამოყალიბების საფრთხე ჯერ კიდევ არ გამქრალა. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი წარმატებული სახელმწიფოს ფორმირების პროცესის კიდევ ერთი მძალვრი შემაფერხებელი ფაქტორი აღმოჩნდა. შესაძლებელია რუსულ-ქართულ ომს საბოლოოდ არ გაუნადგურებია სახელმწიფოს მშენებლობის პროცესი და პერსპექტივებს ჯერ კიდევ ტოვებს, მაგრამ ფაქტია, რომ მას მართლაც რომ გამანადგურებელი ეფექტი ქონდა.<sup>145</sup>

სააკაშვილის მმართველობა შეეცადა ეთნიკური ურთიერთობების იერარქიის და იზოლაციონიზმის გარღვევას<sup>146</sup>. ამ მხრივ მან გარკვეულ წარმატებებს

---

<sup>145</sup> და რომ არა უცხოური ქვეყნების და საერთაშორისო დონორების დროული ფინანსური დახმარება, სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივი, საბოლოო კოლაფსის მართლაც უდიდესი საფრთხე იყო.

<sup>146</sup> ბევრი ეთნიკურად არაქართველი დაინიშნა სახელმწიფოებრივ თანამდებობებზე, განხორციელდა რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა სახელმწიფო ენის შესწავლის თვალსაზრისით, გამოკეთდა ინფრასტრუქტურა, ბევრი საერთაშორისო ორგანიზაცია ჩაერთო ეთნიკურ ურთიერთობათა კვლევის და ნორმალიზაციის საქმეში, მრავალ სახელმწიფო დაწესებულებაში შეიქმნა ეთნიკურ უმცირესობათა და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი, კომიტეტი თუ განყოფილება, საზოგადოებრივ არსზე არსებობს ეთნიკურ უმცირესობათა ენებზე საინფორმაციო

ნამდვილად მიაღწია, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოახერხა მთავარი – ეთნიკურ ურთიერთობათა იერარქიული სტრუქტურების და ეთნო ელიტების არც თუ ღია ფორმირების მექანიზმების მოშლა. საარჩევნო ბატალიებისთვის, ისევე როგორც ამას ადგილი ჰქონდა შევარდნაძის მმართველობის დროს, კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ უმცირესობათა განსახლების არეალები ჯერ კიდევ ე.წ. სახელისუფლებო რესურსებად არის შემორჩენილი. კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობები, ტრადიციულად, ყველა მმართველი პოლიტიკური ძალის მიმართ უპირობოდ ლოიალურია. დედაქალაქში არსებული პოლიტიკური ელიტა ჯერ კიდევ ეთნო-ელიტებთან ურთიერთობის ფონზე ამჯობინებს ეთნიკურ ურთიერთობათა ნორმალიზებას. ამიტომაც, თქმა იმისა, რომ ეთნიკური იერარქიები ისპობა და მის ადგილს სამოქალაქო ინტეგრაცია იკავებს (რაც თავისი არსით ჰორიზონტალურია და არა ვერტიკალური), ჯერ კიდევ რთულია.

---

გამოშვებები, ხელისუფლების მაღალი პირებიც საჯარო გამოსვლებისას ცდილობენ თავი აარიდონ ეთნონაციონალისტურ რიტორიკას და უფრო სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმი იქადაგონ და ა.შ.

### **თავი III. ეთნიკური ურთიერთობების ინსტიტუციონალური მხარე და ზოგადი ვითარება**

ეთნიკური უმცირესობები ამჟამინდელ ეტაპზე ურთიერთობათა გარკვეულ ტრანსფორმაციას გადიან და განვითარების ახალ ფაზაში შედიან. ამგვარი ვითარება გამოწვეულია იმ გარდამტეხი პროცესებით, რომელსაც თანამედროვე ქართულ პოლიტიკურ დისკურსში „მოდერნიზაციას“ უწოდებენ. „მოდერნიზაციის“ შედეგზე მსჯელობა ჯერ-ჯერობით შეუძლებელია და შესაბამისად მისი საბოლოოდ შეფასება ჯერ კიდევ რთულია. „მოდერნიზაციის“ პროექტმა პერსპექტივაში უნდა უზრუნველყოს ქვეყნის თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლა, რომელიც უკვე მნიშვნელოვნად დაშორებული იქნება საბჭოთა მემკვიდრეობას და ერთხელ და სამუდამოდ დაძლევს პოსტ-კომუნისტური სახელმწიფოს სინდრომს. „მოდერნიზაციამ“, რომელმაც პერსპექტივაში მკვიდრი კონსოლიდირებული ლიბერალური დემოკრატია უნდა შვას, მართლაც მრავალი სიახლე შემოგვთავაზა განვითარების მრავალი კუთხით. „მოდერნიზაციამ“ მოითხოვა ახალი ინსტიტუციონალური მოწყობა, თანამედროვე განათლების სისტემის ფორმირება თუ თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრება, რომელიც სამომავლოდ რაციონალიზმის საფუძველზე მოწყობილი პოლიტიკის დაფუძნების პერსპექტივებს გვთავაზობს. ამ მხრივ გამონაკლისი არც ეთნიკური უმცირესობების საკითხი აღმოჩნდა.

#### ***3.1) ეთნიკური ურთიერთობების რეგულირების ინსტიტუტები***

„ვარდების რევოლუციის“ შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა მრავალი ინსტიტუციონალური ცვლილება შემოგვთავაზა, კონსტიტუციური ცვლილებების ჩათვლით. მოცემული ცვლილებები შეეხო ეთნიკური უმცირესობების საკითხის ინსტიტუციონალურ რეგულაციასაც. ეთნიკური უმცირესობების საკითხმა გაცილებით საპატიო ადგილი დაიკავა პოლიტიკურ დღის წესრიგში. ეს განპირობებული იყო როგორც შიდა პოლიტიკური მოთხოვნილებებით, ისე საერთაშორისო ვალდებულებებით.

2003 წლის შემდეგ რამდენიმე სტრუქტურა შეიქმნა, რომელთაც ევალებოდათ ეთნიკურ უმცირესობათა საკითხების გაძღოლა. 2004 წლის შემდეგ, მოცემულ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი იყო სახელმწიფო მინისტრის აპარატი სამოქალაქო

ინტეგრაციის საკითხებში, მაგრამ 2008 წლის სამთავრობო ცვლილებების შესაბამისად პასუხისმგებლობა რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაეკისრა. ამავე დროს 2005 წელს შეიქმნა შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო, რომელთან ერთადაც პრეზიდენტის მრჩეველმა სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში დაიწყო მოცემულ პოლიტიკაზე მუშაობა. მათი მეშვეობით შეიქმნა შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, რომელიც მთავრობამ 2009 წლის 8 მაისს დაამტკიცა. 2006 წლიდან ძალაში შევიდა ეროვნული უმცირესობების დაცვის ჩარჩო კონვენცია და საქართველომ აიღო ვალდებულება შეუერთდეს რეგიონული და უმცირესობების ენების ევროპის ქარტიას.<sup>147</sup> პრეზიდენტთან არსებულ შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოს დაევალა სახელმწიფო კონცეფციის და პოლიტიკის შემუშავება უმცირესობებთან დაკავშირებით. საბჭომ მიიღო „შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა“.<sup>148</sup>

კონცეფცია აღიარებს სამოქალაქო ინტეგრაციის მნიშვნელობას<sup>149</sup> და საჭიროებას და შესაბამისად სახავს გარკვეულ გეგმას და ნაბიჯებს მის შესასრულებლად. დოკუმენტი განსაზღვრავს კონცეფციის მიზნებს, რომელიც ითვალისწინებს ტოლერანტული და ურთიერთპატივისცემის გარემოს შექმნას, საქართველოს ყველა მოქალაქის თანასწორობით უზრუნველყოფას, რომელიც პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალური უფლებებს შეეხება, უმცირესობების საჯარო მონაწილეობის უზრუნველყოფას, უმცირესობებისთვის განათლების ხელმისაწვდომობა, უმცირესობებისთვის კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებას.<sup>150</sup>

მოცემული კონცეფცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: სამოქალაქო თანასწორობის და ანტიდისკრიმინაციული პოლიტიკის განხორციელებას, ბალანსის დაცვას ინტეგრაციას და უმცირესობების იდენტობის დაცვას შორის და ძალადობრივი ასიმილაციის უარყოფას, უმცირესობების არჩევანის უფლებას

<sup>147</sup> გიორგი სორდია / *ეროვნულ უმცირესობათა მართვის ინსტიტუტები საქართველოში, მიმოხილვა*; ECMI – სამუშაო მოხსენება № 43, სექტემბერი 2009, [www.ecmigeorgia.org](http://www.ecmigeorgia.org)

<sup>148</sup> შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფციის და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ / [www.diversity.ge](http://www.diversity.ge)

<sup>149</sup> სამოქალაქო ინტეგრაციის მნიშვნელობა ხასგასმულია ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაშიც

<sup>150</sup> იქვე. გვ. 3-4

მიაკუთვნონ თუ არა საკუთარი თავი უმცირესობების კატეგორიას, საქართველოს კონსტიტუციის და უმცირესობათა დაცვის ევროპული ჩარჩო კონვენციიდან გამომდინარე უმცირესობების კოლექტიური და ინდივიდუალური მოქმედების თავისუფლებას, უმცირესობების მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში, რომლებიც უმცირესობების იდენტობის საკითხებს შეეხება და მოცემული სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგის პროცესში საზოგადოებრივი ჩართულობის უზრუნველყოფას.<sup>151</sup>

კონცეფციამ გამოყო რამდენიმე ძირითადი მიმართულება, რომლისკენაც იქნება მიმართული მომავალი ინტეგრაცია და სამოქმედო გეგმა:

- ა) კანონის უზენაესობა;
- ბ) განათლება და სახელმწიფო ენა;
- გ) მედია და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა;
- დ) პოლიტიკური ინტეგრაცია და სამოქალაქო მონაწილეობა;
- ე) სოციალური და რეგიონალური ინტეგრაცია;
- ვ) კულტურა და თვითმყოფადობის შენარჩუნება.<sup>152</sup>

შესაბამისად აღნიშნულ კონცეფციაში გადმოცემული სამოქალაქო ინტეგრაციის განხორციელების პრიორიტეტებისა, შეიქმნა სტრატეგიული გეგმის განხორციელების 6 ძირითადი მიმართულება, რის საფუძველზეც საბჭოს ფორმატში შემდეგი სამუშაო ჯგუფები ჩამოყალიბდა:

- ა) კანონის უზენაესობის;
- ბ) განათლების და კულტურის;
- გ) საზოგადოების სოციალური და რეგიონული ინტეგრაციის;
- დ) მედიის;
- ე) სამოქალაქო მონაწილეობის.

შემწყნარებლობის და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭოს შემადგენლობაშია 20 პირი, რომლებიც წარმოადგენენ, როგორც სახელმწიფო აღმასრულებელ და

---

<sup>151</sup> იქვე გვ. 4-5

<sup>152</sup> იქვე გვ. 5-9

საკანონმდებლო ორგანოებს, აგრეთვე მას-მედიას, არასამთავრობო ორგანიზაციებს, სამეცნიერო წრეებს და სახალხო დამცველის ოფისს.<sup>153</sup>

ამჟამად, ეთნიკურ უმცირესობების საკითხებს შემდეგი ინსტიტუტები და სტრუქტურები უძღვებიან:

- ა) ეროვნული უმცირესობების და სამოქალაქო ინტეგრაციის საბჭო,
- ბ) რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი,
- გ) სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებში პრეზიდენტის მრჩეველის სტრუქტურა, რომელიც უძღვება პრეზიდენტთან არსებულ საბჭოს.

მოცემული ინსტიტუტების გარდა, ეთნიკური უმცირესობების საკითხების რეგულირებაში დამატებით ოთხი სამინისტროა არაპირდაპირ ჩართული:

- 1) განათლების და მეცნიერების სამინისტრო;
- 2) კულტურის, ძეგლთა დაცვის და სპორტის სამინისტრო;
- 3) ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო;
- 4) საგარეო საქმეთა სამინისტრო.

საკანონმდებლო სტრუქტურებიდან მოცემულ საკითხებს პირდაპირ უძღვება ადამიანის უფლებების დაცვის და სამოქალაქო ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტი. დანარჩენ რამდენიმე კომიტეტი არაპირდაპირ არიან დაკავშირებული ეთნიკური უმცირესობების და სამოქალაქო ინტეგრაციის საკითხებს. მოცემულ სტრუქტურებს ემატებათ სახალხო დამცველის ოფისთან არსებული ეროვნულ უმცირესობათა საბჭო, რომელიც უფრო უფლებრივი დაცვის თვალსაზრისით აწარმოებს საქმიანობას.<sup>154</sup>

მოცემული სახელმწიფო ორგანოების უფლებამოსილებები ხშირად აღრეულია ერთმანეთში. საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლები ითხოვენ შეიქმნას ცალკე დაწესებულება, რომელიც სპეციალურად იმუშავებს რასიზმის და შეუწყნარებლობის საკითხებზე, და რომელიც აღჭურვილი იქნება ყველანაირი

<sup>153</sup> ტოლერანტობა და სამოქალაქო ინტეგრაცია; სახელმწიფო პოლიტიკა / საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია, 2008 / [www.diversity.ge](http://www.diversity.ge), [www.president.gov.ge](http://www.president.gov.ge)

<sup>154</sup> იქვე

რესურსებით. მიუხედავად ამგვარი მოთხოვნისა, ასეთი სტრუქტურა ჯერ-ჯერობით არ არსებობს.<sup>155</sup>

### **3.2) ეთნიკური უმცირესობების ზოგადი ვითარება და განხორციელებული ღონისძიებები სამცხე-ჯავახეთსა და ქვემო ქართლში**

#### **ა) სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა**

საქართველოს თანამედროვე მდგომარეობით, ეთნიკურად არაქართული მოსახლეობა 13% (2002 წლის მდგომარეობით), აღწევს, მაშინ როცა 1989 წლის აღწერით მათი რიცხოვნობა 30%-ს აღწევდა. მაგრამ გასული საუკუნის 90-იან წლებში განვითარებულმა მოვლენების შედეგად, ეთნიკურ უმცირესობათა (ისე როგორც ეთნიკური ქართველების შემთხვევაშია) დიდი შრომითი ემიგრაცია გამოიწვია უცხოეთის (ძირითადად რუსეთში, დასავლეთი ევროპის ქვეყნები და აშშ) ქვეყნებში.<sup>156</sup>

საქართველოში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა 55% ქვემო ქართლს და სამცხე-ჯავახეთში რეგიონში იყრის თავს, აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის გამოკლებით. 2002 წლის მონაცემებით უმცირესობათა მხოლოდ 31% ფლობს სრულყოფილად ქართულს. ქართულად ძირითადად დედაქალაქსა და შერეულ რაიონებში საუბრობენ.<sup>157</sup>

აზერბაიჯანელები საქართველოს სხვადასხვა მხარეში ძირითადად კომპაქტურად ცხოვრობენ (კახეთი, შიდა ქართლი), თუმცა საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელების უმრავლესობა ქვემო ქართლშია განსახლებული. ისინი ქვემო ქართლის მოსახლეობის 45% შეადგენენ, თუმცა 4 მათგანში აბსოლუტურ ან შედარებით უმრავლესობას წარმოადგენენ: მარნეული (83.1%), დმანისი (66.7%), ბოლნისი (66%), გარდაბანი (43%).<sup>158</sup>

<sup>155</sup> ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი / ბტკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, ეთნიკური უმცირესობების პროგრამა, თბილისი 2008, [www.btkk.ge](http://www.btkk.ge)

<sup>156</sup> [www.statistics.ge](http://www.statistics.ge)

<sup>157</sup> ჯონატან უითლი / საქართველოში სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია; მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ხუთი წელი/ ECMI-ის სამუშაო მოხსენება № 44, სექტემბერი 2009, [www.ecmigeorgia.org](http://www.ecmigeorgia.org)

<sup>158</sup> [www.statistics.ge](http://www.statistics.ge)

სომხები უმრავლესობას შეადგენენ სამცხე-ჯავახეთის ორ რაიონში: ახალქალაქის (94%) და ნინოწმინდა (96%), ქვემო ქართლში წალკაში (55%). ასევე მათი დიდი განსახლებაა ახალციხეში (36%), ქ. თბილისში კი ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური უმცირეობაა (8%).<sup>159</sup>

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ეკონომიკური წარმოება ჩამოუვარდებოდა დედაქალაქის, თბილისის, სწრაფად მზარდ ეკონომიკას. ტენდენცია, რომელიც განვითარდა ყველგან 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში, გამოიხატებოდა დედაქალაქის ეკონომიკურ დაწინაურებაში, როდესაც სხვა რეგიონები კვლავ რჩებოდნენ განვითარების დაბალ საფეხურზე. 2007 წელში<sup>160</sup> წლიური ბრუნვა ერთ სულ მოსახლეზე ქვემო ქართლში შეადგენდა საშუალო ეროვნული მაჩვენებლის 59.7%-ს, რაც გაუარესებული მაჩვენებელი იყო 2003 წელს დაფიქსირებულ 67.6%-თან შედარებით. სამცხე-ჯავახეთში შესაბამისი მონაცემებია 22.0% და 35.5%. მსგავსი სურათი იხატება ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის ღირებულების გამოანგარიშებისას, რომელმაც დაიწია საშუალო ეროვნული მაჩვენებლის 92.1%-დან 89.9%-მდე ოთხი წლის მანძილზე 2003 წლიდან 2007 წლამდე ქვემო ქართლში და 47.9%-დან 25.7%-მდე - სამცხე-ჯავახეთში. ზემოთ მოცემული ორი ინდიკატორის მიხედვით საქართველოს თერთმეტი რეგიონის დაყოფის შემთხვევაში (ცხრა აგრარული რეგიონი, დედაქალაქი, თბილისი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა), ქვემო ქართლი ინარჩუნებს მესამე ადგილს ოთხი წლის განმავლობაში, თბილისისა და აჭარის შემდეგ, ხოლო სამცხე-ჯავახეთი მხოლოდ მერვე ადგილზეა (უსწრებს გურიას, კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმს/ქვემო სვანეთს, სტატისტიკის დეპარტამენტი 2008ა). გასათვალისწინებელია, რომ სამცხე-ჯავახეთში საერთო შემოსავლის დონემ აიწია სამრეწველო საწარმოების ხარჯზე, როგორცაა, საქართველოს მინისა და მინერალური წყლის კომპანია (იხ. ქვემოთ), ისიც, უმთავრესად, რეგიონის ქართულ დასახლებებში. <sup>161</sup>

სამცხე-ჯავახეთი და ქვემო ქართლი სასოფლო-სამეურნეო რეგიონებია. ამ რეგიონებში მოდის საქართველოში კარტოფილის მოსავლის ნახევარზე მეტი. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიხედვით, დაახლოებით 110,000 ტონა

<sup>159</sup> ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი / ბტკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, ეთნიკური უმცირესობების პროგრამა, თბილისი 2008, [www.btkk.ge](http://www.btkk.ge)

<sup>160</sup> მოცემული და ქვემოთ მოყვანილი ეკონომიკური ციფრები დღევანდელი არ არის, თუმცა იგი ფაქტობრივად დღემდე არ შეცვლილა

<sup>161</sup> ჯონატან უითლი, იქვე

კარტოფლის მოსავალი მიიღო სამცხე-ჯავახეთმა 2007 წელს, რამაც ქვეყანაში მიღებული კარტოფლის საერთო მოსავლის 37.4% შეადგინა. ქვემო ქართლში მოსავალმა შეადგინა 60,000 ტონა (კარტოფლის საერთო მოსავლის 20.5%). კარტოფილი ძირითადად მოყავთ მაღალმთიან რაიონებში, როგორცაა, ახალქალაქი, ნინოწმინდა, ასპინძა, დმანისი, თეთრიწყარო და წალკა. ბოსტნეულის სხვა სახეობები, კერძოდ, პომიდორი, კომბოსტო, ყვავილოვანი კომბოსტო, ისევე როგორც სხვადასხვა სახის ხილი იზრდება ქვემო ქართლის დაბლობში, განსაკუთრებით, გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში.

ქვემო ქართლში ბოსტნეულის წარმოება გაუტოლდა 79,500 ტონას 2007 წელს, რომელიც ბოსტნეულის საერთო წარმოების 40%-ს შეადგენს (სტატისტიკის დეპარტამენტი, 2008ბ). თუმცა, ბოლო წლებში, ბოსტნეულის, მათ შორის, კარტოფილის მოსავლიანობამ მთელ საქართველოში დაიკლო, რამაც გამოიწვია ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში საერთო შემოსავლის შემცირება. გარდა კარტოფილისა, ხორბალი და სიმინდიც უხვად იზრდება ქვემო ქართლის დაბლობ რაიონებში. <sup>162</sup>

მესაქონლეობაც ასევე ხელს უწყობს ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში სოფლის მეურნეობის განვითარებას. მსხვილფეხა საქონლისა და ცხვრის მოშენება ფართოდაა გავრცელებული ორივე რეგიონში, განსაკუთრებით, ქვემო ქართლის მაღალ-მთიან რაიონებში, სადაც სათიბი მიწა სასოფლო-სამეურნეო მიწის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. ბოლო ხანებში, გაიზარდა კვერცხის წარმოებაც ქვემო ქართლში; 2007 წლისათვის ქვემო ქართლმა აწარმოა საერთო კვერცხების რაოდენობის 57.5%; ეს რიცხვი 2003 წელს უტოლდებოდა 14.7%-ს. <sup>163</sup>

სამრეწველო წარმოება ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში წარმოდგენილია რამდენიმე საწარმოთი. ქვემო ქართლში ცნობილია რუსთავის გადამამუშავებელი მეტალურგიული ქარხანა, რუსთავის ქიმიური ქარხანა (რომელიც აწარმოებს ქიმიურ სასუქებს), ჰაიდელბერგის ცემენტის ქარხანა (რუსთავი) და მადნეულის ფოლადისა და ოქროს საბადოები კაზრეთში, ბოლნისის რაიონში. 2005-2006 წლებში ამ საწარმოების პრივატიზების კვალდაკვალ, მნიშვნელოვნად გაიზარდა მათი წარმოებაც. საწარმოები შეადგენენ საქართველოს ექსპორტის უდიდეს ნაწილს. 2007 წლისათვის, შიდა ქართლში სამრეწველო

<sup>162</sup> ჯონატან უითლი, იქვე

<sup>163</sup> ჯონატან უითლი, იქვე

პროდუქციის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე ორჯერ აღემატებოდა ქვეყნის საერთო მაჩვენებელს. თუმცა, საწარმოების მუშაობაზე ზემოქმედებდა მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ცვლილებები და, შედეგად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში შეწყდა წარმოება 2008 წლის დასასრულს. მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა შეამცირა მოთხოვნა ქართულ ფოლადზე, რის გამოც საწარმოში დასაქმებულთა მეოთხედი დარჩა უმუშევარი. უნდა აღინიშნოს, რომ მადნეულის გამოკლებით, ეს საწარმოები განლაგებული რუსთავში, სადაც უმცირესობათა რიცხვი საკმაოდ მცირეა.<sup>164</sup>

სამცხე-ჯავახეთში ძირითადი სამრეწველო საწარმოა საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია, რომელიც აწარმოებს საქართველოში საუკეთესო მინერალურ წყლებს. საწარმო მდებარეობს ბორჯომში, სადაც მოსახლეობის უდიდეს ნაწილს ეთნიკური ქართველები შეადგენს, შესაბამისად, ეთნიკურ უმცირესობებს დასაქმების ნაკლები შესაძლებლობა რჩებათ. მხოლოდ რამდენიმე საწარმო ფუნქციონირებს ჯავახეთში. თუმცა, აღსანიშნავია ახლახან ადგილობრივი ბიზნესმენის მიერ დაარსებული სამკერვალო ქარხანა ნინოწმინდაში. ამრიგად, 2007 წელს სამრეწველო პროდუქციის წარმოება ერთ სულ მოსახლეზე სამცხე-ჯავახეთში საშუალო ეროვნული მაჩვენებლის ნახევარზე ნაკლები შეადგენდა.<sup>165</sup>

ჯავახეთი და წალკა ფაქტიურად მოწყვეტილი იქნა ქვეყნის დანარჩენი ნაწილისგან, ვინაიდან გზების სავალალო მდგომარეობის გამო თითქმის შეუძლებელი იყო დედაქალაქში ჩადწევა. საზოგადოებრივი სარგებლის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, უმცირესობებით დასახლებული რეგიონები არ იმყოფებოდნენ განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაში სხვა რეგიონებთან შედარებით; მხოლოდ ენობრივი ბარიერი აღვივებდა იზოლაციისა და გაუცხოვების შეგრძნებას უმცირესობათა ჯგუფები.<sup>166</sup>

შევადრუნადის დროს ჯავახეთში მოსახლეობისათვის არ იყო ხელმისაწვდომი საზოგადოებრივი სარგებელი; ამ მხრივ მოსახლეობას ბევრჯერ დახმარებია ახალქალაქში განლაგებული რუსეთის 62-ე სამხედრო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა ადგილობრივ ოჯახებს საარსებო შემოსავლით. ამ გარემოებამ

---

<sup>164</sup> იქვე

<sup>165</sup> ჯონათან უითლი, იქვე

<sup>166</sup> იქვე

ხელი შეუწყო რუსული ვალუტის ხშირ ბრუნვას რეგიონში და ამ უკანასკნელის კიდევ უფრო ჩამოშორებას დანარჩენი საქართველოსგან. სამხედრო ბაზის არსებობას ადგილობრივი სომეხი მოსახლეობა მეზობელი თურქეთისგან თავდაცვის გარანტიადაც თვლიდა. აქედან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის მხრიდან ბაზის დახურვის ყოველი მცდელობა ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობიდა წინააღმდეგობას აწყდებოდა.<sup>167</sup>

ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთს შორის მნიშვნელოვანი განსხვავება იყო ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში თანამდებობის პირთა დანიშვნის კუთხითაც. ხელმძღვანელ პოზიციად ითვლება გუბერნატორის თანამდებობა, რომელიც ინიშნება პრეზიდენტის მიერ და როგორც წესი, გუბერნატორი ქვეყნის პირველ პირთან დაახლოებული ფიგურა იყო. ჩვეულებრივ, გუბერნატორებად ინიშნებოდნენ ეთნიკური ქართველები. ამის საპირისპიროდ, ვითარება განსხვავებული იყო რაიონების დონეზე, სადაც მაღალ თანამდებობებზე, როგორცაა, გამგებლის, პოლიციის უფროსის, პროკურორის, საგადასახადოს ხელმძღვანელისა და რაიონული საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის, პირები ასევე ცენტრიდან ინიშნებოდნენ. კერძოდ, ჯავახეთის ორ რაიონში, ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, სადაც უმრავლესობას სომხები შეადგენენ, ეს თანამდებობები ეკავათ სომხებს, რომლებიც ცენტრიდან დიდ მხარდაჭერას იღებდნენ. უფრო მეტიც, ყველაზე გავლენიანი პირები ამ მხარეში იყვნენ სომეხი ბიზნესმენები, რომლებიც, ყარაბაღის კონფლიქტში საქართველოს “ნეიტრალური” პოზიციის წყალობით, უშუალო მონაწილეობას იღებდნენ აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის ნავთობითა და გაზით ვაჭრობაში პირადი ფინანსური ინტერესების მიმდევარი ბიზნესმენები, ცხადია, ვერ ჩაითვლებოდნენ თავიანთი ხალხის წარმომადგენლებად.<sup>168</sup>

ქვემო ქართლში კი, აზერბაიჯანული მოსახლეობა თითქმის არ იყო წარმოდგენილი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში. ქვემო ქართლის გამგებლებად, ისევე როგორც სხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე მხოლოდ ქართველები ინიშნებოდნენ (ჯავახეთში იგივე თანამდებობები სომხებს ეკავათ). ადგილობრივი აზერბაიჯანელი ლიდერები დაიშვებოდნენ დაბალი რანგის თანამდებობებზე, სამაგიეროდ, მათაც მიუწვდებოდათ ხელი კორუფციულ

<sup>167</sup> იქვე

<sup>168</sup> იქვე

გარიგებებზე ქვემო ქართლის გავლენიანი გუბერნატორის, ლევან მამალაძისადმი ერთგულების საზღაურად. ამდენად, აზერბაიჯანულ მოსახლეობას გააჩნდა რამდენიმე საფუძველი თავიანთი უკმაყოფილების გამოსახატავად. ყველაზე ფართოდ გავრცელებული პრობლემა იყო საბჭოთა კოლმეურნეობების დაშლის შედეგად მიმდინარე მიწის განაწილების პროცესში არსებული კორუფცია. ადრე კოლმეურნეობების კუთვნილი მიწის დიდი ნაწილი იჯარით გაიცა მეტად საიდუმლო გარემოებებში. მიწის მოიჯარეები ხდებოდნენ “ადგილობრივი გავლენიანი პირები”, ძირითადად, ყოფილი კოლმეურნეობების თავმჯდომარეები ან ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან დაახლოებული პირები. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა ქართველები იყვნენ. აღნიშნული გარემოება უქმნიდა შთაბეჭდილებას ადგილობრივ აზერბაიჯანელებს, რომ ისინი მეორეხარისხოვანი მოქალაქეები იყვნენ თავიანთი ქვეყნისთვის.

სააკაშვილის ადმინისტრაციამ დაიწყო მუშაობა შემდეგი მიმართულებებით: ქართული ენის სწავლება უმცირესობებით დასახლებული რაიონების სკოლებში, რაშიც მთავრობას დიდ დახმარებას უწევდნენ საერთაშორისო დონორი ორგანიზაციები, როგორცაა, ეუთო; ძირითადი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და ახალქალაქისა და ნინოწმინდის სხვა ქართულ ქალაქებთან დამაკავშირებელი გზების რეაბილიტაცია (ეს უკანასკნელი განხორციელდებოდა აშშ-ს მიერ დაფინანსებული ათასწლეულის გამოწვევის პროგრამის ფარგლებში); ზურაბ ჟვანიას (ყოფილი პრემიერ-მინისტრი) სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლის დაარსება, რომელიც ამზადებს უმცირესობათა წარმომადგენლებს საჯარო სამსახურში სამუშაოდ; “პატრიოტული ბანაკები”-ს დაარსება, სადაც თავს იყრიან სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის ახალგაზრდები; და ბოლოს, ევროსაბჭოს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის ჩარჩო კონვენციის რატიფიცირება, რომელიც 2006 წლის აპრილში შევიდა ძალაში.<sup>169</sup>

## **ბ) განათლების საკითხები**

ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისათვის განსაკუთრებით აქტუალურია ინტეგრაციის ხელშეწყობა დაწყებითი და უმაღლესი განათლების რეფორმის განხორციელების თვალსაზრისით. ჩვენს მიერ ზემოთ განხილული კონცეფციაც ენობრივი ბარიერის არსებობას სამოქალაქო ინტეგრაციის

<sup>169</sup> იქვე

განსაკუთრებულ გამოწვევად აღიარებს. ამ მხრივ ბოლო ხანებში გაჩნდა გარკვეული პოზიტიური ძვრები, რომელმაც სამომავლოდ უნდა უზრუნველყოს ერთიანი პოლიტიკურ-კულტურული სივრცის ფორმირება, რომელიც საერთო სახელმწიფო ენობრივი ინტეგრაციის საფუძველზე განხორციელდება.

საქართველოს მთავრობის პოლიტიკა ორი ძირითადი მიმართულებით გამოირჩევა: ერთის მხრივ იგი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სახელმწიფო ენის მაღალხარისხოვნად შესწავლას და მეორე ესაა უმცირესობების უფლება მიიღონ განათლება საკუთარ ენაზე. საბჭოთა პერიოდში, რომელმაც რუსული ენა აქცია საერთო საკავშირო ენად და შესაბამისად უმცირესობების წინაშე არ იდგა აუცილებელი საჭიროება ქართულის შესწავლისა, გარიყა ისინი ქართული ლინგვისტური სივრციდან. უმცირესობათა უდიდესი ნაწილი, როგორც დაწყებით, ისე უმაღლეს განათლებას რუსულ ენაზე ამჯობინებდნენ, რადგანაც რუსულის კარგად ცოდნა მათ სოციალური მობილობის გაცილებით მეტ პერსპექტივებს სთავაზობდა კავშირის მასშტაბით, ვიდრე ქართულის და თუნდაც მხოლოდ საკუთარი ენის კარგად ცოდნა. ამის მიუხედავად არსებობდა მრავალრიცხოვანი არაქართულენოვანი სკოლები საქართველოში, რომლებიც უმცირესობათა საკუთარ ენაზე განათლებას უნდა მომსახურებულყო. არაქართულენოვანი სკოლების არსებობა ტრადიციით დღემდე გრძელდება. 2008 წლის მონაცემებით არაქართულენოვანი მოსწავლეების რაოდენობა მთლიანი ქვეყნის მასშტაბით შეადგენდა 8.79%. 2006 წლისთვის არაქართულენოვან და შერეულენოვან სკოლათა რაოდენობა 456 აღწევდა. ბოლო მონაცემებით იგი შემცირებულია და წარმოადგენს 408-ს, რომელთაგანაც 234 ერთენოვანია. თუმცა მათი საკმაოდ რიცხოვნობის მიუხედავად, სწავლების ხარისხი მათში საკმაოდ დაბალია და მწირის რესურსებით გამოირჩევა. სახელმწიფომ მიმდინარე რეფორმების შედეგად, დაიწყო სკოლების ტექნიკური რეაბილიტაცია, მენეჯმენტის სიტემის მოდერნიზაცია, ერთიანი სასწავლო პროგრამების დანერგვა, მასწავლებელთა და პერსონალის გადამზადება და პერსპექტივაში მრავალენოვანი განათლების სისტემის შემოღება, რათა ერთის მხრივ კარგად იქნას სახელმწიფო ენა შესწავლილი და მეორეს მხრივ არ დაიკარგოს უმცირესობათა ენებიც.<sup>170</sup>

<sup>170</sup> სალომე მესუხლა და ეიდინ მოშე / *განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში* ; ECMI სამუშაო მოხსენება, სექტემბერი 2009, [www.ecmigeorgia.org](http://www.ecmigeorgia.org)

2005 წლის “ზოგადი განათლების” შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, ქართული ენისა და ლიტერატურის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის და სხვა “სოციალური მეცნიერებების” სწავლება ქართულ ენაზე ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით უნდა დაიწყოს არაუგვიანეს 2010 წლისა. გარდა ამისა, ამავე კანონით შემოღებული ერთიანი ეროვნული გამოცდები მოითხოვს, რომ აკრედიტებულ უნივერსიტეტში ჩაბარების მსურველმა მიიღოს დადგენილი გამსვლელი ქულა ქართულ ენასა და ლიტერატურაში.<sup>171</sup>

მთავრობამ განიზრახა დასახული გეგმების განხორციელება უმოკლეს ვადებში, შესაბამისად, დაპირებებმა ვერ გაამართლა და უმცირესობათა ჯგუფებში ქართული ენის ცოდნის დაბალი დონე კვლავ პრობლემად რჩებოდა. განათლების სამინისტროს ახალი ინიციატივის მიხედვით, ეთნიკურ უმცირესობებს გარკვეული შეღავათები ენიჭებათ. საერთო ეროვნულ გამოცდებში მათ 12%-იანი კვოტა მიენიჭათ. მოცემული კვოტის ფარგლებში ეთნიკური უმცირესობები საკუთარ ენაზე ჩააბარებენ უნარ-ჩვევების ტესტებს და მოცემული შედეგებისდა მიხედვით ჩაირიცხებიან შესაბამის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც უკვე ერთი წლის განმავლობაში ინტენსიურად ისწავლიან ქართულ ენას, რათა შემდგომში შეძლონ სწავლის გაგრძელება და უნივერსიტეტის დასრულება. მოცემული 12%-დან 5-5% ერგებათ სომხებს და აზერბაიჯანელებს, ხოლო 1-1% ოსებს და აფხაზებს.<sup>172</sup>

უნივერსიტეტებში ჩაბარების მსურველნი ქვემო ქართლიდან და სამცხე-ჯავახეთიდან ვერ ახერხებდნენ სათანადოდ მომზადებას ქართული ენაზე გამოცდების ჩასაბარებლად, რომლებიც ფაქტიურად რეფორმის დაწყებისთანავე შემოიღეს. შედეგად, ახალგაზრდები ვერ აბარებდნენ საქართველოს უნივერსიტეტებში და ძველებურად კვლავ ერევანსა და ბაქოში მიემგზავრებოდნენ სასწავლებლად. 2005 წელში, როდესაც პირველად ჩატარდა ერთიანი ეროვნული გამოცდები, ახალქალაქისა და ნინოწმინდის მკვიდრი სამოცდაოთხი არაქართველი აბიტურიენტიდან მხოლოდ ორმა ჩააბარა გამოცდები და ჩაირიცხა აკრედიტებულ უნივერსიტეტებში. 2008 წელში ეს რიცხვი თითქმის არ შეცვლილა. მიუხედავად იმისა, რომ სულ უფრო მეტი სომეხი აბიტურიენტი ლახავდა ჩაბარებისთვის საჭირო ქულების მინიმალურ ზღვარს, ქართულ ენაში მიღებული ქულები დაბლა

<sup>171</sup> ჯონატან უითლი...

<sup>172</sup> შალვა ტაბატაძე / *განათლების პოლიტიკის ახალი ინიციატივები სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში* / მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების ინსტიტუტის პოლიტიკის ანგარიში 2010 [http://cipdd.org/files/45\\_505\\_439631\\_pol-geo1.pdf](http://cipdd.org/files/45_505_439631_pol-geo1.pdf)

სწევდა ქულების საერთო ოდენობას და ისინი ვეღარ ხედებოდნენ ქართულ უნივერსიტეტებში. უფრო მეტიც, აბიტურიენტები ვეღარც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალში ირიცხებოდნენ ამ უკანასკნელის დახურვის გამო. <sup>173</sup>

მეორე მნიშვნელოვანი წარმატება იყო ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნების უმცირესობათა ენებზე თარგმნილი წიგნების გაგრძელება. 2007-08 სასწავლო წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ წიგნები პირველად დაურიგა პირველი, მეშვიდე და მეთექვსმეტე კლასის მოსწავლეებს. 2008-09 სასწავლო წელს წიგნები ასევე დაურიგდათ მეორე, მერვე და მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებს. მომავალში იგეგმება თარგმნილი სასკოლო წიგნების დარიგება ყველა კლასის მოსწავლეებისთვის. აღნიშნული ინიციატივის განხორციელებამდე, ეროვნულ უმცირესობათა სკოლები მარაგდებოდა ერევნიდან და ბაქოდან მიღებული სასკოლო წიგნებით გარდასაქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესახებ ქართულ ენაზე გამოცემული წიგნებისა. ამიტომ, უმცირესობათა ენებზე სასკოლო წიგნების გაგრძელება წინგადადგმული ნაბიჯია განათლების სისტემის უნიფიკაციისათვის. მთავრობის ამ წამოწყებას მიესალმება ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაც მიუხედავად წიგნების თარგმნის ხარისხის თაობაზე არსებული ცალკეული შენიშვნებისა.

### **გ) ადგილობრივი ინფრასტრუქტურა და კომუნიკაციები**

მთავრობის ინიციატივით დაიწყო ადგილობრივი ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაც. სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის მიმდინარე პროექტის წყალობით გაადვილებულია მოძრაობა ახალქალაქის, ნინოწმინდისა და წალკის მთიან რაიონებში, სამომავლოდ ასევე განხორციელდება მაგისტრალისა და რკინიგზის მშენებლობის პროექტებიც. ახალციხესა და ახალქალაქს შორის გზების უდიდესი ნაწილი აღდგენილია, უკვე შესაძლებელია თბილისიდან ახალქალაქამდე ჩასვლა ოთხსაათნახევარში ნაცვლად ექვსი საათისა. ათასწლეულის გამოწვევის ფონდმა დააფინანსა მეორე დიდი პროექტი, რომელიც ითვალისწინებს თბილისი-წალკა-ნინოწმინდის მაგისტრალის რეკონსტრუქციას; პროექტი უკვე დასრუკლდა 2010 წლის ნოემბერში და შედეგად, შესაძლებელი გახდა თბილისიდან

<sup>173</sup> ჯონატან უითლი..

ჯავახეთამდე მგზავრობა უფრო მცირე დროის მონაკვეთში. ამავდროულად, გაუმჯობესდება სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა წალკაშიც. თბილისიდან მანგლისამდე (თეთრიწყაროს რაიონი) გზის მონაკვეთი უკვე აღდგენილია, ამდენად თბილისიდან წალკამდე სამგზავრო დრო შემცირებულია სამი საათიდან (2004 წელს) ორ საათამდე (2009 წელს). გარდა ამისა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პროექტი ითვალისწინებს ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქო სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობას. პროექტი, რომელიც საქართველოს, აზერბაიჯანისა და თურქეთის მთავრობების 2007 წლის შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება, სავარაუდოდ 2011 წელს დასრულდება.<sup>174</sup>

2009 წელს საქართველოს მთავრობამ გამოყო 20 მილიონი ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამისთვის, რომლის მიზანია სოფლის საზოგადოებებში არსებული მთავარი ინფრასტრუქტურული პრობლემების გადაჭრა. ამ მიზნით, ბევრ დასახლებაში დანერგეს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ აპრობირებული მეთოდები, რომლის მიხედვითაც სოფლებში აირჩევიან წარმომადგენლობითი საბჭოები, რომელთაც დაევალებათ პროექტის მართვა და სათანადოდ გამოყოფილი სახსრების განკარგვა. ხელისუფლება უზრუნველყოფს სასაქონლო-მატერიალური რესურსებით მომარაგებას, ხოლო სოფლის მოსახლეობა შრომითი რესურსის მიწოდების წყარო იქნება. ბოლნისის მუნიციპალიტეტის მოსახლეობამ მიიღო 476, 903 ლარი, წალკის მუნიციპალიტეტმა – 219, 723 ლარი, დმანისის მუნიციპალიტეტმა – 266, 220 ლარი, გარდაბნის მუნიციპალიტეტმა – 681, 771 ლარი, თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტმა – 271, 595 ლარი, მარნეულის მუნიციპალიტეტმა – 781, 322 ლარი და ახალქალაქის მუნიციპალიტეტმა – დაახლოებით 500, 000 ლარი. მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი სხვა მუნიციპალიტეტებისთვის.

საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ასევე ბუნებრივი აირის მიწოდება ქვემო ქართლის ქალაქებისა და სოფლებისთვის და კერძო კომპანიებზე გაასხვისა ბუნებრივი აირით ოჯახების მომარაგების უფლება. ქვემო ქართლის გუბერნატორის, დავით კირკიტაძის განცხადებით, 2008 წლის ოქტომბერში მარნეულის რაიონის ოთხი სოფელი დაუკავშირდა ბუნებრივი აირის მომარაგების ქსელს.<sup>9</sup> კირკიტაძის დაპირებით, ბუნებრივი აირი უნდა მიეწოდოს ასევე წალკის რაიონსაც, სადაც მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფო დაწესებულებას მიეწოდება

---

<sup>174</sup> იქვე

გაზი. 2008 წლის ბოლოს ხელისუფლებამ ადგილობრივი სადისტრიბუციო კომპანიები მიყიდა აზერბაიჯანულ ბუნებრივი აირის მომწოდებელ კომპანიებს<sup>175</sup>

საქართველოს ხელისუფლებამ დაიწყო ასევე ბუნებრივი აირის მიწოდება ქვემო ქართლის ქალაქებისა და სოფლებისთვის და კერძო კომპანიებზე გაასხვისა ბუნებრივი აირით ოჯახების მომარაგების უფლება.

აღსანიშნავია, რომ 2004 წლის შემდეგ ელექტროენერგია შეუფერხებლად, ოცდაოთხი საათის განმავლობაში, მიწოდება ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის თითქმის ყველა რაიონს. დროდადრო შეფერხებები გამოწვეულია ელექტროენერგიის მიმწოდებელი სისტემის ავარიული მდგომარეობით; ამ ვითარების აღმოსაფხვრელად, მთავარმა ენერგო-დისტრიბუტორმა, ენერგო-პრო ჯორჯიამ, რომელიც აწვდის ელექტროენერგიას ქვეყნის ორ მესამედს, დაიწყო ბოლნისისა და თეთრიწყაროს რაიონებში ელექტროენერგიის მიმწოდებელი სისტემის აღდგენა.<sup>176</sup>

#### **დ) ადგილობრივი მმართველობა და პოლიტიკური პროცესები**

მცირე ცვლილებები შეიმჩნევა სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დაკომპლექტების კუთხით. ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში ხელმძღვანელი თანამდებობები კვლავ გავლენიან სომხებს უკავიათ, რომლებიც ცნობილი იყვნენ ჯერ კიდევ შევარდნაძის პერიოდში და უფრო ადრეც. ამრიგად, ახალქალაქსა და ნინოწმინდის რაიონებში გამგებლის, პოლიციის უფროსის, პროკურორის და სასამართლოს თავმჯდომარის თანამდებობები სომხებს უკავიათ. სკოლის დირექტორებიც სომხები არიან, მათ შორის, ისინიც, რომლებმაც არ იციან ქართული ენა სათანადო დონეზე. მეორე მხრივ, ქვემო ქართლის უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რაიონებში ხელმძღვანელ თანამდებობებზე არიან ქართველები, როგორც ეს შევარდნაძის დროს იყო. მარნეულის, დმანისისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში მხოლოდ გამგებლის მოადგილეები და გამგეობის რამდენიმე თანამშრომელი.<sup>177</sup>

---

<sup>175</sup> იქვე  
<sup>176</sup> იქვე  
<sup>177</sup> იქვე

ქვემო ქართლის არჩევით ორგანოებში, საკრებულოში/საბჭოში აზერბაიჯანელთა რაოდენობა პროპორციულად უფრო დაბალია ადგილობრივ მოსახლეობაში მათ საერთო რაოდენობასთან შედარებით.

ადგილობრივ ელიტურ ფენას საკმაო გავლენა გააჩნია სამცხე-ჯავახეთის სომეხი უმცირესობით დასახლებულ რაიონებში (ახალქალაქსა და ნინოწმინდაში, ე.წ. ჯავახეთი), ასევე ქვემო ქართლში, სადაც ძირითადად აზერბაიჯანული მოსახლეობა ცხოვრობს (მარნეულის, დმანისისა და ბოლნისის რაიონები). წალკის რაიონში, სადაც სხვადასხვა ეროვნული უმცირესობები სახლობდნენ, გავლენიანი ელიტა ძალაუფლებას ინარჩუნებდა 2005-06 წლებში ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის მომძლავრებამდე. ცალკეულმა ეკონომიკურმა ჯგუფებმა, ე.წ. კლანებმა, ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება ჯავახეთში 1990-იანი წლების შუა პერიოდიდან. კლანებს მართავდნენ გავლენიანი ადგილობრივი ოჯახები, რომლებიც გამდიდრდნენ ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს ან მისი დაშლის შემდეგ, ბაზალტის, ნავთობისა და აირით ვაჭრობის შედეგად. ვარდების რევოლუციის შემდეგ, შევარდნაძის მომხრეთა ჯგუფი აღარ განიხილებოდა ლიდერობის ერთ-ერთ კანდიდატად, მაგრამ სააკაშვილის თანამებრძოლის, ვანო მერაბიშვილის (წარმოშობით ახალციხიდან, შემდგომში შინაგან საქმეთა მინისტრი) წყალობით ბევრი მათგანი კვლავ გვევლინება მმართველ თანამდებობებზე.<sup>178</sup>

ჯავახეთის დომინანტი ჯგუფების მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდების შედეგად, საფრთხე დაემუქრა ადგილობრივი ხელისუფლების სტრუქტურულ გამჭვირვალობას. ჯავახეთის ეკონომიკის განვითარების დაბალი დონის გამო, მხოლოდ რამდენიმე სახის ეკონომიკური საქმიანობა შეიძლება ჩაითვალოს შემოსავლიანად, მათ შორის, თხევადი აირისა და ნავთობის იმპორტ-ექსპორტი, რომელიც გავლენიანი ეკონომიკური ჯგუფების სრულ კონტროლ ქვემდებარება. ბოლო წლების მანძილზე, სხვა დაინტერესებული ჯგუფებიც ცდილობდნენ ამ ეკონომიკურ ქსელში მოხვედრას თუმცა ცვალებადი წარმატებით.

ამ მხრივ, ყველაზე ნაკლები წარმატების მქონედ ჩაითვლება ოპოზიციური პარტიები. მათი უმრავლესობა თბილისში საქმიანობს და ინტერესი თითქმის არ გამოუჩენიათ ჯავახეთის მიმართ ბოლო ათი წლის მანძილზე. გარდა ამისა, ადგილობრივი სომხური მოსახლეობა, რომლისთვისაც ხელმიუწვდომელია ქართული მედია საშუალებები ენობრივი ბარიერის გამო, ნაკლებად არის

<sup>178</sup> იქვე

ინფორმირებული ოპოზიციური პარტიების არსებობის შესახებ. 2008 წლის მაისში უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის მიგნებების თანახმად, საპარლამენტო არჩევნებამდე ორი კვირით ადრე, არაქართული მოსახლეობას სპონტანურად ასახელებდა საშუალოდ 1.94 პარტიას არჩევნებში მონაწილე თორმეტი პარტიიდან და ბლოკიდან, ხოლო კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ქართული მოსახლეობა – საშუალოდ 4.01 პარტიას. პარტიათა სიის წაკითხვის შემდეგაც, ჯავახეთის არაქართული მოსახლეობა ცნობდა საშუალოდ მხოლოდ 2.83 პარტიას.<sup>179</sup>

სამივე რეგიონის ქართული მოსახლეობა – 6.67-ს.23 სავარაუდოდ, ადგილობრივი მოსახლეობა ხმას მაინც ერთიან ნაციონალურ მოძრაობას მიცემდა, თუმცა არც ოპოზიციურმა პარტიებმა იზრუნეს საარჩევნო კამპანიების ორგანიზებაზე ჯავახეთის რაიონებში 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს. აღნიშნულმა გარემოებამ კიდევ უფრო შეამცირა მათი გავლენა რეგიონში. უკანასკნელი წლების მანძილზე ოპოზიციური პარტიები არჩევნებში წარმატებას მხოლოდ ადგილობრივ გავლენიან ჯგუფებთან დაახლოების შემთხვევაში აღწევდნენ.<sup>180</sup>

ადგილობრივი გავლენიანი ჯგუფები უფრო მცირე რაოდენობით გვევლინებიან ქვემო ქართლში იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრალური ხელისუფლება მეტადაა ჩართული რეგიონის ყოველდღიურ მართვაში, ხოლო უმცირესობის წარმომადგენლები ნაკლებად არიან წარმოდგენილნი ადგილობრივ პოლიტიკურ ელიტაში. ქვემო ქართლის ადმინისტრაციის წევრები არიან, როგორც წესი, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტები ან სამართალდამცავ ორგანოებში მუშაობის გამოცდილების მქონე პირები. მარნეულისა და დმანისის გამგებლები მიეკუთვნებიან პირველ კატეგორიას, ხოლო წალკისა და ბოლნისის გამგებლები – მეორეს.<sup>181</sup>

90-იანი წლებიდან ჯავახეთში არსებობდა ორი ყველაზე მძლავრი, ნაციონალისტური შეფერილობის ორგანიზაცია „ჯავახკი“ და „ვირქი“, რომლებიც საკმაოდ დიდი გავლენით და პოპულარობით სარგებლობდნენ. მათ მიერ ხშირად ხდებოდა ეთნიკური ავტონომიის წამოყენება, თუმცა იგი არ გადაზრდილა ფართე სეცეიონისტურ მოძრაობაში. რუსული სამხედრო ბაზის გასვლის და შევარდნაძის

<sup>179</sup> იქვე

<sup>180</sup> იქვე

<sup>181</sup> ჯონატან უითლი, იქვე

მმართველობის დასრულების შედეგად, მათი გავლენა გაცილებით შემცირდა და აღარ წარმოადგენენ წინანდელივით პოლიტიკური პროცესების მთავარი კატალიზატორებს.<sup>182</sup>

ელუარდ შევარდნაძის პრეზიდენტობის პერიოდში, საზოგადოებრივ ორგანიზაცია, „გეირათი“, სარგებლობდა პოპულარობით მარნეულისა და ბოლნისის მოსახლეობაში. ვარდების რევოლუციის შემდეგ გეირათი თითქმის გაქრა სცენიდან. ცენტრალური ხელისუფლების რგოლებმა და სამართალდამცავმა ორგანოებმა მოიპოვეს სრული მონოპოლია რეგიონში კონფლიქტური სიტუაციების რეგულირების პროცესზე და გეირათმა დაკარგა მთავარი მედიატორის ფუნქცია.<sup>183</sup>

კიდევ ერთი აზერბაიჯანული ნაციონალისტური ორგანიზაცია ქვემო ქართლში საქართველოს არის აზერბაიჯანელთა ნაციონალური ასამბლეა, რომელიც 2001 წელს დაფუძნდა. ასამბლეა უფრო რადიკალური ორგანიზაციაა ვიდრე გეირათი. მისი ლიდერი, დაშენ გულმამედოვი, მოითხოვდა საქართველოს კონფედერაციად გადაქცევასა და აზერბაიჯანულის სახელმწიფო ენად გამოცხადებას.<sup>184</sup>

ქვემო ქართლის აზერბაიჯანელთა ინტერესების დასაცავად 2008 წლის მარტში დაფუძნდა ახალი გაერთიანება სახელწოდებით საქართველოს აზერბაიჯანელთა კონგრესი, რომელიც აერთიანებს 12-ზე მეტ საქართველოში მოქმედ აზერბაიჯანულ ორგანიზაციას. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, კიდევ ერთი გავლენიანი ორგანიზაციაა წალკის სამოქალაქო ფორუმი, რომელიც დაფუძნდა 2005 წელს უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის მხარდაჭერით, წალკის მოსახლეობასა და ცენტრალური ხელისუფლებას შორის დიალოგის ხელშესაწყობად.<sup>185</sup>

სოფლებში გავლენიან პირებს რაც შეეხება, აღსანიშნავია, ქვემო ქართლის სოფლებში მცხოვრები უხუცესები, რომლებიც ტრადიციულად სარგებლობდნენ ავტორიტეტით აზერბაიჯანულ მოსახლეობაში და არაერთხელ შეუწყვეს ხელი დაპირისპირების აღმოფხვრას სოფლებს შორის და სოფლებში. აკსაკალების სახელით (“თეთრი წვერი”) ცნობილი ეს პირები მიეკუთვნებოდნენ სოფლის ინტელიგენციას და ხშირად მუშაობდნენ სკოლის დირექტორებად ან უბრალოდ

<sup>182</sup> ჯონატან უითლი, იქვე

<sup>183</sup> იქვე

<sup>184</sup> იქვე

<sup>185</sup> ჯონატან უითლი, იქვე

კარგად იცნობდნენ ისლამური ქცევის კოდექსს, ადათს. „გეირათის“ ზოგიერთი წევრები აკსაკალები იყვნენ. ბოლო ხანებში, აკსაკალების როლი შესუსტდა, განსაკუთრებით, მას შემდეგ, რაც კონფლიქტური სიტუაციების მოგვარებას სამართალდამცავი ორგანოების ასორციელებენ. ზოგიერთი ანგარიშის მიხედვით, აკსაკალები მონაწილეობდნენ სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა პრიორიტეტული პროექტების გამოვლენაში. მათი ინიციატივით, 16 საზოგადოებრივი შეკრების ადგილი აშენდა მარნეულის რაიონის სოფლებში ამ პროგრამის ფარგლებში.<sup>186</sup>

უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრის მიერ 2008 წლის მაისში ჩატარებული კვლევის მიგნებების თანახმად, გარდაბნის, მარნეულისა და დმანისის მუნიციპალიტეტების არაქართული მოსახლეობა (ძირითადად აზერბაიჯანელები) უფრო ნაკლებადაა ინფორმირებული პარტიული სისტემის შესახებ ვიდრე ჯავახეთის უმცირესობათა ჯგუფები. რესპოდენტებმა საშუალოდ 1.38 პარტია დაასახელეს არჩევნებში მონაწილე 12 პარტიიდან და ბლოკიდან, ხოლო პარტიების სიის გაცნობის შემდეგ, საშუალოდ – 2.05. მაშინ როცა, კახეთის, ქვემო ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის ქართულმა მოსახლეობა იცნობდა საშუალოდ 6.67 პარტიასა და ბლოკს და ჯავახეთის არაქართული მოსახლეობა (ძირითადად, სომხურმა) – 2.83-ს.53 ქვემო ქართლის უმცირესობათა დიდი ნაწილი იცნობს მხოლოდ მმართველ პარტიას, ერთიანი ნაციონალური მოძრაობას. საკვირველი არც უნდა იყოს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ დიდი უპირატესობით მოიგო არჩევნები ქვემო ქართლში.<sup>187</sup>

გარდა ამისა, ადგილობრივი ახალგაზრდობის ნაწილმა სომხეთის მოქალაქეობა ერევანში სამუშაოდ ან სწავლის გაგრძელების საქართველო-რუსეთის 2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის მოქალაქეობის მიღება ძალზე გართულდა. 2009 წლის პირველი რამდენიმე თვის მანძილზე სომხურ პასპორტებზე მოთხოვნა განსაკუთრებით გაიზარდა, ვინაიდან ადგილობრივი მოსახლეობა სეზონურ სამუშაოზე რუსეთში გამგზავრებას გეგმავდა. ერთ-ერთი წყაროს თანახმად, 2009 წლის დასაწყისში ჯავახეთის 1,500-მა მცხოვრებმა მოიპოვა სომხეთის მოქალაქეობა მიზნით მიიღო.<sup>188</sup>

---

<sup>186</sup> იქვე  
<sup>187</sup> იქვე  
<sup>188</sup> იქვე

ზუსტი მონაცემების არარსებობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის მანძილზე სეზონური მიგრანტების რიცხვმა იკლო. აღნიშნული გარემოება გარკვეულწილად განპირობებულია ბიუროკრატიული ბარიერების გამო, ასევე რუსეთში კავკასიის სახელმწიფოებიდან ჩასული მიგრანტებისადმი დისკრიმინაციული მოპყრობის ხშირი შემთხვევებისა და ნაწილობრივ ჯავახეთის ზოგიერთ დასახლებაში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გამო, რამაც შესაძლოა ცალკეულ პირებს საქართველოში დარჩენაში ხელი შეუწეოს.<sup>189</sup>

სამი გარემოება შეიძლება გამხდარიყო ეთნიკური დაძაბულობის მიზეზი ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში ბოლო 10-15 წლის მანძილზე; ესენია: 1) მიწების ნაკლებობა მარნეულისა და ბოლნისის მუნიციპალიტეტებში, განსაკუთრებით აზერბაიჯანელებით დასახლებულ სოფლებში; 2) ადრე ბერძნული მოსახლეობის კუთვნილი მიწების ეკოლოგიურ და ეკონომიკურ მიგრანტებს (მეტწილად ქართველებს) შორის განაწილება წალკის რაიონში; 3) ხელახალი გადანაწილება იმ მიწებისა, რომლებიც სამცხე-ჯავახეთის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები რუსი დუხობორების თემს ეკუთვნოდა.<sup>190</sup>

ჯავახეთის სომხური მოსახლეობისთვის ყველაზე მტკივნეული საკითხია სომხური ენისა და, აქედან გამომდინარე, ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნება. მათი აზრით, ქართული მოსახლეობა ცდილობს მათ ან გადაეწიანს ქვეყნიდან ან ქართულ საზოგადოებაში სრულ ასიმილაციას. სომხებისთვის, როგორც კავკასიის სხვა ხალხებისთვის, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანი იდენტობის მახასიათებელია ენა. შესაბამისად, საქართველოს ხელისუფლების ინიციატივა უზრუნველყოს ქართული ენის სწავლება ეროვნული უმცირესობებისთვის აღიქმება არა მარტო ინტეგრაციის ხელშეწყობად, არამედ ზოგიერთის მიერ, პირველ ნაბიჯად ასიმილაციის პროცესში. აქედან გამომდინარე, მთავრობისადმი უნდობლობის მიზეზი გახდა შემდეგი გარემოებები: განათლების სისტემაში ქართული ენის სწავლების გაძლიერება და სახელმწიფო სამსახურში მყოფი პირებისთვის პროფესიული ტესტების შემოღება, რომელიც ქართული ენის ცოდნასაც ამოწმებენ.<sup>191</sup>

---

<sup>189</sup> იქვე  
<sup>190</sup> იქვე  
<sup>191</sup> იქვე

სომხური მოსახლეობისთვის მიუღებელია ასევე მთავრობის ინიციატივა 2010 წლიდან შეუწყოს საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიისა და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებების ქართულ ენაზე სწავლების შესახებ. რამდენადაც ენა და ისტორია ერის იდენტობის მთავარი მახვენებელია, სომხებს მიაჩნიათ, რომ საკუთარი ისტორია უნდა ისწავლონ მშობლიურ ენაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში დაკარგავენ ეროვნულ თვითმყოფადობას. გარდა ამისა, სომხური მოსახლეობას ასევე ადევნებს ისტორიის სხვადასხვა სასკოლო წიგნების საკითხი. კავკასიის ხალხებს აქვთ საკუთარი ისტორიული ქრონიკები, რომელთა მიხედვითაც ერთ ერთ მეორეზე უფრომ მეტ ტერიტორიებს ფლობდა, თუმცა წყაროები, ხშირად, ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას შეიცავენ. ამიტომ, სომხები შიშობენ, რომ ქართული ისტორიის წიგნები, რომელსაც სკოლებში შემოიღებენ, არ შეესაბამება სომხურ ისტორიულ წყაროებს.<sup>192</sup>

სომხური ენის საზოგადოებრივ ცხოვრებაში შენარჩუნების მიზნით, აქტივისტები ითხოვდნენ სომხურის ოფიციალურ ენად გამოცხადებას ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში. ამ ინიციატივას მხარს უჭერდნენ ნაციონალისტური ორგანიზაციები, მათ შორის, ერთიანი ჯავახკი, ჯავახეთის ახალგაზრდობის სპორტული კავშირი და ვირკი და მთელი რიგი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები.<sup>193</sup>

მეტიც, იცვლება თვით სომხური მოსახლეობის დამოკიდებულება მიმდინარე რეფორმების მიმართ. თუ ხუთი წლის წინ მოსახლეობის უმრავლესობას ქართულის სწავლების ინტერესი არ ჰქონდა, ამჟამად, ადგილობრივი სომხები თვლიან, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელია მიუხედავად არასაკმარისი სასწავლო რესურსებისა. გარდა ამისა, სულ უფრო ნაკლებად ისმის მოთხოვნები ჯავახეთის ავტონომიის შექმნისა და სომხური ენისათვის ადგილობრივი ოფიციალური ენის სტატუსის მინიჭების შესახებ.<sup>194</sup>

ჯავახეთის სომხური მოსახლეობის გარკვეული ფენები შიშობენ, რომ ქართველებისა და თურქი-მესხების რეგიონში დასახლების შემთხვევაში, მათ არ ექნებათ ცხოვრების ნორმალური პირობები ჯავახეთში დასარჩენად. მოსახლეობაში გავრცელებული მოსაზრების თანახმად, მთავრობა აპირებდა 60,000 მესხის

---

<sup>192</sup> იქვე  
<sup>193</sup> იქვე  
<sup>194</sup> იქვე

დასახლებას ახალქალაქისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში. აღეგების უფრო საფუძვლიან მიზეზად შეიძლება მივიჩნიოთ, ჯავახეთიდან განათლებული მოსახლეობის მიგრაცია, ძირითადად, ერევანში სწავლის გასაგრძელებლად. მხოლოდ ახალგაზრდობის მცირე ნაწილი ხვდება საქართველოს აკრედიტებულ უნივერსიტეტებში, მაღალი კონკურენციისა და ქართული ენის ცოდნის დაბალი დონის გამო. ამ მხრივ, უარყოფითი მოვლენა იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალქალაქის ფილიალის დახურვა 2007 წელს აკრედიტაციაზე უარის თქმის შედეგად, რის გამოც ბევრ ახალგაზრდას წაერთვა საქართველოში სწავლის შესაძლებლობა. გარდა ამისა, ერევანში უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ჯავახეთის ახალგაზრდობის დიდი ნაწილი უკან აღარ ბრუნდება.<sup>195</sup>

ადგილობრივი აქტივისტების უკმაყოფილება გამოიწვია აგრეთვე 62-ე რუსული დივიზიის სამხედრო ბაზის გაყვანამ 2007 წელს. მიუხედავად, ბაზის გაყვანის გამო მოსახლეობის წინააღმდეგობისა, რომელიც გამოწვეული იყო იმ მიზეზით, რომ ისინი კარგავდნენ შემოსავლის წყაროს და ჯავახეთი ვერ აცდებოდა თურქეთის აგრესიას, ბაზის გაყვანის შემდეგ საპროტესტო ტალღა ჩაწყნარდა. უფრო მნიშვნელოვანი მსჯელობის თემა გახდა საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან და დასავლეთთან. საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივის გამო, სომხური საზოგადოება მიიჩნევდა, რომ თურქული შენაერთებით დაკომპლექტებული ნატოს ჯარები განლაგდებოდნენ ჯავახეთში. ზოგიერთი სომეხი ნაციონალისტის აზრით, ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქო სარკინიგზო ხაზის მშენებლობა გეოპოლიტიკური პროექტია, რომლის მიზანია სომხეთის იზოლირება. მათი შეხედულებით, მოსალოდნელია აზერბაიჯანული ან/და თურქული საჯარისო ნაწილების განლაგება ჯავახეთში რკინიგზის დასაცავად და ახალი სამუშაო ძალის მოზიდვა ქვეყნის სხვა რეგიონებიდან.<sup>196</sup>

ნატოში საქართველოს გაწევრიანების საკითხი, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში არ გადაწყდება, ვინაიდან ნატო არ ჩქარობს საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) შეთავაზებას. გარდა ამისა, თუ რკინიგზის მშენებლობის პროექტი განხორციელდა და ადგილობრივ მოსახლეობას

---

<sup>195</sup> იქვე  
<sup>196</sup> იქვე

დაასაქმებენ, ისინი პროექტის წინააღმდეგ აღარ გამოვლენ. ბევრი გაველენიანი სომეხი მხარს უჭერს პროექტს.<sup>197</sup>

ქვემო ქართლის მოსახლეობა მეტწილად ეკონომიკური პრობლემებით შემოიფარგლება თავის მოთხოვნებში, განსხვავებით ჯავახეთის მცხოვრებლებისგან, რომლებიც პოლიტიკური საკითხებითაც არიან ძალზე დაინტერესებული. აზერბაიჯანული მოსახლეობის მთავარი საზრუნავი მიწების განაწილების საკითხია. მდიდარი მიწის მესაკუთრეები განაგრძობენ ქვე-იჯარით მიწის გაცემას ადგილობრივ მოსახლეობაზე, შედეგად, ბევრი მათგანი სიღარიბის ზღვარზეა. აზერბაიჯანულ მოსახლეობას აღარც ვაჭრობის შესაძლებლობა აქვს სადახლოს ბაზრის 2005 წლის დეკემბერში კონტრაბანდის აკრძალვის მოტივით დახურვის შემდეგ. საბაჟო წესების გამკაცრების შედეგად 2006 წელს აზერბაიჯანულმა მხარემ წითელი ხიდის ბაზარიც დახურა მხოლოდ საზღვრის აზერბაიჯანულ მხარეს. ორივე ბაზარი წარმოადგენდა ადგილობრივი აზერბაიჯანელების შემოსავლის ძირითად წყაროს. ადგილობრივი აქტივისტების განცხადებით, აზერბაიჯანული მოსახლეობა გახდა საქართველოს მთავრობის ანტი-კორუფციული კამპანიის მსხვერპლი, ამიტომ ისინი მოითხოვდნენ სადახლოს ბაზრის აღდგენას. კონკრეტულად, აქტივისტები მიუთითებდნენ ქვემო ქართლის მოვაჭრეებისთვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით ვაჭრობის აკრძალვაზე ქუჩებში, როდესაც ეს დაშვებული იყო საქართველოს სხვა რეგიონებში.<sup>198</sup>

ქვემო ქართლში უდიდეს პრობლემას წარმოადგენს აზერბაიჯანული მოსახლეობაში უმუშევრობის მაღალი დონე. ზუსტი მონაცემების არარსებობის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი უმუშევარია. თუმცა, სხვადასხვა სიმწვავეთ ეს პრობლემა საქართველოს სხვა რაიონებშიც დგას, ხოლო ბოლო პერიოდის ეკონომიკური ზრდა შეეხო მხოლოდ დედაქალაქს, თბილისს. აზერბაიჯანელებს მცირე შესაძლებლობა აქვთ დასაქმდნენ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებში, ხოლო უმუშევართა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა ბაზრების დახურვის შემდეგ.<sup>199</sup>

საქართველოში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესობათა ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესი საგრძნობლად დაჩქარდა ვარდების რევოლუციის შემდეგ.

---

<sup>197</sup> იქვე  
<sup>198</sup> იქვე  
<sup>199</sup> იქვე

ყველაზე მრავალრიცხოვანი უმცირესობებით, სომხებითა და აზერბაიჯანელებით, დასახლებულ რეგიონებში სახელმწიფოსა და საზოგადოების ურთიერთობის დინამიკის უკეთ შესწავლის შედეგად, ვლინდება, რომ ინტეგრაციის პროცესმა გამოიღო როგორც პოზიტიური ისე ნეგატიური შედეგები. პოზიტიური თვალსაზრისით, ხელისუფლებამ დაიწყო ინფრასტრუქტურის განვითარება, რაც გამოიხატა გზებისა და სკოლის შენობების აღდგენაში ჯავახეთის რეგიონში, ასევე მიიღო ქმედითი ზომები უმცირესობათა ჯგუფებისთვის ქართული ენის სწავლების დონის ასამაღლებლად. მეორე მხრივ, ხელისუფლებამ თითქმის არაფერი მოიმოქმედა ავტორიტარული ძალების აღმოსაფხვრელად და დემოკრატიის რეალური მეთოდების გასატარებლად. ჯავახეთის რეგიონში მთავრობა იყენებს შევარდნაძის ადმინისტრაციის მეთოდებს და სომხური საზოგადოების მდიდარ და გავლენიან წევრებს აძლევს საშუალებას მართონ რეგიონი და მათი საშუალებით ახშობს ყველა საზოგადოებრივ მოძრაობას, რომელიც საფრთხეს უქმნის ხელისუფლების ჰეგემონიას. ქვემო ქართლის აზერბაიჯანული მოსახლეობა ფაქტიურად ჩამოცილებულია რეგიონის მართვას. <sup>200</sup>

---

<sup>200</sup> იქვე

**თავი IV. იდენტობის ფორმირების ძირითადი საკითხები ეთნო – კულტურულ თემებში: ეთნიკური უმცირესობები ემპირიული კვლევის პრიზმაში**

ენტონი სმითი იდენტობათა რამდენიმე დონეს გამოყოფს:

ა) გენდერული იდენტობა, რომელის კლასიფიკაცია უცვლელი თუ არა, უნივერსალური მაინცაა და სიმდგრადიდ გამოირჩევა;

ბ) სივრცის ან ტერიტორიის კატეგორია. ეს არის კონკრეტულ გეოგრაფიულ რეგიონულ იდენტობის ფორმირება, რომელსაც შეკავშირებულობის დიდი პოტენციალი გააჩნია, მაგრამ ცვალებადია დროსა და სივრცეში და შესაბამისად არც თუ მდგრადია;

გ) სოციალ-ეკონომიკური და კლასობრივი იდენტობა. იმის მიუხედავად, რომ ისტორიის გარკვეულ ეტაპზე ამგვარი კოლექტიური იდენტობა მოქმედებს, საბოლოოდ იგი განწირულია. პირველი, რომ მას არ გააჩნია ემოციური მიმზიდველობა და კულტურული სიდრმე და მეორე ადამიანის ეკონომიკური მდგომარეობა ძალზე ხშირად იცვლება და შესაბამისად მისი იდენტობაც ცვალებადია ამ მხრივ.

დ) რელიგიური იდენტობა. “რელიგიური იდენტობა” “სოციალური კლასისგან” სრულიად განსხვავებულ კრიტერიუმებს ემყარება. კლასობრივი იდენტობა წარმოების და გაცვლის სფეროდან მომდინარეობს, ხოლო რელიგიური იდენტობა კომუნიკაციის და სოციალიზაციის სფეროს ნაყოფია. იგი დაფუძნებულია კულტურის ღერძის და მისი ელემენტების – ღირებულებების, სომბოლოების, მითების და ტრადიციების ანაბეჭდებზე, რომელიც ხშირად წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებშია კოდირებული. რელიგიური იდენტობა ხშირად უკავშირდება ეთნიკურ იდენტობას. როგორც წესი რელიგიები ცდილობენ გასცდნენ ეთნიკურ საზღვრებს და უნივერსალური ხასიათი მიიღონ, მაგრამ რეალურ პრაქტიკაში მათი საზღვრები ეთნიკური ჯგუფის საზღვრებს ემთხვევა ხშირად. ხშირია ისტორიაში შემთხვევები, რომ თავდაპირველი რელიგიური ჯგუფი, შემდეგ გადაიქცეს ეთნიკურ ჯგუფად. დღემდე მრავალი ერი თუ ეთნიკური ჯგუფი მჭიდროს ინარჩუნებს საკუთარ

კავშირებს რელიგიურ იდენტობასთან: პოლონელები, ბერძნები, სერბები, ხორვატები, მარონიტები, სიქები, სინჰალელები, იეზიდები და სხვა. თუმცა ამის მიუხედავად, ეს ორი იდენტობა მაინც განსხვავდება ერთმანეთისგან.

სმითი იდენტობის ყველაზე მაღალ კატეგორიად ეროვნულ იდენტობას განიხილავს, რომელიც მისი მიხედვით ბოლომდე დაცლილი არ არის ეთნიკური საფუძვლისგან. პირიქით, ეთნიკური მასალა ეროვნულ იდენტობის გადამწყვეტი ფაქტორია და მის საფუძველზე შეადგენს.<sup>201</sup>

სმითის მოყვანილი დებულებები, ვფიქრობ უკეთ დაგვეხმარება ქვემოთ განხილული ემპირიული კვლევის შედეგების გადააზრებაში. ეს განსაკუთრებით ეხება ეროვნულ/ეთნიკურ/კონფესიური იდენტობის ფორმირების საკითხებს. როგორც ვნახავთ, ხშირად იდენტობათა ეს სამი დონე (კონფესიური, ეთნიკური და ეროვნული) ურთიერთგადაკვეთაზე მდებარეობენ და ურთიერთგანმაპირობებელ ფაქტორებს წარმოადგენენ.

მოცემულ თავში წარმოდგენილია სოციოლოგიური კვლევის შედეგად მიღებული მასალა, რომელიც ჩვენი ნაშრომის გამოტანილი დასკვნებისა და რეკომენდაციების უმთავრესი საფუძველი გახდა. აღნიშნული ემპირიული კვლევის საფუძველზე შესაძლებელია ზოგადი წარმოდგენა შევიქმნათ მასზე, თუ რა ძირითადი სახით ყალიბდება არიან ეთნიკური ურთიერთობები. ამავე დროს კვლევაში ჩართულნი იყვნენ ეთნიკური ქართველებიც, როგორც მართლმადიდებლური, ისე მუსლიმური მიმდინარეობისა. ამიტომაც, ხშირ შემთხვევაში, ეთნიკური უმცირესობების პასუხებს ვუპირისპირებთ ეთნიკური ქართველების განწყობებს. ვფიქრობთ, რომ ამგვარო მიდგომა უკეთ წარმოსახავს არსებულ რეალობას.

როგორც შესავალში აღვნიშნეთ, რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მიზნით მოხდა სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულების მიხედვით რესპონდენტთა დაყოფა. გამოკითხული მოსახლეობის ასაკი გაშუალდებულია, თუმცა, მართლმადიდებელ ქართველ რესპონდენტებში სჭარბობს ახალგაზრდები – 18-24 წლამდე

რესპონდენტთა დიდი ნაწილი სასოფლო ან რაიონული ტიპის დასახლებებში ცხოვრობს. გამოკითხულ მართლმადიდებელ ქართველთა დიდი ნაწილი

<sup>201</sup> ენტონი სმითი, ნაციონალური იდენტობა, თბილისი 2008, გვ. 3-8

ურბანიზირებულია და მათ დიდ ნაწილს საშუალოზე მაღალი დონის განათლება აქვს მიღებული. არამართლმადიდებელ ქართველებს და ეთნიკურად არაქართველ რესპონდენტთა უდიდეს ნაწილს არ აქვს უმაღლესი განათლება და ძირითადად საშუალო სასკოლო განათლება აქვს მიღებული. პასუხები დავაჯგუფეთ, მოქალაქეთა მოღვაწეობის რამდენიმე სფეროს მიხედვით, რომელიც კერძო და საჯარო-პოლიტიკური სივრცეში მათ მდგომარეობის კონკრეტულ სეგმენტებს გამოხატავს.

#### ა) დასაქმების სფერო

შრომითი აქტივობით - ბიზნეს საქმიანობა, ყიდვა-გაყიდვა, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულობა – ანუ, არასაჯარო სექტორში საქმიანობის მაღალი დონით გამოირჩევიან აზერბაიჯანელი და მუსლიმი ქართველი რესპონდენტები. ისინი უპირატესად კერძო დასაქმების სფეროთი გამოირჩევიან და შესაბამისად საჯარო-პოლიტიკური აქტივობა პირდაპირ არ არის დაკავშირებული მატერიალურ შემოსავლებთან. რაც შეეხებათ მართლმადიდებელ ქართველებს, უმრავლესობა საჯარო სფეროშია დასაქმებული და პირდაპირ დაკავშირებულნი არიან საჯარო-პოლიტიკური სფეროდან მომდინარე ეკონომიკურ შემოსავლებთან. საგულისხმოა ისიც, რომ გამოკითხულ რესპონდენტთა საკმაო ნაწილი თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს.

ძალიან დაბალია საჯარო-პოლიტიკურ სფეროში გამოკითხულ რესპონდენტთა აქტივობის დონეც. ამ მხრივ შედარებით მაღალი აქტივობით გამოირჩევიან მართლმადიდებელი ქართველები. ანუ, როგორც ჩანს სამოქალაქო საზოგადოების და აქტივობის დამკვიდრების ისედაც დაბალი ტემპი, უფრო მეტად დაბალია და შეიძლება ითქვას თითქმის ნულის ტოლია ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ამგვარი სოციალური ექსკლუზიიდან გამომდინარე (რომელიც როგორც სუბიექტური, ისე ობიექტური ფაქტორებითაა განპირობებული), ნამდვილად არაა გასაკვირი ეთნიკური უმცირესობების კარჩაკეტილობა და ინტერვიუს პროცესში მათი შედარებით ნაკლები გულწრფელობა.

რესპონდენტების საშუალო შემოსავალი საქართველოს სტანდარტებითაც კი დაბალია. ამგვარ დაბალ საშემოსავლო მაჩვენებელს შესაძლებელია ისიც განაპირობებს, რომ რესპონდენტებმა საკუთარი მატერიალური შემოსავლების თაობაზე არ გასცეს ზუსტი პასუხი. არა და, მაგალითად, აზერბაიჯანლების დიდი

უმრავლესობა, მათი პასუხების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, კერძო ბიზნესითაა დაკავებული და ბუნებრივია ფინანსური შემოსავლებიც იმაზე მეტი უნდა იყოს, ვიდრე მათ ეს დაადასტურეს ინტერვიუს დროსაც.<sup>202</sup>

## ბ) ეთნო-რელიგიური თვითიდენტიფიკაციის საკითხები

გამოკითხული მოსახლეობის უმრავლესობა საკუთარ ჯგუფობრივ იდენტობას ეთნიკური წარმოშობის საფუძველზე განსაზღვრავს. ამ მხრივ ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენენ ქვემო ქართლში გამოკითხული აზერბაიჯანელი რესპონდენტები, რომელთა დიდი ნაწილი უპირატესობას რელიგიურ ფაქტორს ანიჭებს. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს კონფესიურ-ეთნიკურ თვითიდენტიფიკაციასთან. როგორც ჩანს, აზერბაიჯანულ თემში ჯერ კიდევ ძლიერია ისლამური კულტურული ტრადიციები და შესაბამისად მათი პასუხებაც მოცემული ტრადიციების სიმძლავრით უნდა ავსნათ. ისლამური ტრადიცია, როგორც ცნობილია საერო და სასულიერო სფეროებს ერთმანეთისგან არ მიჯნავს და ნორმატიულად მოითხოვს ისლამური თემის “უმას” ჩამოყალიბებას, რომელიც სასულიერო და საერო სფეროების ერთგვარი სინთეზია. როგორც ჩანს ეთნიკურად აზერბაიჯანულ მოსახლეობაში, ისლამი ჯერ კიდევ მძლავრი სოციალური ფაქტორია და შესაბამისად სოციალური და პოლიტიკური თანაცხოვრების იდეალს (ცნობიერად თუ ქვეცნობიერად) ჯერ კიდევ ისლამური “უმა” წარმოადგენს.

განსაკუთრებით საინტერესოა მუსლიმი ქართველების განწყობები, რომელთა საკმაოდ დიდი ნაწილი, 34,7% საკუთარ ეროვნულ იდენტობას ეთნიკურთან ერთად დიდწილად მოქალაქეობის მიხედვითაც განსაზღვრავს. ჩნდება კითხვა: რატომ შეიძლება ანიჭებდეს მუსლიმი ქართველი ესოდენ მაღალ პროცენტულ მაჩვენებელს მოქალაქეობას, სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან მაგალითად, მართლმადიდებელ ქართველთან შედარებით, რომელიც საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას წარმოადგენს და რომელიც, ძირითადად განსაზღვრავს კიდევ ქვეყნის განვითარების სტრატეგიას? ამ შემთხვევაში, ჩვენი აზრით, რამდენიმე ახსნის მოძებნაა შესაძლებელი:

ა) ერთი მხრივ ის, რომ დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ პოლიტიკური პროცესები ძირითადად ურბანულ ზონებში მიმდინარეობს, სადაც

<sup>202</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. გვ. 74-75

შესაბამისად, ერის პოლიტიკურ დისკურსში დომინირებადი ერის ეთნიკური გაგებაა. ჩვენს მიერ გამოკითხული მუსლიმი ქართველობა ძირითადად არაურბანულ ზონაში მოსახლეობს. აქედან გამომდინარე, ის ნაკლებად მონაწილეობდა ამგვარი პოლიტიკურ დისკურსის შექმნაში და შესაბამისად, როგორც ჩანს მათზე გაბატონებულ საზოგადოებრივ განწყობებს შედარებით ნაკლები გავლენა მოუხდენია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ რეგიონში, სადაც გამოკითხულ იქნა ისლამის მიმდევარი ეთნიკურად ქართველი რესპონდენტები, დაბალია სამოქალაქო განათლების დონე და შესაბამისად, დაბალია აქტიური პოლიტიკური კულტურის მაჩვენებელიც, შესაძლებელია დავეუშვათ, რომ მათი პასუხებიც ნაკლებად რეფლექსირებულია და უნებლიეს წარმოადგენს.

ბ) მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ რესპონდენტები მოცემულ კითხვაზე – “რა ნიშან-თვისებებით მიხედვით მიიჩნევთ თავს ქართველად (სომხად, აზერბაიჯანელად)” – პასუხის გაცემისას მოქალაქეობისა და სამშობლოს ცნებების ერთმანეთთან გაიგივებას ახდენენ კიდევ. მუსლიმი ქართველებისთვის, მათი დიდი ხნით ოსმალთა იმპერიაში მყოფობის გამო, რელიგიური იდენტობა (როგორც ეს მართლმადიდებელი ქართველების შემთხვევაში ხდება) “ქართველობის” დამადასტურებელ საფუძვლად ვერ გამოდგებოდა და ამიტომაც ტრადიციულად “ქართველთა” კატეგორიაში მოსახვედრად, ყოველგვარ “ქართულს” საკუთარი ეროვნულ მარკერად აღიარებდნენ. ასე, რომ მეორე ფაქტორი, რითად შეგვიძლია ავსხნათ მუსლიმ ქართველთა გადახრა სამოქალაქო-ეროვნულ იდენტობისკენ მათი ისტორიული გამოცდილებაა.

კითხვაზე, თუ “რომელ ენას მიიჩნევთ მშობლიურ ენად”, სომეხთა 4,5 % ქართულ ენას მიიჩნევს მშობლიურ ენად. რუსული რესპოდენტ სომეხთა 10% მიაჩნია მშობლიურ ენად. მუსლიმი ქართველების 17% მშობლიურ ენად მიიჩნევს აზერბაიჯანულს (აღბათ გულისხმობდნენ თურქულს). როგორც ჩანს მორწმუნე მუსლიმი ქართველების ნაწილია, მათი რელიგიური პრაქტიკიდან გამომდინარე მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი თურქეთს, საიდანაც მოხდა თავის დროზე მათი ისლამიზაცია და ამიტომაც მშობლიურ ენად “აზერბაიჯანულს” მიიჩნევენ. სხვა შემხვევაში გაუგებარი იქნებოდა მათი ამგვარი პოზიცია.

გამოკითხვიდან ჩანს, რომ ეთნიკურად სომეხ რესპონდენტთა უმრავლესობა თავს მიიჩნევს მართლმადიდებლად, თუმცა ჩვენთვის უცნობია, არიან თუ არა

ისინი მართლმადიდებლურად მონათლულნი. პირად საუბრებში ისინი აფიქსირებდნენ, რომ ხშირად დადიან მართლმადიდებლურ ეკლესიაში ქართველებთან ერთად (განსაკუთრებით ახალციხის რაიონში). როგორც ჩანს, მოცემულ რელიგიურ იდენტიფიცირებაში საბჭოთა კულტურის გადმონაშთები იგრძნობა, რომელიც რელიგიისადმი ნეიტრალობას ქადაგებდა. ანუ პეტრე გრუზინსკის ლექსიდან ამონარიდი რომ მოვიხმოთ, “კაცი იყავ კაცური და სადაც გინდა იქ ილოცე”-ეს ფორმულა შეიძლება დავინახოთ სომეხთა მხრიდან მართლმადიდებლობისადმი ლოიალობაში. მოცემულ აზრს ისინი პირად საუბრებშიც ხშირად ადასტურებდნენ. ამავე დროს, საფიქრებელია, რომ საბჭოთა პერიოდში შესუსტებული იყო სომეხთა შორის გრიგორიანული ღვთისმსახურება და ისინი ქრისტიანული იდენტობის შესანარჩუნებლად უარს არ ამბობდნენ მართლმადიდებლებთან ახლო რელიგიურ კონტაქტებზე. საბჭოთა პერიოდში ასევე შესუსტებული იყო მართლმადიდებლური ღვთისმსახურება, მაგრამ როგორც ჩანს მაინც უკეთეს ვითარებაში იყო, ვიდრე სომხური გრიგორიანელობა.

მართლმადიდებელ ქართველებში რელიგია მთავარ როლს თამაშობს ბავშვების აღზრდის პროცესში. ისინის კონფესიურ საკითხებს დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ აგრეთვე ჯანმრთელობაზე ზრუნვის საკითხებში და ოჯახში სატელევიზიო თუ სხვა ტიპის სანახაობრივი ჩვენებების ყურების არჩევანის დროს. როგორც ჩანს მარტ მადიდებელი ქართველები საჯარო მორალის ფორმირების საკითხებში კონფესიურ მომენტს ჯერ კიდევ დიდ უპირატესობას ანიჭებენ, როგორც ეს ისტორიულ ეპოქებში ხდებოდა. რელიგიური კუთვნილება ასევე გარკვეულ როლს თამაშობს მათი პოლიტიკური მონაწილეობის პროცესში, რაც კონკრეტულად გამოიხატება საარჩევნო კამპანიისას ხმის მიცემის პროცედურების დროს. მათ მიაჩნიათ, რომ კანდიდატების არჩევისას, მათ კონფესიურ კუთვნილებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

კითხვაზე, თუ კონფესიური კუთვნილება რამდენად განსაზღვრავს გადაწყვეტილებების მიღებას, გამოკითხული სომხები აქაც რელიგიური ინდიფერენტულობის მაღალი დონით გამოირჩევიან. ახერბაიჯანელების აბსოლუტური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რელიგია არანაირ როლს არ თამაშობს მათ ცხოვრებაში, რაც ალბათ პასუხის არადეკვატურობის მაჩვენებელია, რადგანაც იგი აშკარად არ მოდის კორელაციაში წინარე პასუხებთან, რომელიც ეთნიკურ იდენტობის დადგენას და ქორწინების საკითხებს ეხება.

კითხვაზე, თუ რამდენად გასაზღვრავს ეთნიკური კუთვნილება კონფესიურ კუთვნილებას, მართლმადიდებელი ქართველებისა და აზერბაიჯანელების შემთხვევაში ეთნიკურმა კუთვნილებამ განსაზღვრა რელიგიური კუთვნილება, უფრო ნაკლებად სომხებში და კიდევ უფრო ნაკლებად მუსლიმი ქართველების შემთხვევაში. აღსანიშნავია ისიც, რომ რესპონდენტი სომხების დიდ ნაწილს გაუჭირდა პასუხის გაცემა მათში არსებული მაღალი რელიგიური ინდიფერენტიზმის გამო.

სეკულარიზაციის თვალსაზრისით, რესპონდენტთა რელიგიურობა საშუალო მაჩვენებელს გვიჩვენებს. ამასთან, გამოკითხულთა შორის ამ მხრივ ყველაზე ნაკლები რელიგიურობით გამოირჩევიან აზერბაიჯანელები. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გამოკითხულთა შორის გარკვეული სიხშირით ტაძარში სიარულის მხრივ არის მართლმადიდებელ ქართველებსა და სომხებთან. რელიგიური მრწამსის თვალსაზრისით, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა კონფესიურად ერთგვაროვან ოჯახურ გარემოში ცხოვრობს.

გამოკითხული მოქალაქეები, რომლებიც თავს დასაქმებულად მიიჩნევენ, ფიქრობენ რომ რელიგიური კუთვნილების გამო, მათ პრაქტიკულად არ ექმნებათ პრობლემები სახელმწიფო სამსახურსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

რელიგიური ფაქტორი, როგორც ქორწინების შემთხვევაში ასევე საჯარო დონეზე ყველაზე დიდი დოზით მართლმადიდებელი ქართველებისთვისაა განმსაზღვრელი. ქორწინების შემთხვევაში სომხებისა და აზერბაიჯანელების მაჩვენებლები მეტ-ნაკლებად თანაბარია. რაც შეეხება საჯარო დონეს, ყველა გამოკითხული აზერბაიჯანელი რესპოდენტი (ანუ 100%-იანი მონაცემით) აცხადებს, რომ მათთვის რელიგიური კუთვნილება საჯარო დონეზე (არჩევნების თუ შესაბამისად სხვა პოლიტიკური აქტივობის დროს) არ წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს. რა შეიძლება იყოს ამგვარი, თითქოს არალოგიკური განწყობის მიზეზი? ერთი მხრივ, შესაძლოა ის, რომ ისინი მართლაც ასე ფიქრობენ, ხოლო მეორე მხრივ, არ შეიძლება არც იმ ფაქტორის გამორიცხვა, რომ აზერბაიჯანელები გამოკითხულ რესპოდენტებს შორის ყველზე მეტად ჩაკეტილი და სოციალურად იერარქიული თემია და შესაბამისად, ნაკლებად გახსნილები არიან, ერიდებიან საჯარო დონეზე გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებების გამოხატვას.

საინტერესოა, რომ რელიგიის ფაქტორი საკმაოდ გავლენას ახდენს მუსლიმ ქართველებში ოჯახის შექმნის დროს, მაგრამ ამავე დროს მას ნაკლები ადგილი უჭირავს საჯარო სფეროში მოღვაწეობის საქმეში

გამოკითხულ მართლმადიდებელ ქართველ რესპონდენტთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ სახელმწიფო უპირატესობას უნდა ანიჭებდეს კონკრეტულ რელიგიურ კონფესიას (კითხვაში არაა დაკონკრეტებული თუ რომელ რელიგიას, მაგრამ ბუნებრივია რესპონდენტები ამ შემთხვევაში მართლმადიდებლობას გულისხმობენ). მსგავსი მოსაზრება აქვს ეთნიკურად სომეხი მოქალაქეების მნიშვნელოვან ნაწილსაც. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გამოკითხულ სომეხთა გარკვეული ნაწილი თავს მართლმადიდებლად მოიხსენიებს, ხოლო პირად საუბრებში კი არ მალავენ, რომ ქართველებთან ერთად დადიან ხშირად სალოცავად, მათი დადებითი განწყობა მართლმადიდებლობისთვის უპირატესობის მინიჭების საკითხში ახსნადია. სხვა შემთხვევაში მიღებული შედეგები გაუგებარი იქნებოდა, რადგანაც სომხურ თემში ტრადიციულად გრიგორიანული ქრისტიანობა გახლავთ დომინანტი აღმსარებლობა და ცხადია საქართველოს პოლიტიკურ სინამდვილეში გრიგორიანული ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების სურვილი ნამდვილად უცნაური და არარეალური იქნებოდა.<sup>203</sup>

### გ) ქორწინების და საოჯახო ურთიერთობების საკითხები

აღნიშნულ საკითხზე ეთნიკური ქართველების, როგორც მართლმადიდებლების, ასევე მუსლიმების უმრავლესობა უპირატესობას ეთნიკურ ქართველთან ქორწინებას ანიჭებს. ანალოგიური მდგომარეობაა აზერბაიჯანელებთანაც, რომელთა უმრავლესობაც ანალოგიურად, თავისივე ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან ამჯობინებს ოჯახის შექმნას. თუ გავითვალისწინებთ ერთი მხრივ იმ ფაქტორს, რომ აზერბაიჯანელისთვის უპირატესობა ენიჭება აღმსარებლობის ფაქტორს - მუსლიმთან ქორწინებას, ხოლო მეორეს მხრივ კი აზერბაიჯანული თემის ჩაკეტილობას, მოცემული შედეგები გასაგები გახდება.

გამოკითხულ რესპონდენტებს შორის განსხვავებული ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების ადამიანებთან ქორწინების შესაძლებლობის ყველაზე მაღალი პროცენტული მაჩვენებელი ეთნიკურად სომეხ მოქალაქეებში გვხვდება.

<sup>203</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. 75-80

ქორწინებისას ეროვნებას “არა აქვს მნიშვნელობა” – ასე მიიჩნევს გამოკითხული სომეხი რესპონდენტების 60,3 %. საინტერესოა, რომ ეთნიკურ ქართველთან ქორწინებას გამოკითხული სომეხების 11 % ისურვებდა. ამ შემთხვევაში ალბათ გადამწყვეტ როლს თამაშობს რელიგიური კუთვნილება – მიუხედავად გარკვეული კონფესიური სხვაობისა (მართლმადიდებლობა - გრიგორიანელობა), ქართველები და სომეხები ქრისტიანები არიან. შესაბამისად, საკუთარი თავის მოაზრება შესაძლებელია ერთი რელიგიური თემის გარემოს მიხედვით ხდებოდეს. ამას გარდა, აღნიშნული პასუხი გვაძლევს იმის საბაბს ვიფიქროთ, რომ სომეხური თემი უფრო გახსნილი მოჩანს და აზერბაიჯანელთა მსგავსი ჩაკეტილობა ნაკლებად ახასიათებს.

გამოკითხვის შედეგებით ჩანს, რომ რესპონდენტების დიდი უმრავლესობა არ ცხოვრობს შერეული ქორწინების პირობებში. ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი მართლმადიდებელ ქართველებთან გვხვდება.

გამოკითხული ქართველი მოქალაქეების დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ქორწინებისას და პოლიტიკური არჩევანის გაკეთების პროცესში ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის ეთნიკურ კუთვნილებას.

რელიგიურ კუთვნილებას ქორწინებისას ყველაზე დიდი მნიშვნელობას ანიჭებენ მართლმადიდებელი ქართველები. მათ მოსდევთ მუსლიმი აზერბაიჯანელები და მუსლიმი ქართველები. იმ ადამიანების რიცხვი, ვინც ქორწინებისას რელიგიურ კუთვნილებას არ აქცევს ყურადღებას, ზოგადად საკმაოდ დიდია გამოკითხულ რესპონდენტებში (გარდა მართლმადიდებელი ქართველებისა). გამოკითხვა ცხადყოფას, რომ სომეხების დიდი ნაწილი ამ შემთხვევაშიც ლოიალურია მართლმადიდებლობის მიმართ.<sup>204</sup>

#### **დ) მოქალაქეობრივი თვითიდენტიფიკაცია და სახელმწიფო სიმბოლიკასთან დამოკიდებულება**

კითხვაზე, თუ “რას ნიშნავს ოყო საქართველოს მოქალაქე”, პასუხით: “ცხოვრობდე სამშობლოში” – 90,7%-ით დომინირებს მუსლიმი ქართველობა. ასევე მკვეთრად მაღალია ანალოგიური პასუხის პროცენტული მაჩვენებლები

<sup>204</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. გვ. 76-78

აზერბაიჯანელებთან (83,6%) და სომხებთან (87,3%) და მართლმადიდებელ ქართველებთანაც. ანუ უპირობოდ ყველა ეთნო-კონფესიური ჯგუფი საქართველოს საკუთარ სამოქმედო მიზნებს.

“აქტიურად ვიყო ჩართული ქვეყნის სახელმწიფოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში” – ამ კითხვაზე ყველაზე დაბალი მაჩვენებელი - 0,7 % აქვთ აზერბაიჯანელებს. ამით კიდევ ერთხელ დასტურდება აზერბაიჯანელთა იზოლირებულობა და გარიყულობა. პოლიტიკური ჩართულობის მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია ეთნიკურ ქართველებსა და ეთნიკურ სომხებში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სხვადასხვა ტიპის პოლიტიკური მოძრაობა სამცხე - ჯავახეთში უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე საკმაოდ აქტიურია და მასში აქტიურ თუ პასიურ დონეზე ჩართულია ეთნიკური სომხების გარკვეული ნაწილი (სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციის თუ პოლიტიკური გაერთიანების სახით), აგრეთვე ისიც, რომ მთელი საბჭოთა მმართველობის მანძილზე უკანასკნელ პერიოდამდე სამცხე - ჯავახეთის ტერიტორიაზე განთავსებული იყო ჯერ საბჭოთა, შემდეგ კი რუსეთის სამხედრო ბაზები, რომლებიც საკმაოდ მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ადგილობრივ სომხურ მოსახლეობასთან, გასაგები გახდება თუ რა განაპირობებს სომხურ ეთნიკურ ჯგუფში ადამიანებში პოლიტიკური პროცესებში ჩართულობის საკმაოდ მაღალ მაჩვენებელს.

კითხვაზე, “არის თუ არა ეროვნება და მოქალაქეობა ერთი და იგივე?” ჩანს რომ ყველაზე მაღალი დადებითი მაჩვენებელი ამ მხრივ მუსლიმ ქართველებს აქვთ – 85 %. რა არის ამის მიზეზი? ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ კითხვაზეც “რანაწინა-თვისებებით მიხედვით მიიჩნევთ თავს ქართველად (სომეხად, აზერბაიჯანელად)?” პასუხისას, აქაც მიზეზები ანალოგიურია – ის, რომ მუსლიმი ქართველები ცხოვრობენ არაურბანულ ზონაში, პოლიტიკურ დისკურსში ნაკლებად მონაწილეობენ და ამასთანავე, აქ ემატება რელიგიური ფაქტორიც – სახელმწიფო მისთვისაც (აზერბაიჯანელების მსგავსად), როგორც რელიგიური მრწამსით მუსლიმისთვის, ნეიტრალური ცნებაა და შესაბამისად ის, როგორც ეთნიკური ქართველი, იდენტიფიცირებას ცდილობს სახელმწიფოსთანაც; “ქართველობა” მისთვის მართლმადიდებელი ქართველის მსგავსად არ ასოცირდება რელიგიურ ტრადიციასთან.

სახელმწიფო სიმბოლოებთან მიმართებით გამოკითხული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა დადებით განწყობილებას გამოხატავს (მონაცემები

კითხვებზე: “რამდენად მისაღებია თქვენთვის არსებული სახელმწიფო სიმბოლოები-დროშა” და რამდენად მისაღებია თქვენთვის არსებული სახელმწიფო სიმბოლოები-გერბი” – იხილეთ დანართი 3). ფაქტობრივად, რესპონდენტები დადებითად არიან განწყობილნი ქვეყნის სამივე სიმბოლოსადმი. თუ ჩვენ პროცენტულ მაჩვენებლებს ერთმანეთს შევადარებთ, დავინახავთ რომ გამოკითხულთა შორის სახელმწიფოს სიმბოლოებისადმი დადებითი დამოკიდებულების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი (83,2% 83,5%, და 70%) მართლმადიდებელ ქართველ რესპონდენტებზე მოდის. ერთი შეხედვით, თითქოს საპირისპირო პასუხები უნდა მიგვეღო, მაგრამ სხვადასხვა ფაქტორთა გათვალისწინებით, ვფიქრობთ შესაძლებელია რამოდენიმე ასპექტის გამოყოფა:

ა) ერთი მხრივ ის, რომ სახელმწიფო სიმბოლოების ირგვლივ საკმაო ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა კამათი და დისკუსია, რომლის პროცესშიც სრულიად საპირისპირო მოსაზრებები და შეხედულებები გამოითქმებოდა. როგორც წესი, ამ საკითხის ირგვლივ გამართულ დისკუსიებში მხოლოდ (ან უმეტესწილად) ეთნიკური ქართველობა დებულობდა მონაწილეობას და დღემდე ქართული საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არც თუ დადებითი განწყობაა სახელმწიფო სიმბოლოების მიმართ.

ბ) მეორე მხრივ კი კითხვის ფორმულირებამ “მისაღებია”-თი და არა ვთქვათ, “მოსაწონია”-თი, ასევე შესაძლოა განსაზღვრა პასუხების სავარაუდო შედეგები. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორსაც, რომ ეთნიკურად არაქართული თემები გარკვეულ იზოლიაციონიზმში იმყოფებიან, შესაძლებელია დაგუშვათ, რომ ამის გამო ისინი ერიდებიან გამოსატონ საკუთარი ნაკლებ პოზიტიური ან სულაც ნეგატიური დამოკიდებულება სახელმწიფო სიმბოლოებისადმი. სხვა შემთხვევაში, უბრალოდ რთულია აეხსნათ, თუ რატომ შეიძლება იყოს ქრისტიანული სიმბოლოებით დატვირთული სახელმწიფო სიმბოლიკა უფრო მისაღები მუსლიმი აზერბაიჯანელისთვის ვიდრე მართლმადიდებელი ქართველისთვის.

კითხვებზე, “გექმნებათ თუ არა პრობლემები საკუთარი ეთნიკური და რელიგიური კუთვნილების გამო პრობლემები საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სარბიელზე” ორ კითხვაზე მიღებული პასუხები დაახლოებით ერთმანეთის მსგავსია. რესპონდენტთა იმ ნაწილს, რომელიც მუშაობს, არც საზოგადოებრივ და

არც სახელმწიფო სამსახურში პრაქტიკულად პრობლემა საკუთარი რელიგიური ან ეთნიკური კუთვნილების გამო არ ექმნება (აქაც გამორჩეულად მაღალია ის პროცენტული მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს, რომ სახელმწიფო სამსახურის შემთხვევაში პრაქტიკულად აზერბაიჯანელების აბსოლუტურ უმრავლესობას, თითქმის 100%, არ ექმნება პრობლემა საკუთარი ეთნიკური კუთვნილობის გამო). შესაძლებელია ვივარაუდოთ ისიც, რომ მათი თემობრივი ჩაკეტილობის გამო მათ არ სურთ ისაუბრონ პრობლემებზე.<sup>205</sup>

### ე) ეთნიკურ ჯგუფთაშორისო ურთიერთობის ინტენსივობა და რაგვარობა

რესპონდენტების მიერ გაცემული პასუხები სრულიად ლოგიკურად ასახვს და ადასტურებს რეალობას. აზერბაიჯანელ და სომეხთა დიდ უმრავლესობას (64,4 % და 86,4%) ყოველდღიური შეხება აქვს სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან (სავარაუდოდ ქართველებთან); რაც შეეხებათ ქართველებს, მათ ყველაზე ნაკლებად, მხოლოდ 37,2%-ს აქვს ხშირი ან ყოველდღიური შეხება სხვა ეროვნების წარმომადგენლებთან. მოცემულ შემთხვევაში ვფიქრობთ შესაძლოა ორგვარი ახსნა მონახოს: პირველი ის, რომ ქვეყანაში ქართველები დომინირებადი ეთნიკური ჯგუფია და მის ხელშია ქვეყნის რესურსების პრაქტიკულად უდიდესი ნაწილი, შესაბამისად საჯარო საქმიანობის პროცესში სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლებს ურთიერთობა უწევთ ქართველებთან. მეორე მხრივ, ქართველი რესპონდენტების დიდი ნაწილის იშვიათი კონტაქტი არაქართველ მოქალაქეებთან შესაძლებელია იმიტაც იყოს განპირობებული, რომ გამოკითხულ ქართველებთან ბუნებრივ მდგომარეობაში არ თანაცხოვრებენ სხვა ეთნიკური ჯგუფები, ხოლო რაც შეეხება პოლიტიკურ, საჯარო და სხვა ტიპის საქმიანობას, აქ მას (ეთნიკურ ქართველს) სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან შეხება საკუთარი დომინანტური მდგომარეობის გამო არც (ან ძალიან იშვიათად) უწევს.

კითხვაზე თუ რა ტიპის ურთიერთობები სჭარბობს მათ შორის, უპირატესობა მეზობლურ- მეგობრული ურთიერთობებს ენიჭება. ყველაზე ნაკლები პროცენტული მაჩვენებელი მოდის ოჯახურ ურთიერთობებზე. ამ შემთხვევაში მოცემული ტიპის ურთიერთობა ყველაზე ხშირად სომეხებს აქვთ -5,9%, რაც იმაზე მიუთითებს, რომ მათთან შედარებით უფრო ხშირია შერეული ქორწინებები და რაც ასევე, კიდევ ერთხელ ადასტურებს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ

<sup>205</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. 75-80

ეთნიკური სომხები აზერბაიჯანელებთან შედარებით უფრო გახსნილი და ნაკლებ იზოლირებული თემია და მათთვის უფრო მისაღები და დასაშვებია ეთნიკურად არა სომეხი ეროვნების ადამიანთან ოჯახის შექმნა.

ბიზნეს ურთიერთობების მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ მუსლიმ ქართველებს. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მუსლიმი ქართველი მოსახლეობის დიდი ნაწილი საკურორტო ზონაში (აჭარაში) ცხოვრობს, სადაც ამ ბოლო პერიოდში საკმაოდ მაღალია არაქართველი ტურისტების რაოდენობა, ამასთანავე, იმას, რომ სამცხე ჯავახეთში გამოკითხულ (სოფ. ჭაჭარაქში) მუსლიმ ქართველებს ძირითადი ურთიერთობა ეროვნებით სომეხ მოსახლეობასთან აქვთ (სასოფლო ტიპის პროდუქციის ყიდვა - გაყიდვა და სხვა ტიპის ბიზნეს კავშირები), მიღებული პასუხები სრულიად ლოგიკურად გამოიყურება.

კითხაზე, თუ “რამდენად კარგად იცნობთ საკუთარ ეროვნულ კულტურას”, მართლმადიდებელ ქართველთა მხოლოდ 47,8 % მიიჩნევს რომ კარგად იცნობს საკუთარ კულტურას და ტრადიციებს და ეს იმ ფონზე, როდესაც აზერბაიჯანელებისა და სომხების აბსოლუტურ უმრავლესობას მიაჩნია, რომ კარგად იცნობს საკუთარ ტრადიციებს. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? აქ შესაძლებელია გამოსჭვიოდეს ის მოსაზრება, რაც ხშირად ისმის ხოლმე ქართულ საჯარო დისკურსში, რომ არცთუ სათანადოდ იცნობს, საკუთარ კულტურულ მემკვიდრეობას და უფრო ღრმა ცოდნაა საჭირო, ვიდრე ეს რეალობაშია. უმეტეს შემთხვევებში ამგვარი განცხადებები გადაჭარბებული ხასიათისა უნდა იყოს და ეთნონაციონალისტური განწყობების გამოხატულებად უნდა მივიჩნიოთ. ეთნონაციონალიზმი ხომ უმეტესად საკუთარი “ეროვნული ღირებულებების” საფუძვლიან ცოდნას და გასიგრძეგანებას ქადაგებს. ვფიქრობთ მოცემული შემთხვევაც ამგვარი პრაქტიკის დადასტურებაა. სხვა შემთხვევებში გაურკვეველია, თუ რატომ უნდა იცნობდნენ ეთნიკური უმცირესობები საკუთარ კულტურას უკეთ, როცა მათი კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის რესურსი გაცილებით დაბალია, ვიდრე ეს ეთნიკურად ქართველების შემთხვევაშია.

კითხვაშიც “რამდენად კარგად იცნობთ საქართველოში არსებულ სხვა ეთნიკური ჯგუფების კულტურებს” ნათლად დასტურდება ზემოთ მოყვანილი მოსაზრება. ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეთნოჯგუფების კულტურისა და ტრადიციების ცნობადობის შესახებ სომხურ ეთნიკურ ჯგუფს აქვს. ეთნიკური უმცირესობები უკეთ იცნობენ სხვის კულტურას

(ამ შემთხვევაში სავარაუდოდ ქართველებისას) იმის გამო, რომ ისინი იმ გარემოში ცხოვრობენ, სადაც საჯარო და შესაბამისად, ხშირად ყოველდღიურ ურთიერთობებშიც დომინირებადი ეთნიკური ქართველია. ქართველი ისევ, როგორც საკუთარი კულტურის შემთხვევაში, ისევ ყველაზე ნაკლებ მიიჩნევს, რომ სხვის კულტურას იცნობს. ერთი მხრივ აქ მოქმედებს ის ფაქტორიც, რომ ქართველი დომინანტი საჯარო დისკურსის შემოქმედია და ამ დისკურსში მას მიაჩნია, რომ არა თუ სხვის, არამედ საკუთარ კულტურასაც კი არ იცნობს კარგად; მეორე მხრივ, შესაძლოა ქართველებს ისევ და ისევ მისი დომინირებადი მდგომარეობის გათვალისწინებით, რეალურად მართლაც არა აქვთ ინფორმაცია უმცირესობების კულტურული მემკვიდრეობის შესახებ; ნაკლებია ცნობადობა და არც სახელმწიფო პოლიტიკაა მიმართული ამ საკითხის პოპულარიზაციისკენ. რაც შეეხებათ სომეხ რესპონდენტებს, გამოკითხულ მოქალაქეებს შორის მათ ყველაზე მეტად მიაჩნიათ, რომ იცნობენ სხვების კულტურულ მემკვიდრეობას. რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი? როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამცხე-ჯავახეთში შედარებით მეტია პოლიტიკური განათლების დონე (ქვემო ქართლის გამოკითხულ რაიონებთან შედარებით), მათ უფრო იციან სახელმწიფო ენა ვიდრე აზერბაიჯანელებმა და შესაბამისად, სომეხთა თემიც უფრო გახსნილია.<sup>206</sup>

## **ზ) ინფორმაციის მიღების ენა და წყაროები**

აზერბაიჯანელების გარდა გამოკითხული მოსახლეობის საკმაო ნაწილის ინფორმირების წყარო ნაცნობ-მეგობრებისგან მიღებული ინფორმაციაა. ინფორმაციის მიღების მთავარ წყაროდ გვევლინება ტელევიზია. რაც შეეხებათ ჟურნალ - გაზეთებს, ამ გზით ყველაზე ნაკლებად ინფორმაციას ღებულობს აზერბაიჯანელი მოსახლეობა. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ აზერბაიჯანელი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის ქართული წერა-კითხვა და შესაბამისად, მათთვის პრობლემას წარმოადგენს ჟურნალ - გაზეთების ქართულ ენაზე გაცნობა. ამავე დროს, რომც იცოდნენ სახელმწიფო ენა, სავარაუდოდ ბეჭდური მედია მაინც ნაკლები პოპულარობით ისარგებლებდა, რადგანაც ბეჭდური მედია ზოგადად ნაკლები გავლენით და ნდობით სარგებლობს ქართულ მედია სივრცის რეალობაში და გაავრცელების არეალიც, რეგიონების შემთხვევაში საკმაოდ შეზღუდულია. რაც შეეხება ინტერნეტით მიღებულ ინფორმაციას, აქ

<sup>206</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. გვ. 80-85

გამოკვეთილად დაბალი მაჩვენებელია ყველგან, გარდა მართლმადიდებელი ქართველებისა. იმის გათვალისწინებით, რომ გამოკითხული ქართველების უდიდესი ნაწილი ან ურბანული ზონის მაცხოვრებელია, ან კი საჯარო და პიროვნულ დონეზე აქვს ურბანულ ზონაში კონტაქტები, სრულიად ლოგიკურია ინფორმაციის ამ მეთოდით მიღების 18,7% მაჩვენებელი.

კითხვაზე, თუ "რომელ ენას ამჯობინებთ ინფორმაციის მიღების ენად" აქაც კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ ეთნიკური სომხები ენობრივადაც უფრო ინფორმირებულია, გახსნილია და იციან ქართული, რაც მას აძლევს იმის საშუალებას, რომ დიდწილად (86,4%) ინფორმაცია ქართულენოვანი წყაროებიდან მიიღოს. უმთავრეს ლინგვისტურ იზოლაციონიზმში კი აზერბაიჯანელები წარმოგვიდგებიან

#### **თ) სახელმწიფო ენის ცოდნის საკითხები**

მართალია გამოკითხული მოსახლეობის უდიდესი ნაწილი აცხადებს, რომ არ იყენებს ქართულ ენას სამსახურეობრივი მოვალეობების დროს, მაგრამ ამის მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ მოსახლეობის ეს ნაწილი, არც მუშაობს სახელმწიფო სამსახურში. ხოლო მოქალაქეების შედარებით მცირე რაოდენობა, რომლებიც საჯარო სამსახურში არიან დაკავებულნი, იყენებენ კიდევ სახელმწიფო ენას.

კითხვაზე, უნდა იყოს თუ არა სახელმწიფო ენის ცოდნა სავალდებულო, გამოკითხული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ამ კითხვაზე დადებით პასუხს იძლევა. აზერბაიჯანელ მოსახლეობაში აღნიშნულ კითხვაზე დადებითი პასუხი მთლიანად გამოკითხულ რესპონდენტთა შორის ყველაზე დაბალია – 83,8 %. ამის მიზეზი შესაძლოა იყოს ის, რომ მათ რესპონდენტებს შორის ყველაზე ნაკლებ იციან ქართული და, შესაბამისად, მათთვის გარკვეულწილად პრობლემას წარმოადგენს მისი შესწავლა.

რესპონდენტთა საშუალოზე ოდნავ მეტი რაოდენობა მიიჩნევს, რომ მათ სახელმწიფო ნაწილობრივ მაინც ეხმარებათ სახელმწიფო ენის შესწავლაში. აქ მეტად საინტერესოა მუსილიმი ქართველების მიერ გაცემული უარყოფითი პასუხის მაჩვენებელი – 51 %. რითი შეიძლება აიხსნას ის, რომ ეთნიკურად ქართველს, რომლისთვისაც (ყოველ შემთხვევაში უდიდესი ნაწილისთვის მაინც) ქართული მშობლიური ენაა – მიაჩნია, რომ სახელმწიფო მათ არ ეხმარებათ ფაქტობრივად

მათი მშობლიური ენისვე შესწავლაში? ამგვარი მაჩვენებელი შესაძლოა აიხსნას გამოკითხული მუსლიმი ქართველებით დასახლებული რეგიონში სკოლების ნაკლებობით და შესაბამისად, სასკოლო განათლებაში გარკვეული პრობლემების არსებობით. აღნიშნულ ვარაუდს ადასტურებს და ამყარებს შემდეგი კითხვა და მასზე გაცემული პასუხებიც.<sup>207</sup>

კითხაზე, თუ რითი გამოხატება სახელმწიფოს დახმარება სახელმწიფო ენის შესწავლასთან დაკავშირებით, გამოკითხული მუსლიმი ქართველების 100% მიიჩნევს, რომ სწორედ სასკოლო განათლების ხელშეწყობითაა შესაძლებელი სახელმწიფო ენის უკეთ შესწავლა. შესაბამისად, სწორედ სასკოლო განათლებაში არსებული პრობლემებიდან გამომდინარე ისინი მიიჩნევენ, რომ სახელმწიფო არ (ან ნაკლებად) ეხმარებათ მათ ქართული ენის შესწავლაში.

გამოკითხულთა შორის ყველაზე ნაკლებად ქართული ენის ერთადერთ სახელმწიფო ენად გამოცხადებას აზერბაიჯანელი რესპონდენტები უჭერენ მხარს. როგორც ჩანს ამ შემთხვევაში მათი პასუხები განპირობებულია ქართული ენის მოკრძალებული ცოდნით და შესაბამისად ენობრივი ბარიერი მათში მეტია.

---

<sup>207</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. გვ. 86-93

## თავი V სამოქალაქო ინტეგრაციის ძირითადი გამოწვევები და პერსპექტივები

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში პოსტ-კომუნისტურმა სახელმწიფოებრივმა მშენებლობამ ვერ უზრუნველყო სახელმწიფოს ორი უმთავრესი ფუნქციის ფორმირება: ტერიტორიული სუვერენიტეტის და უსაფრთხოების უზრუნველყოფა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების განხორციელება. ამიტომ, არცაა გასაკვირი, რომ მან ჯეროვნად ვერ შეძლო ფრაგმენტული სოციალური სივრცის კონსოლიდირება და მისი ქმედით სამოქალაქო სივრცედ გარდაქმნა. არაქართული ეთნიკური ჯგუფები (გარკვეული ცვლილებებისდა მიუხედავად), უმეტეს შემთხვევებში გარიყულნი არიან საჯარო-პოლიტიკურ სივრცისგან და ფაქტობრივი იზოლაციონიზმის და ეთნიკური იერარქიის სტრატეგიით განაგრძობენ არსებობას.

ვითარება საკმაოდ არასახარბიელოა. ისინი არსებობენ დომინანტი ქართული ეთნიკური ჯგუფის გვერდიგვერდ, ისე რომ მასთან თანამშრომლობის იმპულსები ძლიერ უმნიშვნელოა.<sup>208</sup> ფაქტობრივად, დომინანტი და უმცირესობაში მყოფი ჯგუფები ერთ სოციალურ სივრცეში ორ, ერთმანეთისგან გაუცხოებულ, ჩაკეტილ, პარალელურ საზოგადოებებს ქმნიან, რომელთა შორისაც სოციალური მობილობის და კომუნიკაციის დონე დაბალი ინტენსივობისაა; და თუ კი ამგვარი მობილობის საჭიროება ჩნდება, იგი უფრო ვერტიკალური, იერარქიული ხასიათისა, ვიდრე ღია და ჰორიზონტალური. ეთნიკური უმცირესობები ძალიან სუსტად არიან აღჭურვილნი საჯარო-პოლიტიკური სივრცეში ინტეგრაციის ინსტრუმენტებით, (იგულისხმება სახელმწიფო ენის ძალიან სუსტად ცოდნა, სუსტი ინფორმაციული უზრუნველყოფა, საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში სუსტი წარმომადგენლობითობა, საერთო ეკონომიკურ ბაზარზე სუსტად ჩართულობა და ქვეყნის საერთო დოვლათის წარმოებაში მათი მოკრძალებული წილი, პოლიტიკურ პარტიებს და სამოქალაქო გაერთიანებებში მათი უმნიშვნელო მონაწილეობა და ა.შ.) რომელთა ფლობამაც, პერსპექტივაში, უნდა მოახერხოს მათი მოცემულ სივრცეში ჩართულობის ინტერესის წახალისება და სახელმწიფოებრივი ლოიალობის გაძლიერება, რამაც მათგან საბოლოო ჯამში საქართველოს აქტიური მოქალაქეები უნდა ჩამოაყალიბოს. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ კომპაქტურად დასახლებულ ეთნიკურ ჯგუფთა განსახლების არეალი ძირითადად სასოფლო ტიპის

<sup>208</sup> ინტერვიუ საერთაშორისო და სტრატეგიულ გამოკვლევათა საქართველოს ფონდის მკვლევართან ეკა მეტრეველთან. ქალბატონი ეკა პირადად არის ჩართული მოცემული ფონდის მხრიდან სახელმწიფო სამოქალაქო სტრატეგიის დანერგვაში.

დასახლებებია და ძლიერ სუსტი ურბანიზაციით ხასიათდება (ურბანული ცენტრი კი თავისი არსით მობილობის ინტენსიფიკაციას და ქმედით სოციალურ გაცვლას უზრუნველყოფს). ის ეთნიკური ჯგუფები, რომელნიც შედარებით მსხვილ ურბანულ ცენტრებში არიან განსახლებულნი, ოღონდ დისპერსიულად (მაგ. თბილისში, ქუთაისში ან ბათუმში) ქართულ სახელმწიფოსთან ადაპტაციის უფრო მაღალი ხარისხით გამოირჩევიან<sup>209</sup>. სასოფლო თემები კი, სადაც კომპაქტურად მოსახლეობენ ეთნიკური უმცირესობები, ქვეყნის სუსტი ინსტიტუციონალიზაციის და დაბალი ეკონომიკური განვითარების წყალობით, თითქმის მთლიანად მოწვეტილნი არიან ქვეყნის განვითარების ძირითად ღერძს. ეს თავის მხრივ აისახება ეთნიკურ უმცირესობათა ყოფას და განწყობებზე. მით უმეტეს, რომ ისინი სასაზღვრო რეგიონებში მოსახლეობენ და პირდაპირი სახელმწიფო საზღვარი ჰყოფს საკუთარ ეთნიკურ სამშობლოსგან და მოცემული ეთნიკურ სამშობლოსთან მათი ლოიალობა და კომუნიკაცია უფრო ინტენსიურია მათ პოლიტიკურ სამშობლოსთან შედარებით. პოლიტიკური სამშობლო, სამწუხაროდ ვერ ახერხებს მათში ეთნიკურ იდენტობასთან ერთად ძლიერი, სამოქალაქო იდენტობის ფორმირებას.<sup>210</sup>

საბჭოთა კავშირის დროს ჩამოყალიბებულმა ეთნო ერთიერთობების ტრადიციამ დღემდე წარუშლელი კვალი დატოვა საქართველოს მოქალაქეთა აბსოლუტური უმრავლესობის განწყობებზე. პოსტ-კომუნისტურ საქართველოს კი, რომელიც ჯერ კიდევ მძლავრად საზრდოობს საბჭოთა მემკვიდრეობით, ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი მოცემული გადმონაშთის აღმოსაფხვრელად. ეთნიკურ ჯგუფთა ურთიერთობების სტრუქტურაში, როგორც წესი, ჯერ კიდევ დომინანტი ადგილი უჭირავს ურთიერთობათა იერარქიულ ხასიათს, რომელიც უპირველესად არა ეთნიკურ ჯგუფთა ღია ტიპის ურთიერთობებს გულისხმობს, არამედ ეთნო-ელიტათა ფორმირებას და ამგვარ ელიტათა საფუძველზე არსებულ პატრონ-კლიენტურულ კომუნიკაციის სისტემას ეფუძნება. ამ მხრივ, როგორც ქართული, ისე არაქართული ეთნიკური ჯგუფები ერთ სისტემაში არიან მოქცეულნი. რა თქმა

<sup>209</sup> სხვათა შორის იგივე უნდა ითქვას დომინანტ ქართულ ეთნიკურ ჯგუფზეც. როგორც წესი, ურბანული ცენტრების ქართველები სამოქალაქო აქტივობის და მონაწილეობის თვალსაზრისით უფრო მობილური არიან, ვიდრე სასოფლო ტიპის დასახლებაში მცხოვრებნი. მოცემული სამოქალაქო პასიურობას კი საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილი ყავს მოცული. მათი აქტივობა უფრო ფრაგმენტული ხასიათისაა და ძირითადად დიდ პოლიტიკურ მანიფესტაციებში მონაწილეობით გამოიხატება.

<sup>210</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. გვ. 132-134

უნდა არსებობს ჰორიზონტალურ ურთიერთობათა გარკვეული დონეც, მაგრამ წამყვანი ადგილი საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში მაინც ეთნიკურ ურთიერთობათა ვერტიკალურ მხარეს ენიჭება, რომელიც თავის მხრივ იერარქიული ხასიათისაა; და რაც ყველაზე საინტერესოა (და თავის მხრივ საფრთხის შემცველიც), ამგვარ იერარქიულ ურთიერთობათა სტილი და სტრატეგია ორივე მხრიდან ლეგიტიმურად აღიქმება, როგორც კარგად ნაცადი და ისტორიულად გამობრძმედილი გამოცდილება. შესაბამისად, მოცემული ეთნიკური ურთიერთობები მობილიზაციურ ხასიათს ინარჩუნებს და უმეტესად სოციალურ სივრცეში ძალაუფლების მოპოვების და რესურსებზე კონტროლის დაწესების სახეს იღებს და სცილდება უბრალოდ ეთნო-კულტურულ მრავალგვარობის ხასიათს. სწორედ სახელმწიფოს ეთნიკურ ურთიერთობათა ნორმალიზების მცდელობის მოცემულ სტრატეგიაში უნდა ვეძიოთ სუსტი სამოქალაქო ინტეგრაციის საფუძველი. თავის მხრივ, ეთნიკურ უმცირესობათა მხრიდან ეთნო-ფედერალიზმის მოთხოვნა იღვევს, იდეურად იგივე საფუძველზეა წარმოშობილი. ეთნო-ელიტების (თუმცა ისინი ოფიციალურად ინსტიტუციონალიზირებულნი არ არიან) მიერ ეთნო-ფედერალიზმის და ეთნიკური ავტონომიების მოთხოვნა მათ მიერ ხშირად ეთნიკურ უმცირესობათა უფლებების ჯეროვანი დაცვის საუკეთესო სტრატეგიადაა მიჩნეული. არა და რეალობაში, ეთნიკურ უფლებების დაცვაზე მეტად, შესაძლებელია ეთნო-ელიტების მხრიდან რესურსების მეტი გაკონტროლების არაფორმალურ მოთხოვნასთან გვექონდეს საქმე. ასეა თუ ისე, საბჭოთა ეთნოსტრუქტურებმა წარუშლელი კვალი დატოვეს დღევანდელ ქართულ რეალობაზე (არა მხოლოდ ქართულ, ეს მთელ ყოფილ საბჭოთა ქვეყნებს ეხება) და აქედან გამომდინარე, მთავარ გამოწვევად სწორედ რომ საბჭოთა ტრადიციების საბოლოო დემონტაჟი და მიდგომების ახლებური გაზრება უნდა მივიჩნიოთ.<sup>211</sup>

ეთნო-კონფესიური გაუცხოება და შესაბამისად ეთნიკური პოლიტიკის მთავარი გამოწვევები რამდენიმე დონეზე არსებობს და არ მოიცავს მხოლოდ ერთ-რომელმე სფეროს;

ა) ეს არის სოციალური კარჩაკეტილობა და მეტად დაბალი მობილობა. ზოგადი, ფაქტობრივი სოციალური გახლეჩილობა ვერ აყალიბებს სოციალური მდგრადობის და შეკავშირებულობის ქსელს; ეთნიკური ჯგუფები პრაქტიკულად პარალელურ

<sup>211</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. გვ. 133

საზოგადოებებად ცხოვრობენ და არ ქმნიან ერთ მთლიან სოციუმს. დაბალი ურბანიზაციის და მოდერნიზაციის დონე, არ წარმოშობს მძლავრ სოციალური გადაადგილებებისა და მობილობის საჭიროებებს. ხოლო არსებული სოციალური კომუნიკაციის სიხშირე უპირატესად ჯგუფობრივ დონეზე მიმდინარეობს და ინდივიდუალურ არჩევანს ნაკლები გასაქანი აქვს;

ბ) კულტურული და საინფორმაციო გაუცხოება. კარნაკტილი კულტურული განვითარებები, ეთნიკურ ჯგუფთა მხრიდან ერთიერთ კულტურული მოღწევების მიმართ დაუინტერესებლობას და არაინფორმირებულობას აყალიბებს. პრაქტიკულად ერთ კულტურულ სივრცეში, კულტურულად გაუცხოებული რამდენიმე ქვეკულტურა არსებობს;

გ) ფაქტობრივი ეკონომიკური გაუცხოება და ნატურალური მეურნეობის პრიმატი თანამედროვე საბაზრო ეკონომიკურ ურთიერთობებთან შედარებით, ვერ აძლევს ბიძგს ეკონომიკური კაპიტალის დეეთნიზაციას და ფართე ეკონომიკურ კონკურენციას და თანამშრომლობას. ეკონომიკური კაპიტალის წარმოქმნა ჯერ კიდევ ეთნიკურ მიჯაჭვულობებს ეფუძნება;

დ) სამოქალაქო გაუცხოება. სუსტი სამოქალაქო ინსტიტუციონალური ქსელი არ იწვევს არასახელმწიფო დონეზე ეთნიკურ ჯგუფთა თანამშრომლობას და კერძო ინტერესთა ჯეროვან არტიკულაციას. შესაბამისად მეტად სუსტია სამოქალაქო საზოგადოების სივრცე, რომელიც სახელმწიფო დირექტივებების გარეშე მოახერხებდა ეთნიკურ ჯგუფთა დაახლოების და არასახელმწიფო საჯარო სივრცის წარმოქმნას. სამოქალაქო საზოგადოებების ინსტიტუტები უკიდურესად სუსტია, დაბალი ლეგიტიმურობით სარგებლობს. მაღალი ლეგიტიმურობით და ნდობით უპირატესად მხოლოდ რელიგიური ტიპის ორანიზაციები სარგებლობენ და პროფესიულ, კერძო ინტერესებზე წარმოქმნილი ინსტიტუციები უკიდურესად სუსტია ;

ე) პოლიტიკურ და ინსტიტუციური დონეზე გაუცხოება. მეტად სუსტი და არც თუ ქმედითი დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტები ვერ ახერხებენ ეთნიკურ ჯგუფთა ერთ მძლავრ პოლიტიკურ საზოგადოებად გარდაქმნას. დემოკრატიული

პოლიტიკური ინსტიტუტების არც თუ მდგრადი განვითარების ტენდენციები, ვერ აყალიბებს მძლავრი პოლიტიკური მონაწილეობის და პოლიტიკური ჩართულობის საერთო სივრცეს. ეთნიკური ჯგუფები, ფაქტობრივად საჯარო-პოლიტიკურ დონეზე მოქმედებენ არა, როგორც თავისუფალი და პასუხისმგებლობით გამსჭვალული მოქალაქეები, არამედ როგორც პრიმორდალური ტიპის ჯგუფის წევრები, რომელთა პოლიტიკური სიმპათიების და პრიორიტეტების ჩამოყალიბებაზე გადამწყვეტ როლს წარსული ეთნო-ისტორიული მემკვიდრეობა და ეთნიკური ჯგუფის შიგნით არსებული სოციალური იერარქიები ახდენენ. თუმცა კი, საქართველოში მაცხოვრებელ ყველა ეთნიკურ ჯგუფს, საქართველო საკუთარ სამშობლოდ მიაჩნია. ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველო უპირატესად პოლიტიკური სამშობლოა, ხოლო ეთნიკური ქართველებისთვის – ეთნიკური.<sup>212</sup>

ეთნონაციონალური განწყობები ეთნიკურ უმცირესობებზე მეტად თუ არა, დომინანტ ეთნიკურად ქართველებში საკმაოდ ძლიერია. ამას გამოკითხულ რესპონდენტთა უდიდესი ნაწილი ადასტურებდა ზეპირი ინტერვიუების დროსაც. ამავე დროს, უმეტეს შემთხვევებში მათთვის “ქართული იდენტობის” დასადგენად, მართლმადიდებელი რელიგია უფრო მეტ როლს თამაშობდა, ვიდრე სახელმწიფო და პოლიტიკური ინსტიტუტები (თუმცა მუსლიმი ქართველების შემთხვევაში საქმე გასაგები მიზეზი გამო სხვაგვარადაა). როგორც ჩანს ეთნიკურად მართლმადიდებელ ქართველებში, სახელმწიფო როგორც პოლიტიკური ინსტიტუტი და საერთო თანაცხოვრების ფორმა ჯერ კიდევ სუსტად ლეგიტიმურია და ნდობა მის მიმართ არც თუ ისე დიდია. პარადოქსია, მაგრამ გამოკითხულ ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენლები გაცილებით უფრო მისაღებად მიიჩნევენ ქრისტიანული სიმბოლოებით დატვირთულ სახელმწიფო სიმბოლიკებს (რომელიც ქართულ ეთნოისტორიასთან ძლიერ არის დაკავშირებული), ვიდრე ეთნიკური ქართველები. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პრობლემა არა მხოლოდ ეთნიკურ უმცირესობათა სახელმწიფოსადმი დამოკიდებულებაშია, არამედ იგი საკმაოდ პრობლემატურია ეთნიკურად ქართველებშიც. შეგვიძლია ვთქვათ, რომ სახელმწიფოს და პოლიტიკური ინსტიტუტებისგან, როგორც ეთნიკურად არა ქართველები, ისე ეთნიკური ქართველებიც თითქმის ერთნაირად გაუცხოებულნი არიან. ამიტომაც, ალბათ წარმატებული სამოქალაქო ინტეგრაციის და ეთნო-ურთიერთობების ნორმალიზაციის საფუძველთა საფუძველი, უპირველესად

<sup>212</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. გვ. 134-135

სახელმწიფოს ლეგიტიმურობის ზრდას და პოლიტიკური ინსტიტუტების ეფექტიანობაზეა დამოკიდებული. თუ კი პოლიტიკური ინსტიტუტები ვერ მოახერხებენ მეტ-ნაკლებად სამართლიანი და მდგრადი პოლიტიკური გარემოს შექმნას, ნებისმიერი მცდელობა რაიმე ეთო-ურთიერთობების ნორმალიზებისა წარუმატებელი იქნება.

ჯერ კიდევ მძლავრია, ეთნიკურ უმცირესობათა ე.წ. “სახელისუფლებო რესურსად” გამოყენების ტრადიცია, რომელიც საფუძველშივე აფერხებს ყოველგვარ სამოქალაქო დაახლოებას და თავისუფალ წარმომადგენლობითობას. ამასთანავე, მოცემული სისტემა ეფუძნება ძლიერ პატრონ-კლიენტელიზმს და ეთნიკურ ურთიერთობებს მხოლოდ ვერტიკალურ სივრცეზე ტოვებს. არა და ნებისმიერი ჯგუფური დაახლოების წინაპირობა სოციალური კომუნიკაციის ძლიერი ჰორიზონტალური ვექტორებია, რომელიც მაინც წარმოშობს გარკვეულ ელიტურ დაჯგუფებებს, მაგრამ მოცემული ელიტები გაცილებით გახსნილი ხასიათისაა და უმეტესად ღია არიან რეკრუტის და მონაწილეობისადმი. ეთნიკური სახის პატრონ-კლიენტელიზმი ხშირად უფრო მეტი საფრთხის შემცველია, ვიდრე პატრონ-კლიენტელიზმი, რომელიც კულტურულად ერთგვაროვან საზოგადოებებში ყალიბდება.

უილ კიმლიჩას მიერ ზემოთ აღწერილი პროცესებიდან, საქართველო აშკარად აღმოსავლეთ-ცენტრალური ევროპის განწყობებს მიეკუთვნება. კიმლიჩას მიერ აღწერილი ეთნიკური უმცირესობების “უშიშროებიზაციის” საკითხი მართლაც, რომ გადამწყვეტ როლს თამაშობს, ქართული სახელმწიფოს ეთნიკური პოლიტიკის დღის წესრიგის ფორმირებაში. მოცემული “უშიშროებიზაციის” საკითხი კი განსაკუთრებით ძლიერდება მაშინ, თუკი ეთნიკური უმცირესობების მხრიდან ეთნიკური სახის ავტონომიის მოთხოვნა ჩნდება. შეიძლება ითქვას, რომ ეთნიკური ავტონომიზაციის საკითხი საქართველოს რეალობაში ერთგვარად ტაბუდადებულ საკითხსაც კი წარმოადგენს. მოცემულ ტაბუს, აშკარად განაპირობებს აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთი ოსეთის ოლქის გამოცდილებაც. მოცემულ ორ შემთხვევაში, ერთ-ერთი მთავარი “დამნაშავე” სწორედ ეთნიკური ავტონომიებისგან გაჩენილი პრობლემები იყო. ამიტომაც, ქართული სახელმწიფო ცდილობს შეძლებისდაგვარად თავი აარიდოს ქვეყნის ეთნო-ფედერალიზმის მსგავს სისტემაზე მოწყობის პერსპექტივებს და აქცენტი უფრო ზოგადად ეთნიკურ დაახლოებას და ჩართულობის სხვა სტრატეგიებზე გადაიტანოს.

ამიტომაც, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ სამოქალაქო ინტეგრაციის რომელ მოდელს უფრო უნდა ეფუძნებოდეს გრძელვადიან პერსპექტივებში საქართველო, რომელმაც სამომავლოდ ქვეყნის მდგრადი და მშვიდობიანი განვითარება უნდა მოიტანოს.<sup>213</sup>

თუ კი საქართველო აირჩევს ტრადიციული ლიბერალური ასიმილაციის ეტაბისტურ სტრატეგიას და შეეცდება, როგორც პოლიტიკურად, ისე კულტურულად მძლავრად ჰომოგენური საზოგადოების ჩამოყალიბებას, ამას იგი წარმატებით ვერ მოახერხებს. პირველი, იმიტომ, რომ საქართველო ინსტიტუციურად საკმაოდ სუსტია იმისთვის, რომ განახორციელოს მოცემული პოლიტიკური პროექტი, მას საამისოდ შესაბამისი რესურსები არ გააჩნია. მკაცრი კულტურული გაერთგვაროვნების სტრატეგიას მხოლოდ ის ქვეყნები ახორციელებდნენ, რომელნიც პოლიტიკურად ძლიერ ცენტრალიზებულნი იყვნენ და ინსტიტუციურადაც მათ მდგრად განვითარებას საფრთხე არ ემუქრებოდა. ამავე დროს, მოცემული ქვეყნები მძლავრი იმპერიული მემკვიდრეობის მატარებელნი იყვნენ და მათ წინაშე უფრო სხვა რეალობები იდგა, ვიდრე ეს საქართველოშია. ამგვარი პოლიტიკური პროექტის ნათელი დადასტურება საფრანგეთია, რომელის შედარებაც საქართველოს რეალიებთან მთლად ადეკვატური არ უნდა იყოს. ამავე დროს, კომპაქტურად დასახლებული ეთნიკური უმცირესობები, რომელნიც აშკარად განწყობილნი არიან საკუთარი კულტურული იდენტობის შენარჩუნებისადმი, ნაკლებად სავარაუდოა, რომ კეთლგანწყობით შეხვდნენ საკუთარი კულტურული იდენტობის შესაძლო დაკარგვას. კვლევა გვაჩვენებს, რომ არც ეთნიკურად ქართველები იქნებიან მთლად სიმპათიის განწყობილნი ეთნიკური უმცირესობების კულტურულად სრულ “ქართველიზაციაზე”. შესაძლოა მომავალში, მშვიდობიანი თანაარსებობის პერსპექტივებში, მოხდეს კიდევ ეთნიკური უმცირესობების კულტურული ასიმილირება ეთნიკურ ქართველებთან (როგორც ეს ხშირად მომხდარა კიდევ დისპერსიულად განსახლებული ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში), მაგრამ მოცემულ ეტაპზე მკაცრად ასიმილაციისკენ სწრაფვა აშკარად ნაკლებად ლეგიტიმური იქნება მოსახლეობის უდიდესი ნაწილის წარმოდგენებში და იგი პრაქტიკულად ვერ განხორციელდება. ამგვარად, ჩვენი აზრით ეტაბისტური, თუნდაც ლიბერალური ასიმილაცია გამოუსადეგარი პოლიტიკური პროექტია ქართული სახელმწიფოსთვის.

<sup>213</sup> დუნდუა, აბაშიძე. დასხ. ნაშრ. გვ. 135-137

დიფერენციაციის პოლიტიკური პროექტის არჩევანის შემთხვევაში, გამოდის რომ ეთნიკურ ურთიერთობებს (სამართლებრივად გასხვავებული ვითარების მიუხედავად) დისკრიმინაციული სახე ექნება და კიდევ უფრო დაძაბავს ვითარებას. ეთნიკური გარიყულობა, ერთხელ და სამუდამოდ დაამუხრუჭებს ნორმალური სოციალური ინტერაქციის და პოლიტიკური საზოგადოების ფორმირების მცდელობებს. დიდი ალბათობით შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ დიფერენციაცია კიდევ ერთხელ გაახვევს საქართველოს კონფლიქტებში, საიდანაც მას თავის დაღწევა ნამდვილად გაუჭირდება. ამავე დროს, ასიმილაციის მსგავსად, საქართველოს რესურსები არ ეყოფა დიფერენციაციის განსახორციელებლად და იგი აუცილებლად დამარცხდება. ამასთანავე, დიფერენციაციის პოლიტიკა 21-ე საუკუნის ანაქრონიზმადაც შესაძლოა მივიჩნიოთ და განსაკუთრებით კი იმგვარ საზოგადოებებში, რომელნიც ძლიერი ეთნო-კულტურული ფრაგმენტაციით გამოირჩევიან და კონფლიქტისადმი მიდრეკილების მძლავრ ტენდენციებს ამჟღავნებენ. დიფერენციაციის გარიყულობის პოლიტიკური სტრატეგიის განხორციელება, საქართველოს, როგორც სახელმწიფოს სამუდამოდ ისტორიულ ექსპონატად გადააქცევს და სამომავლოდ იგი მხოლოდ სამეცნიერო ინტერესების სფერო თუ გახდება. ამგვარი მაგალითები კი მსოფლიო ისტორიამ საკმაოდ მრავლად იცის.

რჩება მესამე არჩევანი, ე.წ. “ინტეგრაციის” პოლიტიკური პროექტი, რომელიც, როგორც კონცეფცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, დიდ ბრიტანეთში წარმოიშვა გასული საუკუნის 60-იან წლებში. ინტეგრაცია არის ერთგვარი შუალედური გამოსავალი განხილულ ორ ვარიანტს შორის და თანამედროვეობის განვითარებას უფრო ეხმიანება. მოცემული მოდელის რეალიზაციის შემთხვევაში სახელმწიფო ეწევა საჯარო-პოლიტიკური სივრცის სტანდარტიზაციის პოლიტიკას და მასში ჩართულობა ყოველი მისი მოქალაქის მოვალეობაა. საჯარო-პოლიტიკურ სივრცეზე ინტეგრაცია არ ცნობს რაიმე ჯგუფობრივ განკერძოებას და პოლიტიკური თანასწორობის პრინციპის მოშველიებით ინდივიდი სახელმწიფოს წინაშე მხოლოდ “პოლიტიკური ცხოველია” (არისტოტელეს კლასიკურ განსაზღვრებას თუ მოვიშველიებთ), რაც თანამედროვე პოლიტიკის ენაზე, აქტიურ მოქალაქეს გულისხმობს. მაგრამ, ამავე დროს, ინტეგრაციის მოდელის განხორციელებისას, ინდივიდს ეძლევა საშუალება კერძო დონეზე, არჩევანის შემთხვევაში, შეინარჩუნოს საკუთარი კულტურული იდენტობა. სახელმწიფო აუცილებელ მასობრივ

კულტურულ გაერთიანებას არ მიეღობის. ინდივიდი ინარჩუნებს კულტურული ავტონომიის უფლებას, რაც არ არის აუცილებელი ტერიტორიული პრინციპის მიხედვით განისაზღვოს და რაიმე ტერიტორიულ წარმონაქმნს მოიცავდეს. თუმცა, დიდი ბრიტანეთი, სადაც ინტეგრაციის კონცეფცია იშვა, ტერიტორიულად მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს კულტურული ავტონომიების არსებობას, მაგრამ მან ეს გაცილებით მოგვიანებით აღიარა. თუმცა კი, როგორც ირლანდიელები, ისე შოტლანდიელები და უელსელები კულტურულად (ლინგვისტურ დონეზე მაინც) დიდი ხნის ანგლიზებული იყვნენ. ესპანეთი და ბელგია არიან მეორე მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ეთნო-კულტურულად დანაწევრებულ საზოგადოებებში აღიარებული იქნას ეთნო-კულტურულ საზღვრებს მორგებული ავტონომია, ისე რომ პოლიტიკურ-საჯარო დონეზე მეტ-ნაკლებად იარსებოს საერთო პოლიტიკურმა, ეროვნულმა იდენტობამ, ხოლო კერძო დონეზე ეთნიკურ ჯგუფებს მიეცეთ საკუთარი კულტურული იდენტობის და განვითარების საშუალება.

უკანასკნელ ხანებში, საქართველოში მულტიკულტურალიზმი, როგორც იდეა, ხდება გარკვეული დისკურსის საგანი,<sup>214</sup> თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ისეთივე პოპულარულია, როგორც ეს დასავლურ სამყაროში.<sup>215</sup> ხშირია იმის ფაქტებიც, რომ მულტიკულტურალიზმის ცნება არც თუ ადეკვატურად გამოიყენება და შორს დგას მისი ჭეშმარიტი არსისგან. მაგრამ, მიერთებულია რა საქართველო ევროპის უმცირესობათა უფლებების დაცვის ჩარჩო კონვენციას და კიდევ სხვა საერთაშორისო საკანონმდებლო რეგულაციებს, შესაძლოა მის წინაშე წამოიჭრას კიდევ, მულტიკულტურული პოლიტიკის გატარების მოთხოვნა და ეს განსაკუთრებით თუ კი საქართველოს საბოლოოდ მიუერთდება უმცირესობების ენების დაცვის ევროპულ ქარტიას.

მულტიკულტურალიზმის ოფიციალურ პოლიტიკად გამოცხადება, ნიშნავს, რომ სახელმწიფომ ოფიციალურ დონეზე უნდა აღიაროს ქვეყნის კულტურული მრავალწევრიანობა და შესაბამისად იზრუნოს კიდევ მის წახალისებას და დაცვაზე (როგორც ეს მაგ: კანადას და ავსტრალიაში ხდება). შესაბამისად, სახელმწიფო ცენტრალური ბიუჯეტიდან გამოყოფს სპეციალურ სახსრებს საიმისოდ, რომ მოხდეს კულტურული მრავალწევრიანობის წახალისება. საჯარო

<sup>214</sup> იხ; შოთა ხინჩაგაშვილი / მულტიკულტურალიზმის გამოწვევები / სოლიდარობა, სახალხო დამცველი ჟურნალი; № 6 (33), გვ.23-32, <http://ombudsman.ge/files/downloads/ge/jhvtmqxbtrhnwfgqefkq.pdf>

<sup>215</sup> დასავლეთში იგი მასობრივი ემოგრაციით წარმოშობილმა პრობლემებმა განაპირობა. საქართველოში ჯერ-ჯერობით საამისო პირობები არ არსებობს.

სამსახურებს და დაწესებულებებში, სკოლებს, უნივერსიტეტებს და ა.შ ხდება კვოტების დადგენა და წარმომადგენლობითობაც, მხოლოდ გარკვეული ჩარჩოების საშუალებით და კვოტირებითაა შესაძლებელი. თუმცა, მულტიკულტურალისტული პოლიტიკის გარკვეული სტრატეგია შესაძლოა განახორციელოს სახელმწიფომ, მაგრამ ამავე დროს იგი არ აქციოს ოფიციალურ პოლიტიკად. დღევანდელ ევროპულ სახელმწიფოთა უმეტესობა ამ უკანასკნელ ვარიანტს უფრო ამჯობინებს.

ვფიქრობთ, რომ საქართველოსთვის ყველაზე ოპტიმალური ეთნიკური დაახლოების სტრატეგიათა შორის ე.წ. “ინტეგრაციის” სტრატეგიაა, რომელიც ამავე დროს არ უნდა გამოიხატებოდეს ეთნო-კულტურული ტერიტორიული საზღვრების მიხედვით (აქ არ იგულისხმება, რა თქმა უნდა, აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქი, რომელიც განხილვის სხვა, სრულიად ცალკე თემაა). თუ კი საქართველო მოახდენს ეთნო-კულტურული ტერიტორიული ავტონომიების აღიარებას, იგი სავარაუდოდ მიიღებს შემდეგს:

1. მოხდება ეთნიკურობის ოფიციალური ინსტიტუციონალიზაცია, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ეთნიკურ ჯგუფების კიდევ უფრო მეტ გაუცხოებას და საქართველოს მოქალაქის ნაცვლად, ფორმალურად გააძლიერებს ზემოთ აღწერილ ორ პარალელურ საზოგადოებას, რომელთა შორის ინტეგრაცია და კომუნიკაცია უმეტესად ჯგუფობრივ დონეზე განხორციელდება და ნაკლებ ადგილს დაუთმობს ინდივიდუალურ ურთიერთობებს. პერსპექტივაში (თუ კი გავითვალისწინებთ საგარეო პოლიტიკურ ფაქტორებსაც) შესაძლებელია ეთნო-კულტურული ჯგუფები უფრო მეტად ჩაკეტილნი გახდნენ და ყოველგვარ ეთნიკურ ურთიერთობას მხოლოდ სოციალურ სივრცეში რესურსების დაუფლების სახე მიეცეს, რაც თავის მხრივ გაცილებით დაძაბულ გარემოს ჩამოაყალიბებს;
2. კვლავინდებურად, სავარაუდოდ, აღორძინდება საბჭოთა ე.წ. “ტიტულარული ერის” პოლიტიკა, რამაც შესაძლოა კონკრეტულ ავტონომიებში მაცხოვრებელი უმცირესობაში მცხოვრები სხვა ეთნიკური ჯგუფები მეორეხარისხოვან მდგომარეობაში ჩააყენოს, ანუ ფაქტობრივად ეთნიკური დისკრიმინაცია დააკანონოს;

3. უფრო მეტად მოახდინოს ეთნო-ელიტების კონსოლიდირება, რომელთაც შესაძლოა სამომავლოდ (თუ კი საქართველოს, როგორც სახელმწიფოს არც თუ სახარბიელო მდგომარეობას გავითვალისწინებთ) სეცესიის სურვილები გაუჩნდეთ;
4. ეთნო-ელიტებმა შესაძლოა წარმოშვან ჩაკეტილი სივრცე, რომელიც მათ მიერ კონკრეტულ ეთნო-კულტურულ ავტონომიაში რესურსებზე არაფორმალურ კონტროლს დააწესებს, რაც სოციალური სიკეთეების არასამართლიან გადანაწილებას უზრუნველყოფს;
5. შესაძლოა მოხდეს წარმომადგენლობითობის კოტირების სისტემის გაჩენა, რაც ერთის მხრივ შეიძლება უზრუნველყოფდეს უმცირესობათა ჩართულობას საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში, მაგრამ ამავე დროს ე.წ. “ეთნო მეწარმეების” გაჩენის შედეგად, ეთნიკური უმცირესობის რიგითი წევრის თავისუფალი არჩევანი შეზღუდოს და იგი წინდაწინვე იქნას განწირული ეთნიკური იდენტობისთვის და მიწერილ იქნას კონკრეტულ ეთნიკურ ჯგუფს, მისი სურვილისდა მიუხედავად. ამისი პრაქტიკა არსებობს ყველა იმ ქვეყანაში, სადაც კი კოტირების სისტემაა. კოტირება გარკვეულწილად უზრუნველყოფს წარმომადგენლობითობას, მაგრამ წინააღმდეგობაში მოდის თავისუფალი არჩევანის და ინდივიდუალიზმის იდეებთან.
6. და რაც მთავარია, მან შესაძლებელია გამოიწვიოს ეთნიკურ ქართველებში (რომელთა წარმოსახვაშიც ეთნიკური ავტონომიის იდეა უკიდურესად დისკრედიტირებულია აფხაზეთის და ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიურ ოლქის გამო) ეთნიკურ უმცირესობათა წინააღმდეგ განწყობების გაჩენა და გაძლიერება, რომელმაც პერსპექტივაში შესაძლოა მრავალი გაუთვალისწინებელი შედეგი მოიტანოს.

ესპანეთს და ბელგიაში ეთნო-კულტურულმა ავტონომიებმა გარკვეული შედეგები გამოიღეს და შეძლეს მოცემული ქვეყნების კრიზისიდან გამოყვანა, მაგრამ არსებულ ქვეყნებში ეთნიკური ურთიერთობები ეფუძნებოდა ერის ძლიერ სამოქალაქო დისკურსს, სამოქალაქო საზოგადოებას და ძლიერ პოლიტიკურ

ინსტიტუტებს. ამის მიუხედავად, მოცემული ორი ქვეყნის წინაშე საბოლოოდ არ მოხსნილა სეცესიის პრობლემა. ამავე დროს, სეცესიურად განწყობილი რეგიონები, ევროკავშირის შექმნის შედეგად უფრო მეტად ხდებიან ინტერნაციონალიზებულნი და ხშირ შემთხვევაში “რეგიონთა ევროპის” იდეასაც ემყარებიან, რომელშიც სამწუხაროდ საქართველო თითქმის არ არის ჩართული (მართალია აჭარის ავტონომია და იმერეთის რეგიონი ევროპის რეგიონთა ასამბლეის წევრები არიან, ეს მაინც ვერ უზრუნველყოფს მათ სათანადო ჩართულობას ევროპული პოლიტიკის ქმნადობის პროცესში).

ამიტომაც, უფრო მართებულად გვეჩვენება ინტეგრაციის იმგვარი სტრატეგიის განხორციელება, რომელიც თავისი არსით ექსტერიტორიული ხასიათის იქნება და ამავე დროს, როგორც ეთნიკურ ქართველებში, ისე ეთნიკურ უმცირესობებში უფრო მეტი ლეგიტიმურობით ისარგებლებს, რაც მისი განხორციელების საფუძვლებს გაცილებით გაამყარებს. ექსტერიტორიული ეთნო-კულტურული ავტონომიის პოლიტიკური პროექტი გაცილებით მეტ საყოველთაო თანხმობას მოიპოვებს საქართველოს მთელს მოსახელობაში, ვიდრე ტერიტორიული ეთნიკური ავტონომიების განხორციელების გეგმა.

სახელმწიფოს მოცემული სტრატეგია შეუძლია განახორციელოს რამდენიმე გზით:

1. უმთავრესი ალბათ ესაა მდგრადი დემოკრატიული გარემოს შექმნა და ინსტიტუციური განვითარება. მდგრად დემოკრაციას ძალუძს მოქალაქეებს შორის წარმოშვას რწმენა და მზაობა საერთო თანაცხოვრებისა, რომელშიც მეტ-ნაკლებად თითოეული ინდივიდის ინტერესები იქნება გათვალისწინებული და მერიტოკრაციის პრინციპი უკეთ იქნება დაცული. განვითარებული ლებერალური-დემოკრატიული ქვეყნების პრაქტიკა გვასწავლის, რომ მხოლოდ დემოკრაციას ძალუძს იქცეს მშვიდობიანი, საყოველთაო თანასწორობას და თანხმობაზე დამყარებული სოციალური და პოლიტიკური სივრცის შექმნის საფუძვლად. სწორედ ამგვარ სამოქალაქო თანხმობაზე დამყარებულ პოლიტიკურ საზოგადოებას უწოდებდა გაბრიელ ალმონდი მონაწილეობის თუ აქტიურ პოლიტიკურ კულტურას.

2. გაძლიერდეს ადგილობრივი თვითმმართველობა, რაც ხელს შეუწყობს ადგილობრივ დონეებზე პოლიტიკური პროცესების წარმოქმნას და გააძლიერებს მოქალაქეების მხრიდან საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ჩართულობის ინტერესებს. ამავე დროს, იგი მოახდენს პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ნდობის გაზრდას და მათი ლეგიტიმურობის გაძლიერებას. ამავე დროს, ძლიერი ადგილობრივი თვითმმართველობა იქნება პერსონალური თუ კულტურული ავტონომიის განხორციელების ინსტიტუციური გარანტი;
3. განათლების სისტემამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო ენის ცოდნის დონის ამაღლება ეთნიკურ უმცირესობებში და ამავე დროს ადგილობრივი, ეთნიკური ენების დაცვის უზრუნველყოფა. საამისოდ, მაქსიმალურად უნდა იქნეს ადგილობრივი კადრები წახალისებულნი და უფრო მეტი ყურადღება მიექცეთ მათ, ვიდრე მხოლოდ დედაქალაქიდან გაგზავნილი პირებს, რომელნიც ხშირად ადგილობრივ პირობებს მეტად ცუდად იცნობენ. განათლების ზოგადი სისტემა უნდა ემსახურებოდეს მოქალაქის აღზრდას და სამოქალაქო იდეების განვითარებას და არა რომელიმე ეთნო-კონფესიური ჯგუფის უპირატესობის დასაბუთებას. ნებისმიერი განვითარებული ლიბერალური-დემოკრატია, სწორედ განათლების სისტემის საშუალებით ახერხებდა და დღემდე ახერხებს ეთნო-კულტურად განსხვავებული ჯგუფების ერთ პოლიტიკურ საზოგადოებად გადაქცევას. ერთიანი ეროვნული განათლების სისტემა, მხოლოდ კონკრეტული პროფესიული ცოდნის გაცემა არაა, იგი უფრო სახელმწიფოს თავისუფალი და პასუხისმგებლობით გამსჭვალული მოქალაქის აღზრდას ემსახურება;
4. მოხდეს წახალისება ინტერ-ეთნიკური საგანმანათლებლო პროექტების შექმნისა, რომელიც უკეთ წარმოაჩენს ეთნიკურ უმცირესობათა იმ პოზიტიურ როლს, რომელიც მათ შეასრულეს საქართველოს ისტორიულ განვითარებაში. და ამავე დროს, დაანახებთ მათ, რომ საქართველო, როგორც სახელმწიფო,

თანაბრად ზრუნავს თითოეულ მის მოქალაქეზე, მათი ეთნიკური თუ რელიგიური კუთვნილების მიუხედავად. შესაბამისად კი, ეთნიკური უმცირესობების ისტორიულ-კულტურული განვითარების ვექტორები, მთლიანი ქართული სახელმწიფოებრიობის სიმდიდრედ და განუყოფელ ნაწილად წარმოჩნდება;

5. ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში, განსაკუთრებით იმ დარგების პროფესიონალიზაცია უნდა მოხდეს, რომელიც კონკრეტული რეგიონისთვისაა აუცილებელი. პროფესიულ წრეებს ეთნიკური უმცირესობები უპირველესად საკუთარ სამშობლოში უნდა ეძიებდნენ და არა სხვა ქვეყნებში, როგორც ეს ხშირად ხდება საქართველოს რეალობაში. და თუ კი ამგვარი პროფესიონალიზაცია დაემყარება რეგიონების ადგილობრივი მოთხოვნილებებს (ეს იქნება აგრარული საკითხები თუ სხვა), მაშინ მისი საჭიროება და მასში ჩართულობის სურვილი გაცილებით მაღალი იქნება;
6. წახალისდეს ურბანიზაციის განვითარება ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, რათა ფაქტობრივად ნატურალური მეურნეობის პირობების მქონე სასოფლო დასახლებები უფორ მეტ სოციალურ მობილობას დაეფუძნონ, რათა მათი სოციალური კომუნიკაციის არე გაფართოვდეს. უმაღლესი განათლების ცენტრების გაძლიერებას კი, ურბანიზაციის საკითხში მეტად მძლავრი როლის შესრულება შეუძლია.
7. სასურველია ადგილებზე გარკვეული ინდუსტრიული ცენტრების შექმნა, რომელიც მოქალაქეთა ეკონომიკურ აქტივობას წახალისებს და ამავე დროს მეტ კერძო სამეწარმეო ინიციატივას გააჩენს. თავის მხრივ კი მოცემული პროცესი, ზოგადად როგორც ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის იქნება სასარგებლო, ისე ეთნიკური უმცირესობებისთვისაც, რომლითაც მათ გაცილებით მეტი სარგებლის მიღება შეეძლება და, შესაბამისად, საქართველო იქნება მათთვის არა მხოლოდ უბრალოდ საცხოვრებელი ადგილი, არამედ ეკონომიკური სარგებლიანობის მიღების წყაროც.

პოლიტიკური სივრცე, თუ კი ვერ სთავაზობს საკუთარ მოქალაქეებს სოციალური სიკეთეების მიღებას და კეთილდღეობას, ყოველთვის მოწვევადი იქნება საკუთარი მოსახლეობის მხრიდან, მისი ეთნიკური შემადგენლობისდა მიუხედავად.

## დასკვნა

წარმოდგენილი დისერტაციისან შემდეგი დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ. ეთნიკური უმცირესობები, ფორმალურ დონეზე მაინც საქართველოს საკუთარ სამშობლოდ მიიჩნევენ და არ არიან ზოგადად ქართული სახელმწიფოებრიობის იდეასთან გაუცხოებულნი. ეს რა თქმა უნდა ფრიად მისასაღმებელი ფაქტია, მაგრამ ამავე დროს ისინი ძალზე სუსტად არიან ადჰურვილნი საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრაციის და სამოქალაქო დაახლოების ინსტრუმენტარებით. ხშირად ეთნიკურ უმცირესობათა გაუცხოებაში ენობრივ ბარიერს უფრო ადანაშაულებენ ხოლმე. რა თქმა უნდა თავისთავად ენის ცოდნა მართლაც რომ სოციალური კომუნიკაციის და დაახლოების უდიდესი ინსტრუმენტი და საშუალებაა, თუმცა მხოლოდ ენის ცოდნა ნამდვილად არ კმარა ეთნო-იზოლაციონიზმის გასაქრობად. ამის მაგალითები მრავლად იცის მსოფლიო პოლიტიკურმა პრაქტიკამ, როდესაც ენობრივმა ფაქტორმა ვერანაირად ვერ მოახდინა სამომავლო ეთნიკური შეფერილობის დაძაბულობების აღმოფხვრა. ამის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი უახლესი დადასტურება ჩეჩნეთის მაგალითია, რომ აღარაფერი ვთქვათ ირლანდიას, შოტლანდიას თუ ბასკთა ქვეყანაზე. არც ყოფილი სამხრეთი ოსეთის ავტონომიური ოლქის ეთნიკურად ოსი მოსახლეობა ყოფილა თავის დროზე ლინგვისტურ იზოლაციონიზმში, მაგრამ მხოლოდ ენობრივი ინტეგრაცია დიდი ვერაფერი მეგზური გამოდგა კონფლიქტების თავიდან ასაცილებლად. ეთნიკურ უმცირესობებს უპირველესად ალბათ სტიმული უნდა მიეცეთ, რათა მათი მხრიდანაც მძლავრი იყოს მოთხოვნა სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეს მხოლოდ სახელმწიფოს ცენტრალიზებული პოლიტიკის წარმართვის პროდუქტი არ უნდა გახლდეთ. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, შესაძლოა მართლაც კეთილისმყოფელი ატმოსფერო შეიქმნას ეთნო-იზოლაციონიზმის გასარღვევად, თუმცა მხოლოდ იგი ვერ შესძლებს მის საბოლოო მოგვარებას. პრეზიდენტ სააკაშვილის მმართველობამ, მანამდელი არსებული მმართველობებისაგან განსხვავებით, მართლაც საკმაოდ ბევრი რამ გააკეთა მოკლე დროში, იმისათვის, რომ სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან ყოფილიყო ფორმალური სტიმული, რათა ეთნიკური უმცირესობები უფრო ჩართულიყვნენ საჯარო-პოლიტიკურ პროცესში, მაგრამ ეს არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევიდან კარგად ჩანს, რომ ეთნიკური უმცირესობები ფრიად

სუსტად არიან ჩართულნი ზოგადად სამოქალაქო ცხოვრებაში და მთლიანი ეროვნული დოვლათის წარმოქმნაში მეტად სუსტ მონაწილეობას იღებენ. შესაბამისად, მათი დომინანტ ეთნიკურ ქართველებთან დაახლოების ინსტიტუციური ქსელიც (როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური) მეტად მოიკოჭლებს. ეთნიკურ ქართველებს და არაქართველებს შორის ურთიერთობები ძირითადად მაინც არაფორმალურ მეგობრულ-მეზობლური ურთიერთობების სურვილებით თუ შემოიფარგლება, რაც თავის თავად ეთნიკური დაახლოების ხელშემწყობ ფაქტორად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ ნამდვილად ვერ იქნება მათი საჯარო-პოლიტიკურ დონეზე ინტეგრაციის და საერთო ეროვნული ინტერესების წარმოქმნის საფუძველი. ამავე დროს, კვლევიდან ნათლად ჩანს, რომ ეთნიკური უმცირესობები, საჯარო-პოლიტიკურ სოფრცეში კომუნიკაციას ჯერაც მხოლოდ, უმეტესად ეთნო ელიტების საშუალებით ახერხებენ და ჰორიზონტალურ სოციალურ მობილობას ნაკლები გასაქანი აქვს. ეთნიკური უმცირესობები სოციალური კაპიტალის ქმნალობაში მეტად მოკრძალებული წვლილის შემტანნი არიან. კვლევა გვიჩვენებს, რომ კომპაქტურად დასახლებული მსხვილი ეთნიკური უმცირესობები უპირატესად საკუთარ ეთნო-კაპიტალის წარმოებას თუ ეწევიან და გარე სოციალური იმპულსებისგან უმეტესად განდგომილ ვითარებაში იმყოფებიან. ეთნიკური უმცირესობების უპირატესად ჩაკეტილი სოციალური სივრცე არ იძლევა კომუნიკაციის ჰორიზონტალური ხაზების განვითარების საშუალებას. ეს კი განსაკუთრებით იმ უმცირესობებს ეხებათ, რომელთა ეთნიკური იდენტობის თვითგანსაზღვრაში გადამწყვეტი ფაქტორი რელიგიას ენიჭება. ეთნიკური ახერბაიჯანელები, რომელნიც უდიდეს ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს საქართველოში, რიცხოვნობით მეორე ადგილზე მყოფ სომხურ თემთან შედარებით მეტ ჩაკეტილობას ამჟღავნებს, ამასთანავე, მათი პოლიტიკური ამბიციებიც ნაკლებია. თუმცა, როგორც პირად საუბრებში აცხადებდნენ ორივე ეთნიკური ჯგუფის წევრები, ისინი ქართულ სახელმწიფოს უმეტესად სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გამო უჩივიან და არ მიაჩნიათ, რომ საკუთარი ეთნიკური მოკუთვნებულობის გამო რაიმე დისკრიმინაციას განიცდიან.

კვლევიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეთნიკურ უმცირესობათა ინტეგრაციის პროცესი უპირველესად სოციალური ინტეგრაციის ხელშემწყობით უნდა წარიმართოს და მასზედ უნდა აიგოს შემდგომში მათი საჯარო-პოლიტიკურ სივრცეში ინტეგრაციის სტრატეგია. გაუცხოება და გახლეჩილობა უპირველესად

სოციალური თანამშრომლობის და დაახლოების დონეზე არსებობს და სწორედ მისი შედეგია სამოქალაქო-პოლიტიკური ინტეგრაციის ნაკლებობა. სოციალური გახლეჩილობის და უნდობლობის პირობებში შეუძლებელია ეთნიკური უმცირესობების სრულფასოვანი ჩართულობა მოხერხდეს პოლიტიკური პროცესების წარმოქმნის პროცესში. სოციალური თანამშრომლობა და ინტეგრაცია გახლავთ სწორედ ის საფუძველი, რომლის გადალახვაც გაცილებით გაადვილებს ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო გააქტიურებას. მკაფიოდ ფორმირებული კერძო ინტერესების არ ქონა აფერხებს ინდივიდუალიზმის წახალისებას, ბუნებრივად იწვევს მათ ჯგუფურ მიჯაჭვულობას და შესაბამისად პოლიტიკურ აპათიას და გარიყულობის შეგრძნებას. ქმედითი ჰორიზონტალური სოციალური მობილობის ქსელის შექმნა, სახელმწიფოს სპეციალური სანქციების გარეშეც მოახდენს ქართველ და არაქართველ ეთნიკურ ჯგუფთა თანამშრომლობის სურვილის წახალისებას. თავის თავად, კი ეს სახელმწიფოს ნაკლები დანახარჯები დაუზღდება ერთის მხრივ და სახელმწიფო სოციალური ინჟინერიაც და მისგან შესაძლო წარმოშობილი საფრთხეც მოიკლებს. მეორეს მხრივ ქმედითი სოციალურ ინტერესთა კონკურენცია და არტიკულირება დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტების ლეგიტიმურობის ზრდას და მათ შედგომ მდგრად განვითარებას შეუწყობს ხელს. და რაც მთავარია, ეს მოხდება სახელმწიფოს რაიმე ძალდატანების გარეშე და გაცილებით უტკივნეულო სახე ექნება.

კვლევა გვიჩვენებს, რომ საქართველოში მოდერნიზაციის სხვადასხვა ხარისხის ეთნო-რელიგიური თემები არსებობენ (რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ ზოგადად თავად საქართველო შეიძლება კვალიფიცირდეს ნახევრად მოდერნიზებული ქვეყანად). იმის და მიუხედავად, რომ ფეოდალიზმი უკვე დიდი ხანია ისტორიის კუთვნილებაა, როგორც ჩანს ბევრი ფეოდალური ტრადიცია ჯერ კიდევ საკმაოდ ფესვგამდგარია ქართულ სოციალურ სტრუქტურებში. ფეოდალიზმი იტანს განსხვავებული განვითარების მქონე მსხვილ კოლექტივთა თანაარსებობას, რადგანაც მისთვის პოლიტიკური თანაარსებობის მთავარი საფუძველი პერსონიფიცირებული ლოიალობაა. თანამედროვე ერი-სახელმწიფო კი ვერ ეგუება განსხვავებული, ტრადიციული ადათ-წესების საფუძველზე დამყარებულ სხვადასხვა მსხილ სეგმენტთა თანაარსებობას. იგი მეტ სტანდარტიზაციას მოითხოვს. თუ კი საქართველოს სურს მართლაც და თანამედროვე სახელმწიფოდ ქცევა, იგი თანაბრად უნდა ეწეოდეს მისი ყველა რეგიონის სოციალ-ეკონომიკური დონის

განვითარებას და ფორმალიზებული, კონსტიტუციური წესრიგის პოლიტიკურ სტანდარტიზაციას. საამისოდ კი, ქვეყნის მოდერნიზაციის ვექტორი არ უნდა იქნას დაფუძნებული შერჩევითი რეგიონების განვითარებაზე და მთელს სახელმწიფოს თანაბრად უნდა მოიცავდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი უკიდურესად გააღრმავებს ქვეყნის დიფერენციაციას, რაც საბოლოო ჯამში შესაძლოა ისედაც სუსტი სახელმწიფოებრიობის კოლაფსის საფუძველიც კი გახდეს. სახელმწიფოებრიობა და პოლიტიკური ინსტიტუტების მდგრადობა და ლეგიტიმურობა კი, სამწუხაროდ, ჯერაც საკმაოდ დაბალია საქართველოს რეალობაში. ამას კი მხოლოდ ეთნო-კონფესიური ძირები არ აქვს. საფუძვლები ცოტა სხვა სიბრტყეზეა დასაძებნი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ბენედიქტ ანდერსონი, *წარმოსახვითი საზოგადოებები*, გამომცემლობა ენა და კულტურა, თბილისი 2004
2. ბერძენიშვილი ნ. *საქართველოს ისტორიის საკითხები*, თბილისი 1990
3. გია ნოღია, “*საქართველოს მრავალ ეთნოსურობა: ფაქტი, მასთან მიმართება და მოსაზრებები პოლიტიკური სტრატეგიისათვის*” / ერთი საზოგადოება მრავალი ეთნოსი: ეთნიკური მრავალფეროვნება და სამოქალაქო ინტეგრაცია საქართველოში. მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2003
4. გიორგი სორდია / *ეროვნულ უმცირესობათა მართვის ინსტიტუტები საქართველოში, მიმოხილვა*; ECMI – სამუშაო მოხსენება № 43, სექტემბერი 2009, [www.ecmigeorgia.org](http://www.ecmigeorgia.org)
5. *ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკის ანალიზი / ბტკკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, ეთნიკური უმცირესობების პროგრამა, თბილისი 2008, www.btkk.ge*
6. *ეთნიკურ-კონფესიური ჯგუფები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში / მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური უნივერსიტეტი / თბილისი 2002*
7. *ეროვნული ინტეგრაციისა და ტოლერანტობის შეფასება, 2007-2008*  
<http://diversity.ge/files/files/SURVEY-REPORT-GEO.pdf>
8. ენტონი სმიტი. *ნაციონალური იდენტობა*, თბილისი 2008
9. ენტონი სმიტი. *ნაციონალიზმი*, თბილისი, 2004
10. ერნსტ გელნერი. *ერები და ნაციონალიზმი*, ნეკერი, თბილისი 2003
11. ზვიად აბაშიძე / *ეთნიკური ურთიერთობების პერპექტივები საქართველოში / უმცირესობების საკითხი საქართველოში, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი 2010*
12. ივანე ჯავახიშვილი. *„ქართველი ერის ისტორია“* ტომი III, თბილისი 1985
13. ივ ჯავახიშვილი. *მოხსენება საქართველოს საბჭოთა მთავრობას 1926 წ.* (საქ. ცსია, ფონდი 471, სასქმე №6, ფურც. 82-111)
14. ზურაბ დავითაშვილი. *ნაციონალიზმი და გლობალიზაცია*. მეცნიერება, თბილისი 2003
15. თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის ანთოლოგია, თბილისი 1996

16. იაკობ რაინგსი. *მოგ ზაურობა საქართველოში*. არტანუჯი, თბილისი. 2002.
17. ლელა პატარიძე. *პოლიტიკური და კულტურული იდენტობანი IV-VIII სს. ქართულ ერთობაში: "ქართლის ცხოვრების" სამყარო*. თბილისი 2009
18. ლ. ზურაბაშვილი. *ეროვნებათაშორისი ურთიერთობების ტრადიციები საქართველოში*, „მეცნიერება“, თბილისი, 1989
19. კლაუს ფონ ბეიმე /თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიის განვითარების ტენდენციები/ ახალი მიმართულებები პოლიტიკურ მეცნიერებებში. ოქსფორდის უნივერსიტეტის გამომცემლობა 2000 (თარგმანი გამოუცემელი სახით)
20. მარიამ ჩხარტიშვილი. *ქართული ეთნიკ რელიგიური მოქცევის ეპოქაში*. “უნივერსალი” 2009
21. მაცაბერიძე, მ. *საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია*, თბილისი, საქართველოს რესპუბლიკის ი. ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო საგანმანათლებლო საზოგადოება “ცოდნა”.1996
22. მაიკლ ჰენტიერი. *ნაციონალიზმის შეხერხება*, თბილისი 2007
23. ნოე ჟორდანიას. *რჩეული ნაწერები*, თბილისი 1990
24. სალომე დუნდუა, ზვიად აბაშიძე. *ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პრობლემები საქართველოში*, გამომცემლობა “ინტელექტი”, თბილისი 2009
25. სალომე დუნდუა / *იდენტობის ფორმირების ძირითადი საკითხები ეთნო-რელიგიურ თემებში / უმცირესობების საკითხი საქართველოში*, პოლიტოლოგიის ინსტიტუტი, თბილისი 2010
26. სალომე მესუზლა და ედინ მოშე / *განათლების რეფორმა და ეროვნული უმცირესობები საქართველოში* ; ECMI სამუშაო მოხსენება, სექტემბერი 2009, [www.ecmigeorgia.org](http://www.ecmigeorgia.org)
27. საქართველოს ისტორიის ნარკვევები. ტ. IV, გამომც. „საბჭოთა საქართველო“ 1973 წ
28. *საქართველოს ისტორიის ნარკვევები*, ტ. V, გამომც. „საბჭოთა საქართველო“ 1975
29. საქართველო ათწლეულების გასაყარზე, “არტე”, 2005
30. საქართველოს პირველი ანგარიში ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ, <http://diversity.ge/files/files/State%20Report%20of%20Georgia%20FCPNM.pdf>

31. *სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება, საქართველო „ვარდების რევოლუციი“ შემდეგ*, ბრუნო კოპიტერსის და რობერტ ლეგვოლდის რედაქციით, ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემია, 2005
32. სონდულაშვილი ავთ., *ეროვნული უმცირესობანი დ კონფესიები საქართველოში*, თბილისი, 2005, სულხან საბა ორბელიანი სსახელობის თბილისის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი
33. *სეკულარიზაცია: კონცეპტები და კონტექსტები*. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2009
34. *სოლიდარობა, სახალხო დამცველი ჟურნალი*; № 5 (38), <http://ombudsman.ge/files/downloads/ge/dvnapehmjrmemxjivovj.pdf>
35. სტივენ ჯონსი, *სოციალ-დემოკრატია ქართულ ფერებში*, ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2008
36. ტოლერანტობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია, <http://diversity.ge/files/files/KONCEPCIA%20%20.pdf>
37. პოლიტიკური სიტუაცია აჭარაში (1920), პეტრე გელეიშვილის მოხსენებითი ბარათი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს. 1920 წლის 8 ოქტომბერი, რედაქტორი მერაბ ვაჩნაძე, თბილისი, „ინტელექტი“, 1998
38. *ოსმალის საქართველო* / ილია ჭავჭავაძე, თხზულებანი ხუთ ტომად, ტომი II, პავლე ინგოროყვას რედაქციით, თბილისი 1941
39. ფილიპ კ. შმიტერი / ოცდახუთწლიანი კვლევა: თხუთმეტი შედეგი/ *სოლიდარობა, სახალხო დამცველი ჟურნალი*; № 4 (37), <http://ombudsman.ge/files/downloads/ge/jfertywiurlkebydcokij.pdf>
40. ქართლის ცხოვრება. ტომი IV, ბატონიშვილი ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბილისი 1973
41. *ქართველი ერის დაბადება*. ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი კონფერენციის მასალები (26-27 ნოემბერი). ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2009
42. 1921 წლის საქართველოს კონსტიტუცია. თბილისი 1995
43. შალვა ნუცუბიძე, *ქართული ფილოსოფიის ისტორია*, ტომი II თბილისი 1964

44. შალვა ტაბატაძე / *ვანათლების პოლიტიკის ახალი ინიციატივები სამოქალაქო ინტეგრაციის კონტექსტში* / მშვიდობის, დემორატიის და განვითარების ინსტიტუტის პოლიტიკის ანგარიში 2010  
[http://cipdd.org/files/45\\_505\\_439631\\_pol-geo1.pdf](http://cipdd.org/files/45_505_439631_pol-geo1.pdf)
45. შოთა ხინჩაგაშვილი / მულტიკულტურალიზმის გამოწვევები / სოლიდარობა, სახალხო დამცველი ჟურნალი; № 6 (33), გვ.23-32,  
<http://ombudsman.ge/files/downloads/ge/jhvtmqxbtrhnwfqqefkq.pdf>
46. ჯონატან უითლი / *საქართველოში სამცხე-ჯავახეთის და ქვემო ქართლის რეგიონებში მცხოვრები ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია; მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის ხუთი წელი*, ECMI-ის სამუშაო მოხსენება № 44, სექტემბერი 2009, [www.ecmigeorgia.org](http://www.ecmigeorgia.org)
47. Сталин И.Б. *Марксизм и национальный вопрос*.//Сочинения. Тбилиси 1953
48. Владимир Малахов. *Национализм как политическая идеология*. - М.: Книжный дом "Университет", 2004
49. Юрген Хабермас. *Вовлечение другого, очерки политической теории*. С. П. 2001
50. Юрген Хаббермас. *Демократия, разум нравственность*. Москва. 1995
51. Урс Альтерматт. *Этнонационализм в Европе*, Москва. 2000
52. Бруно Коппитерс *«Этнофедерализм и политика в области строительства гражданского государства. (Поиски альтернативов для Грузии и Абхазии) Практика федерализма* (Общая редакция Б. Коппитерс, Д.Дарчиашвили, Н. Акаба) Весь мир, Москва 1999
53. Владимир Малахов. *Вызов национальному государству/Скромное обаяние расизма и другие статьи* Москва 2001
54. Бромлей Ю.В. *Этнос и этнография*. М., 1973
55. Бромлей Ю.В. *Очерки теории этноса*. М., 1983
56. Лев Гумилёв. *Этногенез и биосфера Земли*. - АСТ, Астрель, 2005
